ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

XVI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

XVI

თბილისი
Tbilisi
2020

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია
ნათია ფიფია
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)
მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)
გუნტის ზემიტისი (ლატვია)
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიეტუვა)
ანჯეი პუქშტო (ლიეტუვა)
ალექსანდერ ბურშე (პოლონეთი)
იულიან მოგა (რუმინეთი)
მირჩა პადურარუ (რუმინეთი)
იაროსლავ პილიპჩუკი (უკრაინა)
პოლ კრეგო (აშშ)
გოჩა ცეცხლაძე (დიდი ბრიტანეთი)

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili

Editorial Board:
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia
Natia Phiphia
Hirotake Maeda (Japan)
Farhad Jabbarov (Azerbaijan)
Mikhail Choref (Russia)
Alireza Soleymanzadeh (Iran)
Guntis Zemītis (Latvia)
Rimvydas Petrauskas (Lithuania)
Andžej Pukšto (Lithuania)
Aleksander Bursche (Poland)
Iulian Moga (Romania)
Mircea Păduraru (Romania)
Yaroslav Pylypchuk (Ukraine)
Paul Crego (USA)
Gocha Tsetskhladze (UK)

http://geohistory.humanities.tsu.ge
e-mail – geohistory@tsu.ge

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

ლერი თავაძე
ურარტული წყაროების „იგანი“ და ქართული საისტორიო ძეგლების „ძაღინის ჯევი“ (ჩრდილის ტბის მხარის ისტორიული გეოგრაფია და თავდაცვითი სისტემა)..... 7

Leri Tavadze
“Igani” of Urartian Sources and “Žaḡinis ḫevi” of Georgian Historical Records (Historical Geography and Defense System of Lake Çildir Region) (Summary)..... 17

თედო დუნდუა
კოლხეთის პოლიტიკური ისტორიისათვის პოლემონების ხანაში 19

Tedo Dundua
Colchis and Pontus of Polemons (Summary)..... 34

ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე
ახალი ბერძნული წარწერა სოხუმის ციხიდან..... 36

Natia Phiphia, Ekaterine Kobakhidze
A New Greek Inscription from Sokhumi Fortress (Summary)..... 48

აკაკი ჩიქობავა
მევახშეობის პოლიტეკონომია ფეოდალურ საქართველოში..... 49

Akaki Chikobava
Political Economy of Usury in Feudal Georgia (Summary)..... 65

Evgeni Chanishvili
The New Unique Georgian-Byzantine Coin Types of King David IV the Builder (Summary)..... 67

Михаил Чореф
«Хризма» или «шестиконечная звезда с двумя точками», или к атрибуции надчеканок на позднесредневековых арабографических монетах из Юго-Западного Крыма 75

Mikhael Choref
"Chi Rho" or "Six-Pointed Star with Two Points" or to the Attribution of the Countermarks on Late Medieval Arabographic Coins from the South-Western Crimea (Summary)..... 83

ხათუნა ბაინდურაშვილი
იდეოლოგიური კონფრონტაცია შიიტურ ისლამთან და ბაგრატ მუხრანბატონის „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა..."..... 84

Khatuna Baindurashvili
Ideological Confrontation with Shia Islam and Bagrat Mukhranbatoni's "Story of Heretical Tatars's Faith..." (Summary)..... 107

ნიკო ჯავახიშვილი
ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის. როგორი თანამიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატიონები ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში..... 109

Niko Javakhishvili
For the Specification of Kartli Kingdom Bagratids' Chronological Order – What Was the Timeline of Kartli Kingdom Bagratids' Rule in the 16th-18th Centuries (Summary)..... 162

ოთარ გოგოლიშვილი
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში 1878 წლამდე..... 164

Otar Gogolishvili
South-Western Georgia in the Administrative and Territorial System of the Ottoman Empire before 1878 (Summary)..... 176

აპოლონ თაბუაშვილი
ტახტის მემკვიდრეობის საკითხი XVIII საუკუნის I მესამედის კახეთის სამეფოში..... 177

Apolon Tabuashvili
Succession to the Throne in the First Third of the 18th Century Kingdom of Kakheti (Summary)..... 186

გიორგი სოსიაშვილი
საქართველოში გავრცელებული ეპიდემიები და ქრისტიანული ეკლესია..... 188

Giorgi Sosiashvili
Epidemics in Georgia and Christian Church (Summary)..... 196

თენგიზ სიმაშვილი
1924 წლის „სისხლიანი სექტემბერი“ თელავში..... 198

Tengiz Simashvili
1924 "Bloody September" in Telavi (Summary)..... 236

მიხეილ ბახტაძე
პოლონეთის ახალი ისტორიის არქივის Archiwum Akt Nowych რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს შესახებ..... 237

Mikheil Bakhtadze
Several Documents about Georgia from the Archive of New History in Poland *Archiwum Akt Nowych* (Summary)..... 260

Георгий Рамазашвили
Хроники поэтапного разрушения Всехсвятского приходского некрополя (1981-2017)..... 261

Georgiy Ramazashvili
Chronicles of Gradual Demolition of All Saints Necropolis in Moscow (1981 - 2017) (Summary)..... 311

პოლემიკა
Discussion

Tedo Dundua, Akaki Chikobava
Occupation, Falsification of History – Russians in Abkhazia (Georgia) 313

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Tedo Dundua
Deities and Pagan Shrines on Money: Case of Georgia..... 317

Tedo Dundua
Saints on Money: Case of Georgia..... 325

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

ლერი თავაძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

ურარტული წყაროების „იგანი“ და ქართული საისტორიო ძეგლების „ძაღინის ჴევი“ (ჩრდილის ტბის მხარის ისტორიული გეოგრაფია და თავდაცვითი სისტემა)*

იგანი ჩრდილის ტბის მხარეში არსებული პოლიტიკური გაერთიანებაა.[1] მისი გამოჩენა ურარტულ წყაროებში უკვე ძვ.წ. IX საუკუნის დასაწყისით შეგვიძლია დავათარიღოთ, როდესაც წარწერებში ეთიუხის (ეთიუნი) ქვეყნების მეფეები ჩნდებიან.[2] სხვა ტექსტში, იგანის მონარქი მოხსენიებულია როგორც ეთიუხის ქვეყნის მეფე,[3] რაც ამ სამეფოს განსაკუთრებული მდგომარეობის მანიშნებელია ეთიუხის ქვეყანათა შორის.

---

* სტატია ეფუძნება ჩვენს მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაზე („ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 საქართველოს ისტორიის კათედრა“. 16 მარტი, 2018 წელი) წაკითხულ მოხსენებას სათაურით: *ურარტული წყაროების „იგანი“ და ქართული საისტორიო ძეგლების „ძაღინის ჴევი“ (ჩრდილის ტბის მხარის ისტორიული გეოგრაფია და თავდაცვითი სისტემა ძველ და შუა საუკუნეებში)*. მიმდინარე წერილიც, ძირითადად, ამ დროს დაიწერა.

[1] Г. А. Меликишвили. Наири-Урарту. Тб. 1954, გვ. 57, 61-62, 262-263; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I – საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. თბ. 1970, გვ. 377, 383.

[2] ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I – წყაროები. მთ. რედ. რ. გორდეზიანი. თბ. 2010, გვ. 24-25; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები. მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბ. 2012, გვ. 85-88. ჩვენს ხელთაა ქართულ ენაზე თარგმნილი ურარტული წყაროების აღნიშნული ორი გამოცემა. ამათგან ძირითადად ვიმოწმებთ უახლესს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – პირველსაც.

[3] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 106.

ზემოხსენებული წარწერები თარიღდება დაახლოებით ძვ.წ. IX საუკუნის 10-იანი წლებიდან ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნის ჩათვლით.[4] ურარტულ წყაროებში არ ჩანს თუ როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო იგანის სამეფო, მაგრამ მისი არსებობა ძვ.წ. IX საუკუნის მეორე ნახევარში დადასტურებული მოვლენაა. ურარტუს მეფეთა მიერ განხორციელებული მრავალი სამხედრო კამპანია იგანის სამეფოს ძალიან ასუსტებს.

ურარტუს ლაშქრობათა შორის ყველაზე ძლიერი ჩანს სარდური II-ის ძვ.წ. 742-739 წლებს შორის მომხდარი ლაშქრობა, როდესაც, ურარტული წარწერების მიხედვით, ურარტუს არმიამ იგანის 35 ციხე-სიმაგრე და 200 დასახლება აიღო და გაანადგურა, ხოლო დატყვევებულები ურარტუში გადაასახლა.[5] სარდური მეორის ბრძანებით შესრულებული ამ წარწერის მიხედვით, ურარტუს არმიას არ მიუღწევია იგანის სამეფო ქალაქამდე, ეს უკანასკნელი არსად ჩანს.[6] სხვა წარწერაში არის აღწერილი ქალაქი მაკალთუნის აღება, რომელიც სარდური მეორეს უხიმეალის დაპყრობის შემდეგ დაუკავებია.[7]

მაკალთუნი იგანის ქალაქი იყო, რომელიც ამაზე ადრე არგიშთი I-ის წარწერაში ჩანს.[8] მაკალთუნის აღების შესახებ დამოუკიდებელი წარწერის აღმართვა იმის მაჩვენებელია, რომ ქალაქი, სავარაუდოდ, იმავე ადგილას მდებარეობდა, სადაც გამარჯვების აღსანიშნავი წარწერა გააკეთეს.[9] მაკალთუნის აღების თარიღი არ ჩანს, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ის ძვ.წ. 742-739 წლებს შორის არსებული სამხედრო კამპანიის ფარგლებში მომხდარიყო. ამ დროს ურარტუს სამხედრო ძალებმა 35 ციხე-სიმაგრე და 200 დასახლება აიღეს, ეს უკანასკნელი კი ლურსმულ წარწერებში ქალაქის (URU) ფორმითაა დაფიქსირებული.[10] თუმცა, როგორც ცნობილია, ურარტული წყაროების ქალაქი, უმეტესწილად, რიგითი დასახლების აღმნიშვნელია. მაკალთუნი შედარებით დიდი დასახლებული პუნქტი იყო, რის გამოც მისი

[4] დათარიღებები იხილეთ წარწერის ქართული თარგმანის ავტორის, ლევან გორდეზიანის, მიერ მითითებულ სქოლიოებში.

[5] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 109.

[6] ლ. თავაძე. თეთრციხე (ციხესიმაგრე და კოშკი). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIII. თბ. 2018, გვ. 48-49.

[7] ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 36.

[8] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 95.

[9] Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, გვ. 263; გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 383.

[10] Г. А. Меликишвили Урартские клинообразные надписи. М. 1960, გვ. 273-288, 308-309.

მოხსენიება ურარტულ ძეგლებში ორჯერ ხდება. პირველად არგიშთი I-ის დროს ძვ.წ. 784-783 წლებში, როდესაც დასახელებულია როგორც იგანის ქვეყნის ქალაქი მაკალთუნი, ხოლო მეორედ – სარდურის ზემოხსენებულ წარწერაში, რომელიც აღმოჩენილია ჩრდილის ტბის სამხრეთ სანაპიროს სიახლოვეს მდებარე სოფელ თაშქოფრუში.[11] აღნიშნული წარწერის მიხედვით, გიორგი მელიქიშვილი იგანის სამეფოს ტბის სამხრეთით ათავსებდა. აქვე, სამხრეთ სანაპიროსთან იყო სოფელი იგნაძორი (დღევანდელი გონოლალანი), რომელიც თაშქოფრუს სიახლოვეს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

საინტერესოა ამ რეგიონის მოხსენიება ქართულ წყაროებში. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი (XIII ს.) მას ორი ფორმით მოიხსენიებს: 1. ძაღინის ჴევი; 2. ძაღლის ჴევი.[12] ეს უკანასკნელი იხსენიება მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში (1031/3 წ.), რომლის მიხედვით სოფელი ორთაც (ურთა) ამ ჴევის შემადგენელი ნაწილია.[13] ორთა ანუ ურთა თანამედროვე სოფელი გოლბელენია, რომელიც ჩრდილის ტბის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

ძაღინის ჴევის სახელწოდების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ის უნდა იყოს იგივე ურარტული წყაროებს იგანი. ძაღინის ჴევი, იგნაძორი (იგნას ხევი სომხურ ენაზე) და იგანი საერთო წარმომავლობისაა, ხოლო ავთენტური ფორმა ძაღინი/ძაღინა უნდა იყოს. ამას მიუთითებს ქართულ წყაროში ძაღინის მოხსენიება „ჴევის“ სახელწოდებით. როგორც ვიცით, ძველი ქართული წყაროების ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი „ჴევი“ ადრეკლასობრივი სახელმწიფოს ადმინიშვნელია, რომელიც, მოგვიანებით, ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდებად დამკვიდრდა. აღნიშნული პროცესი ქართული პოლიტიკური სივრცის გაერთიანების შედეგი იყო. ამას გარდა ძაღინის ჴევი ზუსტად იმ ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც იგანი. იგანისა და ძაღინის გაიგივებას მხარს ეჭერს ამ ტერმინების ეტიმოლოგიური ანალიზიც.[14] იმის გათვალისწინებით, რომ იგანი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო და, ასევე, იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებათა გათვალისწინებით,

[11] Г. А. Меликишвили Урартские клинообразные надписи, გვ. 247, 308-309; ანტიკური კავკასია: ენციკლოპედია. I, გვ. 28, 36; ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 95.
[12] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 412, 448.
[13] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I. გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 26.
[14] ლ. თავაძე. თეთრციხე, გვ. 37-38, სქ. 33.

რაც ჩრდილის ტბას ახასიათებს, ვფიქრობ, რომ ძაღინი, ანუ ურარტული წყარობის იგანი, აერთიანებდა მთელ ჩრდილის ტბის რეგიონს, რომელიც ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას“ ჰქმნის. გეოგრაფიული სახელწოდება „ძაღინის ჰევი“ ჩრდილის ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ტერიტორიას განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის ჩათვლით შემორჩა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მას არტაანისა და პალაკაციოს გვერდით მოიხსენიებს, როგორც ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს.[15]

თავდაცვითი სისტემა

იგანის თავდაცვითი სისტემის შესახებ გარკვეული ცნობები ურარტულ წყაროებში მოიპოვება. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარდური II-ის (ძვ.წ. 756-730 წწ.) ბრძანებით შესრულებული წარწერა, რომელიც ძვ.წ. 742-739 წლებს შორის მომხდარ ურარტულ სამხედრო კამპანიას აღგვიწერს. წარწერაში ვკითხულობთ:

> გავემართე მე (სალაშქროდ) იგანის ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან კაფურინის, იგანის ქვეყნის მეფეს, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. გაემართა (სალაშქროდ) სარდური. სარდური ამბობს: 35 ციხე-სიმაგრე (და) 200 ქალაქი ერთი დღის განმავლობაში მე ხელთ ვიგდე. ციხე-სიმაგრეები დავანგრიე, ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები მე იქიდან წავიყვანე ბიაინილის ქვეყანაში.[16]

როგორც ტექსტში ჩანს ამ დროს ურარტუს სამხედრო ძალებმა 35 ციხე-სიმაგრე და 200 დასახლება აიღეს, ეს უკანასკნელი კი ლურსმულ წარწერებში ქალაქის (URU) ფორმითაა დაფიქსირებული.[17] თუმცა, როგორც ცნობილია, ურარტული წყაროების ქალაქი, უმეტესწილად, რიგითი დასახლების აღმნიშვნელია.

ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა საისტორიო წყაროთა მონაცემები შევაჯეროთ ფაქტობრივ მასალას და გავარკვიოთ შეიძლებოდა თუ არა ჩრდილის

[15] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 448; ლ. თავაძე. თეთრციხე, გვ. 37-38, სქ. 33.
[16] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 108-109.
[17] Г. А. Меликишвили Урартские клинообразные надписи, გვ. 273-288, 308-309.

ტბის მხარეში, იგანის სამეფოს მიწაზე, არსებულიყო 35 ციხე-სიმაგრე და 200 დასახლება.

ურარტული საისტორიო ნარატივით ცნობილი ციხე-სიმაგრეები, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, მაგალითური ანუ კირდულაბის გარეშე აგებული ნაგებობებია. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ „ციკლოპურ“ ძეგლებს უწოდებს.

აქვე ისმის კითხვა, რამდენად იყო თანამედროვე საქართველოს, თურქეთისა და სომხეთის ტერიტორიის გასაყარზე მდებარე მცირე რეგიონი 35 ციხე-სიმაგრისა და 200 დასახლების და, შესაძლოა, მეტის მქონებელი?! ამ კუთხით დახმარებას გვიწევს იმ მეგალითური საფორტიფიკაციო ნაგებობათა ანალიზი, რომელთა მასიური გამოვლენა აკადემიურ სივრცეში მხოლოდ ბოლო წლებია რაც დაიწყო. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველია თურქი მკვლევარების, ჰ. გუნდოღდუსა და ა. მ. აქთემურის, 2001 წელს ჩილდირის რეგიონის ციხე-სიმაგრეთა შესახებ გამოცემული სპეციალური ნარკვევი.[18] აღნიშნული მხარის ძეგლები შეისწავლეს სამი პატაჯიმ და იასინ თოფალოღლუმ.[19] ქართული მასალებიდან გამორჩეულია თეიმურაზ ხუციშვილის ჯგუფის მიერ შესრულებული 2014 წლის სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიში.[20] ამავე რეგიონში საველე ექსპედიციები განახორციელა ჩვენმა ჯგუფმაც.[21] ამ მიმართულებით მუშაობს დიმიტრი ნარიმანაშვილი.[22]

ზემოხსენებული მასალების შეჯერებით გამოვლინდა, რომ ამჟამად ჩრდილის ტბის მხარესა და მის მიმდებარე მიწებზე, სადაც ჩვენს მიერ მოიაზრება იგანის სამეფო, მდებარეობს 20-მდე მეგალითური ციხე-სიმაგრე. მათი აგების ქრონოლოგიური დიაპაზონი, საქართველოში გამოვლენილი მონაცემე-

---

[18] H. Gundoğdu, A. M. Aktemur.Tarihi Kalıntıları ile Cıldır. Ankara. 2001.

[19] Y. Topaloğlu. Ardahan Cıldır Bolgesi Tarihi ve Arkeolojik Araştırmaları. Lisans Tezi, Ataturk Universitesi, Sosyal Bilimler Enstitusu, Tarih Anabilim Dalı. Erzurum 2006; S. Pataci. Ardahan Kale ve Kuleleri. wgn-Si: Ardahan Kale ve Kuleleri. Editör: S. Pataci. Ardahan. 2016.

[20] ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. ექსპედიციების ანგარიშები მოამზადეს თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ლევან წიქარიშვილმა, ანა გელაშვილმა, ბებურ გოზალიშვილმა, შალვა კოლუაშვილმა, ანა იმედაშვილმა, დავით გაჩეჩილაძემ და დავით მაისურაძემ. თბ. 2015.

[21] ჩრდილის მხარის შესწავლის ისტორია თეთრციხის ფონზე მოცემულია ჩვენს სტატიაში, იხ.: ლ. თავაძე. თეთრციხე, გვ. 28-32.

[22] დ. ნარიმანაშვილი. „ციკლოპური“ კომპლექსები ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის მხარეებში. ონლაინ არქეოლოგია. № 11 (2017); D. Narimanashvili. The Cyclopean Settlements of South Georgia and the Prospects of its Study (Abstract). Aegean World and South Caucasus: Cultural Relations in the Bronze Age (International Workshop). September 25-26, 2016 Georgia. Proceedings. Tbilisi. 2016.

ბის გათვალისწინებით, რაც ჩრდილის ტბის რეგიონის მონუმენტების ყველაზე ახლო ანალოგიაა, ძვ.წ. XVI-VI საუკუნეებს შორის მერყეობს.[23] აღნიშნულზე მიუთითებს ამ ძეგლების ერთ ნაწილზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, რომელიც ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანით თარიღდება.

ზემოხსენებული მეგალითური საფორტიფიკაციო ნაგებობებია:

1) თეთრციხის ციხე-სიმაგრე;[24]

2) თეთრციხის კოშკი;[25]

3) სენგერთეფეს თავდაცვითი კომპლექსი, სოფელ თეთრციხიდან (აკვკაკალე) 2კმ-ში;[26]

5) შავციხე;[27]

6) შავციხის ჩრდილოეთით დაახლოებით 1,2 კმ-ში მდებარე მეგალითური ნაგებობა;[28]

7) შავციხის ჩრდილოეთით დაახლოებით 1,5 კმ-ში მდებარე მეგალითური ნაგებობა;[29]

8) ბაშქოის მეგალითური ციხე;

9) ბეშიქთეფეს მეგალითური ციხე (აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალები ხალკოლითის, ბრინჯაოს, რკინისა და შუა საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება).[30] მდებარეობს ჩილდირის რაიონული ცენტრიდან (ქალაქი ძურძნა; თურქ. ჩილდირ/Çildir) 750 მეტრში;

10) ორთას (ურთა, სინირორტასი; თანამედროვე სოფ. გოლბელენი) მეგალითური ციხე;[31]

---

[23] გ. ნარიმანაშვილი. თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები (ეძღვნება კიაზო ფიცხელაურის 80 წლის იუბილეს). თბ. 2012, გვ. 138-140.

[24] თეთრციხის ციხე-სიმაგრესა და კოშკის შესახებ გამოქვეყნებული გვაქვს ვრცელი სტატია, იხ.: ლ. თავაძე. თეთრციხე, გვ. 27-69.

[25] ლ. თავაძე. თეთრციხე, გვ. 27-69.

[26] ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 84-85; S. Pataci. Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 34-35.

[27] ლ. თავაძე. შავციხე. წგნ-ში: ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები. ტ. I (მტკვრის აუზის ფორტიფიკაციები). თბ. 2020, გვ. 211-219.

[28] ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 68.

[29] ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 68.

[30] Y. Topaloğlu. Ardahan Cıldır Bolgesi Tarihi ve Arkeolojik Araştırmaları, გვ. 121; Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 34.

[31] Y. Topaloğlu. Ardahan Cıldır Bolgesi Tarihi ve Arkeolojik Araştırmaları, გვ. 122; Ardahan Kale ve Kuleleri, გვ. 34.

11) კონის მეგალითური ციხე (სოფელი ფექრაშენი, თანამედროვე გულიუზუ) მდებარეობს სოფლიდან ჩრდილოეთით 2,5 კმ-ში;[32]

12) ქაჯის ციხე (შაითანკალე). როგორც თურქი არქეოლოგი იასინ თოფალოღლუ აღნიშნავს ქაჯის ციხის ტერიტორიაზე მიკვლეულია ბრინჯაოს ხანისა და რკინის ხანის კერამიკა, ხოლო საკუთრივ შუა საუკუნეების მასიური ციხე-სიმაგრე აგებული უნდა იყოს შედარებით ძველი საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაცისარზე;

13) სოფ. გონულულანის სამხრეთით არსებული მეგალითური ციხე (დ. ნარიმანაშვილის რუკის მიხედვით);[33]

14) სოფ. ბურჯალთან მდებარე პირველი მეგალითური ნაგებობა (დ. ნარიმანაშვილის რუკის მიხედვით);[34]

15) სოფ. ბურჯალთან მდებარე მეორე მეგალითური ნაგებობა (დ. ნარიმანაშვილის რუკის მიხედვით).[35]

უკანასკნელი სამი ციხე-სიმაგრე ჩრდილის ტბის სამხრეთით არის დაფიქსირებული. ამავე მხარეში უნდა ყოფილიყო იგანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალაქი – მაკალთუნი.

მაკალთუნი ურარტულ წყაროებში ორჯერ იხსენიება. გიორგი მელიქიშვილი მას იგანის დედაქალაქს უწოდებდა, თუმცა ამ სტატუსით ის საისტორიო წყაროებში დაფიქსირებული არ არის. როგორც ჩანს, მაკალთუნი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დასახლება იყო იგანის ქვეყანაში, რასაც ადასტურებს მისი ხშირი მოხსენიება. სარდური II-ის წარწერა გვამცნობს, რომ ურარტუს მეფეს ქალაქი დაუპყრია, ხოლო მისი მოსახლეობა ტყვედ წაუყვანია. წარმატების აღსანიშნავად წარწერა აღმართეს, რომელიც დღემდე ჩრდილის ტბის სანაპიროსთანაა დაცული. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ტერიტორიაზე მეგალითური ციხე-სიმაგრე დღევანდელი მონაცემებით არაა დაფიქსირებული, ურარტუს ხანაში ასეთის არსებობა სავარაუდებელია, სხვა შემთხვევაში მასზე ურარტულ მეფეთა მატიანეში ყურადღება გამახვილებუ-

[32] ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, გვ. 83.

[33] დ. ნარიმანაშვილი. „ციკლოპური“ კომპლექსები ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის მხარეებში, გვ. 174.

[34] დ. ნარიმანაშვილი. „ციკლოპური“ კომპლექსები ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის მხარეებში, გვ. 174.

[35] დ. ნარიმანაშვილი. „ციკლოპური“ კომპლექსები ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის მხარეებში, გვ. 174.

ლი არ იქნებოდა. უფრო მეტიც, ქალაქი მაკალთუნი და მისი თადაცვითი ნაგებობა სხვაზე უფრო ძლიერი და ვრცელი უნდა ყოფილიყო.

მაკალთუნის ტერიტორიაზე ნამოსახლარისა და ფორტიფიკაციის გაქრობა ურარტულთა შემოსევის გარდა ამ მიწაზე მოსახლეობის გაქრობით, ან სხვა ადგილზე გადასახლებით შეიძლება ავხსნათ, რის გამოც დროთა განმავლობაში წაიშალა ციხის ნაშთები და მასთან ერთად სამოსახლოც. დღეისთვის განადგურებული საფორტიფიკაციო ნაგებობები და სამოსახლოები მრავლად უნდა იყოს. ურარტულ წყაროებში დაფიქსირებული იგანის 35 ციხე-სიმაგრე და დასახლება, რომელიც სარდური II-ს გაუნადგურებია, არ უნდა იყოს გამონაკლისი. სხვადასხვა პერიოდში მსგავსი ბედი გაიზიარეს, სავარაუდოდ, ამავე რეგიონის სხვა ციხე-სიმაგრეებმაც. მათი ნაწილი აღდგენას ექვემდებარებოდა, მაგრამ მეორე ნაწილი სამუდამოდ უნდა გამქრალიყო.

ჩრდილის ტბის მხარეში, სადაც არსებობდა ურარტულ წყაროებში დაფიქსირებული პოლიტიკური ერთეული – იგანი და ქართული საისტორიო ძეგლების – ძაღინის ჰევი, უკვე ძვ.წ. VIII საუკუნის შუა წლებისთვის 35 ციხე-სიმაგრე და 200 დასახლება იყო გაშლილი. მათი რაოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ მეფე სარდური მეორეს არ დაუკავებია იგანის პოლიტიკური ცენტრი, შედარებით მეტი უნდა ყოფილიყო. დღესდღეისობით იგანის სამეფოს/ძაღინის ჰევის ტერიტორიაზე გამოვლენილი მეგალითური ციხე-სიმაგრეები ოცის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნული რიცხვი მომავალში, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ურარტულ საისტორიო ძეგლებში დაფიქსირებულ ციხე-სიმაგრეთა რაოდენობას რეალურს ხდის, ხოლო ქართულ წყაროში მოხსენიებული „ძაღინის ჰევი“, ჩვენი აზრით, ამ მხარის ავთენტური სახელწოდების ყველაზე მისაღები ვარიანტია.

საინტერესოა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული ციხე-სიმაგრეთა და დასახლებათა ურთიერთშეფარდება. ამგვარი შედარებითი ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ თითოეულ ციხეზე 4-დან 6-მდე დასახლება მოდიოდა. შეგვიძლია მოვიხმოთ მაგალითებიც: არგიშთის I-ის მიერ დიაოხის წინააღმდეგ ლაშქრობისას დასახელებულია 105 ციხე-სიმაგრე და 453 დასახლება. ამგვარად, ერთ ციხე-სიმაგრეზე საშუალოდ 4 ან 5 დასახლება მოდიოდა;[36] 35 ციხე-სიმაგრე და 200 დასახლებაა მოხსენიებული იგანის წინააღმდეგ ლაშქრობისას. საშუალოდ ერთ ციხეზე 5 ან 6 დასახლება მოდიო-

[36] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 94.

და;[37] სარდური II-მ დალაშქრა არკუკინის ქვეყანა, ადახუნის ქვეყანა, ლუიფრუნის ქვეყანა, ეშუმას ქვეყანა, კამნივის ქვეყანა, კუალბანის ქვეყანა, უხუნის ქვეყანა, თერიანის ქვეყანა, სადაც 20 გამაგრებული ციტადელი ბრძოლაში დაიპყრო, ხოლო 120 დასახლება დაიკავა.[38] ციხე-სიმაგრეები დაანგრია, ხოლო დასახლებები გადაწვა. ამ ცნობის მიხედვით, ერთ საფორტიფიკაციო ნაგებობაზე 6 დასახლება მოდის.

ყველაფერი ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩვენი ძირითადი დასკვნები შემდეგია:

1) შუა საუკუნეების ქართული ძაღინის ჭევი ურარტული წყაროების იგანის შეესაბამება და მისი ქართული სახელწოდებაა. შესაძლოა ავთენტურიც;
2) ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებიდან მოყოლებული იგანი ანუ ძაღინის ჭევი აერთიანებდა ჩრდილის ტბის მხარეს. ახ.წ. XI-XIII საუკუნეებისთვის აღნიშნული სახელწოდება შემორჩა მხოლოდ ჩრდილის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს;
3) ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში იგანის სამეფო წარმოადგენდა ეთიუხის იგივე ეთიუნის რეგიონის ერთ-ერთ მოწინავე პოლიტიკურ გაერთიანებას;
4) ურარტულ ლურსმულ წარწერაში იგანის ტერიტორიაზე დაფიქსირებული 35 ციხე-სიმაგრის არსებობა დასტურდება თანამედროვე საველე-დაზვერვითი ექსპედიციების მონაცემების საფუძველზეც. ამ ცნობების მიხედვით, ჩრდილის ტბის რეგიონში დაახლოებით 20-მდე ბრინჯაოს ხანისა თუ რკინის ხანის მეგალითური სასიმაგრო ნაგებობაა გამოვლენილი, რომლებიც ურარტულ პერიოდში უკვე არსებობდა, ფუნქციონირებდა და ქვეყნის თავდაცვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა;
5) სარდური II-მ ძვ.წ. 742-739 წლების შუალედში მიმდინარე სამხედრო კამპანიის დროს ვერ აიღო იგანის მთელი ქვეყანა, რისი მოწმობაცაა იგანის მეფის გადარჩენა და სამეფო ქალაქის არ მოხსენიება. ამდენად, რეგიონში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, სავარაუდოდ, ოცდათხუთმეტზე მეტი უნდა ყოფილიყო;

[37] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 108-109.
[38] ლ. გორდეზიანი. ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 109.

6) ურარტულ წყაროებში დაფიქსირებულ იგანის 35 ციხე-სიმაგრეს მათ ირგვლივ მდებარე დასახლებების მცველის ფუნქცია ჰქონდა. იგანის მეფის თითო ციხე დაახლოებით 5-6 სოფლის თავდაცვას უზრუნველყოფდა;
7) ციხე-სიმაგრეთა ერთი ნაწილი, თეთრციხის მაგალითის მიხედვით, საფორტიფიკაციო ნაგებობის სახეს ინარჩუნებდა შუა საუკუნეებშიც, XVI საუკუნის ჩათვლით;
8) არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ზუსტდება ურარტულ წარწერებში მოხსენიებული იგანის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები. მათი განსაზღვრა მიახლოებით მაინც შესაძლებელია.

Leri Tavadze
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

"IGANI" OF URARTIAN SOURCES AND "ŻAĞINIS ḫEVI" OF GEORGIAN HISTORICAL RECORDS (HISTORICAL GEOGRAPHY AND DEFENSE SYSTEM OF LAKE ÇILDIR REGION)

Summary

Igani was mentioned in Urartian sources as one of the leading states of Etiukhi (Etiuni) region. According to the same sources Igani was independent kingdom at least from the 9th c. to the 7th c. BCE. Based on our study, the geographic name "Igani" originates from well preserved Georgian toponym "Żaĝini" (also known as "Żaĝina").

"Żaĝini" is mentioned by the first historian of Queen Tamar (the 13th c.) as "Żaĝinis ḫevi", one of the regions in the 13th century Georgia located in Lake Çıldır (Geo. Chrdili) region. "Żaĝina" is mentioned in various medieval charters as a village in Shida Kartli region. Hence, various Georgian villages bore that name in medieval period and some have preserved it up to present . But, significantly, the first historian of Queen Tamar mentions "Żaĝinis ḫevi" (ძაღინის ჭევი) – "ḫevi" in ancient Georgian tradition applies to the country , which later was transferred to administrative unit. Most probably this change took place as a result of unification of different *ḫevis* into a single kingdom. Later the same term, *ḫevi*, was used to refer administrative unit or region. Armenian toponym "Ignażor" is also attested in Lake Çıldır region. Hence, all these names – Igani, Ignażor, Żaĝini, Żaĝina – have the same roots. As I propose, authentic form of Urartian "Igani" should be the Georgian "Żaĝini" – first letter "ż" was omitted from Urartian texts while transfer of "ḡ" to "g" is common in many languages. Therefore from ancient form Żaĝini (or Żiĝani) Urartian "Igani" was derived. The fact that the medieval Georgian sources remember Żaĝini as *ḫevi* implies the existence of it as separate country in ancient period.

Urartian king Sarduri II (r. 756-730 BCE) carried out military campaign in Lake Çıldır region against Kingdom of Igani between 742-739 BCE. Inscription commissioned by king Sarduri II indicates that Urartian ruler defeated king of Igani, Kafurini, and captured 35 fortresses and 200 settlements. There is no mention of royal city of Igani and Kafurini seems to survive Urartian attack. Recent expeditions in Lake Çıldır region revealed around 20 Bronze Age or Iron Age fortressed which firmly confirm statement of Sarduri II about the number of fortresses he conquered in Kingdom of Igani. Based on historical geography and analyses of present day megalithic fortresses (Sometimes referred as cyclopean fortresses) we can establish approximate borders of Igani Kingdom and characteristics of its defense system in ancient period.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

თედო დუნდუა
პროფესორი, თსუ

კოლხეთის პოლიტიკური ისტორიისათვის პოლემონების ხანაში

ძვ. წ. I ს. II ნახ.-ახ. წ. I ს. I ნახ. კოლხეთის ისტორიის კვლევა განსაკუთრებით დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძალზე მცირე რაოდენობითაა მიკვლეული, წერილობითი წყაროების მონაცემები კი სქემატურია. ზოგად ხაზებში დგინდება, რომ განსახილველ პერიოდში კოლხეთი პოლემონური პონტოს სამეფოს „სატრაპიაა", ქვეყანა ეკონომიკურად დაქვეითებულია, მისი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები დაცარიელებული ან დანგრეულია, ადგილი აქვს მთიელი ტომების ინტენსიურ თარეშს თუ მასობრივ ჩამოსახლებას ბარში. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენი მიზანი კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მომენტის წინ წამოწევით და შესწავლით შემოიფარგლება. რადგან აქ წამოყენებული ჰიპოთეზები ფაქტობრივად სპეციალურ ლიტერატურაში პოლემონური პონტოს სამეფოს შესახებ უკვე არსებული ზოგიერთი მოსაზრების განვითარება-დაზუსტება და კოლხეთის ისტორიაზე გავრცელებაა, საჭიროა მათი ვრცლად მიმოხილვა.

ძვ. წ. 42 წ. ტრიუმვირებმა გადამწყვეტი გამარჯვებები მოიპოვეს რესპუბლიკელებზე. შემდგომ მათ გაინაწილეს რომის პროვინციები. აღმოსავლეთი წილად ხვდა ანტონიუსს. მანაც ხელი მიჰყო ხსნებული რეგიონის პოლიტიკურ რეორგანიზაციას – აღადგინა ან ხელახლა შექმნა რიგი რომზე დამოკიდებული სამეფოებისა მისთვის სასურველი დინასტებით სათავეში. აღორძინებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის იყო პონტოს სამეფოც. ძვ. წ. 40 წ. აქ რომაელთა სანქციით ფარნაკე II შვილი დარიოსია. ეს უკანასკნელი

მალე შეცვალა კილიკიის მმართველმა პოლემონმა ქ. ლაოდიკეიდან (App. Bell. Civ. V. 75; Strabo. XII. 8. 16).[1]

პოლემონური პონტოს სამეფო მოიცავდა ამისოს აღმოსავლეთით მდებარე ოლქებს.[2] სწორედ ამ პოლიტიკურ ერთეულში შედიოდა კოლხეთიც. სტრაბონის მიხედვით, „უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა, მისი მეულლე პითოდორისი ფლობდა, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე . . ." (Strabo. XI. 2. 18).[3] პოლემონი ძვ. წ. 8 წ. იღუპება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ერთ-ერთ სარმატულ ტომთან ბრძოლაში.[4] პითოდორისს მისი მცირეაზიური სამფლობელოები ერგო წილად.[5] ის ცოცხალია იმ დროისათვის, როცა სტრაბონმა თავისი Geographica გაასრულა, ე.ი. 18/19[6] ან 19/20 წწ.[7] სტრაბონი მასზე აწყმოში ლაპარაკობს (იხ. რიგი ადგილებისა Strabo. XII). შემდგომ ამისა წერილობით წყაროებში არავითარი ცნობა არ არის პონტოს სამეფოს შესახებ ვიდრე 38 წ., როცა კალიგულამ ქვეყანა უბოძა პოლემონ II, თრაკიის მეფის ძეს, პოლემონ I და პითოდორისის შვილიშვილს დედის ხაზით (Dio. LIX. 12. 2).[8] 64 წ. ნერონმა პოლემონური პონტოს სამეფო

---

[1] Аппиан. Гражданские войны. Перевод с греческого под ред. С. А. Жебелева. Москва. 1935, გვ. 313; Страбон. География. Перевод и комментарий Г. А. Стратановского. Ленинград. 1964, გვ. 541; The Cambridge Ancient History. v. X. Cambridge. 1963, გვ. 34, 69-70; D. Magie. Roman Rule in Asia Minor. Prinston. 1950. ტ. I, გვ. 434, ტ. II, გვ. 1282 შენ. 16 – დარიოსთან დაკავშირებით, ტ. I, გვ. 434–435, ტ. II, გვ. 1284 შენ. 23 – პოლემონთან დაკავშირებით; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. ч. I. Тб. 1981, გვ. 125; М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья. Москва-Ленинград. 1956, გვ. 304.

[2] М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья, გვ. 308-309, სქ. 4.

[3] თ. ჟაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957, გვ. 125.

[4] В. Ф. Гайдукевич. Боспорское царство. Москва. 1949, გვ. 315-316; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 333; Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, გვ. 143-144; შდრ. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. II, გვ. 1341 შენ. 32.

[5] იხ. მაგ., В. Ф. Гайдукевич. Боспорское царство, გვ. 316.

[6] თ. ჟაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 4.

[7] Th. Reinach. L' histoire par les monnaies. Paris. 1902, გვ. 146.

[8] Dio's Roman History. With an English Translation by E. Cary. v. VII. London. MCMLXI, გვ. 295-296. დიონი შეცდომით მიიჩნევს მას პოლემონ I ძედ; ამასთან დაკავშირებით იხ. D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. II, გვ. 1369 შენ. 53; The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 751; В. В. Латышев. Известия древних писателей о скифии и кавказе. ВДИ. 1948, №1, გვ. 503, შენ. 7. ამ მეფესთან დაკავშირებით იხ. მაგ., В. Ф. Гайдукевич. Боспорское царство, გვ. 325-326; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 363.

გააუქმა. ის გალატიის პროვინციაში იქნა შეყვანილი.[9] თვლიან, რომ იგივე ბედი ეწია კოლხეთს, როგორც პოლემონური პონტოს შემადგენელ ნაწილს.[10]

ასეთია ზოგად შტრიხებში პონტოს სამეფოს ისტორია, აღდგენილი ძირითადად წერილობითი წყაროების მონაცემებით. დასავლეთის ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული იყო ცდა მისი შევსებისა, საყრდენ მასალად კი პონტოური ნუმიზმატიკური ძეგლები იქნა გამოყენებული. დაწვრილებით ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 1902 წ. ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა, პონტოსა და მცირე აზიის სპეციალისტმა, თ. რეინაკმა ყურადღება გაამახვილა პითოდორისის ქალიშვილის ანტონია ტრიფაინას სახელით მოჭრილ მონეტებზე, რომლებიც ატარებდა მეფობის წლებს – IZ=17 და IH=18, და მათ საფუძველზე ივარაუდა 22/23 წწ. პითოდორისის გარდაცვალება, რომაელთა მიერ ქვეყნის „სეკვესტად“ ქცევა (ავტორი, ალბათ, გულისხმობს, პონტოს სამეფოს რომაელთა მეურვეობის ქვეშ მოქცევას).[11] იგივე აზრია გატარებული მცირე აზიის სამონეტოს საქმის ფუნდამენტურ გამოკვლევაშიც – Recueil général des monnaies Grecques d'Asie Mineure. ეს ჰიპოთეზა გაზიარებულ იქნა The Cambridge Ancient History-ის ავტორთა მიერ. მათი აზრით, 23-38 წწ. პოლემონური პონტოს სამეფო ან უშუალოდ ანექსირებული, ან კიდევ რომაელთა მეურვეობის ქვეშ არის მოქცეული.[12] პითოდორისის გარდაცვალების სულ სხვა თარიღი შემოგვთავაზა დ. მაჯიმ. პონტოს კომანას ერა, გამოყენებული კალიგულას დროიდან, აითვლებოდა 33/34 ან 34/35 წწ. ეს არის თარიღი ქალაქის ინკორპორაციისა რომაელთა მიერ. დ. მაჯის აზრით, ეს უნდა იყოს აგრეთვე თარიღი პითოდორისის გარდაცვალებისა. ტიბერიუსმა ისარგებლა დედოფლის სიკვდილით და კომანას ანექსიით შეამცირა პონტოს ტერიტორია. ხსენებული მკვლევარი არსად აღნიშნავს, რომ პითოდორისის სიკვდილს ქვეყნის ანექსია ან სამეურვეო ტერიტორიად გამოცხადება უნდა მოჰყოლოდა; ხაზს უსვამს მხოლოდ იმ მომენტს, რომ პოლემონური სამფლობელოები მმართველის გარეშე უნდა დარჩენილიყო.[13]

[9] D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. I, გვ. 561-562, ტ. II, გვ. 1417-1418 შენ. 62: The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 774.

[10] იხ. მაგ., Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 364; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 209.

[11] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 145-147.

[12] The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 751.

[13] D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. I, გვ. 513, ტ. II. გვ. 1368, შენ. 50, გვ. 1368 შენ. 52.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლხეთი პოლემონური პონტოს „სატრაპია“. მას ჯერ ფლობს პოლემონ I, შემდეგ – პითოდორისი. ასეთი ვითარებაა სტრაბონის თხზულების „პუბლიკაციის“ დროისთვის, ე.ი. 18/19 ან 19/20 წწ. 38 წ. კალიგულამ სამეფო პოლემონ II უბოძა. მართალია, წყაროებში არავითარი პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ ყველა სპეციალისტი ერთსულოვნად მიიჩნევს კოლხეთს კვლავაც პოლემონური პონტოს შემადგენელ ნაწილად, და ეს სწორია. ამრიგად, ძვ. წ. 37-ახ. წ. 19/20 და 38-64 წწ. პონტო და კოლხეთი ერთი პოლიტიკური ერთეულია. გვაქვს საფუძველი 19/20-38 წწ. რაიმე კონიუნქტურული ცვლილებანი ვივარაუდოთ?! არავითარი. ე.ი. თუკი ტიბერიუსმა მართლაც გააუქმა პონტოს სამეფო, ის სამეურვეო თუ პროვინციულ ტერიტორიად აქცია, იგივე ბედს გაიზიარებდა კოლხეთიც, მისი განუყოფელი ნაწილი. ეს არის ჩვენი მსჯელობის ამოსავალი წერტილი.

სპეციალისტები, პონტოს ისტორიის ამ რთულ პერიპეტიებს რომ იკვლევდნენ, ლაპარაკობდნენ ზოგადად პონტოს სამეფოზე, კოლხეთის საკითხს, რა თქმა უნდა, კონკრეტული ყურადღება არ ეთმობოდა. თ. რეინაკის, დ. მაჯის და სხვათა მოსაზრებანი მეტად სუსტად არის კომენტირებული აღმოსავლეთ ევროპაში. მ. მაქსიმოვა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იზიარებს მოსაზრებას ტიბერიუსის დროს პოლემონური პონტოს სამეფოს ანექსიის შესახებ.[14] ამ მკვლევარზე მიუთითებს გ. მელიქიშვილი, მცირე აზიის ზოგი ოლქის რომთან მიერთებაზე რომ წერს.[15] პონტოს სამეფოს ისტორიაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებთან დაკავშირებით კოლხეთის პოლიტიკური სტატუსის თუ ტერიტორიული კუთვნილების საკითხი აქაც ფაქტობრივად მოხსნილია. მხოლოდ ერთი ფრაზა გ. მელიქიშვილის მონოგრაფიიდან – «В 38 г. н. э. Рим передал Понтийское царство (**следовательно, и Колхиду**) внуку Полемона I и Пифодориды – Полемону II»[16] – გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული მკვლევარი კოლხეთს პოლემონური პონტოს მუდმივ თანამგზავრად მიიჩნევს. რადიკალურად განსხვავებულია ა. შმალკოს თვალსაზრისი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვქონია საშუალება თვალი მიგვედევნებინა ამ სპეციალისტის კომენტარებისთვის, ვსარგებლობთ მხოლოდ და მხოლოდ მისი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატით, სადაც ის

[14] М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья, გვ. 308, შენ. 4.
[15] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 363.
[16] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 363.

წერს: «Установившееся в литературе мнение об аннексии Понта в конце правления Тиберия не подтверждается имеющимися источниками».[17] დავაკონკრეტოთ ჩვენი კვლევის მიზანი: 1. პითოდორისის გარდაცვალებასა და პონტოს სამეფოს დროებით პროვინციულ თუ სამეურვეო ტერიტორიად გადაქცევასთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებების განხილვა-დაზუსტება; 2. მიღებული დებულებების გავრცელება კოლხეთის პოლიტიკურ ისტორიაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პითოდორისის გარდაცვალების ერთ-ერთი თარიღი შემოთავაზებულია თ. რეინაკის მიერ. ამ მოსაზრების საფუძველი კი პონტოს დედოფლის – ანტონია ტრიფაინის სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური ძეგლები იყო.

სტრაბონის მიხედვით (Strabo XII. 3. 29), პითოდორისს სამი შვილი ჰყავდა პოლემონისგან. უფროსი დედას სახელმწიფო მართვაში ეხმარებოდა, მეორე ვაჟი – ზენონი 18 წ. დიდი არმენიის მეფე ხდება, ქალიშვილი – ანტონია ტრიფაინა კი, თრაკიის ოდრისთა სამეფოს მმართველის კოტისის მეუღლე, დაახლოებით 19 წ. დაქვრივდა. ანტონიამ სენატის წინაშე ბრალი დასდო მეუღლის მკვლელებს, შემდგომ ის კიზიკში დაეფუძნა, სადაც ლივიას ქურუმი გახდა. მისი შვილები – რომეტალკი, პოლემონი, კოტისი რომში აღიზარდნენ. მემკვიდრეთა მცირეწლოვანების გამო ოდრისთა სამეფო რომაელთა სამეურვეო ტერიტორიად გამოცხადდა. 38 წ. კალიგულამ ძმათაგან უფროსს – რომეტალკს თრაკიელთა მეფობა უბოძა.[18]

ამავე წელს შუათანა შვილმა – პოლემონმა პონტოს სამეფო მიიღო სამმართველოდ. როგორც ნუმიზმატიკური ძეგლებიდან ჩანს, დედამისი სახელმწიფო გამგებლობაში დიდ როლს ასრულებდა.

პოლემონ II დროს მოჭრილი მონეტები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად (WBR-ის შემაჯამებელი ნუსხა):

I. ტრიფაინას სახელით და პორტრეტით, პოლემონის მხოლოდ პორტრეტით. მეფობის წლები.

Av. ტრიფაინას პორტრეტი და სახელი – ΤΡΥΦΑΙΝΗϹ ΒΑϹΙΛΙϹϹΗϹ – წრიულად. დედოფლის დიადემით შემკული თავის გამოსახულება მარჯვნივ.

[17] А. В. Шмалько. Римская политика в Южном Причерноморье. Автореферат канд. диссертации. Харьков. 1985.

[18] D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. I, გვ. 513-514, ტ. II, გვ. 1368 შენ. 51; The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 645.

Rv. ახალგაზრდა პოლემონის დიადემიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. სახელი თან არ ახლავს. მეფობის წლები – ΕΤΟΥC ΙΖ (17) ან ΙΗ (18)[19].

II. პოლემონის და ტრიფაინას სახელით მოჭრილი მონეტები. ყოველთვის ეხვდებით მეფის პორტრეტს, ხანდახან – დედოფლისას. თარიღი არ ახლავს.[20]

Av. ΒΑΣΙΛΕΥΣ ΠΟΛΕΜΩΝ. ახალგაზრდა პოლემონის დიადემიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ.

Rv. ΒΑΣΙΛΙΣΣΗΣ ΤΡΥΦΑΙΝΗΣ. ტრიფაინას ბიუსტი მარჯვნივ.[21]

სხვა ტიპი:

Av. ისეთივეა, როგორც წინა.

Rv. დედოფლის სახელის მაუწყებელი ლეგენდა ჩაწერილია სამი ან ოთხი ხაზისგან შედგენილ დიადემაში.[22]

III. Av. მონეტები მეფის პორტრეტით ან მის გარეშე (დიადემის გამოსახულება მასში ჩაწერილი ლეგენდით). წარწერა – ΒΑΣΙΛΕΩΣ ΠΟΛΕΜΩΝΟΣ.

Rv. იმპერატორის, მისი ოჯახის წევრების, ტრიფაინას გამოსახულება მარჯვნივ. პოლემონის II მეფობის წლები – თარიღი ΙΒ (12=49/50 წწ.)-ΚΕ (25=62/63 წწ.).[23]

მესამე ჯგუფის რევერსის ტიპები: ა) კლავდიუსის დაფნისგვირგვინიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. თარიღი – ΙΒ (12=49/50 წწ.), ΙΓ (13=50/51 წწ.), ΙΕ (15=52/53 წწ.), Ις (16=53/54 წწ.) ΙΖ და ΖΙ (17=54/55 წწ.).[24] ბ) კლავდიუსი და ნერონი. თარიღი – ΙΓ (13=50/51).[25] გ) ΕΤΟΥΣ . . . (თარიღი სხვადასხვაა). ქალის ბიუსტი დიადემაში მარჯვნივ. მონეტაზე გამოსახული პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხში სპეციალისტთა მოსაზრებანი ერთმანეთს ამ ემთხვეოდა.[26] საბოლოოდ WBR-ში ეს ტიპი განხილულია, როგორც

[19] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 146; W. H. Waddington, E. Babelon, Th. Reinach. Recueil général des monnaies Grecques d'Asie Mineure. t. I. fasc. I. 2e edit. Paris. 1925 (ტექსტში ყველგან WBR), გვ. 22-23, №№22, 22a, 23, 23b.

[20] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 146.

[21] WBR, გვ. 23, №№24, 27, 28.

[22] WBR, გვ. 23, №№25-26.

[23] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 145; WBR, გვ. 24-27, №№29-37.

[24] WBR, გვ. 24-25, №№29-30.

[25] WBR, გვ. 25, №№31-32.

[26] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 146.

ანტონია ტრიფაინას გამოსახულებიანი ნუმიზმატიკური ძეგლები. აქვე აღნიშნულია, რომ ამ კატეგორიის ზოგ მონეტაზე მოთავსებული ქალის გამოსახულება ჰგავს აგრიპინას. ალბათ, ის უნდა იყოს ცალებზე თარიღით BI (12=49/50 წწ.) და IΓ (13=50/51 წწ. დიდრაქმა). რადგან ხაზგასმით არის გამოყოფილი მონეტები აგრიპინას გამოსახულებით, უნდა ჩავთვალოთ, რომ ავტორთა ღრმა რწმენით, დანარჩენ მონეტებზე ტრიფაინას ბიუსტია (მათი თარიღებია – IB (12=49/50 წწ.), IΓ (13=50/51 წწ.), IΔ ან ΔI (14=51/52 წწ.), IE ან IЄ (15=52/53 წწ.).[27] დ) ნერონი. თარიღი – IZ (17=54/55 წწ.), IH ან HI (18=55/56 წწ.), IΘ ან ΘI (19=56/57 წწ.), K (20=57/58 წწ), KA (21=58/59 წწ.), KΓ (23=60/61 წწ.), KΔ (24=61/62 წწ.), KE (25=62/63 წწ.).[28] ე) ბრიტანიკის დრაპირებული ბიუსტი გვირგვინით მარჯვნივ. თარიღი – IH (18=55/56 წწ.), IΘ (19=56/57 წწ.).[29] ვ) გაურკვეველი იმპერატორი, უფრო ნერონი.[30] შესაძლებელია ეს ცალი მინაბაძს წარმოადგენდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზენონიდების დინასტიის (პოლემონ I, პითოდორისი, ანტონია ტრიფაინა, პოლემონ II) მონეტები თითქმის მთლიანად წარმოდგენილია მსუბუქი წონის დრაქმებით (≈3.5 გრ.), მხოლოდ პოლემონ II განახორციელა რამდენიმე ტიპის დიდრაქმის ემისია.[31]

თვალი მივადევნოთ თ. რეინაკის მსჯელობას (ჩამოყალიბებულია 1902 წ., გადმოცემულია საკმაოდ მშრალი ფორმით, თან ვურთავთ საკუთარ კომენტარებს): მისი ყურადღების ცენტრშია I ჯგუფის ნუმიზმატიკური ძეგლები თარიღით IZ და IH (17 და 18 შესაბამისად). როდის მოიჭრა ეს მონეტები?! თუკი IZ და IH პოლემონის მეფობის წლებია, მაშინ ნერონის პრინცეპსობის დასაწყისში (გარკვეულია, რომ პოლემონ II-ს ტახტი 38 წ. მიწურულისთვის უნდა დაეკავებინა. მისი მეფობის პირველი წელი მოდის პონტოურ წელიწადზე – 38 წ. ოქტომბერი-39 წ. ოქტომბერი[32]), 54/55 წწ. და 55/56 წწ. ასეთ დაშვებას რეინაკი ალოგიკურად მიიჩნევს შემდეგი მიზეზების გამო:

1. ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, რომ პოლემონს მოეთავსებინა საკუთარი მეფობის წლები მონეტებზე, რომლებიც არ ატარებს მის სახელს (ამ მონეტებზე, მართლაც, ანტონია ტრიფაინა „დომინირებს“ – თ. დ.).

[27] WBR, გვ. 25-26, №№33-34, შენ. 2.
[28] WBR, გვ. 26-27, №35.
[29] WBR, გვ. 26, №36.
[30] WBR, №37, შენ. 1; Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 145-146, სქ. 2.
[31] WBR, გვ. 9.
[32] WBR; Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 147.

2. და მეორეც, ნაკლებად დასაჯერებელია დაეწყოთ მონეტების მოჭრა იმპერატორის გამოსახულებით (49/50 წწ. მოყოლებული) და შემდგომ შეეწყვიტათ და თანაც მაინცდამაინც ნერონის, ამ ეჭვიანი პრინცეპსის დროს (თ. რეინაკის ეს მსჯელობა არ არის სწორი. „საიმპერატორო“ ტიპოლოგიის დარღვევას ხშირად ჰქონდა ადგილი. მხედველობაში გვაქვს III ჯგუფის მონეტები – ტიპი: პოლემონი/ტრიფაინა. ეს მომენტი WBR-ში აღნიშნულია, მაგრამ შესაბამისი დასკვნები გამოტანილი არ არის. ამაზე ქვემოთ. 1902 წ. კი რეინაკი ეკამათება ამავე არგუმენტით იმჰოფ-ბლიუმერს, რომელიც ხსენებული ტიპის ძეგლებზე, თარიღით IB (12) და IE (15), ხედავდა არა აგრიპინას, როგორც ამას რეინაკი აკეთებდა, არამედ ტრიფაინას) (ე.ი. რეინაკის აზრით, წლები IZ და IH არა თუ პოლემონ I არ ეკუთვნის, არამედ მათი ათვლა 38 წ. ოქტომბრიდან გაუმართლებელია – თ. დ.). სამეფო თარიღი, მოთავსებული ამ ჯგუფის მონეტებზე (რომლებიც მხოლოდ ასეთი მსჯელობის შემდგომ იქნა მიჩნეული ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულად), ტრიფაინას ეკუთვნის და, ვიმეორებთ, არ არის ათვლილი 38 წ. ოქტომბრიდან (მაშასადამე, ტრიფაინა თავს დედოფლად მიიჩნევს უფრო ადრეული დროიდან, ვიდრე რეალურად დაეუფლა ხელისუფლებას).

თუ დავუშვებთ, რომ ნუმიზმატიკური ძეგლები თარიღით IZ და IH მოჭრილია დედის და შვილის თანამმართველობის პირველ წლებში (ეს ფაქტი დგინდება ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, ასევე ცხადია, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ტრიფაინა ქვეყანაში გარკვეულ ეტაპზე – I ჯგუფის მონეტებზე ხომ საერთოდ არ იხსენიება პოლემონის სახელი – თ. დ.), მაგ., 38/39 წწ. (ე.ი. ეს უდრის ანტონია ტრიფაინას ზეობის მეჩვიდმეტე წელს), მაშინ გამოდის, რომ მისი დედოფლობის პირველი წელი ემთხვევა პონტოურ წელიწადს X. 22 წ.-X. 23 წ., და რომ ზუსტად ამ დროისთვის გარდაიცვალა პითოდორისი, თვლის თ. რეინაკი. პონტოს ისტორია 19/20-38/39 წწ. მას შემდეგნაირად ესახება: პითოდორისს 3 შვილი ჰყავდა პოლემონ I-სგან. უფროსს მამის სახელი ერქვა (ძნელი სათქმელია, თუ რას ეყრდნობა მკვლევარი ასეთი განცხადებებისას), დედას ეხმარებოდა სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ სამეფო ტიტული არ მიუღია, ის გარდაცვლილია იმ დროისათვის როცა სტრაბონმა თავისი თხზულება „გამოაქვეყნა“, ე.ი. 19/20 წწ. სტრაბონი მასზე წარსულში ლაპარაკობს (Strabo. XII. 3. 29). მეორე ვაჟი, ზენონი, 18 წლიდან დიდი არმენიის ბასილევსია. პონტოში რჩება მხოლოდ ანტონია ტრიფაინა, კოტის თრაკიელის ქვრივი (რომელიც თავის დედოფლობას, შე-

საძლოა, 22/23 წწ. აითვლის). პითოდორისის სიკვდილის შემდგომ, რასაც ტიბერიუსის პრინციპატის დროს ჰქონდა ადგილი, ტრიფაინა ფორმალურად ეუფლება მის ტიტულს, მხოლოდ ფორმალურად, რადგან იმპერატორმა ნება არ დართო პონტოში დარჩენის, ქვეყანა „სეკვესტრად" აქცია, ტრიფაინა კი კიზიკში დაეფუძნა. ერთ-ერთი კოლექციაში ინახება ანტონია ტრიფაინას საინტერესო ტყვიის მედალიონი: Av. ΑΝΤΩΝΙΑΣ ΤΡΥΦΑΙΝΗΣ კვერთხი. Rv. A ჩაღრმავებულ წრეში. თ. რეინაკი ამ მედალიონს ტრიფაინას პირველი წარუმატებელი მმართველობის საბუთად მიიჩნევს; A (1) ზეობის პირველი წლის აღმნიშვნელია.[33]

ამრიგად, 1. იმიტომ რომ მონეტები IZ და IH თარიღით არ შეიძლება დათარიღდეს ნერონის პრინცეპსობის ხანით, ეს წლები ტრიფაინას მმართველობის წლებია და აითვლება არა 38/39 წლებიდან, არამედ უფრო ადრეული დროიდან, ე.ი. ტრიფაინა დედოფალია არა 38/39 წლებიდან, როცა სინამდვილეში მოექცა ხელისუფლების სათავეში შვილთან ერთად. 2. 19/20 წწ. ქვეყანას პითოდორისი განაგებს, მისი უფროსი ძე გარდაცვლილია, უმცროსი – 18-34 წწ. დიდი არმენიის ბასილევსია; სხვა მემკვიდრე პონტოს ტახტს არ ჰყავს, გარდა ტრიფაინასი და მისი მცირეწლოვანი შვილებისა. 3. ტრიფაინა 38/39 წლებამდე კიზიკშია, თვლიან, რომ პითოდორისის სიკვდილის შემდგომ, რასაც ტიბერიუსის დროს უნდა ჰქონოდა ადგილი, ანტონია ტრიფაინა ფორმალურად იღებს პონტოს დედოფლის ტიტულს, გადადის კიზიკში, ქვეყანა კი „სეკვესტრად" (სამეურვეო ტერიტორიად) იქცა. თუკი ჩავთლით, რომ IZ თარიღიანი მონეტა ანტონიამ მაინცდამაინც 38/39 წწ. მოჭრა, მაშინ ამ მოვლენებს ადგილი ექნებოდა 22/23 წწ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვათა შორის, სრული გაუგებრობაა თ. რეინაკის კონცეფციის დ. მაჯისეული პერიფრაზი.[34]

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით:

მოსაზრების ქვაკუთხედია ავტორის მტკიცება, რომ მონეტები თარიღით IZ და IH არ შეიძლება ყოფილიყო მოჭრილი შესაბამისად 54/55 და 55/56 წწ. ეს, მისი აზრით, ეწინააღმდეგება 49/50 წლებიდან დამკვიდრებულ ტრადიციას – ზურგის მხარეზე უნდა მოთავსდეს იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრების გამოსახულება. ამავე მიზეზით მან 1902 წ. გამორიცხა შესაძლებლობა მონეტებზე (ტიპი: პოლემონი და მისი სახელის მაუწყებელი ლეგენ-

[33] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 146-147.
[34] D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. II, გვ. 1368 შენ. 50.

და/ქალის ბიუსტი, პოლემონის მეფობის წლები) თარიღით IB და IE ყოფილიყო ტრიფაინას გამოსახულება. იმჰოფ-ბლიუმერის საწინააღმდეგოდ, ის აქ აგრიპინას ხედავდა. ვნახოთ, რა ვითარებაა WBR-ში. ჩვენთვის საინტერესო ადგილს საფუძვლად უდევს L'histoire par les monnaies-ში შემუშავებული მოსაზრებანი. პითოდორისის სიკვდილი 22/23 წწ. არის დასმული, თუმცა შესაბამისი მსჯელობა თან არ ახლავს. მეორე მხრივ კი ავტორები აღნიშნავენ, რომ მონეტებზე (იხ. ჩვენთან III ჯგ. რევერსის ტიპი გ) თარიღით **IB** (12=49/50 წწ.), IΓ (13=50/51), IΔ (14=51/52 წწ.), **IE** (15=52/53 წწ.) ტრიფაინაა გამოსახული. ეს სწორია. იგივე პიროვნება, ჩვენი აზრით, მონეტებზე თარიღით BI.[35] ამგვარად, სამონეტო ტიპი – Av. პოლემონის თავის გამოსახულება, შესაბამისი ლეგენდა. Rv. ტრიფაინას ბიუსტი, პოლემონის ზეობის წლები – იჭრება 49/50, 50/51, 51/52, 52/53 წლებში „საიმპერატორო" რევერსის პარალელურად. განა სახეზე არ არის ტიპოლოგიის დარღვევა და ამას WBR-ის ავტორებიც აღიარებენ, თუმცა მიჰყვებიან ძველ კონცეფციას, რის გამოც დიდ წინააღმდეგობაში ვარდებიან?! განა არ შეიძლება I ჯგუფის მონეტები, თარიღით IZ და IH, მოჭრილიყო 54/55 და 55/56 წლებში?! ნერონის პიროვნულ თვისებებს სრულებითაც არ შეეძლო ამისთვის ხელის შეშლა. როგორ შევუთავსოთ თ. რეინაკის მსჯელობა და ფაქტობრივი მასალა ერთმანეთს?! საკვირველია, რომ WBR-ის შემდგენელნი, რომლებიც თვლიან, რომ 52/53 წწ. მოჭრილ დრაქმებზეც კი ტრიფაინაა გამოსახული, მისი სიკვდილის თარიღად, მართალია, კითხვის ნიშნის ქვეშ, მაგრამ მაინც 49 წ. თვლიან.[36] ისინი ამით კვლავ თავიანთ თავს ეწინააღმდეგებიან.

ამრიგად, თ. რეინაკის კონცეფციის მთავარი ხარვეზი შესაძლებელია ასეთი სახით ჩამოყალიბდეს: ის ყოველთვის, მათ შორის 1902 წ., უპირისპირდებოდა ფაქტობრივ მასალად. გავიხსენოთ, რომ იმჰოფ-ბლიუმერთან საკამათო IB და IE თარიღიანი მონეტები WBR-ში უკვე ტრიფაინას გამოსახულებიან ნუმიზმატიკურ ძეგლად არის მიჩნეული. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თ. რეინაკის ეს მოსაზრება არის უიშვიათესი მაგალითი არასწორი მსჯელობისა ზუსტი დასკვნით.

შევეცდებით საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოლემონ II დროს პონტოს სამეფოში განხორციელებული ემისიები სამ ჯგუფად იყოფა. კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ მასალას; ყუ-

[35] იხ. WBR, ტაბ. III, ფიგ. 17.
[36] WBR, გვ. 9.

რადღება გავამახვილოთ არა ტიპოლოგიაზე, არამედ იმ ფაქტზე, ვისი სახელით იჭრება ეს ნუმიზმატიკური ძეგლები. I ჯგუფის მონეტებზე მხოლოდ ტრიფაინას სახელია. II ჯგუფი დედის და შვილის სახელით იჭრება, ამასთან, მეფის გამოსახულება ყოველთვისაა, დედოფლის – ზოგჯერ. III ჯგუფის ემისიები ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ პოლემონ II სახელით 49/50-62/63 წწ. თ. რეინაკის ასეთი კლასიფიკაცია ჩვენთვის მისაღებია: როგორც ვხედავთ, 49/50 წლებიდან სამონეტო რეგალია მთლიანად პოლემონ II ხელშია. განა შეძლებდა ტრიფაინა 54/55 და 55/56 წლებში მხოლოდ საკუთარი სახელით მოეჭრა მონეტები?! ეს დაშვება მართებული არაა. მონეტები ტრიფაინას სახელით და მეფობის წლებით IZ და IH ყველაზე ადრეულ ჯგუფს ქმნის, შეუძლებელია მათი ემისიები განხორციელებულიყო 54/55 და 55/56 წწ., მათზე ტრიფაინას ზეობის წლებია მოცემული, რომლებიც არ აითვლება 38/39 წლებიდან, არამედ უფრო ადრეული ხანიდან. როგორც ვხედავთ, სულ სხვა გზით ჩვენც იგივე დასკვნამდე მივედით.

ნუმიზმატიკური მასალის ფონზე ძალიან კარგად იკითხება პოლემონური პონტოს პოლიტიკური ისტორია: 38/39 წწ. პოლემონი ტახტზე ადის; ის ახალგაზრდაა, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი დედამისია, რომელიც საკუთარი სახელით ახორციელებს სამონეტო ემისიებს. II ჯგუფის მონეტებში „თანამოსაყდრეობის“ ხანაა დაფიქსირებული, სამონეტო რეგალიის (და შესაბამისად, სახელმწიფოში როლის) თვალსაზრისით ოდნავი უპირატესობა პოლემონ II-ის მხარეზეა; ყველა მონეტაზე მეფის პორტრეტია მოცემული. 49/50 წლებიდან პოლემონ II ერთპიროვნული მმართველია, ტრიფაინა ჩამოსცილდა სახელმწიო საქმეებს, მაგრამ ცოცხალია 52/53 წწ. ახლა თუკი დავუშვებთ, რომ ტრიფაინა საკუთარი სახელით ჭრის მონეტებს 38/39 წწ., მაშინ მისი მმართველობის (რა თქმა უნდა, ფორმალური) პირველი წელი მოდის X.22-X.23 წწ. ეს ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია. ზედას დადგენა კი შეუძლებლად მიგვაჩნია. ამას ხელს უშლის მეორე უთარიღო ჯგუფი მონეტებისა.

პითოდორისს სამი შვილი ჰყავდა. შუათანა – ზენონი 18 წ. შემდგომ არმენიაშია. Strabo. XII. 3. 29 სხვადასხვანაირად არის ნათარგმნი.[37] ჩვენი აზრით, სწორია თ. რეინაკის და თ. ყაუხჩიშვილის ვარიანტები. სტრაბონი პი-

[37] Th. Reinach. L'histoire par les monnaies, გვ. 146; თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონი გეოგრაფია, გვ. 214; შეად. The Geography of Strabo. With an English Translation by H. L. Jones. V. London. MCMLIV, გვ. 427.

თოდორისის უფროს შვილზე წარსულში ლაპარაკობს. ამრიგად, იმ დროისათვის, როდესაც „გეოგრაფია“ გამოვიდა, ის გარდაცვლილია, პითოდორისის ერთადერთი მემკვიდრე ანტონია ტრიფაინა და მისი მცირეწლოვანი შვილებია. ანტონიას ზეობის ქვედა ზღვარი კი პონტოური წელიწადი X.22 წ.-X.23 წ. ეს არის სავარაუდო თარიღი პითოდორისის გარდაცვალებისა და ტრიფაინას მიერ დედოფლის ტიტულის მიღების (კლავ ხაზს ვუსვამთ – ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 19 წ. მოკლეს ოდრისთა მეფე კოტისი. ტრიფაინამ სენატის წინაშე ბრალი დასდო მეუღლეს მკვლელს, შემდგომ კიზიკში დაიდო ბინა, სადაც ლივიას ქურუმი გახდა. მან ბევრი რამ გააკეთა ქალაქის აყვავებისთვის. მისი შვილები კი რომში დარჩნენ (შდრ. WBR. ტრიფაინა მხოლოდ 22/23 წწ. ამბების შემდგომ იქნა გაგზავნილი კიზიკში). ის პონტოში დაბრუნებული ჩანს 38/39 წწ.[38] თავის შვილთან ერთად. ამრიგად, ანტონია ტრიფაინა პითოდორისის ერთადერთი მემკვიდრეა, ის თავის დედოფლობას აითვლის 22/23 წლებიდან (?), 19 წლიდან კიზიკშია ლივიას ქურუმად, მხოლოდ 38/39 წწ. ბრუნდება სამშობლოში. ქვეყანა სამეურვეო ტერიტორიაა, ალბათ, სრულწლოვანი მამაკაცი მემკვიდრეების არარსებობის გამო[39], და არა პროვინცია. ასეთ შემთხვევაში ანტონია ტრიფაინა თავის დედოფლობას 38/39 წლებიდან აითვლიდა. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ზემოთ აღწერილი ტრიფაინას მედალიონი ტრიფაინას სახელით და A (1=მეფობის პირველი წელი).[40]

ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება ასე შეჯამდეს:

1. ტრიფაინას სახელიანი მონეტები, თარიღით IZ და IH, არ შეიძლება ყოფილიყო მოჭრილი, შესაბამისად, 54/55 და 55/56 წწ. როგორც ამას ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, 49/50 წლებიდან მოყოლებული სამონეტო რეგალია პოლემონ II კომპეტენციაში შედის: 62/63 წწ. ჩათვლით ყოველწლიურად იჭრება მონეტები მხოლოდ და მხოლოდ მისი სახელით. ზემოაღნიშნული მცირერიცხოვანი ნუმიზმატიკური ძეგლები არაფრით არ თავსდება 50-იან წლების ემისიებში, ისინი ხომ ტრიფაინას სახელით არის მოჭრილი, მათზე

[38] WBR, გვ. 9.

[39] The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 751.

[40] სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის რომაელთა სამეურვეო ტერიტორიად გამოცხადებისთვის იხ. მაგ., D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. I, გვ. 513; The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 645. მეურვე ენიშნება ოდრისთა სამეფოს, კაპადოკიისთვის – The Cambridge Ancient History. v. X, გვ. 744.

მოთავსებული თარიღები მისი ზეობის წლებია. მაშასადამე, ანტონია ტრიფაინა თავის დედოფლობას აითვლის არა 38/39 წლებიდან, როცა რეალურად ეუფლება ხელისუფლებას, არამედ უფრო ადრეული დროიდან. თუკი IZ თარიღიანი მონეტების ემისია განხორციელდა 38/39 წწ., ეს წელი უნდა იყოს პონტოური წელიწადი 22 წლის ოქტომბერი-23 წლის ოქტომბერი (ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი, ზედა არ დგინდება).

2. 19/20 წწ. პონტოს განაგებს პითოდოროსი. მას სხვა მემკვიდრე არ ჰყავს, გარდა ტრიფაინასი და მისი მცირეწლოვანი შვილებისა.

3. 19 წ. (შესაძლებელია 22/23 წწ.) შემდგომ ტრიფაინა კიზიკშია. ის პონტოში დაბრუნებული ჩანს მხოლოდ და მხოლოდ 38 წ. შვილთან ერთად.

4. ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვანიშნებს, რომ ქვეყანა 22/23 (?)-38 წწ. რომაელთა მიერ სამეურვეო ტერიტორიად არის გამოცხადებული მამაკაცი მემკვიდრეების არასრულწლოვანების გამო.

5. შესაძლებელია ტიბერიუსი ქვეყნის ანექსიასაც კი ამზადებდა. ეს მისი „სტილი“ იყო. ამ მხრივ, თითქოსდა მეტად სიმპტომატურია დიონის სიტყვები – კალიგულამ ქვეყანა უბოძა (აჩუქა) პოლემონს.

გავიხსენოთ ჩვენი ამოსავალი დებულება: 19/20-38 წწ. კოლხეთი პოლემონური პონტოს განუყოფელი ნაწილია. მაშასადამე, 22/23(?) წლებიდან დასავლეთ საქართველო მცირეაზიურ ტერიტორიებთან ერთად რომაელთა მეურვეობის ქვეშ იმყოფება. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გადაისინჯოს ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება კოლხეთზე რომაელთა უშუალო პროტექტორატის მხოლოდ და მხოლოდ ნერონის დროს დამყარების შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სპეციალისტი, მაგ., ნ. ლომოური, ვარაუდობს დასავლეთ საქართველოში რომაული გამაგრებული პუნქტების არსებობას ჯერ კიდევ ავგუსტეს ხანაში. ამ განცხადების საფუძველია პლინიუსთან მოხსენიებული castellum Sebastopolis (Plin. NH. VI. 12. 13) (დიოსკურია, დღევანდელი სოხუმი). სახელი აშკარად ავგუსტეს პიროვნებასთან არის დაკავშირებული. ნ. ლომოური პირდაპირ წერს: «Себастополис как римская крепость был несомненно основан ещё при Августе, на что указывает само его название».[41] ფაქტობრივად ამასვე გულისხმობს მ. ინაძეც,[42] ყოველ შემთხვევაში, აშკარად ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება. დიოსკურიისათვის სებასტოპოლისის წოდებას ავგუსტეს დროს უნდა ჰქონო-

[41] Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 211.
[42] М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды. Тб. 1968, გვ. 241.

და ადგილი. ამაზე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ განა გულისხმობს ეს ფაქტი აქ რომაული სიმაგრის დაარსებას და გარნიზონის ჩაყენებას ავგუსტეს დროს; განა არ შეიძლება ყოველივე მიჩნეულ იქნას პოლემონ I ან პითოდორისის (რადგან კოლხეთი ამ დროს მათ ხელშია) „თავაზიანობის“ და „ერთგულების“ გამოვლინებად იმპერატორის მიმართ; განა პითოდორისმა „საკუთარი ინიციატივით“ არ უწოდა კაბეირას სებასტა და დედაქალაქად გაიხადა ის?! (Strabo. XII. 3. 31).[43] ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას. სამაგიეროდ, სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება სულ ცოტა ხნის შემდგომ, ტიბერიუსის პრინციპატის დროს, დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში რომაული გარნიზონების გაჩენა, 22/23 (?) წწ. შემდგომ კოლხეთი ხომ რომის პირდაპირ კონტროლს ემორჩილება. სხვა საკითხია, დატოვეს მათ ქვეყანა 38 წ., როცა პოლემონ II ავიდა ტახტზე, თუ არა. ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებობს სულ სხვა მოსაზრება პითოდოროსის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ის დ. მაჯის ეკუთვნის. პონტოს კომანას ერა, მოთავსებული ეპიგრაფიკულ და ნუმიზმატიკურ ძეგლებზე, აითვლებოდა 33/34 ან 34/35 წწ. ეს არის თარიღი ქალაქის მიერთებისა პროვინციული ტერიტორიებისთვის. დ. მაჯის აზრით, ეს უნდა იყოს თარიღი პითოდორისის გარდაცვალებისა. ტიბერიუსი სარგებლობს დედოფლის სიკვდილით და ამცირებს პოლემონური პონტოს სამეფოს ტერიტორიას კომანას ანექსიით.

რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ასეთი მსჯელობა. რა კავშირში იმყოფება კომანას ანექსია და პითოდორისის გარდაცვალება ერთმანეთთან? განა ძვ. წ. 63 წლიდან პონტოს კომანა დამოუკიდებელ „სამთავროს“ არ წარმოადგენს?! (Strabo. XII. 3. 32. 34-37).[44] 19/20 წწ. ის გარშემორტყმულია პითოდორისის სამფლობელოებით (Strabo. XII. 3. 37). რომს კომანას ანექსიისთვის დასჭირდებოდა „დერეფნის გაჭრა“ პროვინცია გალატიიდან ქალაქისკენ და ეს ყველაფერი პითოდორისის ტერიტორიების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მაგრამ განა შეიძლება ამ ფაქტში დედოფლის გარდაცვალების დანახვა?! განა

[43] Страбон. География. Перевод и комментарий Г. А. Стратановского, გვ. 522.

[44] Страбон. География, გვ. 523-524; WBR, გვ. 2-3, 106-107; А. Г. Периханян. Храмовые объединения Малой Азии и Армении (IV в. до н. э.- III в. н. э.). Москва. 1959.

ცოტა რამ წაართვა რომმა პონტოს პოლემონის და პოთოდორისის სიცოცხლეში?![45]

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი „პოლემონური" კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საინტერესო მომენტის შესახებ.

[45] პოლემონური პონტოს სამეფოს ტერიტორიის შემცირებასთან დაკავშირებით იხ. მაგ. D. Magie. Roman Rule in Asia Minor. ტ. I, გვ. 444, ტ. II, გვ. 1329 შენ. 49, გვ. 1346 შენ. 52; WBR, გვ. 3.

Tedo Dundua
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

COLCHIS AND PONTUS OF POLEMONS

Summary

Colchis was a part of Mithridates' (120-63 B.C.) Pontic kingdom. This status shaped political pattern of Western Georgia for centuries to come. In 40 B.C. Romans restored kingdom of Pontus with their Greek client Polemon installed as a king soon after. Strabo relates about him, and after his death, his queen Pythodoris ruling over Colchis as well. She is still alive in about 19/20 A.D.

There is a gap in narrative until 38 A.D., when Caligula allotted Polemon, grandson of Polemon I and Pythodoris, son of their daughter Tryphaena, with kingdom of Pontus (and presumably, with Colchis).

This gap is to be filled up using numismatics.

Polemon II's coins are divided into three groups:

a) Obv. Portrait of Tryphaena, her name and title (queen); Rev. Portrait of Polemon, regnal years IZ (17), IH(18).

b) Obv. Portrait of Polemon, his name and title; Rev. Portrait of Tryphaena, her name and title, sometimes, there is no portrait and name of the queen together with her title is placed in a diadem.

c) Obv. Portrait of Polemon, his name and title, sometimes there is no portrait, and inscription is put in a diadem; Rev. Portrait of Emperor (Claudius, Nero), or his family member, or Tryphaena, regnal years corresponding to 49/50-62/63.

Order of the groups is correct. Indeed, at the beginning Polemon is young, and Tryphaena holds real power. So, only her name appears on the coins (a). Then diarchy follows (b). From 49/50 Polemon is obviously sole ruler, we have only his name inscribed on the coins (c). Now, if we consider Tryphaena's regnal years IZ (17), IH(18) to be reckoned from 38/39, the result will be 54/55,

55/56, i.e. temporary interruption of Polemon's sole rule. There is no reason for this statement.

Tryphaena reckoned her regnal years in different way. If it could happen like as follows: she gained real power over Pontus at the end of 38, she issued the coins (a) in this very year (38/39), and that was the 17th year of her formal rule. So, Pythodoris died in 22/23 (?). Tryphaena became formal queen as male heirs were just boys. Pontus (maybe, Colchis too) was put under the Roman guardianship. Before 38 Tryphaena lived in Cyzicus. So, the Roman garrisons could appear at the East Black Sea Coast already in 22/23-38.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

ნათია ფიფია
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

ეკატერინე კობახიძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ახალი ბერძნული წარწერა სოხუმის ციხიდან[1]

სოხუმის ციხის გათხრებისას, რომელიც წარმოებდა ა. ნ. გაბელიას ხელმძღვანელობით, 1998 წელს აღმოჩენილ იქნა კირქვის ფილის ფრაგმენტზე შემონახული ბერძნული წარწერა. შემორჩენილი ფრაგმენტის ზომაა 19X21 სმ, სისქე – 10 სმ. ფილის მარცხენა მხარე დაკარგულია, დანარჩენი მხარეებიც ალაგ-ალაგ ჩამომტვრეულია.

წარწერა 5 სტრიქონიანია. ასოთა საშუალო სიმაღლე ძირითადად 17 მმ-ია, ხოლო პირველი სტრიქონის ასოთა სიმაღლე დაახლოებით 11 მმ-ს შეადგენს. ასოები საკმაოდ სიმეტრიულად, ინტერვალების დაცვითაა შესრულებული, სიმეტრია დაცულია სტრიქონებს შორისაც. წარწერა პირველად გამოცემულია ვ. ვ. ვერტოგრადოვას[2] მიერ, რომელიც წარწერის შემდეგნაირ ტრანსლიტერაციას გვთავაზობს:

1.]δαμ[
2.](α)ναγασασθ(α)[ι][
3.][α]ντιδιδωνου[
4.](υ)ασενυμι(ω)[
5.][ ]νεμο[ς][3]

[1] კვლევა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (გრანტის № FR-18-2216).

[2] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 385-390.

[3] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 386.

საბოლოო სახით ვ. ვერტოგრადოვა წარწერას შემდეგნაირად აღადგენს და თარგმნის:

1. [τοῦ]δαμ[οῦ ψάφισμα
2.](α)ν ἀγάσασθ(α)[ι][
3.][ἀ]ντιδιδων ου[
4. 4.]κατασκε(ύ)ασεν ὑμί(ω)[ν] [τριήρεις] [
5.][ἀ]νεμο[ς]

1. [დადგენილება] ხალხისა.
2.]აღტაცების გამოხატვა[.
3.]ანაზღაურების მიმცემი[.
4.]აღჭურვა (თქვენი?) [ტრიერები] [.
5.](ქარი?) [.[4]

ასოთა განლაგება ფილის ფრაგმენტზე ვ. ვერტოგრადოვას ავარაუდებინებს, რომ წარწერა თავდაპირველად ხუთზე მეტ სტრიქონს შეიცავდა და მეხუთე სტრიქონის შემდეგ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო დადგენილების ხელმოწერებით დამოწმება.

ასოთა ფორმების თავისებურებებიდან ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი ასო-ნიშნის კურსივით შესრულება. ასე, მაგალითად, სიგმასა და ეფსილონს, განსხვავებით ეშერის სხვა წარწერისგან, აქვს ლუნარული ფორმა (C,Є და არა- Σ,Ε). ასევე საყურადღებოა ომიკრონის და თეტას მოხაზულობა, რომლებიც წრიულია და ზომით სტრიქონის სიმაღლეს უტოლდება, მაშინ როდესაც უფრო ადრეულ წარწერებში ისინი ზომით უფრო პატარაა სხვა ნიშნებთან შედარებით. თეტა მოხაზულია დახურულად და ახლავს ჰორიზონტალური ხაზი. ომეგა დაწერილია კურსივით, მიუ და ნიუ ზომით ერთმანეთს უტოლდება და სტრიქონის სიმაღლეს უახლოვდება. ალფას აქვს მთლიანი ბუნიკი, რომელიც მარჯვნივაა დახრილი. ყველა ამ მონაცემის მიხედვით, ვ. ვერტროგრადოვა ათარიღებს წარწერას ახ.წ. II ს-ით.[5]

მკვლევარი საბოლოოდ დაასკვნის, რომ წარწერა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, დამსახურებათა აღმნუსხველ წარწერას წარმოადგენს და დეკ-

[4] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 389.

[5] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 389.

რეტთა კატეგორიას მიეკუთვნება. წარწერაში განდიდებულია ადამიანი (მისი სახელი არაა შემორჩენილი), რომელმაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმისთვის იღვაწა. შესაძლოა, ეს ყოფილიყო ტრიერების აღჭურვა. წარწერა ადასტურებს, რომ სოხუმის ტერიტორიაზე, ახალი ქალაქის, სებასტოპოლისის აგებისას ბერძნული ენის უწყვეტი გამოყენების ტრადიცია ახ.წ. II ს-ში ჯერ კიდევ არსებობდა.[6]

უნდა ითქვას, რომ ვეტროგრადოვას მიერ წარწერის წაკითხვა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს და, შესაბამისად, ჩვენ შევეცდებით თითოეული სტრიქონის მიხედვით წარმოვადგინოთ საკუთარი მოსაზრებები.

პირველ სტრიქონთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი - იგი ზომით განსხვავდება სხვა სტრიქონებისგან და შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ის გარკვეულად გამოყოფილი უნდა იყოს დანარჩენი ტექსტისგან. როგორც აღვნიშნეთ, ამ სტრიქონის ვეტროგრადოვასეული ტრანსლიტერაციით აქ უნდა იყოს სამი ასო δαμ, რომელიც აღდგება, როგორც დორიული სიტყვა δᾶμος. დორიული დიალექტის გამოყენება ამ რეგიონში კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დორიული დიალექტი არასდროს არ გამოიყენებოდა, გარდა ამისა, წარწერის თარიღი (ახ. წ. II ს.) კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას ქმნის სიტყვის დორიულ ფორმასთან, რადგან ამ დროისათვის პრაქტიკულად ყველგან უკვე კოინეს იყენებდნენ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზის მიხედვით,[7] δᾶμος ფორმა დასავლეთ საქართველოსთან ახლომდებარე რეგიონებიდან ნამდვილად დადასტურებულია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის, უფრო კონკრეტულად კი დაუზუსტებელი წარმოშობის წარწერებში. ასევე, δᾶμος ცნობილია სამხრეთ შავიზღვისპირეთში, პონტოს ჰერაკლეადანაც, თუმცა ორივე რეგიონის შემთხვევაში, ამ ტერიტორიაზე ცნობილია დორიელების აქტიურობა და, შესაბამისად, ამ დიალექტზე წარწერის არსებობაც ლოგიკურია, განსხვავებით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისგან, სადაც დორიული დიალექტი არ გამოიყენებოდა. შესაბამისად, პირველ სტრიქონში არ უნდა აღდგეს სიტყვა δᾶμος.

[6] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 389.

[7] ბერძნული წარწერების შესამოწმებლად გამოვიყენეთ კორნელის უნივერსიტეტისა და ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://inscriptions.packhum.org/

როგორც აღვნიშნეთ, პირველი სტრიქონი სხვა სტრიქონებისგან ზომით განსხვავდება და შესაბამისად, ერთგვარად გამოყოფილ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. რადგან სხვა სიტყვა აქ ვერ აღდგება, გვინდა გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ წარწერის პირველ სტრიქონში მოხსენიებულია პიროვნების საკუთარი სახელი. δαμ კომბინაციით ბევრი სახელის აღდგენა შეიძლება, მაგალითად, δαμόστρατος[8], δαματρίος, ჰერაკლეადან მომდინარე წარწერებში დადასტურებულია, ფორმით δαματρίου,[9] δαμοκράτη/[10]δαμοκράτης[11], Ἀρχίδαμος.[12] ჩვენს რეგიონში გავცელებული სახელებიდან აღსანიშნავია, Ῥαδάμιος, Ῥαδάμειστος, Ῥαδαμόφουρτος. საკუთარი სახელის პირველ სტრიქონში მოხსენიების ვარაუდს ამყარებს თავად ვ. ვეტროგრადოვას მიერ შენიშნული ფაქტი, რომ პირველი სტრიქონის ასოთა განსხვავებული სიმაღლე გარკვეულ ფუნქციონალურ დატვირთვასაც ატარებდა,[13] რაც, შესაძლებელია, საკუთარი სახელის დანარჩენი ტექსტიდან გამოყოფისთვის გაკეთდა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით ვეტროგრადოვას მოსაზრებას ამ სამიდან ბოლო ასოს აღდგენასთან დაკავშირებით. ვეტროგრადოვას მიერ შესრულებულ პალეოგრაფიულ პირზე ისე ჩანს, რომ ბოლო ასოს

[8] Pleket, H.W. and Stroud, R.S., "SEG 35-1345. Amastris ? Epitaph of Damostratos and relatives.", in: Supplementum Epigraphicum Graecum, Current editors: A. T. E. N. Chaniotis Corsten Stavrianopolou Papazarkadas. Consulted online on 21 November 2020 <http://dx.doi.org/10.1163/1874-6772_seg_a35_1345>

[9] IK Heraclea Pont. 67, 68, 75. Jonnes, Lloyd. *The Inscriptions of Heraclea Pontica*. With a Prosopographia Heracleotica by Walter Ameling. «Inschriften griechischer Städte aus Kleinasien», 47. Bonn 1994.

[10] Bargylia 6. McCabe, Donald F. Bargylia Inscriptions. Texts and List. «The Princeton Project on the Inscriptions of Anatolia», The Institute for Advanced Study, Princeton. Packard Humanities Institute CD #6, 1991. — Includes: Wolfgang Blümel. Die Inschriften von Iasos. Vol. 2. «Inschriften griechischer Städte aus Kleinasien», 28,2. Bonn 1985.

[11] IG II² 2223. Inscriptiones Graecae II et III: Inscriptiones Atticae Euclidis anno posteriores, 2nd edn., Parts I-III, ed. Johannes Kirchner. Berlin 1913-1940. — Part I, 1-2 (1913-1916) = Decrees and Sacred Laws (Nos. 1-1369); Part II, 1-2 (1927-1931) = Records of Magistrates and Catalogues (Nos. 1370-2788); Part III, 1 (1935) = Dedications and Honorary Inscriptions (Nos. 2789-5219); Part III, 2 (1940) = Funerary Inscriptions (Nos. 5220-13247). — Part V, Inscriptiones Atticae aetatis quae est inter Herulorum incursionem et Imp. Mauricii tempora, ed. Ericus Sironen. Berlin 2008. (Nos. 13248-13690)

[12] IG I³ 1186. Inscriptiones Graecae I: Inscriptiones Atticae Euclidis anno anteriores. 3rd edn. Berlin 1981, 1994. Fasc. 1, ed. David Lewis, Decreta et tabulae magistratuum (nos. 1-500); fasc. 2, ed. David Lewis and Lilian Jeffery, Dedicationes. Catalogi. Termini. Tituli sepulcrales. Varia. Tituli Attici extra Atticam reperti. Addenda (nos. 501-1517).

[13] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 389.

სწორი ხაზის გვერდით აქვს 45 გრადუსიანი ტეხილი ხაზი, რაც ავტორს ავარაუდებინებს ამ ადგილას ასო M-ს არსებობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფოტოზე ეს მონაცემი ოდნავ განსხვავებულად გამოიყურება, აქ ტეხილი ხაზი უფრო დაზიანების შედეგს ჰგავს და არა წარწერის ნაწილს; შესაბამისად, აქ შეიძლება სხვა ასოც აღდგეს, კერძოდ - Γ ან K. გარდა ამისა, ამ სამი ასოს წინ ჩანს ერთი ასოს ფრაგმენტი, რომელიც შეიძლება იყოს ალფა. ბოლოში ვეტროგრადოვას მიერ შესრულებულ პალეოგრაფიულ პირზე კიდევ ჩანს ასო(ები)ს ფრაგმენტი, რომელსაც ვეტროგრადოვა ვარაუდით აღადგენს, როგორც οῦ-ს, თუმცა, იმავე ადგილას შემორჩენილი ნაწილის მიხედვით, ასევე შეიძლება აღდგეს რომაული ეპოქის ბერძნული წარწერებისთვის დამახასიათებელი სიგმა – C. მსგავსი კომბინაციით რეგიონის პროსოპოგრაფიიდან კონკრეტულ ქრონოლოგიურ პერიოდში და კონკრეტულად სოხუმის მიდამოებში, შეიძლება აღვადგინოთ ფლავიუს არიანესთან[14] დადასტურებული სანიგთა მეფის, სპადაგას სახელი. კერძოდ, დიოსკურია/სებასტოპოლისის მიდამოებში არიანე ასახელებს სანიგთა მეფე სპადაგას, რომელმაც რომის იმპერატორისგან მიიღო მეფობა: *„აბასკებს ემეზობლებიან სანიგები, რომლებიც სახლობენ სებასტოპოლისშიც. სანიგთა მეფე **სპადაგამ** შენგან მიიღო მეფობა“*[15]. წარწერის პირველი სტრიქონი, რომელშიც სახელი უნდა იყოს მოხსენიებული, შეიძლება წავიკითხოთ შემდეგნაირად: [CΠ]ΑΔΑΓΑ(C?).

მეორე სტრიქონის ვეტროგრადოვასეულ წაკითხვასთან დაკავშირებით შენიშვნა არ გვაქვს და ვეთანხმებით მის მოსაზრებას. რაც შეეხება მესამე სტრიქონს, მისი აღდგენა, როგორც თავად ავტორი უთითებს, დაზუსტებას მოითხოვს. ამ სტრიქონში შემორჩენილი ასოებია: ντιδιδωνου. ἀντιδιδων ფორმა, რომელსაც ავტორი აღადგენს, თავად ავტორის მითითებით საკმაოდ ბუნდოვანია და დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, აქ სამი სხვადასხვა სიტყვა უნდა ამოვიკითხოთ. მათგან პირველ ვარიანტში პირველი სიტყვის ბოლო ნაწილი შეიძლება იყოს -ντι, რომელიც არაერთი ლექსიკური ფორმა-

[14] Arr. Peripl. pos=44 Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0533%3Asection-%3Dpos%3D44

[15] Arr. Peripl. pos=44 Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885 ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0533%3Asection%3Dpos%3D44

ტივის დაბოლოებაა, შემდეგ ვვარაუდობთ სიტყვას διδω, რაც წარმოადგენს δίδωμι ზმნის („მიცემა გადაცემა“) ან იმპერფექტის მესამე პირს, ე.ი. „აძლევდა, გადასცემდა“ ან ბრძანებითი კილოს მეორე პირს, ე.ი. „მიეცი, გადაეცი“ (ამ თვალსაზრისით, პირველი ვარიანტი უფრო მისაღები ჩანს, რადგან მომდევნო სტრიქონის ზმნაც აშკარად მესამე პირშია), ხოლო მესამე სიტყვის საწყისი ნაწილი უნდა იყოს νου- (რომლითაც არაერთი ბერძნული სიტყვა იწყება).[16]

მეოთხე სტრიქონის ვეტროგრადოვასეული აღდგენა ασεν ფრაგმენტისა, როგორც κατασκεύασεν[17]-„აღჭურვა“, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელია (აქვე შეიძლება სხვა ზმნაც მოვიშველიოთ, როგორიცაა, მაგალითად παρεσκεύασεν „მოამზადა“).

რაც შეეხება ბოლო სტრიქონს, კერძოდ ბოლო სტრიქონის (νεμο) ἄνεμος-ად („ქარი“) წაკითხვას, ეს თარგმანი კონტექსტიდან აშკარად ამოვ-

[16] რაც შეეხება მეორე ვარიანტს (ორი სიტყვა), ვფიქრობთ, შესაძლებელია, პირველი სიტყვის ბოლო ნაწილი იყოს – ντιδι, ხოლო მეორის საწყისი – δωνου. ამ შემთხვევაში ντιδι შეიძლება იყოს სიტყვა προποντιδι-ს ნაწილი, ხოლო ასოთა კომბინაცია δωνου გვხვდება სულ სამ წარწერაში, აქედან ერთი ფრაგმენტია და აკლია დასაწყისი და დასასრული, მეორეში ის არის ნაწილი სიტყვისა μελεδωνοὺς, რაც ჩვენს შემთხვევაში გამორიცხულია, რადგან წინამდებარე ასოები შემორჩენილი გვაქვს და ბოლოს, მესამე წარწერაში ნაწილია სიტყვისა Κνίδωνου[ς], რომელიც ასევე გამორიცხულია ჩვენს შემთხვევაში იმავე მიზეზით. ლექსიკონებითაც არ იძებნება სიტყვა, რისი დასაწყისი და ნაწილი შეიძლება იყოს ეს სიტყვა, შესაბამისად, აქ თარგმანი და ზუსტი შინაარსის აღდგენა რთულია. იხ. შემდეგი წარწერები: IG II² 2776. Inscriptiones Graecae II et III: Inscriptiones Atticae Euclidis anno posteriores, 2nd edn., Parts I-III, ed. Johannes Kirchner. Berlin 1913-1940. — Part I, 1-2 (1913-1916) = Decrees and Sacred Laws (Nos. 1-1369); Part II, 1-2 (1927-1931) = Records of Magistrates and Catalogues (Nos. 1370-2788); Part III, 1 (1935) = Dedications and Honorary Inscriptions (Nos. 2789-5219); Part III, 2 (1940) = Funerary Inscriptions (Nos. 5220-13247). — Part V, Inscriptiones Atticae aetatis quae est inter Herulorum incursionem et Imp. Mauricii tempora, ed. Ericus Sironen. Berlin 2008. (Nos. 13248-13690). კონტექსტიდან გამომდინარე, აქ შეგვიძლია ფრთხილი ვარაუდის გამოთქმაც, ხომ არ არის აქ ასო ომეგა არასწორად დაწერილი ომიკრონის ნაცვლად, ამ შემთხვევაში, ერთადერთი სიტყვა, რომელიც აქ შეიძლება აღდგეს, იქნება, δονέω-ს ნაწილი, რომელიც აღნიშნავს „ქარით გამოწვეულ რხევას“, „შერყევას“. ამ შემთხვევაში, ვეტგორადოვასეული აღდგენა ბოლოს სტრიქონისა უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, თუმცა, თუ არიანეს უკავშირდება მისი შექმნა, რასაკვირველია ეს გამორიცხულია, თუ სანიგთა მეფეს, ამ შემთხვევაში დასაშვებია, მაგრამ რამდენად მიმზიდველადაც არ უნდა ჩანდეს, ჩვენ ეს წაკითხვა მაინც ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია.

[17] В. В. Вертоградова. Новая греческая надпись из раскопок Сухумской крепости. Проблемы истории, филологии, культуры. издательство Издательство Магнитогорского государственного университета (Москва-Магнитогорск). № 12, გვ. 387-389.

არდნილად გამოიყურება. ამას თავად მკვლევარიც გრძნობს და ამიტომ წინა სტრიქონში ამატებს სიტყვას τριήρεις („ტრიერები"). თუკი ბოლო სტრიქონს აღვადგენთ ზმნა νέμω-ს გამოყენებით, თუნდაც ისეთი ფორმით როგორიცაა, მაგალითად νέμονται „მდებარეობს, ბინადრობს", წარწერის შინაარსი ნაკლებად ხელოვნურად გამოიყურება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ ზმნის სხვადასხვა ფორმა ხშირად დასტურდება წარწერებში, მათ შორის, შავიზღვისპირეთში, რასაც ვერ ვიტყვით ἄνεμος-ზე, რომელიც ამ ფორმით სულ 6-ჯერ გვხვდება ჰაიდელბერგის წარწერათა კორპუსის ბაზაში.

საყურადღებოა, რომ წარწერაზე νεμο-ს წინ აშკარა სიცარიელეა, რაც სიმეტრიის სრული დაცვით შესრულებული ტექსტის ფორმატიდან გამომდინარე, მის წინ ალფას არსებობას გამორიცხავს, შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ სიტყვათა ამ კომბინაციით ყველა შესაძლებელი ვარიანტის განხილვა. ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზის მიხედვით, νεμο გვხვდება, როგორც ნაწილი სიტყვისა, ἄνεμος (მისი დორიული ვარიანტიც ἤνεμος), ასევე, ზმნა νέμω-დან წარმოებული სხვადასხვა ფორმებისა (νέμονται, ἀπονέμο, νεμόμενοι). უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელს, გარდა ზემოთაღნიშნული მნიშვნელობისა „მდებარეობს, ბინადრობს", ლიდლ-სკოტის ლექსიკონის მიხედვით კიდევ ერთი, ფართოდ გამოყენებული მნიშვნელობა გააჩნია „განაწილება, მიცემა" (ἀπονέμο)[18] მათ შორის, ხორცისა და სასმელის მიცემა (νεμόμενοι)[19]. იქვე აღნიშნულია, რომ ეს სიტყვა შეიძლება იყოს არსებითი სახელიც, დადასტურებულია ფორმით νέμων (მწყემსის, საძოვრის), თუმცა, ჩვენი აზრით, ამ წარწერის შემთხვევაში ეს შინაარსი არ უნდა ვიგულისხმოთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვეტროგრადოვას მოსაზრება ამ სიტყვასთან დაკავშირებით სრულებით გამოსარიცხი არ არის კონტექსტიდან გამომდინარე (იხ. სქოლიო №16) ამრიგად, წარწერის ჩვენეული აღდგენა შემდეგია:

1. [ΣΠ]**Α̣ΑΓΑ**[C]
2.](Α)**ΝΑΓΑCΑCΘ**(Α)[Ι]
3. **ΝΤΙ ̣Ι̣Ω ΝΟΥ**[20]

[18] A Greek-English Lexicon, compiled by Henry George Liddell and Robert Scott Revised and augmented throughout by Sir Henry Stuart Jones. Clarendon Press, Oxford. 1996, გვ. 210.

[19] A Greek-English Lexicon, compiled by Henry George Liddell and Robert Scott Revised and augmented throughout by Sir Henry Stuart Jones, გვ. 1167.

[20] ან ΝΤΙΔΙ ΔΩΝΟΥ

4.[ΠΑΡΑCΚΕ](Υ)**ACEN YMI**(Ω)[Ν] ან [ΕΠΕCΚΕ](Υ)**ΑΣΕΝ YMI**(Ω)[Ν]

5. **NEMO**[ΝΤΑΙ] ან [ΑΠΟ]**NEMO** ან **NEMO**[ΜΕΝΟΙ]

შესაბამისად, თარგმანი ასეთია:

1. სპადაგა
2. აღტაცების გამოხატვა
3. აძლევდა, გადასცემდა
4. აღჭურვა/ მოამზადა თქვენი
5. გაანაწილა/ მისცა

ამრიგად, ვფიქრობთ, წარწერაში უნდა ასახული ყოფილიყო ცნობა ქალაქის თუ ციხის ბინადართათვის რაღაცის მომზადების თუ აღჭურვის ან დადგმის შესახებ ინფორმაცია, რის აღსანიშნავადაც ამოიკვეთა ეს წარწერა.

რაც შეეხება ბოლო სტრიქონის შინაარსს, მისი დაკავშირება შესაძლებელია ასევე არიანეს ცნობებთან. არიანეს მისი ექსპედიციის პერიოდში, როგორც თავად ავტორი აღწერს, შავიზღვისპირეთში რამდენჯერმე მოუწია შტორმთან გამკლავება[21]. ათენა-რიზეს მიდამოებში ერთი გემი დაემსხვრათ კიდეც[22]. შესაბამისად, სებასტოპოლისში თუ მან მოინდომა გემების შეკეთება, ან დამატებით აღჭურვა, შესაძლებელია ამას ასახავდეს ბოლო ორი სტრიქონი. მაშინ სიტყვა „ქარიც“ არ ჩანს კონტექსტიდან ამოვარდნილი, მაგრამ ჩვენ ამ მოსაზრებას მაინც ნაკლებად ვემხრობით.

ბოლო სტრიქონის მეორე მნიშვნელობით აღდგენის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს ისევ არიანესთან მოხმობილი ერთი ცნობა. სებასტოპოლისში მისვლისას არიანე განსაკუთრებით აღნიშნავს შემდეგს: *„ქობოსიდან გზად ასტელეფი გამოვიარეთ და შუადღემდე ჩამოვედით სებასტოპოლისში... დღის დანარჩენი დრო გავატარეთ ჯარისკაცებისთვის ხელფასის დარიგებაში, ცხენების და იარაღის დათვალიერებაში, ვაკვირდებოდით ცხენოსნების მარჯვე ჯირითს და მათ მიერ ცხენებზე შეხტომას, მოვინახულეთ სნეულნი, შევამოწმეთ ხორბლეულის მარაგი და ციხე-სიმაგრისა და თხრილის*

[21] Arr. Peripl. pos=18 Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0533%3Asection%3Dpos%3D18

[22] Arr. Peripl. pos=19 Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0533%3Asection%3Dpos%3D19

მდგომარეობა".[23] წარწერის ბოლო აბზაცში მოხსენიებული სიტყვა „განაწილება" (რიგ შემთხვევებში ხორცისა და სასმელის განაწილება), შესაძლოა კავშირში იყოს არიანეს ცნობასთან, რომ ჯარისკაცებს დაურიგა ხელფასი ანდა შეამოწმა პურის მარაგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არიანეს სებასტოპოლისში ვიზიტს კიდევ ერთი წყარო, დიოსკურიის მიდამოებში ნაპოვნი ლათინური წარწერა ადასტურებს: "Had[rian(us) Aug(ustus)]/ per Fl(avium) A[rrianum]/leg(atum) [Aug(usti) pr(o) pr(aetore)]"[24].

ლოგიკურია დაისვას შეკითხვაც, რატომ შეიძლებოდა არიანესთან დაკავშირებული ერთი წარწერა შესრულებულიყო ლათინურად, ხოლო მეორე - ბერძნულად. ჩვენი აზრით, ოფიციალური დეკრეტები ლათინურად იწერებოდა, თუმცა, თუ სამიზნე აუდიტორია ადგილობრივი მოსახლეობა იყო, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა ის ბერძნულად შესრულებულიყო, რადგან ბერძნული უფრო ხშირად გამოიყენებოდა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ მცხეთაში აღმოჩენილი ვესპასიანეს ცნობილი წარწერაც ბერძნულად არის შესრულებული[25]. ამ შემთხვევაშიც სავარაუდოდ, ეს ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისთვის გაკეთდა. ბერძნული უფრო ნაცნობი იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ენის არჩევანიც, როგორც ჩანს, ამან განაპირობა.

ვეტროგრადოვას მიერ წარწერის დეკრეტად გამოცხადება, ჩვენი აზრით, არ შეეფერება სინამდვილეს. დეკრეტის გამოცემა თავისთავად გარკვეულ თანამდებობის პირებს შეეძლოთ. არიანე ამ მხრივ, ნაკლებად უფლებამოსილია, დეკრეტის მსგავსი დოკუმენტი გამოსცეს. რაც შეეხება სანიგთა მეფეს, ეს უფრო შესაძლებელია, თუმცა, მაინც საეჭვოა, ამდენად სუვერენულად ეგრძნო თავი სანიგთა მეფეს, რომ საკუთარი დეკრეტი გამოეცა, ეს წარწერა უფრო შეიძლება მადლიერების გამოხატვის ნიშნად იყოს აღმართული.

ვფიქრობთ, ეს შეიძლება იყოს სანიგთა მეფის, სპადაგას მითითებით შესრულებული წარწერა. მეფე, რომელმაც, არიანეს ცნობით, ძალაუფლება

[23] Arr. Peripl. pos=40. Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0533%3Asection%3Dpos%3D40

[24] HD030528, Epigraphic Database Heidelberg. xelmisawvdomia: https://edh-www.adw.uni-heidelberg.de/edh/inschrift/HD030528 ბოლო ნახვა: 23/11/2020

[25] გ. წერეთელი. ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ. 1958.

ადრიანესგან მიიღო[26], ბუნებრივია, განსაკუთრებული მადლიერებით იყო გამსჭვალული იმპერატორისა და მისი წარმომადგენლის მიმართ. შესაბამისად, წარწერაში იგი აღტაცებას გამოხატავს არიანეს ვიზიტისა და განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის მიერ სებასტოპოლის ციხის აღჭურვისა და ჯარისკაცებისთვის ხელფასისა და სანოვაგის დარიგების გამო, რაც, ბუნებრივია, მისი ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა.

და ბოლოს, უნდა დავეთანხმოთ ვ. ვეტროგრადოვას, რომ ამ წარწერის აღმოჩენა ნამდვილად ადასტურებს ამ რეგიონში ბერძნული ენის ინტენსიურად გამოყენების ფაქტს. დამატებით იმასაც აღვნიშნავდით, რომ აღმშენებლობითი თუ სხვა სახის საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც საჯარო ინტერესს იმსახურებს, აშკარად მეტყველებს ამ პერიოდის სებასტოპოლისის, როგორც ქალაქის და ციხე-სიმაგრის მნიშვნელობასა და აქტიურ ცხოვრებაზე. სპადაგას ბრძანებით შესრულებული წარწერა დამატებით ინფორმაციას გვაწვდის II საუკუნეში კოლხეთისა და რომის ურთიერთობებსა და სანიგთა მეფის დიპლომატიურ ნაბიჯზე.


[26] Arr. Peripl. pos=44 Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig. 1885. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0533%3Asection%3Dpos%3D44



დანართი 1. ვ. ვ. ვეტროგრადოვას მიერ გადაღებული წარწერის ფოტო



დანართი 2. ვ. ვ. ვეტროგრადოვას მიერ შესრულებული
წარწერის პალეოგრაფიული პირი



დანართი 3. ვ.ვ. ვეტროგრადოვას მიერ გადაღებული ფოტო მაღალი რეზოლუციით

Natia Phiphia
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Ekaterine Kobakhidze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

A NEW GREEK INSCRIPTION FROM SOKHUMI FORTRESS

Summary

A fragment of a limestone with Greek inscription was unearthed during the excavations of Sokhumi fortress. It was first published by V. V. Vetrogradova. Her reconstruction of the text and the scholarly commentaries need some refinement and additional treatment. The first line of the inscription might mention the name of the Sanigi king – Spadagas not "decree of the people", however the second line is adequately translated by Vetrogradova as "admiring", as for the the third line, it is extremely difficult to reconstruct and even several possible readings does not give us an exact clue about the content, still the existence of some form of the verb "to give" can be tentatively argued. The fourth line is also correctly reconstructed by Vetrogradova as "equip/prepare" and the last line should be the part of the word νέμονται rather than the word ἄνεμος. The major meaning of the word νέμονται is "to deal out, dispense" which can also be related with the activity of Arrian in this region. Topography of the discovery and the chronology of Arrian's travel all correspond to this assumption however poor conditions of the fragment do not give us the opportunity to argue more.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

აკაკი ჩიქობავა
თსუ

მევახშეობის პოლიტეკონომია ფეოდალურ საქართველოში

სესხი და ვალი კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველ ეტაპზე, საწარმოო ურთიერთობების ცვალებადობასთან ერთად სასესხო ვალდებულება ადამიანის პიროვნულ და ქონებრივ დამოუკიდებლობას განსაზღვრავდა, დაწყებული მონობიდან, დამთავრებული დღევანდელი გარემოებებით, როდესაც მართალია ადამიანი პირდაპირი გაგებით პიროვნულ თავისუფლებას არ კარგავს, მაგრამ შესაძლოა (ასეც არის კიდეც) დაკარგოს უკანასკნელი საცხოვრისი ან მისი არსებობისთვის აუცილებელი საწარმოო საშუალებები.

სავახშო კაპიტალი საქართველოში ძველი დროიდანვე რომ მძიმე პირობებთან და თავისუფლების დაკარგვასთანაა ასოცირებული, სჩანს XI საუკუნის ერთი ქადაგებიდანაც: **„გლახაკ ხარ, არამედ თავისუფალ ხარ, უკეთუ ისესხო, გაველარმდიდრდე და თავისუფლება წარმავალ არს...“.**[1]

საქართველოში პირობითად სესხი/ვალის განვითარების 5 ეტაპი შეიძლება გამოვყოთ. 1. ფეოდალური ეპოქის სასესხო ვალდებულებები, რომელიც სამევახშეო ხასიათს ატარებდა. 2. XIX საუკუნეში, წინა პერიოდიდან შემორჩენილი ფორმები, თამასუქთან ერთად საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, სათავადაზნაური ბანკი და სხვა. 3 1918-1921 წლების საბაკნო სისტემა და სასესხო ურთიერთობები. 4. საბჭოთა ვალი. 5. 1992 წლიდან დღემდე არსებული საბანკო და სამევახშეო სისტემა. რა თქმა უნდა ამდაგვარი დაყოფა პირობითია, თუმცა ყველა ეტაპს დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ეტაპისთვის (საბჭოთა პერიოდის გამოკლებით), თანმდევია სამევახშეო კაპიტალის მძლავრი პარაზიტული თვისებები.

[1] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი II. თბ. 1956, გვ. 185.

ამჯერად ჩემი კვლევის ინსტერესს წარმოადგენს ფეოდალური ეპოქის საქართველოში სესხი/ვალის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. წინამდებარე სტატია ემსახურება მომავალისთვის დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგიურ მონახაზს. ქართულ ისტორიოგრაფიაში სესხი/ვალის ტერმინოლოგიის გარკვევას ივანე ჯავახიშვილი შეეცადა, ამიტომ ცნობის სახით მოვიხმობ იმ სიტყვათა სემანტიკურ დატვირთვას, რომელიც ივანე ჯავახიშვილს შესაბამის ნაშრომში აქვს მოცემული.

ადრეული წყაროებიდან ირკვევა, რომ ვალთან ერთად იხმარებოდა ტერმინი თანანადები, ასევე ვასხი და სესხი.[2] ივ. ჯავახიშვილის გამნარტებით, სარგებლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ტერმინი ვახში. ფალაურად „ვახშ“ სარგებელს, ხოლო ზენდურად კი მატება/ზრდას ნიშნავს.[3] სიტყვა ვახშის დამკვიდრებამდე ქართულ რეალობაში გამოიყენებოდა ტერმინი აღნადგინები.[4] იპოთეკის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა – „წინდი“, წინდად მიცემა, მის მაგიერ ასევე იხმარებოდა ტერმინი ნახუთევი, რომელიც სიტყვა ხუთვადან უნდა მომდინარეობდეს და მისი სოციალური ბუნება სასვებისთ გასაგებია.[5]

კრედიტისა და ვალის ისტორიას მოკლედ ეხება ნიკოლოზ ქოიავა, შესანიშნავ ნაშრომში, „ფულის მიმოქცევა და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“[6]. მართალია აღნიშნული ნაშრომი მეორე თავი კონკრეტული პერიოდით და გეოგრაფიული არეალითაა შემოსაზღვრული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ განხილული დაკრედიტების ისტორია და მასთან დაკავშირებული ისტორიები მეტწილად განხილულია ვახტან ბატონიშვილის სამართლის მუხლების მიხედვით. აღნიშნული სამართალი კი მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური დაჭუცმაცებულობისა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გამოიყენებოდა ადგილობრივი მეფე-მთავრების ბრძანებებთან ერთად.

ცალკე გამოყოფის ღირსია, პაატა გუგუშვილის ნაშრომი „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში.

---

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვეთი II. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 322.

[3] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვეთი II, გვ. 326.

[4] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვეთი II, გვ. 327.

[5] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვეთი II, გვ. 311-333.

[6] ნ. ქოიავა. კრედიტი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. ფულის მიმოქცევა და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ. 1966, გვ. 77-103.

ტომი მეორე“,[7] რომლის მეორე ნაწილში განხილულია ფულისა და კრედიტის მნიშვნელობა, მევახშეობის არსი, ზოგადად მევახშეობის პოლიტეკონომია, კრედიტის ევოლუცია XIX საუკუნემდე, პირველი საკრედიტო ორგანიზაციები და ა.შ.

გლობალურად ვალის ისტორიას ამ ბოლო დროს შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა ამერიკელმა ანთროპოლოგმა დევიდ გრებერმა, სადაც განხილულიავალის ჩამოყალიბების და განვითერების ისტორია სხვა და სხვა ცივილიზაციების მაგალითზე, რა განსხვავებები და საერთო ნიშნები ახასიათებს კონკრეტულ ეკონომიკურ რეგიონებს და რა ტიპის ისტორიულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.[8]

ვალი და საკრედიტო საქმიანობა უძველესი დროიდანაა ცნობილი. ძვ.წ. 594 წელს სოლონის კანონების საფუძველზე რეფორმა გატარდა, რომლის მიხედვითაც ვალები ბათილად იქნა გამოცხადებული, ვალში ჩადებული მიწებს კი გირავნობა მოეხსნათ. მსხვილ მიწათმფლობელათა ხელში მოხვედრილი სამიწო ფონდი კვლავ წვრილ მფობელებს დაუბრუნდათ, მიწიდან აყრილები და ქვეყინიდან გადასახლებულები, ისევ საკუთარ მიწას დაუბრუნდნენ. ამგვარი რადიკალური ზომების მიღება, როგორც ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავს, მხოლოდ საკუთრების უფლების ხელყოფითაა შესაძლებელი: ,,ყველა ეგრეთწოდებული რევოლუცია, პირველიდან უკანასკნელამდე, იმის გულისთვის მოხდა, რომ დაცულიყო ერთი სახის საკუთრება საკუთრების მეორე სახის კონფისკაციით, ... ეჭვგარეშეა, რომ კერძო საკუთრებამ ორი ათას ხუთასი წელის მანძილზე გაძლება მხოლოდ საკუთრების უფლების შებღალვით შეძლო“.[9]

ამრიგად, ვალიდან გათავისუფლებულ მწარმობელს გაეხსნა გზა ახალი კერძო საკუთრების ფორმებისკენ. ფეოდალურ ეპოქაშიც, როგორც დღეს, მევახშეობა არ ემსახურებოდა პროგრესს, შესაბამისად ის იწვევდა მეურნეობის დაცემას და გლეხის მდგომარეობის უფრო და უფრო გაუარესებას. კარლ მარქსის სიტყვებით: „მევახშეობა ერთის მხრივ, არღვევს და ანადგურებს ანტიკურ და ფეოდალურ სიმდიდრეს და ანტიკურ და ფეოდალურ საკუთრებას ... თუმცა არ ცვლის წარმოების წესს ... კაპიტალიზმამდელი წარმოების წე-

[7] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი II.

[8] David Greaber. Debt: The First 5000 Years. Brooklyn. Melville House. 2012.

[9] ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტომი მეორე. თბ. 1950, გვ. 318-319.

სის არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმით, რომ იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე ბაზისზე და ერთიდაიმავე ფორმით განუწყვეტლივ კვლავწარმოქმნაზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება."[10]

მარქსისვე სიტყვებით, კაპიტალისტური წარმოების წინარე ფორმებში მევახშეობა არსებობს ორნაირი ფორმით: 1. ფული სესხად გაიცემა დიდებულებზე და 2. სესხი გაიცემა წვრილ მწარმოებელზე, როგორც ხელოსანზე, ასევე მიწის წვრილ მესაკუთრეზე. ამდაგვარი სამევახშეო საქმიანობა აჩანაგებს კონკტერული ეპოქის მეურნეობას, თუმცა ისმის კითხვა, რამდენად სპობს ის იმ დროს არსებულს წარმოების წესს? მისივე დასკვნით ეს დამოკიდებულია ისტორიის განვითარების საფეხურსა და გარემოებებზე.[11]

მევახშეობას და სავაჭრო კაპიტალის არსებობას კონკრეტული ისტორიული მოცემულობა განსაზღვრავს, მისი არსებობისთვის: **„აუცილებელია მხოლოდ ერთი რამ: პროდუქტის ერთი ნაწილი მაინც საქონლად უნდა გადაიქცეს**...", ხოლო მისი განვითარება დაკავშირებულია **„ვაჭრის კაპიტალის განვითარებასთან და სპეციალურ ფულად-სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან**..."[12]

როგორ უნდა გადაიქცეს პროდუქტი საქონლად კაპიტალისტური წარმოების წინა ფორმაციაში, კერძოდ ფეოდალურში? რა ტიპის პროდუქტი შეიძლება გადაიქცეს საქონლად? მარტივად რომ ვთქვათ საქონელს გააჩნია სახმარი და საცვლელი ღირებულება. ნივთი შესაძლოა იყოს სახმარი ღირებულება, თუმცა არ შეიცავდეს ღირებულებას. ნივთი შეიძლება ადამიანის შრომის შედეგად იყოს შექმნილი, მაგრამ არ იყოს საქონელი: **„ვინც თავის შრომის პროდუქტით თავის საკუთარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სახმარ ღირებულებას ქმნის და არა საქონელს. საქონელის საწარმოებლად საჭიროა მან შექმნას არა მარტო სახმარი ღირებულება, არამედ სახმარი ღირებულება სხვისთვის, ანუ საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება**".[13] ამ კონკრეტულ

---

[10] კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე. ნაწ. II წიგნი III. კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი. თბ. 1959, გვ. 171-172.

[11] კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, გვ. 169.

[12] კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, გვ. 168.

[13] კ. მარქსი. კაპიტალი. წიგნი პირველი. განყოფილება პირველი. საქონელი და ფული. ტომი პირველი. თარგმნილი გერმანულიდან მალაქია ტოროშელიძის რედაქციით. ტფ. 1930, გვ. 8.

თეზას ხშირად გაუგებრობა შემოჰქონდა, თითქოს მარქსი თვლიდა, რომ პროდუქტი, რომელსაც მოიხმარს ადამიანი, რომელიც მისი შემქმნელი არ არის ე.ი. წარმოადგენს პროდუქტსო, ამიტომაც ფ. ენგელს შეჰქონდა მეტი სიცხადე: **„და არა მხოლოდ სხვისთვის ზოგადად. ნაწილი პურის მოსავლისა, რომელიც საშუალო საუკუნების გლეხს მოჰყავდა, ღალის სახით ბატონს მიჰქონდა, ნაწილი მეათედის სახით – მღვდელს, მაგრამ არც ღალა და არც მეათედი არ გადაქცეულა საქონლად იმის გამო, რომ იგი დამზადებული იყოს სხვისთვის. პროდუქტი რომ საქონლად იქცეს, უნდა გაცვლის საშუალებით გადავიდეს იმის ხელში, ვისთვისაც იგი სახმარ ღირებულებას წარმოადგენს.“**[14]

ამ ციტატების მოხმობა იმისთვის დამჭირდა, რომ სწორად მათზე დაყრდნობით კონკრეტული მსჯელობა უნდა განვავითარო, იმ ისტორიული მოცემულობის შესახებ, რომელმაც შესაძლებელი გახადა შუა საუკუნეების საქართველოში მეეახშეობის და სავახშო კაპიტალის არსებობა.

ფეოდალურ წარმოების წესში ბეგარა (რენტა) სამი ფორმით გვხვდება: 1. შრომა-მიგებითი, 2. ნატურალური და 3. ფულადი. სამივე ეს ფორმა შეიძლება თანადროულად შეგვხდეს, თუმცა კონკრეტულად ერთის დომინაცია ყოველთვის შეინიშნება, რისი მიხედვითაც წარმოების წესის განვითარების გარკვეული პერიოდიზაცია შეიძლება მოვნიშნოთ.[15] წინარე კაპიტალისტურ წარმოების წესში ზედმეტი ღირებულება ზედმეტი შრომის ეკვივალენტია, როდესაც გლეხი ბატონისთვის დამატებით შრომას ასრულებს, ანუ მიტაცებულ შრომას (გადაუხდელი შრომა, უეკვივალენტო).[16]

გლეხი, თავის საარსებო საშუალებებს თვითონვე აწარმოებს. საკუთარ თავს მის მიერვე წარმოებული პროდუქტებით ამაყოფილებს. ამ პირობებში როგორ და რანაირად უნდა იქცეს პროდუქტი საქონლად, რომელიც ვაჭრობისა და მევახშეობის აუცილებელი პირობაა? როგორც თავის დროზე, შრომა-მიგებითი ბეგარა გარდაიქმნა ნატურალურ (პროდუქტის სახით) ბეგარაში,

[14] კ. მარქსი. კაპიტალი. წიგნი პირველი. განყოფილება პირველი. საქონელი და ფული. ტომი პირველი, გვ. 8 (სქოლიო 11ა).

[15] კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, გვ. 399-425.

[16] აკ. ჩიქობავა. ქართული ფეოდალიზმის პოლიტეკონომიური საკითხები (თავი VI). განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით. თბ. 2019, გვ. 100-126.

ისტორიული კანონზომიერება ითხოვს, რომ ის ფულად ბეგარაში გარდაიქმნას. გარკვეულ ეტაპზე აღარ არის საკმარისი ნატურალური ბეგარა, გლეხმა უკვე ბატონს მისი ეკვივალენტი ფასი უნდა გადაუხადოს ფულის სახით. ამ შემთხვევაში, პროდუქტის ნაწილი უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქონლად გარდაიქმნება.[17] ადრეულ ეტაპზე, როდესაც ფულადი მიმოქცევა ძალიან სუსტია, ბეგარის მცირე ნაწილის ფულად მოთხოვნა, სწორედ პროდუქტის საქონლად გარდაქმნის ჩანასახოვან ფორმას უნდა ასახავდეს. ქართული სამართლის ძეგლებში მოიპოვება ცნობები, როდესაც ბეგარა პროდუქტის პარალელურად ფულადი სახითაც არის შეწერილი, მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთ დოკუმენტს, დაწერილი საკათალიკოსო სოფლების შესავლისა: **„შე]დგომაჲ; დრ[ა]მ[აჲ] ე; ქრთილ[ი] კაბიწ[ი] ა; შედგომაჲ; ვეცხლი დრამაჲ გ; ქრთილი კაბიწ[ი] ბ; .. ჟინოვანს დგომაჲ დღე-ღამე გ; ვეცხლი დრამაჲ ლდ; ქრთილი კაბიწი ე...“**[18]

ა. თაბუაშვილის აზრით, XVII-XVIII საუკუნეებში ზოგიერთი ფეოდალური ბეგარა და სახელმწიფო გადასახადი, რომ ფულის საიხით იკრიბებოდა, სწორედ რომ გლეხის ბაზართან კავშირზე უნდა მიუთითებდეს, რადგან ფულადი გადასახადი სავაჭრო ურთიერთობაში ჩართვის გარეშე წარმოუდგენელი იყო.[19]

თუ ამ მსჯელობას გავყვებით, გამოდის რომ ფულადმა ბეგარამ და სახელმწიფო გადასახადმა გლეხის შრომა-მიგებითი და ნატურალური ვალდებულება, მათ მიერ მოწეული პრიდუქტის გასაქონლება გამოიწვია. შრომა რომ XVIII საუკუნეში უკვე საქონელს წარმოადგენს ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. დღიურმა შრომამ გარკვეული ფასი შეიძინა, და ის სავალო ურთიერთობაში უკვე, როგორც სარგებლის ფორმა შემოდის.

საქართველოში ფეოდალური წარმოების წესის საბოლოო გამარჯვების პეროდი IX-X საუკუნეებზე მოდის, თუმცა ამავე პერიოდში შეიძლება იყოს გამონაკლისები, როდესაც თავისუფალი წვრილი მწარმოებელი ჯერ კიდევ არსებობს, მთაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ამგვარი საკუთრების ფორმები. მართალია საერთო სათემო საკუთრება მოგვიანო პერიოდშიც გვხვდება, თუმ-

[17] კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, გვ. 418.

[18] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 73-75.

[19] ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 2020, გვ. 103-106.

ცა მისი რღვევის საფუძველზე ბარში წარმოშობილი ატომიზებული მეურნეობები ახალი საწარმოო ურთიერთობების მსხვერპლი ხდება. გაგლეხების პროცესში, თავისუფალი მწარმოებელი ძალმომრეობის შედეგად კარგავს მიწას და პირად თავისუფლებასაც. ამდაგვარი ურთიერთობების პირობებში ფულადი მეურნეობის განუვითარებელი დონე სავაჭრო კაპიტალის მცირე მასშტაბით არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა ის სავაჭრო კაპიტალის ხელში უნდა ყოფილიყო აკუმულირებული. ვაჭრობა იმ დროს კორპორატიულ საქმიანობას წარმოადგენდა და ხშირად ამდაგვარი ერთობები ეკლესიის შიგნითაც არსებობდა, ეკლესიას თავისი სავაჭრო კორპორაცია გააჩნდა, რომელიც პერიოდულად ბაჟისგანაც ყოფილა გათავისუფლებული. გიორგი III-ის სიგელიდან, რომელიც შიო მღვიმის მონასტრისადმია გაცემული, ვკითხულობთ: **„ეგრეთვე წ(მიდ)აი იგი უდაბნოი მღუიმე პ(ირველა)დ და მერე საქონებელნი მათნი უბაჟონია ჩ(უე)ნსა სამეფოსა შიგან ყ(ოვე)ლგან და ჩ(უე)ნცა გაგუითავისუფლებია ბაჟისაგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი“.**[20] აქ ბაჟი ზოგადი გადასახადის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს, თუმცა ერთი რამ ნათელია, მღვიმის მონასტერი საკუთარ ვაჭრებს ფლობენ, მათი ბაჟისგან გათავისუფლება, ვაჭრობის მოგებას გაზრდიდა, მზარდი აკუმულირებული სავაჭრო კაპიტალის გადრაქმნა სავაჭრო კაპიტალში კი ამგვარი ურთიერთობების კანონზომიერებას წარმოადგენს.

სავაჭრო კაპიტალი რომ მყარად იყო შეჭრილი სამონასტრო ცხოვრებაში კარგად სჩანს ვაჰანის ქვაბების განგების აკრძალვიდან: **„არავის ძმათაგან ჭელეწიფების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარღულება ღუინისა, გინა რაისაცა სხვისაი. არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაი სახმართაჲ მსოფლიოთა გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლთა გლახაკთაჲ განმდიდრებაჲ,რომელი ესე დიდისა უწესობისა არს საზღვარ და დასასრულ ანგაჰარებითისა სიბოროტისა და ვაჭრობისა უძჳრეს არს.“**[21]

ვაჭრობა და მევახშეობა, რომ უძრახ საქმეს წარმოადგენდა ნათელია ზემოთ მოყვანილი მუხლიდან. განსაკუთრებულად ერთი რამ არის აღსანიშნავი, რომ მევახშეობაში გამოყოფილია მისი მორალური გახრწნილებისა და ეკონომიკურად გამაჩანაგებელი ხასიათი, რადგან მონასტრის განგება პირდა-

[20] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 68.

[21] განგება ვაჰანის ქუაბთა (1204-1234 წწ.). ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III: საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძე. თბ. 1970, გვ. 141.

პირ მიუთითებს, რომ გაჭვირვებულისა და გლახაკის ხარჯზე გამდიდრება ყოვლად მიუღებელი საქციელია.

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეკლესია ჩართული იყო დაკრედიტების საქმიანობაში. ე.წ. ნიკორწმინდელის დაწერილი, XI საუკუნის დოკუმენტია, ვარაუდობენ, რომ ირიბად პირველად აქ უნდა იყოს ნახსენები ვალთან დაკავშირებული ურთიერთობები:

„მუნვე, ცხილათს, მოვიგე მიწაჲ და მივეც მათვე საკაბალოდ, და მოწამე არიან კაცნი.“[22]

როგორც ვარაუდობენ მოგება ყიდვისგან განსხვავებული ფორმაა, ამიტომ მოგება შეიძლება ვალში აღებასაც გულისხმობდეს. შესაბამისად ვალში აღებული მიწა მათვე მიეცათ საკაბალოდ. თავისუფალი მწარმოებელი (დასაშვებია ის პიროვნულად სხვისი საკუთრება ყოფილიყო) ვალის გადაუხდელობის გამო კარგავს საკუთრებას, შემდგომ კი სავარაუდებელია, რომ ისინი პიროვნულ თავისუფლებასაც კარგავენ[23]. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზემოთ განხილულ პროცესებთან. ერთი საკუთრების ფორმის ხელყოფით, ხდება უკვე ფეოდალური საკუთრების გაფორმება. გვაქვს თუ არა მასშტაბურად წარმოების წესის ცვლილებასთან საქმე რთული სათქმელია, მაგრამ ამ პერიოდისთვის თავისუფალი მწარმოებლის თითქმის სრული გაგლეხება/დაყმევება სახეზეა, ამ პროცესში სხვა ტიპის ძალმომრეობასთან ერთად ვალის გადაუხდელობასაც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა.

ის რომ ვალის სანაცვლოდ ქონების მითვისება ხდება, ამავე დოკუმენტის სხვა მუხლიდანაც სჩანს:

„ქველაჲსძესა შვილთაგან ავიღე საზღავად მიწაჲ შხროს ზ(ედ)ა რუისძესა თანა, და მოწამე არიან კაცნი.“[24]

სხვა მუხლებში სადაც მონასტრის წინამძღვარი საზღაოდ რაიმე ნივთს თუ ქონებას იღებს, ყოველთვის მითითებულია მიზეზი, რის სამაგიეროდ მიაქვს საზღაო, ერთგან მოპარული ცხენის საზღაურია, მეორეგან, ვინმე მღილას დაუჭრია ეკლესიის კაცები და ა.შ.[25]

ჩემი დაკვირვებით, რადგან ქველაისძისგან წაღებული მიწის საზღაურის დაკონკრეტება არ ჩანს, საქმე უნდა გვქონდეს სავალო ურთიერთობასთან.

[22] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 43.

[23] მ. ბერძნიშვილი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კლასობრივი ბრძოლა. გვ. 31-32.

[24] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 41.

[25] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 40-41.

აქ ორი სავარაუდო გარემოების გამოყოფა შეიძლება: 1. ქველაიძის შვილთაგან წაღებული მიწა ნაწილობრივ თანა ედვათ, ანუ საწილოდ ჰქონდათ რუსისძესთან. 2. დასაშვებია, რომ რუსისძე ეკლესიის კაცია და მის მიერ გაცემულ ვალის სანაცვლოდ ხდება მიწის წაღება, რადგან პატრონს უფლება უნდა ჰქონოდა თავისი ყმის ვალზეც. ქართულ სამართალში მიღებულია ნორმა, თუ გლეხი იღებს ვალს, მას ბატონი უნდა ჩაუდგეს თავდებად, რადგან ვალის სანაცვლოდ ჩადებულ ქონებაზე ბატონის უფლება ძირითად შემთხვევაში შეუზღუდავია, თუ ეს მიწა არ წარმოადგენს პარტახისგან გაშენებულს.

[3] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 350; ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 488; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 393.

შემოჭრილი ავ-გიორგი ძალისის ხევში დაატყვევა და თავის მიერ აშენებულ მტუერის[4] ციხეში გამოკეტა. იმავე წელს ციხეში ტყვედ მყოფი კახეთის მეფე დაახრჩვეს.[5] ბაგრატ მუხრანბატონი აქტიურად მონაწილეობდა დავით X-ის მიერ კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაში.[6]

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი, ქვეყნის 1529 წლის (ქორონიკონი ს ˜იზ) შიდა ამბების გადმოცემისას აღნიშნავს, „ამასვე ჟამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა, და უწოდეს სახელად გერასიმე. და ბაგრატცა, ძმა მეფისა დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა და უწოდეს სახელად ბარნაბე“.[7]

ვახუშტი ბატონიშვილთან, საქართველოში შაჰ თამაზ I-ის პირველი ლაშქრობის ამბის გადმოცემისას, იქ, სადაც საუბარია სეფიანი შაჰის მიერ თბილისის მეციხოვნეთა გამუსლიმების შესახებ, ეკითხულობთ: „... ამისა შემდგომად მინაზონ იქმნა ბიძა მეფისა ბაგრატ, მპყრობელი მუხრანისა, ქ ˜სა ჩ ˜ფლთ, ქარ. ს ˜კზ ...“[8] (ჩ ˜ფლთ//1539 წ.).

ეყრდნობა, რა ვახუშტის ცნობას, ივ. ლოლაშვილი ვარაუდობს, რომ ბაგრატმა თავისი ნაშრომი შემონაზვნების, 1539 წლის შემდეგ დაწერა.[9] თუმცა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სპარსულენოვან წყაროებზე დაყრდნობით, როგორიცაა ჰასან რუმლუ, შერეფ-ხან ბითლისი საქართველოში შაჰ თამაზ I-ის პირველად შემოჭრის თარიღად 1541 წელია გაზიარებული.[10] აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ბაგრატ მუხრანბატონი ბერად

---

[4] იგივე მტკვრის ციხე – ქსნის ციხე

[5] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 351; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, გვ. 489-490; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 394.

[6] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 351; ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი, გვ. 490; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 394, 396; ვ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ. 1973, გვ. 95-96.

[7] ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი, გვ. 493-494. საეჭვოდ მიგვაჩნია დასახელებული წყაროს ეს ცნობა. რეალურად, გიორგი IX ხელისუფლებას 1527 წელს ჩამოშორდა, რის შემდგომაც ტახტზე ლუარსაბ I (1527-1556) ავიდა. ისიც ადვილი დასაშვებია, რომ გიორგის და ბაგრატის შემონაზვნება ნებაყოფლობითი არ ყოფილიყო.

[8] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 402.

[9] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.). გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბ. 1982, გვ. 11; ბ. დარჩია ვარაუდობს, რომ ბაგრატ ბატონიშვილმა ნაშრომი ბერად აღკვეცამდე დაწერა. იხ. ბ. დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), გვ. 43.

[10] ვ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, გვ. 105.

1541 წლის შემდეგ უნდა აღკვეცილიყო და თავისი ნაშრომიც ამის შემდეგ უნდა დაეწერა.

თხზულების დაწერის მიზეზი იდეოლოგიური კონფრონტაცია და აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ შიიტური ისლამის გააქტიურება იყო, რაც თბილისში ჯაფარიტული მაზჰაბის გაძლიერებით გამოიხატებოდა. XVI ს. I ნახევრის მოვლენებმა – 1522 წ. შაჰ ისმაილ I-მა ბაგრატის ძმას, დავით X-ს გამუსლიმება მოსთხოვა,[11] რაც ჯიჰადის მოძღვრების შესაბამისად მოხდა, შემდეგ დივ-სულტან რუმლუმ[12] თბილისში შიიტური მეჩეთი განაახლა, დაბოლოს, შაჰ-თამაზ I-მა თბილისის მეციხოვნეები სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით აიძულა ისლამი ეღიარებინათ,[13] ცხადად აჩვენა, რომ ისლამი ქართული საზოგადოების მიმართ აგრესიული ფორმით გამოვლინდა. ბაგრატ ბატონიშვილი ამ პროცესების თვითმხილველია და ცხადია, შიიტური ისლამიდან მომდინარე საფრთხე, როგორც სამეფო ოჯახის წევრსა და აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს, სწორად ჰქონდა დანახული და შეფასებული.

ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომი, თავის დროზე, ქართულ მეცნიერებაში ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და ფილოლოგიური კვლევის საგანი გახდა. თხზულებამ მეცნიერთა ყურადღება მასში დაცული „იაგაზისა“ და „დარეჯანიანის“ იდენტობისა და ბიბლიის ქართველ მთარგმნელთა შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობებით მიიპყრო.

ბაგრატ მუხრანბატონის თხზულებით პირველად ზ. ჭიჭინაძე დაინტერესდა. მან მოკლედ განმარტა თხზულების არსი.[14] ნაშრომის პირველი მეცნიერული შესწავლა კი ნ. მარს ეკუთვნის, რომელმაც თხზულების ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები რუსული თარგმანითა და კომენტარებით გამოაქვეყნა.[15] ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომზე დაყრდნობით მეცნიერი ას-

[11] ვ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, გვ. 100; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 397.

[12] დ. კაციტაძე. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან,. თსუ შრომები. ტ. 108,. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. თბ. 1964 გვ. 385-395.

[13] ვ. გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, გვ. 105; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბ. 1966, გვ. 23.

[14] ზ. ჭიჭინაძე. ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე. ტფ. 1885, გვ. 27.

[15] Н. Марр. Из книги царевича Баграта о грузинских переводных сочинений и героической повести «Дареджаниани». Известия Имераторской Академии наук. 1899. Февраль. X. №2, გვ. 233-246.

კვნის, რომ ამირანდარეჯანიანი არის არა ორიგინალური ქართული, არამედ სპარსულიდან თარგმნლი თხზულება.[16] ნ. მარის ამ მოსაზრებას იზიარებს ივ. ჯავახიშვილი[17] და კ. კეკლიძე.[18] აღნიშნული მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა მ. ჯანაშვილმა,[19] ხოლო ა. ბარამიძემ „ყისაი ჰამზასა“ (//იაგაზი) და „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტების დეტალური შედარების შედეგად, გამორიცხა, რომ პირველი ყოფილიყო მეორეს დედანი,[20] თუმცა, იქვე მხარი დაუჭირა ნ. მარის მოსაზრებას.[21] აღნიშნული საკითხის კვლევას ხელახლა შეეხო კ. კეკელიძე, რომელმაც პირვანდელი მოსაზრება უარყო.[22]

ივ. ლოლაშვილს მიაჩნია, რომ „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა“ აღორძინების ხანის ერთ-ერთი ადრინდელი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წყაროა, რომელმაც გავლენა მოახდინა შემდგომი დროის ანალოგიურ ძეგლებზე. მან ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომი გამოიკვლია, როგორც ბიბლიოგრაფიული წყარო და იგი არასანდოდ მიიჩნია.[23]

ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომი ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით ჯ. ჭუმბურიძემ შეისწავლა და აღნიშნა, რომ „ბაგრატ მუხრან-ბატონის პოზიცია გამოხატულია იმ ქართული საეკლესიო (და ზოგ შემთხვევაში საერო) წრეების თვალსაზრისით, რომლებიც ქრისტიანული რელიგიის სიმაღლეებიდან უყურებდნენ არა მარტო უცხოური წარმოშობის, არამედ ზოგჯერ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ საერო ლიტერატურულ ძეგლსაც.“[24]

ბაგრატ მუხრანბატონის თხზულებაში დაცულ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს საგანგებოდ ეხება ბ. დარჩია. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ბაგრატს ეკუთვნის ამ ტექსტის პირველი ნაწილი, სადაც საუბარი ზოგადია, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც, ასე თუ ისე, თითოეულ მთარგმნელს ეხება, სხვის მიერ შემდეგ არის

---

[16] Н. Марр. Из книги царевича Баграта о Грузинских переводных сочинений и героической повести «Дареджаниани», გვ. 246.

[17] ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. ტფ. 1904, გვ. 36-38.

[18] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1924, გვ. 54-55.

[19] მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა. ტფ. 1909, გვ. 128.

[20] ა. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1945, გვ. 15-27.

[21] ა. ბარამიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 23.

[22] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1941, გვ. 77; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1958, 74-75.

[23] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გვ. 4-17.

[24] ჯ. ჭუმბურიძე. ქართული კრიტიკის ისტორია. ტ. I. თბ. 1974, გვ. 32.

ჩამატებული.“[25] მეცნიერი საკითხთან დაკავშირებით განიხილავს ნ. მარის,[26] კ. კეკელიძისა[27] და ივ. ლოლაშვილის[28] მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც ბაგრატ მუხრანბატონს მიაჩნდა, რომ I ქართველებმა ძველი აღთქმის წიგნები ებრაულიდან თარგმნეს და II ნაშრომში დასახელებული ქართველი მთარგმნელები (დავითი, სტეფანე, არსენი და სხვები) მუჰამადის წინა პერიოდის მოღვაწეები იყვნენ. ეს ინფორმაცია აღნიშნულ მკვლევრებს თხზულების ავტორის მიერ დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომად მიაჩნიათ. ბ. დარჩია ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომის ტექსტის სინტაქსურად გამართვის შედეგად თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ ბაგრატი სულაც არ გულისხმობდა, რომ ქართველებმა ძველი აღთქმა ებრაულიდან თარგმნეს და ასევე, ეს მთარგმნელები VII საუკუნეზე ადრინდელ მოღვაწეებად არ მიაჩნდა. ბ. დარჩია მთლიანად უარყოფს მეცნიერთა მოსაზრებას XVIII საუკუნეში ბაგრატის თხზულებაზე დამატებით ბიბლიოგრაფიული ცნობების დართვის შესახებ. მეცნიერი ასკვნის, რომ ბიბლიოგრაფიული ცნობები ბიბლიური წიგნების ქართველ მთარგმნელთა შესახებ, რომელიც მოცემულია ბაგრატ მუხრანბატონის პოლემიკურ ნაშრომში, მთლიანად ავტორს ეკუთვნის და „მათში, ცოტაოდენი უზუსტობის გარდა, რაიმე სერიოზული შეუსაბამობა თუ წინააღმდეგობა არ არსებობს.“[29]

ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომი „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა...“[30] ჩვენამდე მოღწეული პირველი ორიგინალური, ანტიშიიტური პოლემიკური თხზულებაა. იგი, როგორც ისლამმცოდნეობითი წყარო, დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.[31] ნაშრომი მნიშვნელოვან და ორიგინალური მასალას შეიცავს ისლამის რელიგიური მოძღვრებისა და ისლამის მქადაგებლის შესახებ. მასში სათანადოდაა განხილული ისლამისა და არაბეთის ისტორია.

---

[25] ბ. დარჩია. ბაგრატ მუხრანბატონის ბიბლიოგრაფიული ცნობები. მწიგნობარი 99. თბ. 1999, გვ. 93 (გვ. 91-99).

[26] ბ. დარჩია. ბაგრატ მუხრანბატონის ბიბლიოგრაფიული ცნობები, გვ. 93-94.

[27] ბ. დარჩია. დასახ. ნაშრ. გვ. 94-95.

[28] ბ. დარჩია. დასახ. ნაშრ. გვ. 94-95.

[29] ბ. დარჩია. დასახ. ნაშრ. გვ. 98-99.

[30] ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ბ. დარჩიას ნაშრომში „ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ).“ თბ. 2011, გვ. 137-184, მაგრამ ჩვენ მთელი რიგი მიზეზების გამო ვიყენებთ S-1338 და S-126 ნუსხებს.

[31] ბ. დარჩია შეეხო ბაგრატ მუხრანბატონის თხზულებაში ისლამთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს და მნშვნელოვანი დაკვირვებებიც აქვს, თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ საჭიროა ეს საკითხები სპეციალისტებმა შეისწავლონ. იხ. ბ. დარჩია. ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), გვ. 44-101.

ჩვენი კვლევის მიზანია ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომი განვიხილოთ და შევისწავლოთ, როგორც XVI ს. I ნახევრის ქართული ისლამმცოდნეობითი წყარო; მასში არსებული ინფორმაცია შევადაროთ ისლამის კანონიკურ კოდექსებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ ფაქტებს ისლამის ისტორიის, მუჰამადის ცხოვრებისა და მუსლიმური მაზჰაბების შესახებ; დავადგინოთ ბაგრატ მუხრანბატონის მიერ გამოყენებული წყაროები და მათი წარმომავლობა; ვაჩვენოთ აღნიშნულ ეპოქაში არსებული ის ცოდნა და განწყობა, რომელიც ქართულ საზოგადოებას ისლამთან დაკავშირებით ჰქონდა.

ბაგრატ ბუხრანბატონის თხზულება ორი ნაწილისაგან – ისლამის ისტორიისა და სიტყვისგებისგან შედგება. თხზულება მოიცავს არაბთა ყოფის ისლამამდელ და ისლამის შემდგომდროინდელ ისტორიას. ნაშრომი ოთხ სეგმენტს შეიცავს: I – ინფორმაცია არაბთა ეთნარქის – ისმაილის წარმომავლობისა და მისი შთამომავლების შესახებ, II – განიხილავს ისლამის ისტორიას, III – ძველი აღთქმის სიუჟეტებისა და მუსლიმური ტრადიციების კრიტიკულ ურთიერთშედარებას, IV სეგმენტი არის სიტყვისგება – პოლემიკა მართლმადიდებელ ქრისტიანსა და შიიტ მუსლიმს შორის. თხრობა ძირითადად არათანმიმდევრულია. იგი არა ქრონოლოგიას, არამედ, საკითხების განხილვას მიჰყვება. ხშირად ავტორი ერთიდაიმავე საკითხს რამდენჯერმე ეხება.

ბაგრატ მუხრანბატონის დამოკიდებულება ისლამისა და მისი მქადაგებლის მიმართ უკიდურესად კრიტიკულია. მთელი ნაშრომი აგებულია იმ პრინციპზე, რომ ავტორი ისლამის მოძღვრებას ღვთის გმობას, „ცარიელ მოძღვრებას“[32], ხოლო მუჰამადს ღვთის მგმობელს, უღვთოს, მწვალებელს, უსჯულოსა და ა. შ., მუსლიმებს კი ეშმაკის მსახურებს, „ველურ ისმაიტელებს“[33] და „ბილწ მაჰმადიანებს“[34] უწოდებს. ავტორი აღნიშნავს, რომ აქლემების მწყემს მუჰამადს არაფერი დაეჯერება.[35]

„მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა“ ახსენებს ისლამამდელ არაბთა ისტორიის წიგნს, რომელსაც „იაგაზი“ ეწოდება. მასში მოთხრობილი არაბთა საგმირო ისტორიები, ბაგრატ მუხრანბატონს გაზვიადებულად მიაჩნია. „იაგაზის“ გარკვეული ნაწილი „გარეშეთა კაცთა მიერ“ ქართულადაც ყოფილა თარგმნილი და მას „დარეჯანიანს“ უწოდებდნენ. „ხ˙(ოლო) წიგნი იგი

[32] ხეც. S-1338, გვ. 20.
[33] ხეც. S-1338, გვ. 21.
[34] ხეც. S-1338, გვ. 77.
[35] ხეც. S-1338, გვ. 77.

რ˜(ომე)ლსა ყ˜(ოვე)ლნი იაგაზ(ა)დ უწოდებენ სარკინოზნი ამათ ისმაიტელთა ცხოვრება არს და მის წიგნსა მცირედი რამე ნაწილი თარგმნილ არს ენასაცა ჩუჱნსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ რ˜(ომე)ლსა დარეჳანიანად უწოდნენ.“[36] ბაგრატ მუხრანბატონი არ განმარტავს, თუ ვინ იყვნენ მის მიერ ნახსენები „გარეშე კაცები“. თუმცა, აღვილი მისახვედრია, რომ ავტორი მათში არაქართველებს უნდა გულისხმობდეს.

კ. კეკელიძის მოსაზრებით „გარეშე კაცები“ ერისკაცებს ნიშნავს.[37] თუმცა, „გარეშეს“ ასეთ დეფინიციას სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში ვერ მივაგენით. უნდა აღინიშნოს, რომ თეოდორე აბუკურა „გარეშე ფილოსოფოსებს“ არაქრისტიან ფილოსოფოსებს უწოდებს.[38] აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ბაგრატ მუხრანბატონის მიერ ნახსენები „გარეშე კაცები“ ეთნიკურ არაქართველს, არაქრისტიანს უნდა ნიშნავდეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ არაბულ ენაზე შექმნილი „იაგაზი“ (შესაძლოა, ამ თხზულების სპარსული თარგმანიც არსებობდა) თბილისის მუსლიმ თემში ინახებოდა და მისი გარკვეული ნაწილი ქართულ ენაზე მუსლიმების მიერ ითარგმნა და ქართულად დარეჳანიანი ეწოდებოდა.

„იაგაზში“ მოთხრობილ ისტორიებს ბაგრატ მუხრანბატონი სიცრუეს უწოდებს და დასძენს, რომ აგარის შთამომავლები იყვნენ „მუცლით მეზღაპრენი“[39] და რომ ისინი რეალურად, უდაბნოში ნადირებივით ცხოვრობდნენ, იკვებებოდნენ აქლემისა და ცხენის ხორცით, არ ჰქონდათ არც ტაძარი და არც საღვთო წიგნი, იყვნენ წარმართები და თაყვანს სცემდნენ კერპებს.[40] აქვე აღნიშნავს, რომ არაბები არ ჭამდნენ ღორის ხორცს[41] და ჰქონდათ წინდაცვეთის ტრადიცია.[42] როგორც ვხედავთ, ავტორს მოტანილი აქვს ისლამამდელი არაბების შესახებ ეთნოგრაფიული ცნობები.

ბაგრატ მუხრანბატონის მიზანს „ამირანდარეჳანიანის“ წარმომავლობის კვლევა არ წარმოადგენდა. მან მხოლოდ დააფიქსირა აღნიშნულ ეპოქაში ქართული მწიგნობარი საზოგადოების დამოკიდებულება „ამირანდარეჳანიან-

[36] ხეც. S-1338, გვ. 14.
[37] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, გვ. 68.
[38] ლ. დათიაშვილი. არსენ იყალთოელის თარგმანი თეოდორე აბუკურას ტრაქტატისა „სალმრთოსა და გარეშისა ფილოსოფოსობისათვის“. ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII სს). თბ. 1977, გვ. 21 (გვ. 20-40).
[39] ხეც. S-1338, გვ. 14.
[40] ხეც. S-1338, გვ. 15.
[41] ხეც. S-1338, გვ. 16.
[42] ხეც. S-1338, გვ. 17.

ის“ წარმომავლობის მიმართ, რომელსაც იაგაზიდან თარგმნილად მიიჩნევდნენ, ეს უკანასკნელი კი არაბთა ისტორიად მოიაზრებოდა.

თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აბრაამის (//იბრაჰიმი), მისი ცოლის – სარას და მხევლის – აგარის შესახებ თხრობას. ავტორი ქრისტიანული მორალის პრინციპებიდან გამომდინარე არაერთხელ ხაზს უსვამს, რომ ისმაილი აბრაამის მხევლის შვილი და აქედან გამომდინარე, უკანონოდ შობილი იყო, რასაც მკვითხველში უარყოფითი დამოკიდებულება უნდა გამოეწვია.

ავტორი წერს, რომ მუჰამადი იზრის ტომიდან იყო, და მათი მოდგმის განსახლების არეალად კი მადიამის უდაბნოს[43] ასახელებს: „მოჰმედ ვინმე ახალი მწვალებელი უმღთო და უსჯულო ტომით იზრისაგან ძისწული* ისმაილისა რომლისა ნათესავი მკვიდრი იყო უდაბნოს მადიამისა.“[44]

ბაგრატის მიერ მოხსენიებული იზრი სავარაუდოდ აზარ იბნ ნაჰური (იზრი და აზარი ზრ ფუძიდან გამომდინარე ერთი და იგივე სახელად მიგვაჩნია) უნდა იყოს და იგი აბრაამის მამა და შესაბამისად ისმაილის პაპაა. არაბთა ეთნარქთან მუჰამადის პირდაპირი კავშირი ისლამის წინასწარმეტყველის სრულ სახელშია ასახული. იგი შეიცავს მუჰამადის ვაჟის ალ-კასიმის ქუნიას და მამის ხაზით ყველა მამაკაცის სახელს ადამიდან დაწყებული. მუჰამადის სრული სახელია – აბულ-კასიმ მუჰამმად იბნ აბდულლაჰ იბნ აბდ ალ-მუტტალიბ (შეიბა) იბნ ჰაშიმ (ამრ) იბნ აბდ მანაფ (ალ-მუღირა) იბნ კუსაი იბნ კილაბ იბნ მურრა იბნ კააბ იბნ ლუაი იბნ ღალიბ იბნ ფიჰრ იბნ მალიქ იბნ ან-ნადრ იბნ კინან იბნ ხუზაიმა იბნ მუდრიკ (ამირ) იბნ ილიას იბნ მუდარ იბნ ნიზარ იბნ მად იბნ ადნან იბნ ადად იბნ მუკავვიმ იბნ ნაჰურ იბნ ტაირახ იბნ იარუბ იბნ იაშჯუბ იბნ ნაბიტ იბნ ისმაილ იბნ იბრაჰიმ (*აბრაამი*) იბნ აზარ (ტარიხ) იბნ ნაჰურ იბნ სარუღ იბნ შალიჰ იბნ ირფხაშად იბნ სამ (*სემი*) იბნ ნუჰ (*ნოე*) იბნ ლამკ იბნ მათთუ შალაჰ იბნ ახნუხ (იდრისი) იბნ იარდ იბნ მახლილ იბნ კაინან იბნ იანიშ იბნ შის იბნ ადამ.[45]

ნაშრომში ანტიისლამურთან ერთად ავტორის ანტიისმაილური (ანტიარაბული) განწყობაც არის მკვეთრად გამოხატული. ბაგრატ მუხრანბატონი

[43] მადიამის უდაბნო მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით, აქაბას ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

* ხეც. S-1338-ის გადამწერი შეცდომით „ძმისწულს“ წერს. ყველა სხვა ნუსხაში გვხვდება „ძისწული.“

[44] ხეც. S-1338, გვ. 1.

[45] F. E. Petersen. A Reader on Classical Islam. Princeton University Press. 1994, გვ. 44.

აკრიტიკებს მუსლიმურ გადმოცემას იმის შესახებ, რომ აბრაამს ღმერთისთვის შესაწირად არა იაკობი, არამედ ისმაილი მიჰყავდა.[46] ამის საწინააღმდეგო არგუმენტად კი მოაქვს ბიბლიური სიუჟეტი, როდესაც მაყვლოვანზე ცეცხლის სახით გამოცხადებული ღმერთი მოსეს ამცნობს, რომ იგი არის ღმერთი აბრაამისა და ისააკისა და არა აბრაამის, ისმაილის და ისააკისა.[47] ნაშრომის ავტორი ჩამოთვლის ბიბლიური ისააკისაგან (მისი ვაჟის იაკობისაგან) წარმოშობილ თორმეტ მამამთავარს (თორმეტ გვარს), რომელთაგანაც მაცხოვრის მოსვლამდე მეფეები და ღვთის მსახურები ინიშნებოდნენ. მუხრანბატონი აღნიშნავს, რომ სწორედ მათგან გამოვიდნენ დიდი წინასწარმეტყველები მოსე, ილია (ელია) და დავით წინასწარმეტყველი, რომლებსაც ყველა აღიარებს[48] და იქვე, მათ საპირწონედ დასძენს, რომ ისმაიტელნი ანუ ისმაილის შთამომავლები კი იყვნენ „მესისხლენი, მტაცებელნი, მეშფოთენი, მპარავნი და ყ¯(ოვ)ლადვე უპოვარნი.“[49]

ბაგრატ ბატონიშვილი მუჰამადის დაბადების კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ მუჰამადი ერეკლეს (იგულისხმება ჰერაკლე კეისარი – 610-642 წწ.) მეფობის დროს გამოჩნდა.[50]

ისლამმცოდნეობით ლიტერატურაში მუჰამადის დაბადების თარიღად 570 წ. 10 ან 17 რაბი ალ-ავალია მიჩნეული.[51] ეს თარიღი ემთხვევა იუსტინე II-ის მეფობის ხანას. მუჰამადის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეობა, კი ჰერაკლე კეისრის მმართველობის პერიოდს ემთხვევა. როგორც ვხედავთ, ბაგრატ მუხრანბატონის ეს ცნობა სავსებით შეესაბამება ისლამმცოდნეობით ლიტერატურაში მიღებულ მოსაზრებას.

თხზულებაში ვხვდებით ისლამის წინასწარმეტყველის სამ სახელს – მუჰამადს, მუსტაფას და აჰმადს. ბაგრატ მუხრანბატონის მიხედვით, მუჰამადმა მუსტაფა, რაც ღმერთის რჩეულს ნიშნავს, თვითონ დაირქვა. „ამან უმღთომან მოჰმედ იწყო სახელის დებად რ¯(ომე)ლ არს რჩეული ღ¯(მრთ)ისა

[46] ხეც. S-1338, გვ. 11.
[47] ხეც. S-1338, გვ. 13.
[48] ხეც. S-1338, გვ. 13.
[49] ხეც. S-1338, გვ. 14.
[50] ხეც. S-1338, გვ. 1.
[51] გ. ლობჟანიძე. მუჰამადის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 11; გ. ჯაფარიძე. მუჰამადი. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი). თბ. 1999, გვ. 142-148; ნ. გელოვანი, გ. სანაკიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია). თბ. 2009, გვ. 13; სეიდ ჯაფარ შაჰიდი. ცხოვრება მუჰამადისა. წიგნიდან „ისლამის ანალიზური ისტორია“. სპარსულიდან თარგმნა ნ. ბართაიამ. თბ. 2008, გვ. 3.

რ˜(ომელ) პირველ მუსტაფა ერქუა.“[52] ყურანი მუჰამადს აჰმედსაც – „ის ვინც ყველაზე მეტად იმსახურებს შექებას“, „ყველაზე დიდებულს,“ უწოდებს.[53] ქართველი ავტორი აკნინებს ისლამის მქადაგებლის სახელს – აჰმადს, რაც არაბულად გამორჩეულს ნიშნავს და ასოთმიმსგავსების საფუძველზე მას აჰმაყს „უცნობოსა“ და „უგუნურს“ უწოდებს.[54] აქ სიტყვა აჰმაყის (احمق – არაბული წარმოშობისაა) სპარსული მნიშვნელობაა (დებილი, სულელი, იდიოტი) მოტანილი,[55] რაც ბაგრატ მუხრანბატონის მიერ სპარსული ენის ცოდნაზე მიუთითებს.

თხრობა მუჰამადის პირადი ცხოვრების შესახებ ძალზედ მშრალი და სქემატურია. ავტორი ძალიან მოკლედ საუბრობს მუჰამადის ბავშვობაზე. იგი არაფერს ამბობს მის მშობლებზე (მამა – აბდ ალ-ლაჰი, დედა – ამინა ბინთ ალ-ვაჰაბი), მუჰამადის გამზრდელ პაპასა (აბდ ალ-მუტალიბი) და ბიძაზე (აბდ მანაფი აბუ ტალიბი), თუმცა, სწორად აღნიშნავს, რომ მუჰამადი ადრეულ ასაკში დაობლდა.[56]

ბაგრატ მუხრანბატონი ყვება, რომ მუჰამადი მდიდარი ქალის აქლემების ქარავანს ემსახურებოდა და მოგვიანებით ამ ქალზე, რომლის სახელსაც ასევე არ ახსენებს, იქორწინა კიდეც.[57] ეს ქალი მუჰამადის პირველი ცოლი ხატიჯა ბინთ ხუვალაიდია. იგი ისლამის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა, რადგანაც ხატიჯა იყო პირველი, ვინც ისლამი აღიარა.[58] ხატიჯა ბინთ ხუვალაიდი ისლამში ოთხიდან (მარიამი, ასია, ხატიჯა, ფატმა) ერთ-ერთ წმინდა ქალად არის მიჩნეული და იგი „სამოთხის ქალბატონია“.[59]

ბაგრატ მუხრანბატონი ნაშრომის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მუჰამადი დაინტერესებული იყო რელიგიების შესწავლით: „ისწავებნ და ეძიებნ ყ˜(ოვე)ლგან სწავლულთა სჯულისათა სჯულსა და ნათესავსა და სიტყუასა სჯულისასა.“[60] ავტორი წერს, რომ მუჰამადმა ეს ცოდნა ძირითადად ქრის-

[52] ხეც. S-1338, გვ. 3.

[53] ყურანი. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გ. ლობჟანიძემ. თბ. 2006, 61:6, გვ. 340.

[54] ხეც. S-1338, გვ. 80.

[55] Персидско-Русский словарь, под. ред. Ю. А. Рубинчика. т. I. М. 1970, გვ. 52

[56] ხეც. S-1338, გვ. 2.

[57] ხეც. S-1338, გვ. 2.

[58] გ. ჯაფარიძე. მუჰამადი, გვ. 144; ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X სს). თბ. 2005, გვ. 40, 106.

[59] ნ. გელოვანი. ქალი ისლამში (VII-X სს), გვ. 88, 92.

[60] ხეც. S-1338, გვ. 2.

ტიანი, ნესტორიანი ბერისგან მიიღო: „..მონაზონი ვინმე ნისტორიანი ჰპოვა მან ექსორია ქმნილი წუალებისათ(ვი)ს მისისა ქუეყანასა მას მადიამისსა და ეზრახებიან მარადის.“[61] ქართველი ავტორის მიერ მოტანილი ეს ინფორმაცია სავსებით შეესაბამება მუჰამადის ბიოგრაფებთან და სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ მოსაზრებას ისლამის მქადაგებლის მიერ მონოთეისტური რელიგიებით დაინტერესების შესახებ.[62] მუსლიმური გადმოცემების მიხედვით ნესტორიანმა ბერმა ბაჰირამ მცირეწლოვან მუჰამადში წინასწარმეტყველი მაშინ ამოიცნო, როდესაც იგი ბიძასთან ერთად სავაჭრო ქარავანით ბოსრასკენ მიდიოდა.[63]

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მუჰამადის დაავადებაზე, რომელსაც „შავ ნაღულიანობას“ უწოდებს.[64] ისლამთან დაკავშირებულ ლიტერატურაში აღწერილია მუჰამადის დაავადების სიმპტომები. იგი გამოიხატებოდა პერიოდული ბორგვით, რა დროსაც გრძნობდა დარტყმებს და ასზამდა ოფლი.[65] მუჰამადის ამ შეტევებს ადგილობრივები ციებად მიიჩნევდნენ, რადგან არაბეთის ნახევარკუნძულზე ციებ-ცხელება ყველაზე გავრცელებული დაავადება იყო.[66]

ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები ფიქრობდნენ, რომ მუჰამადს შიზოფრენია სჭირდა, რაც მის ხასიათზეც აისახებოდა – იგი ხშირად იყო განმარტოებული, ფიქრობდა რელიგიაზე. მუჰამადის დაავადების ნიშნებზე დაყრდნობით XIX ს-ის ბოლოს გერმანელმა ორიენტალისტმა და ექიმმა შპრენგერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ისლამის მქადაგებელი მუსკულური ისტერიით იყო დაავადებული.[67] როგორც ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომიდან ირკვევა, „შავ ნაღვლიანობა“ ქართულში ეპილეფსიის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. ასეთი ეპილეფსიური შეტევების შემდეგ მუჰამადი აცხადებდა, რომ იგი

[61] ხეც. S-1338, გვ. 2.

[62] გ. ლობჟანიძე. მუჰამადის ცხოვრება, გვ. 52; გ. ჯაფარიძე. მუჰამადი, გვ. 142; მ. ტიკაძე. არაბთა ისტორია (V-XV სს). თბ. 2008, გვ. 28; დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. III-XVIII სს. თბ. 2009, გვ. 72.

[63] მ. ლინგსი. ცხოვრება მუჰამედისა. ინგლისურიდან თარგმნა მ. ნანობაშვილმა. მეორე გამოცემა. სტამბოლი. 2016, გვ. 46-48.

[64] ხეც. S-1338, გვ. 2; სულხან-საბა თავის ლექსიკონში განმარტავს, რომ შავი ნაღველი არის **სევდა**. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 277; შავნაღვლიანობას ბნედას უწოდებს ბ. დარჩია, თუმცა წყაროს არ ასახელებს (იხ. ბ. დარჩია. ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), გვ. 46).

[65] ნ. გელოვანი, გ. სანიკიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), გვ. 16.

[66] ყურანი, გვ. 16.

[67] გ. ლობჟანიძე. მუჰამადის ცხოვრება, გვ. 53-54.

ჯაბრაილ (გაბრიელ) მთავარანგელოზს ესაუბრებოდა. „ვ¯(ითარმე)დ ჩუჩანებით იხილავს ჯაბრალ მთავარანგელოზსა რ¯(ომე)ლ არს ჯაბრაილ და ვერ უძლებს ხილვასა მისსა.“[68] ყურანის მიხედვით, მუჰამადის მოწინააღმდეგე მექელებმა ისლამის მქადაგებელს „შლეგი მოშაირე“[69] და მონუსხული (მოჯადოებული)[70] უწოდეს. სიშლეგე-სიგიჟე ეშმაკეულ დაავადებად ითვლებოდა. თეოდორე აბუკურა წერს, რომ მუჰამადი „ეშმაკისა მიერ იგუემებოდა“ და მის მდგომარეობას „ბორგნეულობა-გარდარეულობას“ უწოდებს, „... იგი მძÂნავარედ გუემული ეშმაკისაგან ვითარმედ გამოცხადებაჲ რაჲმე საშინელი გარდამოვიდა მის ზედა“.[71] 82-ე ფსალმუნის სიტყვისგებაში მუჰამადის ერთერთი ეპითეტია ბნედიანი, რომელსაც თხზულების ავტორი ასევე ეშმაკეულ დაავადებას უწოდებს.[72]

თანამედროვე ისლამმცოდნეთა ერთი ნაწილი მუჰამადის დაავადებას ეპილეფსიით არ იზიარებს.[73] ინგლისელი მეცნიერი და ფილოსოფოსი მარტინ ლინგსი (იგივე აბუ ბაქრ სირაჯ ად-დინი (1909-2005), რომელიც მუჰამადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ყველაზე ადრეულ წყაროებზე დაყრდნობით აღწერს, აღნიშნავს, რომ მუჰამადს ძილის დროს ჰქონდა „ჭეშმარიტი ხილვები“, რა დროსაც მას სინათლის სახით ანგელოსი ესაუბრებოდა.[74]

მუსლიმურ ლიტერატურაში გაზიარებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ მუჰამადმა წერა-კითხვა არ იცოდა. ეს გადმოცემა უკავშირდება მასზე ყურანის გადმოცემის ეპიზოდს, როდესაც მთავარანგელოსის მოწოდებაზე „წაიკითხე!“ მუჰამადი პასუხობდა, რომ მან კითხვა არ იცის.[75] თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მუჰამადი წლების მანძილზე სავაჭრო ქარავანს ხელმძღვანელობდა და აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, მისი წერა-კითხვის უცოდინრობა ერთგვარ ეჭვს იწვევს. ანგელოსთან მუჰამადის

---

[68] ხეც. S-1338, გვ. 2.

[69] 37/35(36), ყურანი, გვ. 290; 68/2(2), ყურანი, გვ. 345; 68/51(51), ყურანი, გვ. 347; 81/22(22), ყურანი, გვ. 359.

[70] 68/6(6), ყურანი, გვ. 345, 655.

[71] თეოდორე აბუკურა. ტრაქტატები და დიალოგები. თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, საკუთარ სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ლეილა მიქიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 99-100.

[72] ხ. ბაინდურაშვილი. „ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი...“ (H-394) როგორც ისლამმცოდნეობითი წყარო. თსუ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII. თბ. 2013, გვ. 241; H-394, 16r.

[73] ნ. გელოვანი, გ. სანიკიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), გვ. 16-17.

[74] მ. ლინგსი. ცხოვრება მუჰამედისა, გვ. 68.

[75] მ. ლინგსი, დასახ. ნაშრ. გვ. 69.

განცხადება, რომ მან „კითხვა არ იცის,“ ღმერთის სიტყვის ქადაგებას უნდა გულისხმობდეს, რადგან ტრადიციის თანახმად, მუჰამადს ყურანის ტექსტს მთავარანგელოსი ჯიბრაელი უკითხავდა, ის კი იმეორებდა.[76]

ქართველი აეტორი მუჰამადთან ანგელოსის გამოცხადებასთან დაკავშირებით კრიტიკულად მსჯელობს და ამ მოვლენას ძველი აღთქმის პასაჟებს უდარებს. მისი აზრით, ღმერთმა ყველა წინასწარმეტყველს მართლაც მოუვლინა ანგელოზი, მაგრამ მძიმე სენით არავინ დაასნებოვნა, და, რომ ყველა მათგანი ანგელოზის დახმარებით ბრძოლებში იმარჯვებდა. ბაგრატ მუხრანბატონს მაგალითად მოაქვს ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლა და მათი ზღვაში გავლა, ისო ნავესის მიერ იერიქონზე ლაშქრობა და მადიამელთა დამარცხების ფაქტი, ასევე დავით წინასწარმეტყველისა და სამსონ ძლიერის ორთაბრძოლა, ელია წინასწარმეტყველის მიერ წვიმის მოყვანა[77] და სხვ.

ბაგრატ მუხრანბატონის თხზულების მიხედვით, მუჰამადის გულყრისა და ამ დროს მისი ჯაბრაილ მთავარანგელოსთან „საუბრების“ შესახებ ნესტორიან ბერს ხატიჯამ უამბო, რომელმაც უთხრა, რომ ანგელოსი წინასწარმეტყველებს სწორედ ამ სახით ეცხადებოდა. — „ვითომედ ჭეშმარიტად ეგრეთ არსო ა˘(რამე)დ ანგელოსი იგი ყ˘(ოვე)ლთა წინასწარმეტყუ˘ლთა მოევლინებისო“.[78] მიღებული ტრადიციით ხატიჯამ მუჰამადის ხილვების შესახებ არა ქრისტიან ბერს, არამედ საკუთარ ქრისტიან ბიძაშვილს — ვარაკა იბნ ჰაუფალს უამბო, რომელმაც დაარწმუნა მუჰამადი, რომ იგი წინასწარმეტყველი იყო.[79]

„მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა“-ს მიხედვით, მუჰამადის ცოლის ინიციატივით ისლამი პირველად ქალებმა აღიარეს. „დაიჯერა დედაკაცმან სიტყუა მის ბერისა (ნესტორიანი ბერი ხ. ბ.) და მიუთხრა და არწმუნა ყ˘(ოვე)ლთა დედათა ვ˘(ითარმე)დ ჭ˘(ეშმარი)ტად წ˘(ინასწარმეტყუე)ლი არისო.“[80] ხატიჯა მართლაც ერთ-ერთი პირველი მუსლიმია. მასთან ერთად ისლამი მისმა ქალიშვილებმაც აღიარეს, თუმცა ქართული ტექსტიდან განსხვავებით მისი როლი ქალთა შორის ისლამის გავრცელების შესახებ უცნობია.

[76] გ. ჯაფარიძე. მუჰამადი, გვ. 142; ნ. გელოვანი, გ. სანიკიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), გვ. 17.
[77] ხეც. S-1338, გვ. 5-7.
[78] ხეც. S-1338, გვ. 2-3.
[79] გ. ჯაფარიძე. მუჰამადი, გვ. 143.
[80] ხეც. S-1338, გვ. 3.

თხზულებაში ვხვდებით გადმოცემას, რომლის მთავარი მიზანი მუსლიმთა მხრიდან ქრისტიანთა მიმართ სიძულვილის წარმოჩენაა. ბაგრატ მუხრანბატონის მიხედვით, მუჰამადი თავის მიმდევრებს მოუწოდებდა, რომ თუ ვინმე ქრისტიანს მოკლავდა ან მის მიერ იქნებოდა მოკლული, ორივე შემთხვევაში სამოთხეში მოხვდებოდა – „მცირედ ჯერ შეუდგა მას სიმრავლე ისმაიტელთა რომელთა ასწავებდა ვ˜(ითარმე)დ რომელმან მოკლას ქრისტიანე ანუ მოიკლას მის მ˜(იე)რ ორთავე მიზეზითა ცხონდეს“.[81] – ავტორის აზრით, მუსლიმთა ამგვარი დამოკიდებულება სათავეს მუჰამადის ქადაგებიდან იღებს.

აღნიშნული ნარატივი გვხვდება ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე. თეოდორე აბუკურა თავის ანტიმუსლიმურ ტრაქტატში წერს, რომ „ვითარმედ ბორგნეული იგი ცრუწინასწარმეტყველი აგარიანთაჲ, მუხუმეტ, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: „ღმერთმან მომავლინა მე დათხევად სისხლისა მათისა, რომელნი ჰმსახურებენ ღმერთსა სამ-გუამოვანსა ბუნებასა და ყოველთა, რომელნი არა ესრეთ იტყვან „ღმერთი მარნაქს“, რომელ არს ვითარმედ „ღმერთი ბერწ-მტკიცე“, რომელმან არა შვა, არცა იქმნა ვინ თანა-ზიარ მისა.“[82] აბუკურას ეს ნაშრომი XI-XII სს. მიჯნაზე არსენ ვაჩეს ძის მიერ ქართულად ითარგმნა.[83] ამდენად, ცხადია, მას ბაგრატ ბატონიშვილი იცნობდა, რადგან როგორც ვხედავთ, იგი თეოდორე აბუკურას ცნობას იმეორებს. იგი ქრისტიანთა მხრიდან ანტიმუსლიმური პროპაგანდის ნაწილია და ზეპირსიტყვიერების ნიმუშს და ყურანის გარკვეული სურების დამახინჯებულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. აღნიშნული დოგმა ისლამში არ არსებობდა, მით უფრო მის საწყის ეტაპზე. მაშინ, როდესაც მუჰამადი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში (მექის პერიოდი) განსაკუთრებულად სჯულთშემწყნარებელი იყო და ქრისტიანები და ებრაელები, როგორც „საღვთო წიგნის“ მქონე ხალხი მის კეთილგანწყობას იმსახურებდა. მოგვიანებით, აუსისა და ხაზრაჯის ებრაულ ტომებთან დაპირისპირების გამო იგი ლოიალობას მხოლოდ ქრისტიანებთან ინარჩუნებდა და ამასვე მოუწოდებდა მუსლიმებსაც.

ნაშრომის შიიტური ხაზი ნათლად ჩანს მუჰამადის ცხოვრებაში ალის გამოჩენის ეპიზოდში, სადაც საუბარია ალის დამსახურებაზე ისლამის გავრცელების საქმეში. თხზულებაში ალი მოიხსენიება, როგორც „გმირი და

[81] ხეც. S-1338, გვ. 3.

[82] თეოდორე აბუკურა, გვ. 100.

[83] ზ. ალექსიძე. არსენი ვაჩეს ძე. მარტვილის გამოსატანი ჯვრის გამოცემები. ჟურნ. „მრავალთავი“. 26. თბ. 2019, გვ. 199-201 (გვ. 193-202).

ძლიერი", „ფრიად მხნე." ალიზე და შიიზმზე მოტანილი ინფორმაცია ავტორის მხრიდან შიიტური ლიტერატურის კარგ ცოდნაზე მიუთითებს.

თხზულებაში გარკვეული ადგილი ეთმობა მუჰამადისა და ებრაელი ტომების დაპირისპირებას. ნაშრომის ეს ნაწილი შეიცავს ანტისემიტურ ელემენტს. ბაგრატ მუხრანბატონის თხზულებაში მოხსენიებული ტერმინი „ბილწი ურიები"[84] გვაფიქრებინებს, რომ მან ისეთი მუსლიმური თხზულება გამოიყენა, რომელიც მუსლიმთა მხრიდან ებრაელთა მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას გამოხატავდა და ავტორი აღნიშნულ ტერმინს ციტირებს. ებრაელთა მიმართ აგრესიული დამოკიდებულება ასახულია მუჰამადის ბიოგრაფიის ადრეულ წყაროები[85] და ყურანში.[86] რადგან ტერმინი „ბილწი ურიები" ყურანში არ არსებობს, ეს გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ მუხრანბატონი მუჰამადის ბიოგრაფიის რომელიმე ადრეული ვერსიით უნდა სარგებლობდეს.

ნაშრომში ვხვდებით ტერმინ „მუსლიმის" განმარტებას. ავტორის მიხედვით, მუჰამადმა თავის მიმდევრებს მუსლიმი უწოდა, რომელიც მშვიდობისმყოფელს ნიშნავს, და იქვე ბაგრატ მუხრანბატონი მათ მშვიდობის დამრღვევებსა და ეშმაკის მსახურებს უწოდებს.[87] ბაგრატის ეს დამოკიდებულება კარგად ასახავს ისტორიის მანძილზე ისლამის რელიგიისა და მუსლიმთა მიმართ ქართულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ აზრს.

ბაგრატ მუხრანბატონი ისლამში წმინდა წიგნებად აღიარებულ საღვთო წიგნებს თევრათი (//თორა), ზაბური (დავითის ფსალმუნი), ინჯილი (სახარება), დაბადება („ფურვან რ˜(ომე)ლ არს თარგმანებით დაბადება") და ყურანი[88], შორის ასევე „ქალიმლის" (//ქალიმა[89] – ხ. ბ.) და „მუსლაფის"(?) ასახელებს.

ბაგრატ მუხრანბატონის თხზულებაში ყურანის შედგენის შესახებ განსხვავებულ ვერსიას ვხვდებით. ნაშრომის მიხედვით, მუსლიმთა წმინდა წიგნი – ყურანი, მუჰამადის სიცოცხლეშივე შეიქმნა. ავტორი აღნიშნავს, რომ მუჰამადმა ალის, ოსმანსა და კიდევ ორ სხვა პირს, რომელთა სახელებსაც არ ასახელებს, თავისი მოძღვრება დააწერინა და მას ყურანი უწოდა. თხზულე-

[84] ხეც. S-1338, გვ. 4

[85] მ. ლინგსი. ცხოვრება მუჰამედისა, 48.

[86] III/ 120(121), ყურანი, გვ. 125; III/120(121), ყურანი, გვ. 125; IV/ 48(46), ყურანი, გვ. 138; IV/50(47), ყურანი, გვ. 138; IV/49, ყურანი, გვ. 138; IV/154(155), ყურანი, გვ. 145

[87] ხეც. S-1338, გვ. 29.

[88] ხეც. S-1338, გვ. 25.

[89] https://en.wikipedia.org/wiki/Six_Kalimas ბოლო ნახვა 29/10/2020.

ბის მიხედვით, ისლამის მქადაგებელმა ყურანში გააერთიანა ძველი და ახალი აღთქმა და ასევე დაუმატა ნესტორიანი ბერისგან მოსმენილი ამბები.[90] ბაგრატ მუხრანბატონის ეს ცნობა რეალობას არ შეესაბამება – ყურანი მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა. პირველად მუჰამადის ქადაგებების შეგროვება ხალიფა აბუ ბაქრის (632-634) მითითებით მოხდა. მოგვიანებით, 650-656 წწ. ხალიფა ოსმანის (656-661) დავალებით მუჰამადის მდივანმა ზაიდ იბნ საბითმა სამ ქუფელ მიმდევართან ერთად მოამზადა ყურანის ოფიციალური ტექსტი და მოხდა მისი კოდიფიკაცია, რომელიც კანონიკურად გამოცხადდა.[91] თუმცა, ის ფაქტი, რომ ყურანში ძველი და ახალი აღთქმის კომპილაციაა მოცემული, სიმართლეა. საინტერესოა ბაგრატ მუხრანბატონის ცნობა იმის შესახებ, რომ ყურანს ქართულად ფურყანსაც უწოდებდნენ.[92] ყურანის ამგვარად მოხსენიება სხვა ანტიმუსლიმურ ნაშრომებში არ გვხვდება.

ქართველი ავტორი მუჰამადს აკრიტიკებს იმის შესახებ, თითქოს მან ბიბლიური (ძველი აღთქმის) სიუჟეტები ყურანში დამახინჯებულად გადმოიტანა და ამის მაგალითად მოაქვს ადამისა და ევას სამოთხიდან გაძევება ხორბლის ჭამის გამო, ნებროთის მიერ ორი ფასკუნჯის გაზრდა, ცაში აფრენა, ღმერთის მოკვლა და საკუთარი თავის გამოცხადება ღმერთად.[93] უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სიუჟეტები ყურანში არ არსებობს. აქაც ჩანს, ავტორი ზეპირი გადმოცემებით ან სხვა ანტიმუსლიმური თხზულებებით სარგებლობს სადაც ამ სახის ინფორმაცია იყო დაფიქსირებული.

ბაგრატ მუხრანბატონი ისლამის მიხედვით, იესოს მიერ მუჰამადის სამოციქულო მისიის წინასწარმეტყველების კონტრარგუმენტად და გასაბათილებლად, საგანგებოდ ეხება ასაფის[94] 82-ე ფსალმუნს. ავტორს თითქმის უცვლელად მოაქვს ფსალმუნის (აკლია მხოლოდ მე-4, მე-7, მე-8, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლები) ტექსტი.

ასაფის 82-ე ფსალმუნზე შექმნილია ანტიმუსლიმური პოლემიკური

---

[90] ხეც. S-1338, გვ. 9.

[91] გ. ჯაფარიძე. ყურანი. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი), გვ. 202; ყურანი, გვ. 59-83.

[92] ხეც. S-1338, გვ. 25.

[93] ხეც. S-1338, გვ. 9.

[94] ასაფი სატაძრო მუსიკის შემსრულებელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დინასტიის ფუძემდებელია ლევიტელთა ოჯახიდან. მას მიეწერება 12 ფსალმუნი 49, 72-82-ის ჩათვლით. არსებობს მოსაზრება, 73-78 და 82-ე ფსალმუნები არა ასაფს, არამედ მის მემკვიდრეებს ეკუთვნით, რადგან მათში მოგვიანო პერიოდის მოვლენებია აღწერილი, Толковая Библія. или комментарій на все книги Св. Писанія Ветхаго Завета. т. IV. СПб. 1907, გვ. 130

ნაშრომი „ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი ...“[95] ბაგრატ მუხრანბატონის ტექსტზე დაკვირვება და მისი შედარება ფსალმუნით სიტყვისგებასთან, გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ მუხტარბატონი ამ თხზულებას არ იცნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამოიყენებდა ან ახსენებდა მაინც. თუმცა, ის ფაქტი, რომ ბაგრატი ასაფის ფსალმუნზე ამახვილებს ყურადღებას, გვაფიქრებინებს, რომ ასაფის 82-ე ფსალმუნს ქართული ანტიმუსლიმური სიტყვისგების პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. გარდა ამისა, ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომში არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც იმეორებს ფსალმუნით სიტყვისგებაში არსებულ ნარატივებს, მაგალითად, როგორიცაა მუსლიმის მიერ არამუსლიმთა და ქრისტიანთა მკვლელობა, მუჰამადის სახელები და მათი განმარტება, ყურანის შედგენა მუჰამადის სიცოცხლეშივე და ა. შ.[96] მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობის საკითხთან წარმოშობილ უთანხმოებასა და დაპირისპირებას ავტორი მუჰამადის დანაშაულად მიიჩნევს, რომელიც ისე გარდაიცვალა, რომ თავისი მემკიდრე არ დაუსახელებია. თხზულების თანახმად, მუჰამადი ხან ალის და ხან ომარსა და ოსმანს ჰპირდებოდა თავის მემკვიდრედ გამოცხადებას.[97] აქვე, ბაგრატ მუხრანბატონი საუბრობს ალისა და მისი მოწინააღმდეგეების დაპირისპირებაზე. თხზულების მიხედვით, ომარმა და ოსმანმა ალი ჯერ (მედინიდან – ხ. ბ.) გააძევეს, ხოლო შემდეგ ნეჯეფში ღალატით მოკლეს.[98] აქ ქართველი ავტორის მიერ გადმოცემულია არაბთა სახალიფოში მომხდარი პირველი სამოქალაქო ომის (656-661 წწ.) მოვლენები.[99] შეცდომაა მხოლოდ ამ პროცესებში ომარისა და ოსმანის მოხსენიება, რადგან აღნიშნული პერიოდისთვის ისინი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. ბაგრატ მუხრანბატონი დასძენს, რომ ამ დროიდან მოყოლებული ალის შვილები ჰასანი და ჰუსეინი ომარიანებს გმობდნენო. ცხადია, ავტორი, ომარიანებში ომაიანთა დინასტიას გულისხმობს, რომლის წარმომადგენლებიც ალის გარდაცვალების შემდეგ, 661-750 წლებში, სახალიფოს ტახტს იკავებდნენ.

---

[95] ხ. ბაინდურაშვილი. „ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი...“ (H-394) როგორც ისლამმცოდნეობითი წყარო, გვ. 227-246.

[96] ბ. დარჩია ვარაუდობს, რომ ფსალმუნით სიტყვისგება ბაგრატის თხზულების შემდეგ შეიქმნა, თუმცა ეს საკითხი დამატებით დეტალურ კვლევას საჭიროებს. იხ. ბ. დარჩია. ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), გვ. 81.

[97] ხეც. S-1338, გვ. 32.

[98] ხეც. S-1338, გვ. 32-33.

[99] იხ. მ. ტიკაძე. არაბთა ისტორია (V–XV სს). თბ. 2008, გვ. 28; დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. III-XVIII სს., გვ. 39-40.

ავტორი დაწვრილებით ეხება ისლამში მაზჰაბების ჩამოყალიბების საკითხს. ჩამოთვლის იმ რელიგიურ-თეოლოგიურ სკოლებს, რომლებიც ისლამში VIII-IX სს. ჩამოყალიბდა. რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, ავტორმა იცის, რომ ეს მაზჰაბები სამართლებრივ სკოლებს წარმოადგენს. „და განიყვეს სჯული მათი და სამართალი ბევრწილად და რ˘(ომე)ლთამე ეწოდა მავალი (რომელთამე ჯაფარი – S-126)[100] რ˘(ომე)ლთამე შაფი (შაჰფი – S-126)[101] რ˘(ომე)ლთამე მალიქი რ˘(ომე)ლთამე ჰ(ა)მბალი და რ˘(ომე)ლთამე თამბალი.“[102]

ტერმინი: მავლა (მავალი (მრ. რ) მფარველი, ქომაგი) გამოიყენება, როგორც ალაჰის, ისე იმ ახლადგამუსლიმებული პირის მიმართ, რომელიც ვინმეს მფარველობაშია.[103] ავტორისეული მავალი იგივე მავლა მაზჰაბის სახელად შეცდომითა არის მიჩნეული. ტექსტისმიერი ჯაფარი გულისხმობს შიიტური ისლამის ჯაფარიტულ მაზჰაბს, შაფი (შაჰფი) გულისხმობს სუნიტური ისლამის შაფიტურ მაზჰაბს, მალიქი – მალიქიტურს, ხოლო ჰამბალი – ჰანბალიტურ მაზჰაბს. რაც შეეხება თამბალს იგი შესაძლოა თურაბიტებს გულისხმობდეს, რაც ზომიერი შიიტების, იგივე იმამიტების ყველაზე გავრცელებული სახელია (აბუ თურაბი ალის მეტსახელია).[104] ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს ტერმინების არამართებულ გამოყენებას. ამასთანავე ავტორი არ ასახელებს სუნიტური ისლამის ჰანაფიტურ მაზჰაბს.

თხზულებაში ავტორი გარკვეულ ადგილს უთმობს და აკრიტიკებს მუსლიმურ რიტუალებს. იგი ყოველდღიურად, დღეში ხუთჯერ ლოცვის წინა განბანვას, წყლით ნათლისღებას (ტერმინის ქართული თარგმანი ქრისტიანულ გავლენას განიცდის) უწოდებს და მოაქვს მისი სახელი „ყუსლი“.[105] ასევე საუბრობს „დიდი ნათლისღების“ შესახებ, რომელიც შაბანის თვეში ხდებოდა და რომლის დროსაც მუსლიმები ერთ ხელს ინით იღებავდნენ.[106] ბაგრატ მუხრანბატონი დაცინვით წერს მირაჯის ღამის შესახებ, რომელსაც მუსლიმები უდიდეს სასწაულად მიიჩნევენ და ყოველწლიურად აღნიშნავენ კიდეც.[107]

---

100 ხეც. S-126, გვ. 32.
101 ხეც. S-126, გვ. 32.
102 ხეც. S-1338, გვ. 33.
103 გ. ჯაფარიძე. მავლა. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი), გვ. 121.
104 გ. სანიკიძე. რაფიდიტები. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი), გვ. 162.
105 ხეც. S-1338, გვ. 28.
106 ხეც. S-1338, გვ. 28.
107 ხეც. S-1338, გვ. 30.

ნაშრომში არასწორ ინორმაციას ვხვდებით მუსლიმური მარხვის შესახებ. ავტორის თქმით, მუჰამადმა თავის მიმდევრებს წელიწადში სამი დღის მანძილზე მარხვა დაუწესა, რომლის დროსაც დღისით საკვების მიღება ეკრძალებოდათ, ხოლო ღამე ყველაფრის ჭამის უფლება მისცაო.[108] ეს ცნობა მარხვის ხანგრძლივობის ნაწილში სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან მუსლიმთა წმინდა თვე – რამადანი მთლიანად მარხვის თვეა. ავტორის მიერ ნახსენები სამდღიანი მარხვა მუსლიმს ევალება ფიცის გატეხვის შემთხვევაში. ყურანში ვკითხულობთ: „და არ განგსჯით თქვენ ალაჰი უდიერებისათვის ფიცისასა, არამედ იმ პირობისათვის, რომელსაც ფიცით იკისრებთ, მისი გამოსასყიდი არის ათი უპოვარის დაპურება იმ საკვებით, რომლითაც აპურებთ საკუთარ ოჯახს; ანდა შემოსვა მათი, ან გათავისუფლება ერთი ტყვისა, ხოლო ვინც (ესენი) ვერ მოიძიოს, მაშინ (დაუწესოს) – მარხულობა სამ დღეს. ეს არის გამოსასყიდი თქვენი ფიცისა, თუკი გასტეხთ ...“ (V/91(89).[109]

ბაგრატ მუხრანბატონი ჰაჯის რიტუალის შესახებ წერს, რომ ვინც მექას მოილოცებს ანგელოსებს გაუთანაბრდება.[110] მექის მოლოცვა ისლამის ხუთი ბურჯიდან ერთ-ერთ წარმოადგენს.[111] მუსლიმებისთვის ჰაჯის რიტუალის შესრულების აუცილებლობაზე და მასთან დაკავშირებულ წესებზე საუბარია ყურანის არაერთ სურაში,[112] თუმცა, მუსლიმი პილიგრიმის ანგელოსთან გათანაბრებაზე არსად საუბარი არაა. (ვფიქრობთ, ესეც ზეპირი გადმოცემის ნიმუში უნდა იყოს!)

საინტერესოა ასევე თხზულებაში მოტანილი ცნობა მუსლიმთა მხრიდან წმინდა გიორგის ჯვორჯ თეჰამბორად (// ფეიღამბარი) ანუ წინასწარმეტყველად მიჩნევის შესახებ.[113]

ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომში აქტიურად იყენებს მუსლიმურ ტერმინებს, როგორიცაა ყიბლა,[114] ჰაჯი[115], ყუსლი,[116] ნაჯისი,[117] შაიადათი[118] (აშ-

[108] ზეც. S-1338, გვ. 28-29.
[109] ყურანი, გვ. 152.
[110] ზეც. S-1338, გვ. 27.
[111] გ. ჯაფარიძე. ჰაჯი. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი), გვ. 233-234; ყურანი, გვ. 428-437.
[112] ყურანი, II/192 (196), 193 (197), 194 (198), III/91 (97), XXII/28 (27) და ა.შ.
[113] ზეც. S-1338, გვ. 20; **ჯიორჯი თეჰამბორი** – S-126, გვ. 20.
[114] ზეც. S-1338, გვ. 31.
[115] ზეც. S-1338, გვ. 27.
[116] ზეც. S-1338, გვ. 28 .
[117] ზეც. S-1338, გვ. 81, ნაჯისი უწმინდური.
[118] ზეც. S-1338, გვ. 61.

შაჰადა) და სხვ., და და ძირითად შემთხვევაში განმარტავს მას. ესეც გვაფიქრებინებს, რომ მან სპარსული (და შესაძლოა არაბულიც) იცოდა.

ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომის სიტყვისგებითი ნაწილი მოიცავს ისეთ საკითხებს, (მუსლიმთა მიერ დასმულ კითხვებს) როგორიცაა: წმინდა წიგნების არსებობა ქართულ ენაზე,[119] ყურანის გადმოცემა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ და მუჰამადის ბოლო წინასწარმეტყველად მიჩნევის საკითხი,[120] ქრისტეს ღვთაებრივი თუ ადამიანური ბუნების შესახებ,[121] მუსლიმთა აზრი, თუ რა იყო ებრაელთა მიერ ქრისტეს ჯვარცმის მიზეზი[122] და ნამდვილად აცევს ჯვარზე თუ არა.[123] ამ შეკითხვებზე ავტორი პასუხს სცემს და თვითონაც სვამს კონტრშეკითხვებს. მუსლიმთა მხრიდან ქრისტიანთა მიერ ხატების თაყვანისცემის კერპთაყვანისმცემლობად მიჩნევზე ავტორს საპასუხოდ მოაქვს ხელთუქმნელი ხატის შექმნის შესახებ გადმოცემა.[124]

ბაგრატ მუხრანბატონი იცნობს ისლამში გავრცელებულ[125] და ყურანში დადასტურებულ თქმულებას რომლის მიხედვითაც იესოს ჯვარცმა არ მომხდარა (4:156/157),[126] იგი ანგელოზმა ზეცად აიყვანა, სადაც მეორედ მოსვლამდე დარჩება. ურიებმა კი მის ნაცვლად ჯვარს აცვეს კაცი, რომელიც მას ძალიან ჰგავდა.[127]

თხზულების ავტორი სამებისა და უფლის სიტყვის დოგმის პოზიციებიდან აკრიტიკებს ალაჰის ერთარსების პოსტულატს, („არა შობილა და არცა შობს და არა ჰყავს მოზიარე თავის ყოფაში“) რომლის მიხედვითაც, ღვთის სიტყვა (იესო ხ. ბ.) ღმერთის თანაზიარი არ არის.[128] მართლაც, ყურანის მიხედვით, „... ისა იბნ მარიამი ალაჰის მოციქულია და სიტყვაა მისი, რომელიც მან მარიამს შთაუნერგა, და სულია მისგან (ალაჰისგან გამომავალი). ირწმუნეთ ალაჰისა და მისი მოციქულებისა და ნუ იტყვით – სამია რადგან ალაჰი ერთი ღმერთია და (მეტისმეტად) დიდია იგი იმისათვის, რომ ჰყავდეს

[119] ხეც. S-1338, გვ. 47.
[120] ხეც. S-1338, გვ. 48.
[121] ხეც. S-1338, გვ. 60, 61.
[122] ხეც. S-1338, გვ. 67.
[123] ხეც. S-1338, გვ. 76, 77.
[124] ხეც. S-1338, გვ. 69.
[125] გ. ჯაფარიძე. ისა. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი), გვ. 89.
[126] ყურანი, გვ. 145.
[127] ხეც. S-1338, გვ. 20.
[128] ხეც. S-1338, გვ. 22.

ძე. მისია ყოველი, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და საკმარისია ალაჰი დამცველად!“ (IV/ 167(171).[129]

ხაზგასასმელია, რომ ქართველი ავტორი მუსლიმის მიერ დასმულ შეკითხვებს არა მხოლოდ ქრისტიანის, არამედ კონკრეტულად ქართველი მართლმადიდებლის პოზიციიდან პასუხობს და ეს მისი თეოლოგიური მსჯელობის გენერალურ ხაზს წარმოადგენს.

ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომში არსებობს ცნობა ყოველ წელს მაცხოვრის საფლავზე წმინდა ცეცხლის გადმოსვლისა და ქრისტეს საფლავის კლიტის მუსლიმთა ხელში ყოფნის შესახებ. „... განვნათლდით ესრეთ რ˜(ამეთუ) საფლავსა ზ˜(ედ)ა ქრისტესსა სადა იგი თაყუანის იცემებიან მარადის წმინდანი ხატნი (.) წლითი წლად მოიელინების ნათელი ღთაებისა მისისა რ˜(ომ)ლისა კლიტეთ მპყრობელი მოჰმედიანი არს ესრეთ უწყოდეთ“.[130] „ნათელი ღთაებისა“ სწორედ, რომ ღვთაებრივ ცეცხლს ნიშნავს. ქართულ ნარატივებში და ანტიმუსლიმური ჟანრის ორიგინალურ თხზულებაში ეს არის პირველი ცნობა ქრისტეს საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ. ეს ფაქტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომს.

ბაგრატ მუხრანბატონს თავის ნაშრომზე მუშაობისას უსარგებლია იოანე დამასკელის ნაშრომით, რაზეც მიუთითებს ტექსტის სიტყვისგებით ნაწილში არსებული ფრაზა „იტყვის იოანე დამასკელი“. იგი იოანე დამასკელის ნაშრომის მიხედვით პასუხობს მუსლიმს მაცხოვრის ნათლისღებისა და მასზე სული წმინდის გადმოსვლის შესახებ – „... ღ˜(მერ)თი არავინ სადა იხილა მხოლოდ შობილმან ძემან რ˜(ომე)ლი იყო წიაღთა მამისათა მას გამოსთქუა რაჟამს იოვანეს მიერ ნათელს იღებდა რ˜(ამეთუ) იხილვნეს ცანი განხმულნი და სული ღ˜(მრ)თისა გარდამომავალი მის ზ˜(ედ)ა სახითა ტრედისათა “[131] იოანე დამასკელი ნათლისღებისა და სულიწმიდის შესახებ საუბრობს თავისი ნაშრომის (მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა) 82-ე თავში რწმენისა და ნათლისღების შესახებ.[132]

[129] ყურანი, გვ. 146.

[130] ხეც. S-1338, გვ. 71.

[131] ხეც. S-1338, გვ. 37.

[132] წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა წაუმძღვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ჭელიძემ. თბ. 2019, გვ. 540-552.

თხზულების ავტორმა იცის პოლემიკის დროს ქრისტიანის მიერ მუსლიმისთვის დასმული შეკითხვა, იცის ამ კითხვაზე მუსლიმის პასუხი და გვაძლევს პასუხის პასუხს, ანუ კითხვა-პასუხის ჯაჭვს გვთავაზობს, რაც ბაგრატ მუხრანბატონის მიერ სიტყვისგების პრაქტიკის კარგ ცოდნაზე მიუთითებს.

ნაშრომის დასასრულს ავტორი მოუწოდებს ქრისტიანებს, რომ თუ ვინმე მუსლიმებთან რელიგიურ კამათს დააპირებს, პირველ რიგში კარგად უნდა იცოდეს, მათი ენა, ძველი და ახალი აღთქმა და ასევე კარგად უნდა იცოდეს ყურანი.[133] ბაგრატ მუხრანბატონის ეს მოწოდება გვაფიქრებინებს, რომ ამ ცოდნას თვითონვე კარგად ფლობდა.

„მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა...“, როგორც ქართული ისლამმცოდნეობითი კოდექსი ეფუძნება ისლამის ისტორიის, მუჰამადის ცხოვრებისა და ისლამამდელი და ისლამის შემდგომდროინდელი არაბეთის ისტორიის წყაროებს. ბაგრატ მუხრანბატონი თხზულებაზე მუშაობისას იყენებს ყურანს და იაგაზის. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არსად მიანიშნებს თუ საიდან მოაქვს ინფორმაცია არაბეთის ისტორიის შესახებ, ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბაგრატს ხელი მიუწვდებოდა მუჰამადის ბიოგრაფიის ადრეულ ვერსიებზე, შიიტური ისლამის საღვთისმეტყველო წიგნებზე და სახალიფოს ისტორიის ამსახველ ქრონიკებზე. იგი იცნობს და სარგებლობს თეოდორე აბუკურას ანტიმუსლიმური ტრაქტატით და იოანე დამასკელის ნაშრომით. ბაგრატ მუხრანბატონს ასევე ზეპირი გადმოცემებითაც უსარგებლია. ამაზე მეტყველებს მის მიერ ნახსენები: „... ესეცა თქმულ არს ...“[134] ზოგადად მიგვაჩნია, რომ ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომში არსებული ისლამის ისტორიისა და ყურანისეული სიუჟეტების დამახინჯებული სახე, მის ფოლკლორულ წარმომავლობაზე მიანიშნებს.

ქართულ ანტიმუსლიმური სიტყვისგების ჟანრში ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომის უდიდეს მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ XVII ს. უკანასკნელ მეოთხედში (დაახლ. 1688-1691 წწ) ქართლის მეფის გიორგი XI-

[133] ხეც. S-1338, გვ. 85. ბაგრატ მუხრანბატონის განათლების საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საგანია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივ. ლოლაშვილს იგი არასათანადო განათლების მქონე პიროვნებად მიაჩნია (მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გვ. 11); ითვალისწინებს რა ბაგრატ მუხრანბატონის ცოდნას ისლამისა და ქრისტიანული რელიგიების შესახებ მის განათლებას საეკლესიო სამართლიანად, მაღალ შეფასებას აძლევს ბ. დარჩია (იხ. ბ. დარჩია. ბაგრატ მუხრანბატონის ბიბლიოგრაფიული ცნობები, გვ. 97.

[134] ხეც. S-1338, გვ. 31; ბ. დარჩია. ბაგრატ ბატონიშვილი, გვ. 52.

ის დავალებით „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა...“ იაკობ შემოქმედელმა გალექსა.[135]

ბაგრატ მუხრანბატონმა თავის ნაშრომში მოახდინა ისლამთან და არაბეთის ისტორიასთან დაკავშირებული იმ უზარმაზარი ცოდნის აკუმულირება, რომელიც აღნიშნულ ეპოქაში ქართულ მწიგნობარ საზოგადოებაში არსებობდა. ეს ნათლად მეტყველებს ქართველების მიერ ისლამის რელიგიური მოძღვრებით, მისი სოციალური და პოლიტიკური ბუნებით დაინტერესებაზე. თხზულებაში კარგად ჩანს ქართულ-მართლმადიდებლურ და მუსლიმურ რელიგიებს შორის სიტყვისგების პრაქტიკასთან დაკავშირებული ცოდნა. ბაგრატის ნაშრომი საზგასმით მიუთითებს იმ უდიდეს პრობლემაზე, რომელსაც შიიტური ისლამი უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

[135] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გვ. 12-13; ბ. დარჩია. იაკობ შემოქმედელი. თბ. 2009; Kh. Baindurashvili, Metropolitan Iakob Šemok'medeli (Samebeli). Dumbaže Iakob Šemok'medeli, Christian-Muslim Relations. A Bibliographical History. Vol. 12. Asia, Africa and the Americas (1700-1800). Leiden. Boston. 2018, გვ. 319-324.

Khatuna Baindurashvili
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, Georgia

IDEOLOGICAL CONFRONTATION WITH SHIA ISLAM AND BAGRAT MUKHRANBATONI'S "STORY OF HERETICAL TATARS'S FAITH..."

Summary

In the first half of 16th century, the events developed between Safavid Iran and Eastern Georgia in 1522 (Ismail I demanded David X to convert to Islam, Div-Sultan Rumlu restored the Shia mosque, Shah Tamaz I forced the fortress guardsmen of Tbilisi to convert to Islam with the aim of saving their life) clearly showed the aggressive revelation of Islam toward the Georgian state and society. The ideological confrontation and activation of Shia Islam in Tbilisi toward the Eastern Georgia was reflected in the consolidation of the Jafarite Madhab.

Bagrat Mukhranbatoni was the eyewitness of current processes and, evidently, as a member of the royal family and active political figure, he had properly seen and assessed the danger proceeding from Shia Islam, which motivated him to write this literary work.

Bagrat Mukhranbatoni's "Story of Heretical Tatars's Faith..." is the first original anti-Shia piece in polemical literature that have reached us. The work, as a source of Islamic study, has not been studied to date. The work encompasses original material about the religious doctrine of Islam, its preacher and Muslim Madhabs and properly reviews the history of Islam and Arabia.

Bagrat Mukhranbatoni actively uses the Muslim terminology and provides their definitions in most of the cases, that indicates that he had a good command of the Persian (and maybe Arabic as well) languages.

The observation of Bagrat Mukhranbatoni's literary writing reveals that the author reads the Shia literature. This circumstance can be accounted for by the existence of followers of Shia Islam in Tbilisi. It is obvious, that this type of literature was available for the author.

The great interest is evinced in Bagrat Mukhranbatoni's account about the fact that Quran was even called Furqan in Georgian. Such a name of Quran has not been encountered in any other anti-Muslim work.

In this piece of literature there can be found the account about the descent of Holy Fire over Jesus Christ's tomb and the lock of Christ's tomb being at the disposal of Muslims. This was the first time, the descent of Holy fire over Christ's tomb had been mentioned in the Georgian narratives and anti-Islam original literary writings.

Bagrat Mukhranbatoni managed to accumulate the vast knowledge related to the history of Islam and Arabia which existed in Georgian literary society. This shows the Georgians' interest in Islamic religious doctrine and its social as well as political nature. This work of literature properly illustrates the knowledge relating to the practice of speech between Georgian Orthodox and Islamic religions. Bagrat Mukhranbatoni's work highlights the major problem which the Shia Islam posed to the Georgian State.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

ნიკო ჯავახიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის

როგორი თანამიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატიონები ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში

წინამდებარე გამოკვლევაში, სათანადო წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, დადგენილი და დაზუსტებულია ქრონოლოგიური რიგი ბაგრატიონთა დინასტიის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც ქართლში XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე (ამ სამეფოს გაუქმებამდე), ანუ ორი საუკუნის განმავლობაში მეფობდნენ, ანდა გამგებლობდნენ. ისინი სპარსულად იხსენიებოდნენ ჯერ წოდებით „მოლქ-ი მოურუს“, რაც ნიშნავდა სამეკვიდრეო მამულის (იმავე სამეფოს) მფლობელს, ხოლო XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ატარებდნენ „ვალის“ (შეესაბამებოდა მეფეს) ანდა „ჯანიშინის“ (შეესაბამება მეფისნაცვალს, გამგებელს) ტიტულებს.

ნარკვევში ქართლის ხუთ ბაგრატოვან მმართველს პირველად აქვს მიკუთვნებული შესაბამისი რიგითი ნომერი, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არავის უცდია. ესენი არიან:

1) **ლევან I** (გამგებლობდა 1676-1677 და 1703-1704 წლებში);
2) **სვიმონ III** (გამგებლობდა 1712-1714 წლებში);
3) **კონსტანტინე III** (მეფობდა 1723 წლის 4 მაისიდან 10 ივნისამდე);
4) **ალექსანდრე II** (მეფობდა 1735-1736 წლებში);
5) **არჩილ III** (მეფობდა 1736-1737 წლებში).

მართალია, ზემოხსენებულთაგან მხოლოდ სამი გახლდათ მეფე (ტიტულით – „ვალი“, რომლის შესახებაც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ), ორი კი

– გამგებელი, მაგრამ რიგითი ნომრის მიკუთვნება ამ უკანასკნელთათვის, როგორც ქართლის სამეფოს მემკვიდრეობითი მმართველებისათვის (ბაგრატიონთა დინასტიიდან), აუცილებლად მიგვაჩნია. [1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (1746-1800) უფროს ვაჟსა და ლეგიტიმურ მემკვიდრეს – უფლისწულ დავითს (1767-1819), რომელიც სამეფოს თავისი გვირგვინოსანი მამის გარდაცვალებიდან – 1801 მაისამდე განაგებდა, უკანასკნელ პერიოდში უცხოეთში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიებენ როგორც – დავით XII-ს, თუმცა იქვე მიუთითებენ, რომ იგი გახლდათ არა მეფე, არამედ გამგებელი – «Давид XII *(правитель царства)*». [2]

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ დავით ბატონიშვილი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მხოლოდ გამგებელი, მას როგორც ამ სამეფოს ბაგრატოვან მმართველს, თანამედროვე მეცნიერ-გენეალოგთა გარკვეული ნაწილი თავის კუთვნილ რიგით ნომერს მაინც ანიჭებს.

ეს ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან, რომელის მეორე მონაკვეთი ცალკეულ ქვეთავებად იყოფა.

1) შაჰინშაჰთა მიერ ქართლის მმართველებად დადგენილი ბაგრატოვანნი (1569-1749 წლები)

სეფიანთა ანუ სეფევიდთა დინასტიის მმართველობისას (1501-1722 წლები) სპარსეთის იმპერიის სახელმწიფო და სამხედრო ასპარეზზე ბაგრატიონთა დინასტიის ცალკეული წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობდნენ. ისინი სისტემატურად იკავებდნენ მთელ რიგ მაღალ თანამდებობებს, რომელთა შორისაც იყო: დედაქალაქ ისპაჰანისა და სხვა ქალაქების **ტარუღა** (ქალაქისთავი, მოურავი), **დივანბეგი/მდივანბეგი** (მსაჯული), **ბეგლარბეგი** (პროვინციის გამგებელი), **ამირსპასალარი** (მთავარსარდალი) **სპასალარი** (სარდალი), **ყულარაღასი** (შაჰინშაჰის პირადი გვარდიის – ყულის, ანუ მონათა ჯარის სარდალი), **თოფჩიბაში** (არტილერიის სარდალი) და სხვ.

შაჰინშაჰები ნიშნავდნენ მათივე დაქვემდებარებაში მყოფ განაპირა მხარეთა (პროვინციათა) მმართველებს, რომლებსაც „ვალი" ეწოდებოდათ. ეს

[1] ნ. ჯავახიშვილი. ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისთვის, როგორი თანამიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატოვანნი ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი". № 114-116. თბ. 2020.
[2] Н. Сычев. Книга Династий. Москва. 2006, გვ. 620.

ტერმინი არაბული წარმომავლობისაა და „დამცველს“ ნიშნავს. ვალის გააჩნდა საკუთარი ადმინისტრაციული აპარატი, მმართველობის ორგანოები, კანონმდებლობა, ბიუჯეტი, საგადასახადო სისტემა და ვასალებიც ჰყავდა.

სეფიანთა სპარსეთის ვალიებს შორის ერთ-ერთი გახლდათ „გორჯესთანის“ ვალი. ეს ინსტიტუტი თავისი კლასიკური სახით XVII საუკუნის 30-40–იან წლებში ჩამოყალიბდა. გამუსლიმებული მმართველის დასმა სპარს მოხელეობას ნიშნავდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალის ინსტიტუტის შემოღებამდე, ქართლის მმართველები იხსენიებოდნენ სახელით – *„მოლქ-ი მოურუს“*, რაც მათი მემკვიდრეობითი მმართველობის უფლებას ნიშნავდა. [3]

ტერმინებში: *„მოლქ-ი მოურუსი“* და *„ვალი-ე გორჯესთან“* სპარსელები მოიაზრებდნენ მმართველს აღმოსავლეთ საქართველოსას, კერძოდ, ქართლისას (თბილისითურთ) და კახეთისას. როდესაც ქართლ-კახეთი ერთიან სამეფოს წარმოადგენდა, მას ერთი ვალი ჰყავდა, რომელსაც *„ვალი-ე გორჯესთან“* ეწოდებოდა. ამ სახელმწიფოს ორ სამეფოდ დაშლის პერიოდში ქართლს და კახეთს ჰყავდა დამოუკიდებელი ვალიები, რომელთაგან პირველს ერქვა *„ვალი-ე გორჯესთან ქართილ“*, ხოლო მეორეს – *„ვალი-ე გორჯესთან კახით“* ეწოდებოდა. [4]

ქართლის სატახტო ქალაქ თბილისში მჯდარ ვალის უფლება ჰქონდა, რომ თავზე გვირგვინი (თაჯი, ჯიღა) დაედგა. [5]

ვალის სამოხელეო ინსტიტუტს სეფიანთა სახელმწიფოში გამორჩეული ადგილი ეკავა. ის განეკუთვნებოდა დიდ ამირათა რიცხვს, ატარებდა „მაღალადგილოვანის“ წოდებას და უფლებრივად და მდგომარეობით აღემატებოდა დანარჩენ „მენაპირე ამირებს“, რომელთა შორის ცალკეულ პროვინციათა სულთნები, ხანები და ბეგლარბეგები იყვნენ.

ხსენებული ინსტიტუტი მკაფიოდ არის განსაზღვრული სპარსულ იურიდიულ-ადმინისტრაციულ ტრაქტატებში – მირზა სიმიას „თაზქირათ ალ-მულუქსა“ და მირზა რაფიას „დასთურ ალ-მულუქში“, რომლებიც XVIII საუკუნის პირველ მესამედში შეიქმნა.

აღნიშნული ტრაქტატების მიხედვით, ვალიებს შორის პირველი ადგილი ეკავა არაბისტანის ანუ ხუზისტანის ვალის, ვინაიდან ეს მისი მმართვე-

[3] კ. კვაშილავა. გიორგი XI და ქაიხოსრო. თბ. 2020, გვ. 11-12.

[4] დ. კაციტაძე. ირანის ისტორია (III-XVIII საუკუნეები). თბ. 2009, გვ. 454.

[5] ლ. დავლიანიძე. აბრაამ კრეტაცი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“. ტ. VI. თბ. 1985, გვ. 104.

ლობის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა დანარჩენი ვალიების ყმათა რიცხვს. ვალიების რიგში მეორე ადგილი ეკავა ლურისტანის ვალის, რომელიც ისლამური სარწმუნოების ერთგულების გამო, აღემატებოდა მის შემდეგ მყოფ გორჯესთანის ვალის (ანდა ორად გაყოფილი გორჯესთანის – ქართლისა და კახეთის ვალიებს), რომლის შემდეგაც ქურთისტანის ვალი მოდიოდა. მართალია, სისტანისა და ბახთიართა ოლქების მმართველებს ვალის ტიტული არ გააჩნდათ, მაგრამ ისინი არსებითად ვალიების მოვალეობას ასრულებდნენ. ზოგჯერ ლურისტანისა და ქურთისტანის მმართველებს ვალიზე შედარებით დაბალი – „ბეგლარბეგის“ ტიტულით იხსენიებდნენ.

მართალია, სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ დადგენილ ვალიებს შორის გორჯესთანის (ანუ აღმოსავლეთ საქართველოს) ვალი – მესამე ადგილზე იდგა, მაგრამ მისი ფაქტობრივი მდგომარეობა, მენაპირე მმართველთა შორის, ზოგჯერ გაცილებით მნიშვნელოვანი გახლდათ. იგი გახლდათ ნამდვილი ვალი, ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით.

ყოველივე ეს იმან განაპირობა, რომ სეფიანმა შაჰინშაჰებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაცია, სამამულო მიწათმფლობელობის ამოძირკვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ლიკვიდაცია ადგილობრივი დინასტიისა, რომლის წარმომადგენლიც მართვა-გამგებლობის არაერთ სფეროში დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ახერხებდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ სეფიანთა სახელმწიფოს საფინანსო ნუსხაში არათუ არ აღირიცხებოდა წლიური შემოსავალი გორჯესთანის ვალისა, არამედ მას სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურ ჯამაგირს და შიდა სპარსეთში მდებარე სოფლებსაც კი აძლევდნენ. ეს დანარჩენ ვალიებისაგან განსხვავებით, ბაგრატოვან ვალის პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა. იგი შაჰინშაჰს „ფიშქეშის“ (იმავე „ფეშქაშის“) ანუ ძღვენის სახით რამდენიმე ყმაწვილ გოგო-ბიჭს და ღვინოს უგზავნიდა და ამასაც არარეგულარულად აკეთებდა. შაჰინშაჰის კარზე მყოფ ბაგრატოვან ვალის და მის ნათესაობას საპატიო სტუმრის სტატუსით იღებდნენ და მას საგანგებო მეჰმანდარს, ანუ მესტუმრეს უნიშნავდნენ. [6]

აღმოსავლეთმცოდნე კარლო კუციას მართებული დასკვნით: „გორჯეს-

[6] ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბ. 1958, გვ. 375; ქ. კუცია. გორჯესტანის ვალი. კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“. ტ. II. თბ. 1999, გვ. 80-87; დ. კაციტაძე. ირანის ისტორია (III-XVIII საუკუნეები), გვ. 454-455.

თანის ვალის რეალური სტატუსი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამას ირანის ოფიციალური თვალსაზრისი აღიარებდა. ამას კი აპირობებდა ქართველ ბაგრატიონთა პოლიტიკური როლი და გავლენა კავკასიის რეგიონსა და სეფიანთა სახელმწიფოში". [7]

საგულისხმოა, რომ ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის ყველა იმ წარმომადგენელს, რომელსაც შაჰინშაჰისაგან „მოლქ-ი მოურუსის" ანდა „ვალის" ტიტული ჰქონდა მინიჭებული, საქართველოს მოსახლეობა – მეფედ აღიქვამდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან აღნიშნული დინასტიის წარმომადგენელთა მმართველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ მთავართა, ხოლო შემდეგ მეფეთა რანგში ათი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნის მიწურულს ქართლში ერისმთავრობდა გუარამი (იგივე გურგენი), რომელსაც სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავრად მიიჩნევდა. [8] ორი საუკუნის შემდეგ, კერძოდ, VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე, კურაპალატმა აშოტ ბაგრატიონმა საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის სამთავროს, რომელსაც „ქართველთა სამთავროსაც" უწოდებდნენ და გარდაცვალებამდე (826 წ.) მთავრობდა. მისმა შთამომავალმა მთავარმა – ადარნასე II-მ, 888 წელს, ბაგრატიონთაგან პირველმა – „ქართველთა მეფის" ტიტული მიიღო. [9]

აქედან მოყოლებული, ბაგრატოვანნი უკვე მეფეთა რანგში მართავდნენ საქართველოს, ანდა მის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეულ სამეფოებს, რაც XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით გაგრძელდა.

„მოლქ-ი მოურუსის" ანდა „ვალის" თანამდებობაზე დამტკიცების წინაპირობად შაჰინშაჰები ბაგრატოვანთაგან მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლას ითხოვდნენ. მაგალითად, აღნიშნულ ტიტულთა მქონე ყველა პირი, რომლებსაც ეს თანამდებობა ქართლში 1569-1578, 1615-1630 და 1633-1743 წლებში ეკავათ – მუსლიმური აღმსარებლობისანი იყვნენ. ბაგრატოვან მმართველთა მუსლიმობა ხშირად ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და ისინი შინაგანად ქრისტიანებად რჩებოდნენ.

გამაჰმადიანებულ ბაგრატიონთაგან პირველი, რომელიც სპარსეთის შა-

---

[7] კ. კუცია. გორჯესტანის ვალი, გვ. 87.

[8] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 374.

[9] საქართველოს მეფეები. ავტორთა კოლექტიური ნაშრომი მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2000, გვ. 99-102.

ჰინშაჰმა მოლქ-ი მოურუსის თანამდებობაზე დაადგინა, იყო დაუთ-ხანი, იგივე დავით XI (1540-1582), რომელიც ქართლის სამეფოს 1569-1578 წლებში განაგებდა. [10] ამით იგი სრულიად განსხვავდებოდა თავისივე უფროსი ძმის – სვიმონ I-ისაგან (1537-1611), რომელიც ქართლში 1556-1569 და 1578-1600 წლებში მეფობდა. სპარსეთში ტყვედ ყოფნისას იძულებით გამუსლიმების (1678 წ.) მიუხედავად, მან ქრისტიანობა სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიბრუნა. [11]

უფლისწული ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (1696-1758) თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვაუწყებს: „იხილა რა ძმამან მეფის სვიმონისამან დავით სპარსთაგან ძლევა ესე, წარვიდა სპარსეთად, რამეთუ იყო ხორცთმოყვარე, მეძავ-განმცხრომელ და იქმნა გამცემელ ქყეყნისა და მივიდა წინაშე ყაენისა. ამას პატივ-სცა შაჰ-თამაზ და ჰყო მაჰმადიანად, უწოდა დაუთ-ხან და ძედ თვისად უხმობდა, მისცა ჯილდო – 200 თუმანი, ხალათად კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქროქსოვილნი, თაჯი, ხრმალი, ხანჯალი, საბუხარი, მარგალიტისა და ცხენი აღკაზმული ოქროთი, ყოველნი მოოჭვილნი თულებითა, სურა და თასი ოქროსი (რომელი შემდგომად დაიდვა და მოსცემდნენ მეფეთა ქართლისათა), წარმოავლინა მეფედ ქართლისად სპითა დიდითა, შემოვიდა ტფილისს... თაჯი არს გვირგვინი მათი, რომელსა დაახვევენ დოლბანდსა მძიმედ ოქროქსოვილსა და ჯიღითა თორმეტითა შეამკობენ“. [12]

1578 წელს სპარსეთიდან ნავაზ-ხანის სახელით სამშობლოში დაბრუნებულმა სვიმონ I-მა მეფობა განაგრძო. ქართლში შემოჭრილ ოსმალო დამპყრობლებს იგი თავდადებით ებრძოდა. 1588 წელს სვიმონი იძულებული გახდა ეცნო ოსმალეთის სულთნის უზენაესობა და ყოველწლიური ხარკის გადახდაც ეკისრა. [13]

აქვე უნდა ითქვას, რომ ოსმალები სვიმონს – სულთან-მაჰმუდს ეძახდნენ. შემდგომში მან განაახლა ბრძოლა დამპყრობლებთან, რომლებმაც ქართლის დაუმორჩილებელი მეფე 1600 წელს ტყვედ ჩაიგდეს. იგი მტერმა გა-

[10] ვ. გუჩუა. საქართველო XVI საუკუნის 50-70-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან – XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბ. 1973, გვ. 119; საქართველოს მეფეები, გვ. 184.

[11] საქართველოს მეფეები, გვ. 181-182.

[12] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 407-408.

[13] საქართველოს მეფეები, გვ. 181-182.

დაიყვანა იმპერიის სატახტო ქალაქში, სადაც მეფედყოფილი გარდაიცვალა.[14]

1600 წლიდან ქართლის სამეფოს განაგებდა სვიმონ I-ის ვაჟი – ქრისტიანი მეფე გიორგი X (1560-1606), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი – ლუარსაბ II (1592-1622), რომელიც 1614 წლამდე მეფობდა. ვინაიდან ამ უკანასკნელმა მაჰმადიანობის მიღებაზე მტკიცე უარი განაცხადა, შაჰ-აბას I სეფიანის (მეფობდა 1587-1629 წლებში) ბრძანებით, იგი სიკვდილით დასაჯეს. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული მეფე ლუარსაბი წმინდანად შერაცხეს.[15]

1615 წლიდან შაჰ-აბას I-მა ქართლის მმართველად დაადგინა ზემოხსენებული გამაჰმადიანებული ბაგრატიონის დაუთ-ხანის მუსლიმი ვაჟი – ბაგრატ-ხანი (1569-1619), იგივე ბაგრატ VII. მისი გარდაცვალების შემდეგ, მამისეული თანამდებობა გადასცეს მის ასევე მაჰმადიან ვაჟს – სვიმონ-ხანს ანუ სვიმონ II-ს, რომლის საბეჭდავზეც სპარსულად ეწერა: *„ჯეშმარიტების მეუფის მონა სვიმონ“.*[16]

ქართლში მუსლიმ ბაგრატიონთა მმართველობის ხანა პირველად მაშინ შეწყდა, როდესაც სვიმონ II-ის მოკვლის (1630 წ.) შემდეგ, შაჰინშაჰმა სეფი I სეფიანმა (შაჰ აბას I-ის შვილიშვილი, რომელიც 1629-1644 წლებში მეფობდა) ამ სამეფოს მმართველად დაადგინა ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დამცველი კახეთის მეფე თეიმურაზ I. ამის დამადასტურებელი სიგელი თეიმურაზს 1631 წლის 14 მაისს გადასცეს.[17] აქვე უნდა ითქვას, რომ ქართლის სამეფოს მნიშვნელოვან ნაწილს (კერძოდ, შიდა ქართლს, გარდა თბილისისა) თეიმურაზი მანამდეც აკონტროლებდა.

ორი წლის შემდეგ, შაჰინშაჰმა სეფი I-მა ქართლის სამეფო ჩამოართვა თეიმურაზ I-ს და გადასცა გამაჰმადიანებულ ბაგრატიონს – ხოსრო-მირზას (1565-1658), იმავე როსტომ I-ს, რომელიც იყო მზევლისაგან დაბადებული ვაჟი ზემოხსენებული დაუთ-ხანისა (იმავე დავით XI-ისა). იგი პირველი გახდა ვალის ტიტულის მფლობელი ბაგრატიონ ხელმწიფეთაგან, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანამდე „მოლქი მოურუსებად“ იწოდებოდნენ.

---

[14] Дворянские роды Российской империи. Т. III. Князья. Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин. Под редакцией С. Думина. Москва. 1996, გვ. 40-41.

[15] საქართველოს მეფეები, გვ. 185-188.

[16] ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.). ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნ. დუნდუამ. თბ. 1984.

[17] გ. ჟორჟოლიანი. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი). თბ. 1987, გვ. 16.

1633 წლის დასაწყისში ქართლის ვალი როსტომ-ხანი თბილისში ჩამოვიდა და გარდაცვალებამდე მეფობდა.[18]

ამის შემდეგ ქართლს განაგებდნენ როგორც მაჰმადიანი ბაგრატიონები (ქართლის ან კახეთის შტოდან), ასევე შაჰინშაჰების მიერ დროებით, არამემკვიდრეობით მმართველებად დადგენილი მუსლიმი უცხოტომელი (სპარსი, ყიზილბაში და სხვ.) ხანები, ანდა ქართლის წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლები.

მუსლიმ ბაგრატიონთა მმართველობა ქართლში მეორედ მაშინ დაირღვა, როდესაც მამის – ვახტანგ V-ის გარდაცვალების (1675 წ.) შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში გამგებლობდა მისი ვაჟი – გიორგი XI, რომელიც იმხანად ქრისტიანი იყო. ასევე ქრისტიანები იყვნენ გიორგი XI-ის ძმისწულები – ვახტანგ VI და სვიმონი, რომლებიც ქართლში 1704-1712 და 1712-1714 წლებში გამგებლობდნენ. აქვე დავსძენთ, რომ მოგვიანებით, ვახტანგ VI მაინც იძულებული გახადეს გამაჰმადიანებულიყო.

მუსლიმთა ხანგრძლივი მმართველობა ქართლში სამუდამოდ დასრულდა 1744 წლის დასაწყისიდან, როდესაც სპარსეთის მბრძანებელმა ნადირ-შაჰ აფშარიანმა ანუ აფშარმა (მეფობდა 1736-1747 წლებში) ტიტული „ვალი-ე გორჯესთან ქართილ“ – ქრისტიან კახთბატონს თეიმურაზ II-ს (1700-1762) უბოძა.

ისლამი ასევე მიღებული ჰქონდათ კახეთის მმართველის თანამდებობაზე XVII საუკუნიდან – XVIII საუკუნის ორმოციან წლებამდე მყოფ ბაგრატიონებსაც (კახეთის ან ქართლის შტოდან), რომელთა შორისაც იყვნენ: კონსტანტინე I, ანუ კონსტანტინე-მირზა (მეფობდა 1605 წელს), იესე I, ანუ ისა-ხანი (მეფობდა 1614-1615 წლებში), არჩილ I, ანუ შაჰნაზარ-ხანი (მეფობდა 1664-1675 წლებში), იესე I, ანუ ისა-ხანი (მეფობდა 1614-1615 წლებში), როსტომ I (ქართლ-კახეთში მეფობდა 1648-1656 წლებში), ერეკლე I, ანუ ნაზარალი-ხანი (კახთა მეფედ ითვლებოდა 1703-1709 წლებში), დავით II, ანუ იმამყული-ხანი (მეფობდა 1709-1722 წლებში), კონსტანტინე II ანუ მაჰმადყული-ხანი (მეფობდა 1722-1732 წლებში) და ალექსანდრე III, ანუ ალი-მირზა, რომელიც კახეთში 1735-1737 წლებში მეფობდა.

ზემოხსენებულთა გარდა, კახეთს დროგამოშვებით (1616-1625, 1656-1664 და 1677-1703 წლებში) განაგებდნენ შაჰინაჰთა მიერ დროებით, არამემკვიდრეობით მმართველებად დადგენილი სხვადასხვა ეროვნების (სპარსი, ყი-

[18] გ. ჟორჟოლიანი. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი), გვ. 40.

ზილბაში და სხვ.) ხანები: ფეიქარ ხან ზიად ოღლი ყაჯარი, სელიმ-ხან შამს ედდინლუ, მურთუზ-ალი-ხანი, ბეჟან-ხანი, აბას-ყული-ხანი, ქალბ-ალი-ხანი და სხვები. [19]

კახეთის მეფეთა დაუმორჩილებლობით გაღიზიანებული შაჰინშაჰები ამ სამეფოს ზოგჯერ ორ ნაწილად ჰყოფდნენ და სხვადასხვა მფლობელთ გადასცემდნენ.

1616 წელს კახეთში შემოჭრილმა შაჰ-აბას I-მა ეს სამეფო ორ ნაწილად გაყო. მდინარე ივრის დასავლეთით მდებარე ტერიტორია მან გადასცა ქართლის ვალის თანამდებობაზე დადგენილ მუსლიმ ბაგრატიონს ბაგრატხანს, იმავე ბაგრატ VII-ს, რომელიც 1616-1619 წლებში მეფობდა, ხოლო ივრის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია – განჯის ბეგლარბეგს, ზემოხსენებულ ფეიქარ ხანს. 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფთან მომხდარ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების წყალობით, კახეთი მთლიანად დაიბრუნა ამ სამეფოს კანონიერმა მფლობელმა – მეფე თეიმურაზ I-მა.

1660 წელს მომხდარი ბახტრიონის აჯანყების შემდეგ, სპარსეთის იმდროინდელმა შაჰინშაჰმა აბას II-მ კახეთის სამეფო კვლავ ორ ნაწილად გაყო. უმეტესი ნაწილი მან გადასცა ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთაზა ყული ხან ზიად ოღლი ყაჯარს, ხოლო დანარჩენი – ნახიჭევანის მმართველს ალი ყული ხან ქენერ ოღლუს. ვინაიდან ეს უკანასკნელი არასათანადო ყურადღებას იჩენდა კახეთში ჩასახლებული ელებისადმი, მას კახეთის ეს ნაწილი ჩამოართვეს და მურთაზა ყული ხანს გადასცეს. აქვე უნდა ითქვას, რომ გარდა იმ ციხეებისა, სადაც ხსენებული ხანის მორჩილებაში მყოფი სპარსთა გარნიზონი იდგა, კახეთის დანარჩენ ნაწილს ქართლის მეფე ვახტანგ V განაგებდა. [20]

კახეთში მუსლიმ მმართველთა (ბაგრატოვანთა ან უცხოტომელთა) გამგებლობის ხანა დროებით მხოლოდ 1732 წლის მიწურულიდან დაირღვა, როდესაც ოსმალთა მიერ კონსტანტინე II-ის მოკვლის შემდეგ, ამ სამეფოს გამგებლობას ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დამცველი მეფე თეიმურაზ II (1700-1762) შეუდგა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ნადირ-შაჰ აფშარმა თეიმურაზს 1736 წელს ჩამოართვა კახეთის სამეფო და გადასცა მისივე მაჰმადიან ძმისწულს – ალი-

[19] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 599-608; Н. Сычев. Книга Династий, გვ. 620; მ. კაპანაძე. კახეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან (ყიზილბაში მმართველები). გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. № 10-12. თბ. 2009, გვ. 37-42.

[20] მ. კაპანაძე. კახეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან (ყიზილბაში მმართველები), გვ. 35-41.

მირზას, იმავე ალექსანდრეს, რომელიც 1735 წლიდან ქართლის ვალის თანამდებობაზე ჰყავდა დადგენილი. ეს უკანასკნელი გარდაცვალებამდე (1737 წ.) მეფობდა. იგი იყო ვაჟი კახეთის მეფე დავით II-ისა, რომელიც იმამყული-ხანის სახელით იხსენიებდნენ. ამის შემდეგ კახეთის სამეფო ტახტი დაიბრუნა თეიმურაზ II-მ, რომელიც 1744 წლიდან ქართლში მეფობდა. ასე, რომ მაჰმადიან ბაგრატოვანთა მმართველობა კახეთში 1737 წლიდან სამუდამოდ დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლისა და კახეთის ვალის თანამდებობები ნადირ-შაჰმა 1744 წლიდან უბოძა მამა-შვილს – თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს (1720-1798), აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულება სპარსეთზე 1748 წლის ჩათვლით გრძელდებოდა. ამ წელს კახეთის მეფემ და ქართლის სამეფოს დროებითმა მმართველმა ერეკლე II-მ უკანასკნელად გაუგზავნა ხარკი სპარსეთის შაჰინშაჰად მყოფ აფშარიანთა დინასტიის წარმომადგენელს – სოლთან იბრაჰიმს (მეფობდა 1748 წელს), რომელიც ნადირშაჰის ძმიწული და ადილ-შაჰ აფშარიანის (მეფობდა 1747-1748 წლებში) ძმა გახლდათ. ხარკი შედგებოდა ასიოდე ქართველი მეომრისაგან, რომელთაც ყულის ჯარში უნდა ემსახურათ და ასევე, რამდენიმე ყმაწვილი ქალისაგან. ერეკლე II ეს ხარკი მხოლოდ იმიტომ გაიღო, რომ მამამისი თეიმურაზ II იმხანად შაჰინშაჰის კარზე იმყოფებოდა. 1749 წელს თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა და ქართლში მეფობა განაგრძო. [21]

იმდროინდელ სპარსეთში დაწყებული შინაშლილობით მოხერხებულად ისარგებლეს ქართლ-კახეთის მეფეებმა, 1749 წელს ყიზილბაშთა გარნიზონი თბილისიდან განდევნეს და რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ვალის ინსტიტუტიც ფაქტობრივად მხოლოდ ამის შემდეგ მოისპო. [22]

ამის მიუხედავად, სპარსეთის მმართველი ელიტა ტრადიციულად ვალიებად მიიჩნევდა როგორც თეიმურაზ II-ს, ასევე ერეკლე II-საც, თუმცა ეს გამომდინარეობდა უკვე სპარსთა სურვილიდან და არა იმხანად არსებული რეალობიდან, რომელიც ძველი ვითარებიდან რადიკალურად განსხვავდებოდა.

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართლისა და კახეთის მეფენი საკუთარ თავს თვლიდნენ სრულიად დამოუკიდებელ მონარქებად, რაც მათივე მეფობისას მოჭრილ მონეტებზეც აისახა. კერძოდ, სპარსეთის ბოლო მონარქი,

[21] ლ. შენგელია. ნადირ შაჰის ურთიერთობა საქართველოსთან (ირან-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის II მეოთხედში. კრებული „ქართული დიპლომატია“. ტ. 16. თბ. 2013, გვ. 44.

[22] დ. ლომიძე. ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 2007, გვ. 59.

რომლის სახელიც თბილისის სამეფო ზარაფხანაში 1749-1750 წლებში მოჭრილ ვერცხლის მონეტებზე აღიბეჭდა, იყო ნადირ-შაჰის შვილიშვილი შაჰროხ აფშარიანი, [23] რომელიც 1748-1795 წლებში რეალურად სპარსეთის მხოლოდ ნაწილს – ხორასანს განაგებდა. [24]

1751 წლიდან – რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე (1801), ანუ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თბილისის სამეფო ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე სპარსეთის არცერთი მბრძანებლის სახელი აღარ დაფიქსირებულა.

2) ქართლის სამეფოს ბაგრატოვანი მმართველები: მეფენი და გამგებელნი (1658-1762 წლები)

როსტომ I

1633 წლის დასაწყისში სპარსეთის შაჰინშაჰმა სეფი II სეფიანმა (მეფობდა 1629-1644 წლებში) ქართლის ვალის თანამდებობაზე დაადგინა მუსლიმი ბაგრატიონი ხოსრო-მირზა (1565-1658), რომელიც იმავე წლის 18 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა და დაკისრებული მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. იგი გარდაცვალებამდე მეფობდა. [25]

ხოსრო-მირზა იყო მხევლისაგან დაბადებული ვაჟი დაუთ-ხანისა, იმავე დავით XI-ისა, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლის სამეფოს 1569-1578 წლებში განაგებდა. [26]

გორჯესთანის ვალის ტიტულის მიღებამდე ხოსრო-მირზა სპარსეთის შაჰინშაჰის პირადი გვარდიის ყულარაღასად (სარდლად) და ქალაქ ისპაჰანის ტარუღად (მოურავად) მოღვაწეობდა.

ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „ხოსრო-მირზას მისცა ყაენმან ქართლი და უწოდა როსტომ-ხან“. [27]

თავისი მეფობის პერიოდში როსტომი იყენებდა ორი სახის საბეჭდავს,

---

[23] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2003, გვ. 90-91.

[24] Н. Сычев. Книга Династий, გვ. 599.

[25] გ. ჟორჟოლიანი. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი), გვ. 40.

[26] საქართველოს მეფეები, გვ. 184.

[27] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 417.

რომლებსაც ამშვენებდა შემდეგი მხედრული წარწერები: *1) „როსტომ"; 2) „ყაენის ფეხთა მტვერი, როსტომ მეფე კამტკიცებ"*. [28]

ვინაიდან როსტომი უშვილო გახლდათ, მან იშვილა და სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულად გამოაცხადა თავისივე შორეული ნათესავი პირდაპირი ხაზით – ბახუტა, იგივე ვახტანგ ბაგრატიონი (1598-1675), უფროსი ვაჟი თეიმურაზ მუხრანბატონისა (1580-1629), რომელიც ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის შთამომავალი გახლდათ. მამამისის გარდაცვალების შემდეგ, ბახუტა, როგორც უფროსი ძე – მუხრანბატონი გახდა.

მემატიანე გვამცნობს: „როსტომ მეფესა... მუხრანის პატრონის ვახტანგისათვის მოეკიდნა ხელი და ეშვილებინა და უყუარდა როსტომ მეფეს დიდად". [29]

1658 წლის 17 ნოემბერს, თბილისში მყოფი ქართლის ვალი როსტომხანი, იგივე მეფე როსტომ I – 93 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვახტანგ V

ვახტანგ (იგივე ბახუტა) თეიმურაზის ძე ბაგრატიონი (1598-1676), რომელსაც გამაჰმადიანების მიღების (1654 წ.) შემდეგ შაჰ-ნავაზი უწოდეს, ქართლში 1658-1675 წლებში მეფობდა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში იგი ცნობილია ვახტანგ V-ის სახელით.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ვახტანგი იყო „საქმის ხელ-გამომავალი, მხნე და ახოვანი და გამარჯუებული". [30]

ვახტანგ V-ს ჰყავდა ექვსი ვაჟი: არჩილი (1647-1713), გიორგი (1651-1709), ლევანი (?-1709), ალექსანდრე (?-1697), ლუარსაბი (?-1698) და სოლომონი (?-1703). [31]

ვახტანგ V-ს ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ იხსენიებენ შაჰნავაზ I-ის სახელითაც, რასაც საფუძველი ვახუშტი ბატონიშვილმა ჩაუყარა.

---

[28] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი. ნაწილი I. თბ. 1978, გვ. 44.

[29] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 433.

[30] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 433.

[31] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 446-449; ბაგრატიონები. შამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული. გენეალოგიური ნუსხებითურთ. თბ. 2003, ნუსხა № 4.

მის თხზულებაში ამ მეფის მმართველობის ამსახველი ქვეთავი ასეა დასათაურებული: „მეფე ვახტანგ V, გინა შაჰნავაზ I“. [32]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართლის მეფე სვიმონ I-ს, რომელიც სპარსეთში ყოფნისას იძულებით გაამაჰმადიანეს, სახელად – ხან-ნავაზი უწოდეს. ამის გათვალისწინებით, რუს გენეალოგთა ნაწილი მეფე ვახტანგ V-ს – შაჰ-ნავაზ II-დ მიიჩნევს. [33]

აღნიშნული ნუმერაცია სადავოდ მიგვაჩნია, ვინაიდან დასახელებები – „ხან-ნავაზი“ და „შაჰ-ნავაზი“ – ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამის გამო, ვთვლით, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ ქართლის ბაგრატოვან მეფეთა იმ რიგითობას, რომელიც ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა განსაზღვრა.

ვახტანგ V საკმაოდ დამოუკიდებელ საშინაო პოლიტიკას ატარებდა. იგი ცდილობდა, რომ საქართველო გაეერთიანებინა, რაშიც გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მან მოაკვლევინა კახეთის ფაქტობრივი გამგებელი ზაალ არაგვის ერისთავი და ეს სამეფო თავისი გავლენის სფეროში მოაქცია.

საქართველოს სამომავლო გაერთიანებისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად, ვახტანგ V-მ თავისი უფროსი ვაჟი არჩილი გაამეფა ჯერ იმერეთში, შემდეგ კი კახეთში, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

აღნიშნული მამულიშვილური გეგმის განსახორციელებლად, მეფე ვახტანგ V მოხერხებულად იყენებდა დინასტიურ ქორწინებებს ქართულ სამთავრო საგვარეულოებთან, რაც წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენდა. მან ოდიშის (სამეგრელოს) მთავრად დასვა თავისი მომხრე ლევან III დადიანი (მთავრობდა 1661-1680 წლებში), რომელსაც ცოლად საკუთარი ძმისწული – თამარ კონსტანტინეს ასული მუხრანბატონიშვილი შეართო. მანვე დაინათესავა გურიის მთავარი ქაიხოსრო I გურიელიც, რომლის ასული თუთა – ცოლად მოაყვანინა თავის ვაჟს, ლევან ბატონიშვილს (ვახტანგ VI-ის მამას). ვახტანგს მორჩილება თვით აფხაზთა მთავარმა შარვაშიძემაც კი აღუთქვა. [34]

აქვე დავსძენთ, რომ ვახტანგ V-ის ზემოხსენებული ძმისწული თამარი (გარდაიცვალა 1683 წელს) შემდგომში იქცა მიზეზად დასავლეთ საქართვე-

[32] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 447.
[33] Дворянские роды Российской империи. Т. III, გვ. 40-41.
[34] გ. აკოფაშვილი. ვახტანგ V. შაჰნავაზი. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 3. თბ. 2014, გვ. 224-225.

ლოს იმდროინდელ მეფე-მთავართა დაუოკებელი ლტოლვისა, ტრფობისა, ხოლო იმავდროულად – მწვავე დაპირისპირებისა და სისხლისღვრისა. [35]

ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა, ესრეთ განადიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა“. [36]

ვახტანგ V თავისი მეფობის პერიოდში იყენებდა რამდენიმე სახის საბეჭდავს, რომლებსაც ამშვენებდა შემდეგი შინაარსის მხედრული წარწერები: *1) „ქ. ღითა შაჰაბაზის ფეხთა მტვერი, ძე მეფე როსტომისა ვახტანგ, ქორონიკონს ტმე“; 2) „შაჰნავაზ“; 3) „ქ. ნებით(ა) ღთის(ა)თ(ა), ბჭითა შა(ჰ)აბაზისთა, ვამტკიცებ მეფე შანავაზ“; 4) „ყაენის ფეხთა მტუერი, შაჰნავაზ მეფე ვამტკიცებ“; 5) „დავითის ტომ(ა)დ მეფედ ვზი სპას(ა)ლ(ა)რად სახელდებული, ვახტანგ“.* [37]

ქართლის მეფის აქტიური მოღვაწეობით დაეჭვებულმა სპარსეთის შაჰინშაჰმა სულეიმან I-მა, იმავე სეფი II სეფიანმა, რომელიც 1666-1694 წლებში მეფობდა, ვახტანგ V ახსნა-განმარტებისათვის დაიბარა. ისპაჰანს მიმავალი მეფე, სპარსეთის ქალაქ ხოშკარში ავად გახდა და გარდაიცვალა. როგორც მორწმუნე მუსლიმი, იგი წმიდა ქალაქ ყუმში დაკრძალეს. [38]

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „მეფე შანაოზ შთავიდა ხოშკარს, მუნ სალმობიერ იქმნა და მოკუდა ქ(ორონიკონ)სა ჩქე“. [39]

ვინაიდან ქართული ასონიშნებით მოყვანილი ეს თარიღი შეესაბამება 1675 წელს, აქედან ირკვევა, რომ ვახტანგ V – 77 წლის ასაკში გარდაცვლილა.

ვახტანგ V-ის სიკვდილის შემდეგ, საქართველოში ოდითგან არსებული წესის თანახმად, ქართლის სამეფო ტახტი, მის უფროს ვაჟს – არჩილს ეკუთვნოდა. არადა, საქართველოს სამომავლო გაერთიანების მიზნით, ვახტანგმა, თავისი ვაჟი არჩილი 1661 წელს იმერეთში გაამეფა. ამ სამეფოში არჩილი ორ წელიწადს მეფობდა. 1663 წელს იგი იძულებული გახდა დაეტოვებ-

[35] ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფ. 1922, გვ. 62; საქართველოს მეფეები, გვ. 247; ნ. ჯავახიშვილი. შიდადინასტიური ქორწინებანი ბაგრატიონთა იმერეთისა და ქართლ-კახეთის შტოების წარმომადგენელთა შორის (XVI-XVIII საუკუნეები). პროფესორ გიორგი ნადირაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული „პოეტური სულის მეცნიერი“. თბ. 2012, გვ. 62.

[36] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 440.

[37] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 39-46.

[38] გ. აკოფაშვილი. ვახტანგ V. შაჰნავაზი, გვ. 224-225.

[39] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 456.

ინა იმერეთი და ჩასულიყო სპარსეთში, სადაც მას მაჰმადიანობა მიაღებინეს.

1664 წელს შაჰინშაჰმა აბას II სეფიანმა (მეფობდა 1629-1642 წლებში) არჩილი, შაჰ ნაზარ-ხანის სახელით, კახეთის ვალის თანამდებობაზე დაადგინა. 1675 წლიდან არჩილი კვლავ იმერეთში გადავიდა, სადაც 1678-1698 წლებში დროგამოშვებით მეფობდა. [40]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე გაბატონებული შეხედულებით, მეფე არჩილი იწოდებოდა არჩილ II-დ. [41]

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ვინაიდან ასეთი სახელის მქონე მეფეს მანამდე არც იმერეთში უმეფია და არც კახეთში, ის უნდა იწოდებოდეს არჩილ I-ად. [42]

ვინაიდან არჩილს, როგორც იმერეთისა და კახეთის მეფედყოფილს, პრეტენზიები ჰქონდა ხსენებული სამეფოების ტახტზე, იგი ქართლის მეფობის კანდიდატად აღარც კი განიხილებოდა.

გიორგი XI
(მმართველობის პირველი პერიოდი)

1675 წელს, ისპაჰანს მიმავალმა მეფე ვახტანგ V-მ ქართლის გამგებლობა ჩააბარა თავისი უფროსი ვაჟის, არჩილის მომდევნო ძმას – უფლისწულ გიორგის (1651-1709). ქართლის მეფეთა ქრონოლოგიური რიგის მიხედვით, იგი გამოდის – გიორგი XI და ისტორიოგრაფიაში ასეც იხსენიება. გამგებლობის პერიოდში, ანუ 1675-1676 წლებში ის ქრისტიანად რჩებოდა

ბერი ეგნატაშვილის შეფასებით, გიორგი იყო „ძლიერი გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი. და ასეთი სიტყუა ჰქონდა, მტერი მოყურად შეცვალის“. [43]

უფლისწულობის პერიოდში გიორგი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„გიორგი მირზა“*. [44]

---

[40] საქართველოს მეფენი, გვ. 222-223; 248-250.

[41] ა. ბარამიძე, ა. სიხარულიძე. არჩილ II. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 1. თბ. 1997, გვ. 220-221.

[42] ნ. ჯავახიშვილი. ბაგრატოვანი ხელმწიფის – არჩილის რიგითობის დადგენისათვის. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. XXI. თბ. 2017, გვ. 40-47.

[43] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 435.

[44] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 37.

მას შემდეგ, რაც სპარსეთის შაჰინშაჰთან მიმავალი ვახტანგ V გზად გარდაიცვალა, შაჰინშაჰმა სულეიმან I-მა, იმავე სეფი II სეფიანმა თავისთან დაიბარა ქართლის გამგებელი და სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული გიორგი, რათა ის ვალის თანამდებობაზე დაედგინა.

1676 წელს ქართლის გამგებელი გიორგი XI ვალის ტიტულის მისაღებად ისპაჰანს გაემგზავრა. მან სამეფო თავის მომდევნო ძმას – უფლისწულ ლევანს ჩააბარა.

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „შემდგომად მამისა თვისისა წილ მოუწოდა ყეენმან გიორგის, ძესა მეფისასა, წინაშე თვისსა, რათა მისცეს ქართლი და მეფობა. მსმენელი გიორგი, ძე მეფისა, წარვიდა წინაშე ყეენისა და დაუტევა ტფილისს გამგედ ქართლისა ძმა თვისი ლევან“. [45]

არჩილისა და გიორგი XI-ის უმცროსი ძმა – უფლისწული ალექსანდრე იმჟამად ისფაჰანის ტარუღა გახლდათ. მან მოინდომა, რომ თავისი უფროსი ძმის ნაცვლად, ქართლში თავად გამეფებულიყო. [46]

იმავდროულად, შაჰინშაჰი აპირებდა, რომ ქართლის სამეფო ტახტი ებოძებინა კახ ბაგრატოვან უფლისწულს ერეკლე დავითის ძისათვის (1640-1709), რომელიც იყო შვილიშვილი თეიმურაზ I-ისა (მეფობდა 1606-1648 წლებში, დროგამოშვებით).

იმერეთისა და კახეთის მეფედყოფილი არჩილი, ახალციხიდან სადგერში (თორის ხეობა) გადავიდა და ქართლის შემომტკიცებას შეუდგა. იგი ამ სამეფოს სპარსეთიდან დაბრუნებული თავისი უმცროსი ძმის – გიორგი XI-სათვის გადასაცემად ამზადებდა.

მემატიანეს ცნობით: „მისრულისათვის გიორგისა ძისა მეფისათვის არღარა ენება ყეენსა მიცემად ქართლი შაჰ-სულეიმანს... არამედ ერეკლესათვის, ძის-ძისა ბატონის თეიმურაზისა. ამისი მცნობელი არჩილ მეფე სადგერს მყოფი ჩამოვიდა ქართლს და იწყო პყრობა ქართლისა, არათუ თვისად, არამედ რათა სცნას ყეენმან და მოსწრაფედ წარმოავლინოს ძმა მისი გიორგი“. [47]

არეულობის თავიდან ასაცილებლად, სულეიმან I-მა გადაწყვიტა, რომ ქართლის ვალის თანამდებობაზე მისი კანონიერი მემკვიდრე – გიორგი XI დაემტკიცებინა. მისი მოთხოვნით ისპაჰანს ჩასული გიორგი გამაჰმადიანდა. შაჰინშაჰმა მას შაჰ-ნავაზი უწოდა, ვალის ტიტულიც უბოძა და 1677 წელს

[45] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 456.
[46] გ. მაისურაძე. გიორგი XI. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 2. თბ. 2012, გვ. 23.
[47] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 456-457.

საქართველოში გამოისტუმრა. [48]

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ესმა შაჰ-სულეიმანს დაპყრობა ქართლისა არჩილისაგან, განიზრახა განდგომა ქართლისა, მსწრაფლ მოუწოდა გიორგის და მისცა ქართლი და ნიჭნი დიდნი და წარმოავლინა გამაჰმადიანებული დიდებითა მუნებურითა". [49]

ლევან I
(მმართველობის პირველი პერიოდი)

გიორგი XI-ის ჩამოსვლამდე ქართლის სამეფოს 1676-1677 წლებში, ანუ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მართავდა მის მიერვე გამგებლად დადგენილი მისი ძმა – ლევან ვახტანგის ძე ბაგრატიონი.

ლევანი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: „ლევანისა".

მკვლევარ ანა ბაქრაძის ბარაუდით, ხსენებული ბეჭედი 1662-1664 წლებში უნდა იყოს დამზადებული. [50]

ვინაიდან ლევან ვახტანგის ძის დაბადების თარიღი დადგენილი არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უნდა დაბადებულიყო XVII საუკუნის 50-იან წლებში, ვინაიდან 1662-1664 წლებში მისთვის უკვე საკუთარი საბეჭდავი დაამზადებინეს.

ერთი რამ უდავოა: ლევანი დაიბადა მისი უფროსი ძმის, გიორგი XI-ის დაბადების (1651 წ.) შემდეგ. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლევანი 1672 წელს დაოჯახდა, ხოლო იმხანად, იგი არანაკლებ 16 წლისა უნდა ყოფილიყო. ამდენად, ჩვენი ვარაუდით, ის უნდა დაბადებულიყო არაუადრეს 1652 და არაუგვიანეს 1656 წლისა.

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ უფლისწული ლევანი – გონიერი და უნარიანი პიროვნება უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას ქართლის სამეფოს მართვა-გამგებლობა შემდგომ პერიოდშიც ჩააბარეს.

ბერი ეგნატაშვილის შეფასებით, „ლევან იყო ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიერო წიგნითა". [51]

ლევანმა შეადგინა „ვედრება" – იოანე ნათლისმცემლის, პეტრე-პავლესა და სხვა წმინდანებისადმი.

---

[48] გ. მაისურაძე. გიორგი XI, გვ. 23.
[49] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. გვ. 457.
[50] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 43.
[51] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 435.

თავის უფროს, გვირგვინოსან ძმებთან – არჩილთან და გიორგისთან ერთად, ლევანმა საჭიროდ მიიჩნია ლექსიკური ნორმების დადგენა ქართული ენისა, რათა ის ენა უცხო სიტყვათა მოძალებისაგან დაეცვა.

1685 წელს მათ ამ მამულიშვილური საქმის განხორციელება სულხან-საბა ორბელიანს მიანდვეს. [52] ამით ლევანი „ქართული ლექსიკონის" ერთ-ერთ გავლენიან ხელმშემწყობად მოგვევლინა.

ქართლის სამეფო ოჯახის წევრთა ნაწილი თვლიდა, რომ მოძალებული ისლამისაგან თავის დასაცავად საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენდა ქართველთა გაკათოლიკება, რათა მათ მფარველად – რომის პაპი ქცეულიყო. ამ დასს განეკუთვნებოდნენ: მეფე გიორგი XI, ლევანი და მისი ვაჟები – კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV და ქაიხოსრო, ასევე, სულხან-საბა ორბელიანიც. [53]

საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს ლევან ბატონიშვილი მფარველობას უწევდა.

ამდენად, უფლისწული ლევანი ქართლის სამეფოს დაახლოებით ერთ წელიწადს (1676-1677 წწ.) განაგებდა. ეს იყო მისი რიგით პირველი გამგებლობა, რომლის დროსაც იგი ქრისტიანი გახლდათ.

აქვე დავსძენთ, რომ ლევანს, როგორც გონიერსა და უნარიან მმართველს, სამეფოს გამგებლობა შემდგომ პერიოდშიც ჩააბარეს.

ვფიქრობთ, რომ ლევან ვახტანგის ძეს, როგორც ბაგრატოვან მმართველს, შესაბამისი რიგითი ნომერიც უნდა ჰქონდეს.

ვინაიდან ამ სახელწოდების მმართველი (არც მეფე და არც ჯანიშინი) ქართლში მანამდე არ ყოფილა, ჩვენი აზრით, იგი **ლევან I-ის** სახელით უნდა მოვიხსენიოთ.

---

[52] შ. ხანთაძე, მ. ქავთარია. ლევან ბატონიშვილი, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია". ტ. 6. თბ. 1983, გვ. 156; მ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი. ქართული კულტურა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. განათლება და მეცნიერება, ავტორთა კოლექტიური რვატომეული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან - XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბ. 1973, გვ. 505.

[53] ლ. ტუხაშვილი. პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ ოცეულში, ავტორთა კოლექტიური რვატომეული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან - XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბ. 1973, გვ. 406-407.

გიორგი XI
(მმართველობის მეორე პერიოდი)

1677 წელს თბილისში დაბრუნდა ვალის თანამდებობაზე დადგენილი გიორგი XI, იგივე შაჰ-ნავაზი, რომელიც თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. თავისი ხელმწიფობის პირველ ეტაპზე ის 1688 წლამდე მეფობდა.

ვინაიდან მანამდე ქართლის სამეფოს უკვე მართავდა აღნიშნული მაჰმადიანური სახელის მქონე ბაგრატოვანი ხელმწიფე, კერძოდ, მისი მამა – ვახტანგ V, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილმა მოიხსენია – შაჰ-ნავაზ I-ის სახელით.

აქედან გამომდინარე, ქრონოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით, მეფე გიორგი XI გამოდის – შაჰნავაზ II და ასეც არის მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

გივი ჯამბურია წერდა: „გიორგი XI-ის, ანუ შაჰ-ნავაზ II-ის მეფობა (1677-1688 წლები) აღინიშნა ქართლში ფეოდალური ანარქიის რამდენადმე გაძლიერებით“. [54]

მეფობის პერიოდში გიორგი XI იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა შემდეგი მხედრული წარწერა: *„მონა ღთისა, ძე დავითისა გიორგი“.*

ანა ბაქრაძის ცნობით, ეს ბეჭედი 1681 წელს დაამზადეს. [55] მის ლეგენდაში მოხსენიებულ დავითში იგულისხმება ბაგრატიონთა დინასტიის ლეგენდარული მამამთავარი – მეფსალმუნე მეფე დავითი.

თავისი გვირგვინოსანი მამის ვახტანგ V-ის მსგავსად, გიორგი XI-ც დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა.

სულეიმან I-მა სეფიანმა საეჭვოდ მიიჩნია მეფედყოფილი არჩილის კავშირი ახალციხის ფაშასთან, რომელიც ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომი გახლდათ.

შაჰინშაჰმა გიორგი XI-ს მოსთხოვა, რომ დაეპატიმრებინა თავისივე ძმა – არჩილის და სპარსეთში გაეგზავნა. ეს დავალება არ შეასრულა გიორგიმ, რომელიც სპარსოფილ ფეოდალებს სდევნიდა და ყიზილბაშ მმართველთა ხელთ ჩავარდნილი კახეთის შეერთებასაც ცდილობდა.

ქართლის მეფის ურჩობით განრისხებულმა სულეიმან I-მა 1688 წელს

---

[54] გ. ჯამბურია. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში. ავტორთა კოლექტიური რეატომეული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან - XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბ. 1973, გვ. 350.
[55] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 37.

გიორგი XI-ს ვალის ტიტული ჩამოართვა და უბოძა გამუსლიმებულ კახ ბაგრატიონს ერეკლე I-ს (1640-1709), იმავე ნაზარალი-ხანს.

მეფობაჩამორთმეული გიორგი იმერეთს გაიხიზნა და ტახტის დაბრუნებისათვის იბრძოდა. 1692-1695 წლებში ქართლში იყო „ორიანობა“, ანუ ერთდროული მეფობა ერეკლე I-ისა, რომელიც სამეფოს ერთ ნაწილს თბილისითურთ განაგებდა და გიორგი XI-ისა, რომელიც იმავე სამეფოს მეორე ნაწილს ფლობდა. 1696 წელს გიორგი იძულებული გახდა ჩასულიყო შაჰინშაჰთან, რათა მისთვის მორჩილება გამოეცხადებინა. [56]

სპარსეთის ახალმა შაჰინშაჰმა სოლთან ჰუსეინ I-მა სეფიანმა (მეფობდა 1694-1722 წლებში) 1703 წელს გიორგი XI დაადგინა სპასალარად და ყანდაარის (ავღანეთი) ბეგლარბეგად. იმ პერიოდში მას გორგინ-ხანადაც მოიხსენიებდნენ. [57]

აღნიშნული თანამდებობების ბოძების პარალელურად, შაჰინშაჰმა გიორგი XI-ს უწყალობა ქართლის ვალის თანამდებობაც, რომელიც ერეკლე I-ს ჩამოართვა. ამის სანაცვლოდ, შაჰინშაჰმა ერეკლე I-ს უბოძა მისი ლეგიტიმურად კუთვნილი, პაპისეული სამეფო – კახეთი და ისპაჰანს დაიბარა.

ჰუსეინ I-მა ერეკლე I-ს მისწერა: „მივეც ქართლი გიორგი მეფესავე, ხოლო შენდა მომინიჭებიეს კახეთი და ყულარაღასობა, აწვე წარმოვედ წინაშე ჩემსა“. [58]

ისპაჰანს ჩასული ერეკლე I სპარსეთის ყულარაღასად დაადგინეს. ამ თანამდებობაზე ის გარდაცვალებამდე (1709 წ.) იმყოფებოდა. მის ნაცვლად კახეთს განაგებდა ერეკლე I-ის უფროსი ვაჟი – დავით II (1678-1722), იგივე იმამ-ყული-ხანი, რომელსაც ამ სამეფოს ვალის ტიტული მამის გარდაცვალებისთანავე უბოძეს. [59]

მეფობააღდგენილი გიორგი XI, როგორც სპარსეთის სპასალარი და ყანდაარის ბეგლარბეგი, 1704 წელს ავღანეთში გაგზავნეს. [60]

მიუხედავად მეფობის უფლების აღდგენისა, გიორგიმ სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლო, თუმცა გარდაცვალებამდე ქართლის მეფედ ითვლებო-

[56] გ. ჯამბურია. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, გვ. 351; გ. მაისურაძე. გიორგი XI, გვ. 23.
[57] ლ. შენგელია. ქართველი ბაგრატიონები უკანასკნელ სეფიანთა კარზე. კრებული „ქართული დიპლომატია“. ტ. 7. თბ. 2000, გვ. 116.
[58] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. გვ. 479.
[59] საქართველოს მეფეები, გვ. 195-198.
[60] კ. კვაშილავა. გიორგი XI და ქაიხოსრო, გვ. 70-71.

და. ეს პერიოდი, რომელიც 6 წელიწადს (1703-1709 წწ.) გრძელდებოდა, ფაქტობრივად გიორგი XI-ის *de jure* მეფობის ხანა გახლდათ.

ლევან I
(მმართველობის მეორე პერიოდი)

შაჰინშაჰ სოლთან ჰუსეინის ბრძანებით გამაჰმადიანებულ ლევან ვახტანგის ძეს – „შაჰყული-ხანი“ ეწოდა. იგი სპარსეთის მდივანბეგად და ქირმანის ნაიბად დაადგინეს. მასვე მიანდვეს ბელუჯებთან ბრძოლის წარმართვაც.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს: „ყენმან მოითხოვა მეფისაგან ლევან, ძმა მეფისა, რამეთუ ეუწყა ყენსა, არს იგი საქმისა მისისა წარმმართებელი“. [61]

1703 წელს ქართლის მეფედ დადგენილმა გიორგი XI-მ შაჰინშაჰს სთხოვა ნებართვა, რათა მისი სპარსეთსა და ავღანეთში ყოფნის პერიოდში სამეფოს მართვა მიენდო ლევანისათვის, რომელსაც მართვა-გამგებლობის გამოცდილება და უნარი გააჩნდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ქართლს 1676-1677 წლებში გამგებლის რანგში მართავდა. მეფე გიორგისავე თხოვნით, ლევანის თბილისში ჩამოსვლამდე ქვეყანა დროებით უნდა ემართა ამ უკანასკნელის ერთ-ერთ ვაჟს, უფლისწულ ვახტანგს (1675-1737), რომელიც ცნობილია ვახტანგ VI-ის სახელით.

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ გიორგი XI-მა შაჰინშაჰ ჰუსეინ I-ს სთხოვა, „რათა მისცეს აწვე განმგეობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინოს ლევან ქართლს, რათა მან განაგოს საქმენი დაშლილნი მანდაურნი და წარუვლინოს სპანი ქართლისანი. მოხსენებულმან ყაენმან ესე ყოველი აღუსრულა გიორგი მეფესა...

ლევან იყო სიჭაბუკითგანვე ღვთისმოყუარე, ბრძენი და სიბრძნის მოყუარე, ეკლესიათა მაშენებელი, მამკობელი, მდაბალი და ბოროტისა არა მომხსენებელი, მოწყალე, მშვიდი, ღრმად განმსინჯველი და მოუბარი. ამან განაგნა ყოველნი საქმენი ქართლისანი“. [62]

გიორგი XI-ის თხოვნის შესაბამისად, შაჰინშაჰმა ქართლის ჯანიშინობა (ანუ მეფისნაცვლობა, გამგებლობა) მიანდო მის ძმას – ლევან ბატონიშვილს, რომელიც ისპაჰანიდან თბილისში გამოისტუმრა.

---

[61] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 460.
[62] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სამეფო ზარაფხანაში ჰიჯრით 1114 წელს მოიჭრა სპილენძის მონეტები ნახევარი ბისტისა და ფულის ნომინალით, რომელთა შუბლზეც (ავერსზე) და ზურგზეც ლომი გამოსახეს. [63]

ამ მონეტებზე, ისევე როგორც წინა საუკუნეში მოჭრილ თბილურ სპილენძის საფასეებზე, არ არის მითითებული სახელი მმართველისა, რომლის დროსაც ისინი მოიჭრა. სამაგიეროდ, მათზე გვხვდება სპარსული ზედწერილი: „ფულუსი იჭედა თბილისს“, რაც XVII-XVIII საუკუნეების ადგილობრივ მონეტებზე, თარიღთან ერთად, ტრადიციულად აღიბეჭდებოდა. [64]

ნუმიზმატ თინათინ ქუთელიას ვარაუდით, ეს ანონიმური მონეტები შეიძლება მოეჭრა ერეკლე I-ს, ანდა ვახტანგ VI-ს. იგი წერს: «Данный тип быть может является последним выпуском медной монеты при картлийском царе Ираклии I, однако вероятнее, что это первый выпуск Вахтанга VI, который с начала 1703 года стал правителем Картли и наместником царя Георгия XI. Этим обстоятельством можно было бы объяснить и неожиданно высокий вес монеты, выпущенной как бы в ознаменование возвращения на картлийский престол законной власти. Ираклия I, как представителя кахетской ветви Багратионов, картлийские Багратионы, естественно, считали узурпатором». [65]

ჩვენი აზრით, რომ ეს მონეტები უნდა მოეჭრა ვახტანგ VI-ს, რომელიც ამ სამეფოს განაგებდა 1703 წლის მაისიდან (ანუ ერეკლე I-ის ისპაჰანში გამგზავრებიდან) – ივლისამდე (ანუ ჯანიშინად დადგენილი ლევანის ჩამოსვლამდე). ეს იყო ვახტანგ VI-ის მმართველობის პირველი პერიოდი, რომელიც სულ ორ თვეს გრძელდებოდა.

ვინაიდან მონეტებზე აღბეჭდილი ზემოხსენებული თარიღი ჰიჯრით გრძელდებოდა 1702 წლის 28 მაისიდან 1703 წლის 16 მაისამდე, შესაბამისად, ეს მონეტები უნდა მოეჭრათ არაუგვიანეს ამ პერიოდისა.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსიც. როგორც ვთქვით, მონეტას ორივე მხარეს ლომის გამოსახულება ამშვენებს. ლომს კი არაერთ საერთაშორისო ენაზე ეწოდება ლეონი, რომლის ქართულ ვარიანტს

[63] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 83.

[64] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 80-85; 91-95.

[65] Т. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979, გვ. 59.

წარმოადგენს ლევანი, [66] ანუ სახელი იმხანად ჯანიშინად დანიშნული ბაგრატიონისა.

ავერსზე გამოსახული ლომი ზომით აღემატება რევერსზე აღბეჭდილს. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ თბილურ სპილენძის მონეტებზე ცხოველთა მეფე მანამდეც გამოსახეს, მაგალითად, 1645-1646 და 1679-1680 წლებში, თუმცა ლომის ერთი ფიგურის სახით. [67]

ჩვენი ვარაუდით, ჰიჯრით 114 წელს მოჭრილი მონეტების ავერსზე აღბეჭდილი დიდი ლომი სიმბოლურად განასახიერებდა შაჰინშაჰს, ხოლო რევერსზე გამოსახული მომცრო ლომი – ქართლის ჯანიშინ ლევანს, იმავე ლეონ ვახტანგის ძე ბაგრატიონს.

ეფიქრობთ, რომ ამ მონეტების მოჭრით ვახტანგმა თავის მამას ერთგვარი სიურპრიზი დაახვედრა.

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „ქართლიდან მოვიდა მეფე ერეკლე... ისპაანს... აქედან მიბრძანდა ბატონიშვილი, მდივანბეგი შაჰყული ხანი... მობრძანდა ქალაქსა ტფილისისასა მკათათვის კ (20)“. [68]

ამდენად, ქართლის ჯანიშინად დადგენილი ლევანი, იგივე შაჰ-ყული-ხანი 1703 წლის ივლისში თბილისში ჩამოვიდა და თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა. [69] ასე დაიწყო მისი გამგებლობის მეორე და საბოლოო პერიოდი, რომელიც პირველზე ოდნავ მეტხანს გრძელდებოდა.

შემონახულია ხსენებული ჯანიშინის სახელით გაცემული არაერთი დოკუმენტი.

ერთ-ერთი ასეთი სიგელის დასაწყისში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და წყალობითა დიდის ხელმწიფისათა, ჩვენ, სრულიად ერანის სპასალარისა, ქირმანის ბეგლარბეგისა და საქართველოს ვალის მაგიერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმან და **საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან**“. [70]

ამ სიგელში მოხსენიებულ „დიდ ხელმწიფეში“ ნაგულისხმევია სპარსე-

---

[66] ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? თბ. 2003, გვ. 179.

[67] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 81-82.

[68] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ. 1913, გვ. 19-20.

[69] მ. ქავთარია. ლევანი – ქართლის ჯანიშინი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“. ტომი XXV. № 4. ძირითადი, ქართული გამოცემა. თბ. 1960, გვ. 511.

[70] საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. II. ტფ. 1909, № 225.

თის იმდროინდელი შაჰინშაჰი, ხოლო ტიტულში „საქართველოს ვალი“ – მეფე გიორგი XI იგულისხმება.

შაჰყული-ხანის სახელით 1703 წელს გაცემული ერთ-ერთი სიგელის დასაწყისში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან“. [71]

იმავე წლის 7 სექტემბერს გაცემულ საბუთში ვკითხულობთ: „ჩვენ, სრულიად ერანის სპასალარისა, ქირმანის ბეგლარბეგისა და საქართველოს ვალის მაგიერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან“. [72]

1703 წლის 10 ოქტომბერს ქართლის ჯანიშინმა შაჰ-ყული-ხანმა, იმავე ლევანმა, თავისი ხელმოწერით დაამოწმა „ჯამაგირისა და ულუფის გაჩენის წიგნი დავითგარეჯისადმი“. [73]

1704 წლის 3 აპრილს დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა ღვთისათა, ჩვენ, ქართველთა მეფისა და ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა მაგიერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან“. [74]

იმავე წლის 28 აპრილს გაცემულ საბუთში ვკითხულობთ: „ჩვენ, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან“. [75]

ის ფაქტი, რომ ლევანის ჯანიშინობა აღნიშნული წლის სექტემბრის ჩათვლით გრძელდებოდა, მისი სახელით ენკენისთვის (ანუ სექტემბრის) 22 რიცხვში გაცემული დოკუმენტიც ადასტურებს. [76]

საგულისხმოა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული რამდენიმე ცნობაში ჯანიშინი ლევანი ანუ შაჰ-ყული-ხანი – ქართლის მეფედ იხსენიება. თითოეულ მათგანს ქვემოთ ციტატის სახით მოვიყვანთ:

1) 1703 წლის 15 ივლისს, თბილისში, „გიორგის მაგიერ მობრძანდა მისი ძმა ლევან მეფე ისპაანიდან“; [77]

---

[71] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. I. თბ. 1940, გვ. 122.

[72] საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 261.

[73] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1977, გვ. 686.

[74] საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 201-202.

[75] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I, გვ. 127.

[76] საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 108.

[77] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბ. 1980, გვ. 45.

2) „1703 წელს ლევან მეფემ ჩამოართვა ამილახორობა ავთანდილს და მისცა ანდუყაფარს გივის ძეს, მაჰმადიანს“; [78]

3) „წარვიდა ლევან მეფე ისპაანს. ჯანიშინად დაუტევა თვისი შვილი ვახტანგ ქართლში, იესე თან წაიყვანა“. [79]

ზემოთმოყვანილი ინფორმაცია გამოქვეყნებულია წიგნში „საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს.“, რომლის გამომცემელი ავთანდილ იოსელიანი წერს: „შაჰთან გაწვეულმა მეფე ლევანმა თავისი შვილი ვახტანგ VI ჯანიშინად დასტოვა“. [80]

ეფიქრობთ, ლევანის მიჩნევა მეფედ გადაჭარბებულია, ვინაიდან იგი გახლდათ უმცროსი ძმა და მოადგილე (მეფისნაცვალი) სპარსეთში მყოფი მეფე გიორგი XI-ისა.

1703 წელს ჯანიშინმა ლევანმა ქირმანში მყოფ მეფე გიორგი XI-ს გაუგზავნა 2000 ქართველი მხედარი, რომლებსაც ვახუშტი ორბელიანი-ყაფლანიშვილი სარდლობდა. [81]

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ლევან განაგნა დაშლილნი საქმენი ყოველნი ქართლისანი და დაჰყო თთუე ი-ე ქართლს და დაუტევა ძე თვისი ვახტანგ განმგედ ქართლისა და იესე, ძე თვისი წარიყვანა ისპაჰანს, ქრისტესით ჩღდ, ქართულსა ტჟბ, სეკდემბერს კ-ვ“. [82]

აღნიშნული ცნობიდან ნათელი ხდება, რომ ქართლის ჯანიშინის თანამდებობაზე ლევანი წელიწადზე მეტხანს იმყოფებოდა.

„ფურცელაანთეული ქრონიკის“ სახელით ცნობილ საისტორიო წყაროში ვკითხულობთ: „ქ(ორონი)კ(ონ)ს ტჟა (ანუ 1703 წელს) მეფე ლევან მობრძანდა ისპაჰანიდან. წელიწადი იბატონა“. [83]

აღნიშნული საისტორიო წყაროს გამომქვეყნებელი გიორგი ბოჭორიძე მიუთითებდა, რომ ხელნაწერში სიტყვის „წელიწადი“ წინ იყო ნ-არის მაგვარი მომცრო ნიშანი, რაც ნახევარს აღნიშნავდა. [84]

ზემოხსენებულ ცნობებზე დაყრდნობით მკვლევარმა მიხეილ ქავთარიამ მართებულად დაასკვნა, რომ ლევანის ჯანიშინობა დაიწყო 1703 წლის მეო-

[78] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 45.
[79] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 45.
[80] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 45.
[81] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 45.
[82] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479-481.
[83] გ. ბოჭორიძე. ფურცელაანთეული ქრონიკა. „მოამბე“. ტომი I. ტფ. 1925, გვ. 147
[84] გ. ბოჭორიძე. ფურცელაანთეული ქრონიკა, გვ. 147.

რე ნახევრიდან და 1704 წლის სექტემბრის ბოლომდე გრძელდებოდა. [85]

1704 წლის 26 სექტემბერს ლევანმა ჯანიშინობა გადააბარა თავის ვაჟს – ვახტანგს (1675-1737), რომელიც იმხანად უკვე 29 წლის ვაჟკაცი იყო და თავისივე ვაჟ იესესთან ერთად სპარსეთში გაემგზავრა.

ჯანიშინი ლევანი ორჯერ იყო დაოჯახებული. 1672 წელს მან ცოლად შეირთო თუთა გურიელი, ასული ქაიხოსრო I გურიელისა, რომელიც გურიაში 1626-1660 წლებში მთავრობდა.

ლევანს და თუთას შეეძინათ ასული ხვარამზე და სამი ვაჟი, ქართლის მომავალი მეფენი – ქაიხოსრო I (1674-1711), რომელსაც თავისი პაპის (დედის მამის) სახელი ერქვა, ვახტანგ VI (1675-1737), რომელსაც ასევე თავისი პაპის (მამის მამის) სახელი ერქვა და მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1676-1742), [86] რომელიც ამ თანამდებობაზე 1704-1724 და 1738-1741 წლებში მოღვაწეობდა. [87]

1678 წელს თუთა გურიელი გარდაიცვალა. [88]

დაქვრივებულმა ლევანმა 1680 წელს ცოლად შეირთო თინათინ გიორგის ასული ავალიშვილი (გარდაიცვალა 1708 წელს), რომელმაც შვა და აღზარდა 3 ვაჟი, უფლისწულები – იესე (1682-1727), მომავალი მეფე იესე I, სვიმონი (1682-1741), მომავალი გამგებელი და თეიმურაზი (1688-1710). [89]

გარდა ამისა, ლევანს შვილები მხევალთაგანაც ჰყავდა. მათ შორის იყვნენ: ადარნასე (1707-1784), ხორეშანი (ჩანს 1724 წელს), კონსტანტინე (გარდაიცვალა 1756 წელს), ანა, როსტომი (დაიღუპა 1722 წელს), დავითი (ჩანს 1674-1703 წლებში), თომა (ჩანს 1688-1703 წლებში) და ალექსანდრე (1689-1711). [90]

ვახტანგ VI
(მმართველობის მეორე პერიოდი)

ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი, რომელიც ცნობილია ვახტანგ VI-ის

[85] მ. ქავთარია. ლევანი – ქართლის ჯანიშინი, გვ. 511-512.

[86] Дворянские роды Российской империи. Т. III, გვ. 43.

[87] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. ავტორთა კოლექტივის ნაშრომი რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2000, გვ. 117-119.

[88] Дворянские роды Российской империи. Под редакцией С. Думина. Т. IV. С. Думин. Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского. Москва. 1998, გვ. 38.

[89] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 47.

[90] ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ნუსხა № 4.

სახელით, ქართლის ჯანიშინის ანუ გამგებლის თანამდებობაზე 1704-1712 წლებში იმყოფებოდა. იმ პერიოდში იგი ქრისტიანად რჩებოდა.

ბატონიშვილობის პერიოდში, კერძოდ, 1688 წლიდან ვახტანგი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა შემდეგი მხედრული წარწერა: *„ძე ლეჳანისა ვახტა(ნ)გ მირზა“*. გამგებლობის (ჯანიშინობის) პერიოდში იგი იყენებდა საბეჭდავს, რომელდაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„რტოდ კარ დავითის, მგელ ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძოობით“*. [91]

საგულისხმოა, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ყველა დოკუმენტში გამგებელი ვახტანგი პატივისცემით ასახელებდა თავის მამას – ლევანს. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ქართული სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამართლის ძეგლი „დასტურლამალი“, რომელიც სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამალების ანუ გარიგების წიგნთა თუ დებულებათა კრებულია. 1707-1709 წლებში იგი სისტემურად დაალაგა და ნაწილობრივ თავისი დებულებით შეავსო ჯანიშინმა ვახტანგმა, რითაც ეს ძეგლი ერთიან სჯულდებად გადააქცია. [92]

„დასტურლამალის“ შესავალში ქართლის ჯანიშინი ვახტანგი გვამცნობს: **„ძემან ერანის მდივან-ბეგის შაჰყული-ხანისამა** *(ბაზგასმა ჩვენია. - ნ. ჯ.)*, საქართველოს ჯანიშინმან, ბატონიშვილმან, პატრონმან ვახტანგ, ოდეს ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა და განუჩინეთ და განუწესეთ წიგნითა ამით, რათა ყოველნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზნისა რიგისანი ესრეთ იქცეოდნენ და განაგებდნენ თავის თვისნი მოხელენი სახელოთა თვისთა. და წესითა და შემსგავსებითა იქცეოდნენ“. [93]

ვახტანგმა თბილისის სამეფო ზარაფხანაში მოაჭრევინა სპილენძის მონეტები თავისი სახელის დაქარაგმებით – ვ-ტ-გ ან ვ-გ (მხედრული შრიფტით). მონეტების შუბლზე (ავერსზე) გამოსახულია სამანძიანი ხომალდი, ხოლო მეორე მხარეს – ზოდიაქოს ნიშანი „თევზები“, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდ მიცურავენ. [94]

აღნიშნულ მონეტებზე მათი მოჭრის თარიღი აღნიშნულია როგორც

---

[91] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 39-40.

[92] ი. სურგულაძე. დასტურლამალი. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 2. თბ. 2012, გვ. 334.

[93] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 239.

[94] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად), ფული საქართველოში, გვ. 84.

ქრისტიანული წელთაღრიცხვით, ასევე ჰიჯრით, რაც პირველი შემთხვევაა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში. ამით თბილისის სამეფო ზარაფხანაში განახლდა ქართულწარწერიანი ლითონის ფულის მოჭრა, რაც ორ საუკუნეზე მეტხანს შეწყვეტილი იყო. ამით ქართლის ბაგრატიონმა მმართველებმა სამონეტო რეგალია დაიბრუნეს. [95]

ბუნებრივია ჩნდება კითხვები: რატომ გამოსახა ვახტანგ VI-მ თავისი ჯანიშინობის პერიოდში მოჭრილ მონეტებზე ხომალდი? ქართლის სამეფოს ხომ ზღვა არ ემიჯნებოდა? რატომ გამოსახა მან იმავე მონეტებზე ზოდიაქოს ნიშანი „თევზები"? ვახტანგი ხომ 15 სექტემბერს დაიბადა [96] და თუ ასტროლოგიას ვერწმუნებით, მისი ზოდიაქოს ნიშანი გახლდათ „ქალწული" და არა „თევზები".

ვფიქრობთ, აღნიშნულ ფაქტს შეიძლება გარკვეული ახსნა მოეძებნოს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგ VI დედის მხრიდან განეკუთვნებოდა გურიელთა (იმავე ვარდანისძეთა) საგვარეულოს, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – გურიას საუკუნეთა განმავლობაში განაგებდა. გურიელნი ჯერ ერისთავნი იყვნენ, შემდეგ – ერისთავთერისთავნი, ხოლო XV საუკუნიდან – მთავარნი. 1829 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერატორმა გურიის სამთავრო გააუქმა და თავისი იმპერიის ნაწილად აქცია. [97]

გურიელები იმდენად მძლავრი და ამბიციური მთავრები იყვნენ, რომ მათ პრეტენზია თვით იმერეთის ხელმწიფობაზეც კი ჰქონდათ. ისინი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამეფო ტახტს ეცილებოდნენ ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენლებს, რომლებსაც ზოგჯერ კიდევაც სჯაბნიდნენ და სამეფო ხელისუფლების უზურპაციასაც ახერხებდნენ.

პირველი გურიელი, რომელმაც 1668 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლა მოახერხა, იყო დემეტრე სვიმონის ძე, რომელიც გურიაში 1659-1664 წლებში მთავრობდა.

1681-1683 წლებში იმერეთის სამეფო ტახტი ეკავა გიორგი III გურიელს, რომელიც გურიაში 1664-1684 წლებში მთავრობდა და იყო ბიძა (დედის ძმა) ვახტანგ VI-ისა.

---

[95] ნ. ჯავახიშვილი. ვახტანგ VI-ის მონეტა. ენციკლოპედია „საქართველო". ტ. III. თბ. 2014, გვ. 229.

[96] გ. მაისურაძე, ს. ცაიშვილი. ვახტანგ VI. ენციკლოპედია „საქართველო". ტ. III, თბ. 2014, გვ. 225.

[97] Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 35-36; ქ. ჩხატარაიშვილი. გურიელები. ენციკლოპედია „საქართველო". ტ. II. თბ. 2012, გვ. 217.

1701-1702, 1711-1712 და 1713-1714 წლებში იმერეთის სამეფო ტახტი ეკავა მამია III გურიელს, ზემოხსენებული გიორგი III-ის ვაჟს (ანუ ვახტანგ VI-ის ბიძაშვილს დედის მხრიდან), რომელიც გურიაში 1689-1714 წლებში მთავრობდა.

ამ უკანასკნელის ვაჟმა – გიორგი IV გურიელმა, რომელიც 1714-1716 და 1717-1726 წლებში მთავრობდა, 1716 წელს იმერეთის სამეფო ტახტი სამიოდე თვით დაიკავა. [98]

ოლღა სოსელიას მართებული დასკვნით: „50 წლის მანძილზე გურიელებმა სიცოცხლე გაუმწარეს იმერეთის მეფეებს. იმერეთის სამეფოს მიმართ გურიელების მძლავრობა გიორგი გურიელის მეფობით დამთავრდა. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან იმერეთის მეფეები ახერხებენ მეტ-ნაკლებად ტახტზე მომაგრებას“. [99]

ჩვენი ვარაუდით, ხომალდისა და თევზების გამოსახვით, ვახტანგ VI-მ ხაზი გაუსვა თავის გენეტიკურ წარმომავლობას (დედის მხრიდან) გურიელთაგან, რომლებიც ზღვაზე გამავალი გურიის სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელნი იყვნენ. იმავდროულად, ეს შესაძლოა მიანიშნებდეს ვახტანგის სწრაფვაზე ევროპული ცივილიზაციისაკენ, რაც მოგვიანებით დადასტურდა მის მიერ სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მივლინებითაც (1713-1716 წლებში).

1709 წლის 21 აპრილს, ავღანელებმა, რომლებსაც მირ-ვეის ჰოთაქი სარდლობდათ, ყანდაარში მყოფი სპარსეთის სპასალარი და ყანდაარის ბეგლარბეგი – გორგინ-ხანი (ანუ იგივე ქართლის მეფე გიორგი XI) ვერაგულად მოკლეს. [100]

ვინაიდან გიორგი XI-ის ერთადერთი ვაჟი – უფლისწული ბაგრატი ჯერ კიდევ XVII საუკუნის 90-იანი წლებში, ავღანეთის ქალაქ ჰერათში გარდაიცვალა, [101] ამის შემდეგ, გიორგი XI-ის ლეგიტიმურ მემკვიდრედ მი-

---

[98] მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები). თბ. 1982, გვ. 7-18; Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 38; საქართველოს მეფეები, გვ. 252-254; Н. Сычев. Книга Династий, გვ. 621.

[99] ო. სოსელია. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (XIII საუკუნის შუა წლებიდან - XIX საუკუნის დამდეგამდე). I. გურიის სამთავროს წარმოშობისა და გურიელების ვინაობის საკითხისათვის. კრებული „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვეთი 30. თბ. 1954, გვ. 127.

[100] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 484; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 46.

[101] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 472; ქართული

სივე მომდევნო ძმა – უფლისწული ლევანი ითვლებოდა. ეს მხოლოდ სამ თვეს გრძელდებოდა.

საისტორიო წყარო გვაუწყებს: „1709 წლის 13 ივლისს ისპაანში მიიცვალა მეფე ლევანი“. [102]

მამის გარდაცვალების შემდეგ, ვახტანგ VI-ის ჯანიშინობა ქართლში, კიდევ სამ წელიწადს გრძელდებოდა.

ქაიხოსრო I, იგივე ხოსრო-ხანი

სპარსეთის მდივანბეგისა და ქართლის ჯანიშინის ლევან I-ის გარდაცვალების შემდეგ, შაჰინშაჰმა ვალის ტიტული უბოძა მის უფროს ვაჟს – ქაიხოსროს (1674-1711), რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ – ხოსრო-ხანი ეწოდებოდა. [103]

უფლისწულობის პერიოდში ქაიხოსრო იყენებდა საბეჭდავს, რომელზეც ამოტვიფრული იყო მხედრული წარწერა: *„მონა ღთისა ქ(ა)იხოსრო მირზ(ა)“*. ეს საბეჭდავი 1688 წლით თარიღდება. [104]

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ სპარსეთის შაჰინშაჰმა ჰუსეინ I-მა „ქაიხოსროს, ძესა ლევანისასა, მისცა ქართლი სამეფოდ და სპასალარობა ერანისა“. [105]

ქაიხოსრო I – ქართლის მეფედ ითვლებოდა 1709-1711 წლებში, თუმცა იმჟამად ის სპარსეთსა და ავღანეთში იმყოფებოდა. შაჰინშაჰმა ქაიხოსროს საგამგეოდ უბოძა ქალაქები – თავრიზი და ბარდა, რაც დიდ პატივს ნიშნავდა.

1711 წლის 17 სექტემბერს, ქაიხოსრო I ავღანეთის ქალაქ ყანდაარზე იერიშის დროს დაიღუპა. [106] სხვა ცნობის თანახმად, ეს მოხდა იმავე წლის 26 ოქტომბერს. [107] ამდენად, იგი მხოლოდ *de jure* მეფე გახლდათ.

ეპისტოლური წყაროების კორპუსი XV ს. - 1762 წ. ტ. I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მ. ბერძნიშვილმა. თბ. 1989, გვ. 119.

[102] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 47.

[103] კ. კვაშილავა. გიორგი XI და ქაიხოსრო, გვ. 184.

[104] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 45.

[105] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 485.

[106] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 47; საქართველოს მეფეები, გვ. 195-199.

[107] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 28; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 490.

სვიმონ III

აღლანელებთან ბრძოლაში დაღუპული ქართლის მეფის ქაიხოსრო I-ის მომდევნო ძმა – ჯანიშინი ვახტანგი შაჰინშაჰმა სპარსეთში დაიბარა. სპარსეთში მიმავალ ვახტანგს ქართლის სამეფოს მართვა, წესით უნდა მიენდო უფლისწულ იესესათვის, რომელიც მის ნახევარძმებს შორის უფროსი გახლდათ. ამის მიუხედავად, მან იესეს გვერდი აუარა და გამგებლობა მის მომდევნო ძმას – უფლისწულ სვიმონს (1682-1741) ჩააბარა.

საისტორიო წყარო გვამცნობს: „1712 წლის აპრილის კბ მეფე ვახტანგი წაბრძანდა სპარსეთში ყენენთ 300 კაცით. ქართლის გამგებლად დატოვა თავისი ძმა სვიმონ და აქორწინა ერისთავის ბარძიმ მდივანბეგის ასულ გუქაზედ“. [108]

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ ისპაჰანს მიმავალმა მამამისმა „დაუტევა ძმა თვისი სვიმონ გამგედ ქართლისა“. [109]

ასე რომ, ვახტანგი თავის მომდევნო ნახევარძმაზე – იესეზე მეტად, უმცროს ნახევარძმას – სვიმონს ენდობოდა. შემდეგში გამოჩნდა, რომ ვახტანგის ასეთი დამოკიდებულება იესესადმი უსაფუძვლო არ ყოფილა.

თავისი ბატონიშვილობის პერიოდში, კერძოდ, 1691-1711 წლებში სვიმონი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„მოსავი ღთისა ბატონიშვილი სვიმონ“.* [110]

უფლისწული სვიმონი ქართლის სამეფოს 1712-1714 წლებში განაგებდა. თავისი მმართველობის პერიოდში იგი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„საქართველოს გამგებელი ბატ(ო)ნიშვილი სვიმონ“.* [111]

ორწლიანი გამგებლობის პერიოდში სვიმონმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. კერძოდ, მან თბილისის სამეფო სტამბაში დაბეჭდინა კურთხევანი, რომელიც ყანჩაველმა კვიპრიანე სამთავნელმა იერუსალიმში ყოფნის პერიოდში თარგმნა. [112]

სვიმონ გამგებელმა თბილისის სამეფო ზარაფხანაში მოაჭრევინა სპილენძის მონეტები თავისი სახელის დაქარაგმებით – ს-მ-ნ და ფრთოსანი ურ-

[108] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 48.
[109] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 491.
[110] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 45.
[111] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 45.
[112] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 48.

ჩხულის, ანუ იმავე დრაკონის გამოსახულებით. [113]

აღნიშნული მოღვაწეობიდან ჩანს, რომ თავისი გამგებლობის დასაწყისში სვიმონი იზიარებდა უფროსი ნახევარძმის პოლიტიკურ პროგრამას. იგი მეთაურობდა ქართული არისტოკრატიის მოწინავე ნაწილს, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ ასპარეზზე ვახტანგ VI-ის მიერ წამოწყებულ ეროვნულ პროგრამას ახორციელებდა.

სვიმონ გამგებელმა დააპატიმრა თავისი ნახევარძმა – კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი, რომელიც სამეფო ტახტის მისაღებად მზად იყო განმოსილიყო, დაოჯახებულიყო და გამაჰმადიანებულიყო. [114]

თავისი მმართველობის დასასრულს, ქართლის გამგებელმა სვიმონმა ვახტანგისეულ გეზს გადაუხვია.

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „სვიმონ მართვიდა უფროს მოხუეჭით და არა შეიშინეს ღუთისა. არამედ ჰყვეს ესეცა: შეიპყრა სვიმონ კათალიკოზი დომენტი ზაკვით და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოხადოს თუალნი. გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსუდან“. [115]

რუსუდან დედოფალში იგულისხმება ვახტანგ VI-ის მეულღე რუსუდანი, რომელიც ყაბარდოელი მთავრის ასული გახლდათ. [116]

მართალია, სვიმონ ლევანის ძე მეფე არ ყოფილა, მაგრამ ვინაიდან იგი ქართლის გამგებელი იყო, მას, როგორც ბაგრატოვან მმართველს, შესაბამისი რიგითი ნომერიც უნდა ჰქონდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1633 წლიდან დაწყებული, იგი იყო ქართლის სამეფოს ერთადერთი ბაგრატოვანი მმართველი, რომელიც არ გამაჰმადიანებულა და ბოლომდე ქრისტიანად დარჩა.

ისმის კითხვა – რომელი რიგითი ნომერი უნდა განესაზღვროს ქართლის ბაგრატოვან გამგებელ სვიმონს?

ქართლის სამეფოს მანამდე ორი სვიმონი მართავდა: 1) ლუარსაბ I-ის ვაჟი – **სვიმონ** I (1537-1611), რომელიც 1556-1600 წლებში მეფობდა და 2) ბაგრატ VII-ის ვაჟი – **სვიმონ II,** რომელიც 1619 წლიდან მეფობდა.

აქვე დავსძენთ, რომ 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფთან მომხდარ ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მიერ სპარსელთა ჯარის დამარცხების შემ-

---

[113] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 84.

[114] ლ. ტუხაშვილი. პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ ოცეულში, გვ. 404-405.

[115] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 493.

[116] ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღეელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 2005, გვ. 45-46.

დეგ, მაჰმადიანი სვიმონ II თბილისიდან გაიქცა და აღჯაყალის (ამჟამად – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) ციხეში ჩაიკეტა. იმავე წლის 1 ივლისს, მარაბდასთან მომხდარ ბრძოლაში ქართველთა დამარცხების შემდეგ, შაჰ აბას I-მა სვიმონ II თბილისში დააბრუნა. ამის მიუხედავად, 1625-1632 წლებში ქართლში ორიანობა ანუ ორმეფობა სუფევდა. სვიმონ II-ის ძალაუფლება მხოლოდ თბილისსა და საბარათიანოზე, ანუ ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა, ხოლო ქართლის დანარჩენ ნაწილს, კახეთთან ერთად განაგებდა ქრისტიანი მეფე თეიმურაზ I (1589-1663).

სვიმონ II ფაქტობრივად იყო სპარსეთის შაჰინშაჰის ნების უსიტყვოდ აღმსრულებელი მუსლიმი ვალი, რომელიც მასზე მინდობილი სამეფოს მხოლოდ ნაწილს ფლობდა. მას თავისივე სამეფოს მოსახლეობის უმეტესობა არ აღიარებდა. მიუხედავად ამისა, იგი ჩვენს ისტორიოგრაფიაში მაინც ქართლის მეფედ იხსენიება. აქვე დავსძენთ, რომ მის მამას – მაჰმადიან ბაგრატ-ხანს, იმავე ბაგრატ VII-ს, რომელიც 1615-1619 წლებში რეალურად მხოლოდ ქვემო ქართლს განაგებდა, სამეფოს ქრისტიანი მოსახლეობა დაცინვით „საბარათიანოს ბატონს“ ეძახდა. ამის მიუხედავად, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ისიც მეფედ იხსენიება. [117]

სვიმონ-ხანის (იმავე სვიმონ II-ის) სახელით გაცემულ სპარსულენოვან საბუთებზე დასმულია ასევე სპარსულწარწერიანი ბეჭედი წარწერით, რომელიც ასე ითარგმნება: *„მონა შაჰ-აბასისა სვიმონ“.* [118]

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ მართებული იქნება, თუ ვახტანგ VI-ის მიერ ქართლის გამგებლად დატოვებულ მის ძმას – სვიმონს, როგორც ქრისტიანული აღმსარებლობის ბაგრატოვან მმართველს – **სვიმონ III-ის** სახელით მოვიხსენიებთ. თუმცა, იქვე მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი გახლდათ გამგებელი და არა მეფე.

იესე I და ვახტანგ VI

შაჰინშაჰმა სოლთან ჰუსეინმა, იმავე ჰუსეინ I-მა, ქართლის ვალის თანამდებობაზე დანიშვნის სანაცვლოდ, ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგი რჯულის გამოცვლაზე 4 წლის (1712-1716 წწ.) განმავლობაში

117 საქართველოს მეფეები, გვ. 188-189.

118 მ. ბერძნიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები). თბ. 1989, გვ. 32.

მტკიცე უარს აცხადებდა. ამის გამო, იგი სპარსეთში, ფაქტობრივად პატიმრობაში იმყოფებოდა.

ვახტანგის სულიერად გატეხვის მიზნით, ჰუსეინ I-მა 1714 წლის 10 მარტს ქართლის ვალის თანამდებობაზე დაადგინა მისი ნახევარძმა, უფლისწული იესე, რომელიც საქართველოში გამოისტუმრეს. [119]

მემატიანის შეფასებით, იესე „იყო მხნე, ახოანი, ჰაეროვანი, მოწყალე, უხვი, მაღალთა და მდაბალთა მიმცემი, ლხინ-სიხარულთა, შუება-განცხრომათა მოყუარე, სამღუდელოთა პატივისმცემელი და დალოცეს ყოველთა ქართველთა და გარდააყარეს ოქროი და ვერცხლი მრავალი დიდებულთა და წარჩინებულთა. და იყო ესე ფრიად მიქცეულ მაჰმადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი“. [120]

თავისი ბატონიშვილობის პერიოდში, კერძოდ, 1703-1704 წლებში იესე იყენებდა საბეჭედს, რომელსაც ამშვენებდა შემდეგი მხედრული წარწერა: *„მოსაკი ღთისა, ძე მეფისა, ბეჭედს ვამტკიცებ ასე“*. [121]

საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში იესეს მამა, ზემოხსენებული ლევან ვახტანგის ძე – „მეფედ“ იხსენიება.

გამაჰმადიანებული იესე 1705-1714 წლებში შაჰინშაჰის სამსახურში იღგა. იგი მონაწილეობდა აჯანყებული ავღანელებისა და ბელუჯების წინააღმდეგ წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯერ მისი გვირგვინოსანი ბიძა – გიორგი XI, ხოლო მისი მოკვლის (1709 წ.) შემდეგ, მისი ნახევარი ძმა – ქაიხოსრო I.

1708 წელს ავღანეთში მყოფმა მეფე გიორგი XI-მ თავისი ძმისწული იესე ქირმანის მხარის ნაიბად დაადგინა. მომდევნო წელს, გიორგი XI-ის დაღუპვის შემდეგ, ჰუსეინ I-მა იესეს ბეგლარბეგობა უბოძა და სახელად – ალი-ყული-ხანი უწოდა. 1711 წელს იგი სპარსეთის თოფჩიბაშად ანუ არტილერიის სარდლად დანიშნეს. [122]

შაჰინშაჰის მიერ ქართლის ვალის თანამდებობაზე დადგენილი იესე – 1714 წლის 1 ოქტომბერს იესე თბილისში შემოვიდა, სადაც მას თავისი უმ-

[119] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 45-48.

[120] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 493-494.

[121] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 41.

[122] ვ. გუჩუა. იესე/ალიყული-ხანი. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. IV. თბ. 2018, გვ. 205; მ. ქიქოძე. ქართლის მეფე იესე „ალიყული ხან“ ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727). კრებული „ანალები“. ტ. II. თბ. 2004, გვ. 48.

ცროსი ძმა – გამგებელი სვიმონი შეეგება. [123]

იესე I – ქართლის სამეფოს ჯერ ორ (1714-1716), ხოლო შემდეგ სამ (1724-1727) წელიწადს, ანუ საერთო ჯამში – 5 წელიწადს განაგებდა. მას მოღვაწეობა საქართველოსათვის ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მან, როგორც კარიერისტმა, სარწმუნოება და სახელი რამდენჯერმე შეიცვალა. იგი სხვადასხვა დროს იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი და მაჰმადიანი, კერძოდ, ჯერ შიიტური, ხოლო შემდეგ სუნიტური ისლამის მიმდევარი.

საგულისხმოა, რომ იესე I, თავისი მეფობის პირველ პერიოდში კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა და ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელებაზედაც ზრუნავდა. მისი ხელშეწყობით, 1716 წელს, თბილისში, განახლებულ ქართულ სამეფო სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი“, რომლის თავსართიც იუწყებოდა: „დავითნი აწ, მეოთხედ დაბეჭდილ ქართულ ენასა ზედა, ჟამსა ამაღლებულსა მეფისა უფლისაი იესესი“. [124]

თავისი მეფობის პერიოდში, კერძოდ, 1714-1716 წლებში იესე იყენებდა საბეჭდავებს, რომლებზედაც ამოტვიფრული იყო შემდეგი მხედრული წარწერები: *1) „ქ. მღთით მეფე, ცხებით იესე, თესლ ტომად დავითიანი“; 2) „ღმერთო, სასჯელი შენი მეფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეფისასა. ქ-კსა უბ, ინდიკტიონს მეფობისა ჩვენისასა ა, მეფედ აღმოველ იესე, ხე ნორჩად დავითიანი ალიყულიხან სახელმძესა ვამ(ტ)კიცებ დო(ვ)ლათიანი“.* [125]

სპარსეთში, ფაქტობრივად ოთხწლიან პატიმრობაში მყოფი ვახტანგ VI იძულებული გახდა, რომ 1716 წელს მაჰმადიანობა მიეღო.

შაჰინშაჰმა სოლთან ჰუსეინმა ვახტანგს ვალის ტიტული უბოძა და სახელად – „ჰუსეინყული-ხანი“ უწოდა, თუმცა 1719 წლამდე სპარსეთში დაიტოვა. მას სპარსეთის სპასალარობა და საგამგებლოდ თავრიზი და ბარდა უბოძეს. [126]

1716 წლიდან სამშობლოში ჩამოსვლამდე გორჯესთანის ვალი ვახტანგი – *de jure* მეფე გახლდათ. ეს იყო მისი მმართველობის რიგით მესამე პერიოდი.

---

[123] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 48.

[124] მ. ქიქოძე. ქართლის მეფე იესე „ალიყული ხან“ ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727), გვ. 49-50.

[125] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 41-42.

[126] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 494-495.

ბაქარ I
(მმართველობის პირველი პერიოდი)

ვახტანგის გამაჰმადიანების შემდეგ, იესე I ვალის თანამდებობიდან გადააყენეს და ქართლის მართვა მიანდეს უფლისწულ ბაქარ ვახტანგის ძეს (1700-1750), რომელიც ამ სამეფოს ორ წელიწადს, მამის დაბრუნებამდე განაგებდა.

1716 წლის აგვისტოში ბაქარმა მაჰმადიანობა აღიარა და „შაჰნავაზ-ხანად“ იწოდა. მას გადასცეს შაჰინშაჰისაგან გამოგზავნილი: ვალის ბოძების რაყამი (ბრძანება), თავჯი ანუ გვირგვინი, მურასა ხმალ-ხანჯალი, ოქროს სურა, თასი, ყალიონი და ოქროთი შეკაზმული ბედაური. ბაქარი სამეფოს მართვას სექტემბერიდან შეუდგა. [127]

შაჰნავაზ-ხანს, ანუ იმავე ბაქარს, მისი ძმა ვახუშტი ბატონიშვილი – მეფედ იხსენიებს. [128]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მანამდე ქართლის სამეფოს უკვე მართავდა ამ სახელის მქონე ორი ბაგრატოვანი ხელმწიფე, რის გამოც ბაქარი – შაჰნავაზ III-დ უნდა ჩაითვალოს.

თავისი ბიძის – ჯანიშინ სვიმონ III-ის მსგავსად, ბაქარმა თბილისის სამეფო ზარაფხანაში მოაჭრევინა სპილენძის მონეტები თავისი სახელის დაქარაგმებით – **ბ-ქ-რ** და ფარშავანგის გამოსახულებით. [129]

ბაქარ I-ის გამეფების შემდეგ, მეფედყოფილი იესე თელავში გაიხიზნა. იგი შეიპყრეს და ბაქარს გადასცეს.

თბილისში პატიმრობისას იესემ უარყო ისლამი და კვლავ ქრისტიანობა დაიბრუნა. [130]

1716-1717 წლებში ბაქარი იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„ქეს და სასოება ბაქარ დავითიანს“*, ხოლო *1717-1718 წლებში კი მან დაიწყო გამოყენება ბეჭდისა წარწერით: „რტო დავითისა, ძე კარ მეფისა, ქართლის გამგებლად ბაქარ ხმობილი, ქორონიკონი ჩღიზ“.* [131]

---

[127] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 49-50.

[128] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 496.

[129] თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 85.

[130] ვ. გუჩუა. იესე/ალიყული-ხანი, გვ. 205.

[131] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 37-41.

ვახტანგ VI
(მმართველობის მეოთხე პერიოდი)

1719 წლის აგვისტოში მეფე ვახტანგ VI სამშობლოში დაბრუნდა და თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „მოვიდა მეფე ვახტანგ ტფილისს... დაჯდა ტახტსა ზედა; შეჰფიცეს ყოველთა ქართველთა მეფობისა მისისა მტკიცედ ერთგულებასა ზედა და დალოცეს ყოველთა ქართველთა მეფედ და მიულოცეს და გარდააყარეს ოქრო და ვერცხლნი მრავალნი დიდებულთა, წარჩინებულთა, აზნაურთა, კათალიკოზმან და ეპისკოპოს-არქიმანდრიტთა (არამედ ესე წესი ძუელითვე იყო საქართველოსა და უყოფდიან ყოველთა ესრეთ ტფილისს და მიერით უხმობდენ მეფედ და თვინიერ მისა არა)“. [132]

ვახტანგ VI-მ თავის ნახევარძმას – იესეს დანაშაული მიუტევა და პატიმრობიდან გაათავისუფლა. იესეც შეურიგდა თავისი უფროსი ძმის მეფობას და მისი მხარდამჭერი გახდა. მისი ძალისხმევით, ქართლის სამეფომ დაიბრუნა მცხეთა, რომელიც იმხანად კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

1721 წელს ვახტანგმა იესე ქართლის მსახურთუფროსად დაადგინა. იმავდროულად, იესეს დაუბრუნეს ჩამორთმეული ქონება, ხოლო საუფლისწულო მამულად – მუხრანი უბოძეს. [133]

მემატიანე გვაუწყებს: „მეფესა ძმა თვისი იესე პირველვე გამოეყვანა პატიმრობიდამ და მისცა მუხრანი და მსაჯულთუხუცესობა“. [134]

ამ თანამდებობაზე ყოფნისას იესე იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„ღთის მონა, ვახტანგ მეფის ძმა მსაჯულად მდეგი იესე“*. [135]

1722 წელს სპარსეთში შეჭრილმა ავღანელებმა (ღილზაებმა), რომელთაც მირ-ვეის ჰოთაქის ვაჟი – მირ-მაჰმუდი სარდლობდათ, 8 მარტს, გულნაბადთან მომხდარ ბრძოლაში სპარსელთა ჯარი გაანადგურეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა სპარსეთის ყულარაღასი როსტომ-მირზა, იგივე უფლისწული როსტომ ლევანის ძე, რომელიც ვახტანგ VI-ის ნახევარძმა იყო. ამის შემდეგ მომხდურებმა დაიკავეს ისპაჰანის გარეუბანი და შეჩერდნენ ალავერდი ხან

---

[132] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 500.

[133] ვ. გუჩუა. იესე/ალიყული-ხანი, გვ. 205; მ. ქიქოძე. ქართლის მეფე იესე „ალიყული ხან“ ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727), გვ. 49-50.

[134] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 500.

[135] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 42.

უნდილაძის მიერ აგებულ ხიდთან, რომლის აღებაც მისი ველარ მოახერხეს. ასე დაიწყო ისპაჰანის ალყა, რომელიც 7 თვეს გაგრძელდა. [136]

შაჰინშაჰმა სოლთან ჰუსეინმა ვახტანგ VI დაადგინა აზერბაიჯანის (იგულისხმება დღევანდელი სამხრეთ აზერბაიჯანი, რომელიც ირანის შემადგენლობაშია) სპასალარად, ხოლო ბაქარი – სპარსეთის ყულარაღასად, რის სანაცვლოდაც მამა-შვილს ავღანელებთან ბრძოლაში დახმარება სთხოვა.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „მაშინ მოუწერა ყეენმან მეფესა, რათა მწე ექმნეს... აგვისტოს კოჟორს მყოფს მოუვიდა მეფეს ყეენისაგან თაჯი და ჯიღა, ხრმალი და ხანჯალი მოოჭვილნი და სპასპეტობა ადრიბეჟანისა, რათა დაიპყრას შირვანი, რამეთუ აქუნდა ლეკთა დაპყრობილი“. [137]

შაჰინშაჰის მუდარის მიუხედავად, მას არ დაეხმარა ვახტანგ VI, რომელსაც იმ დროს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონდა გაბმული რუსეთის იმპერატორ პეტრე I-თან და მისი ჯარის ჩამოსვლას სულმოუთქმელად ელოდებოდა. ვახტანგმა სპარსეთში გამგზავრება გადააფიქრებინა თავის ვაჟს – ბაქარსაც, რომელიც როგორც ყულარაღასი, 1722 წლის მაისში სოლთან ჰუსეინის დასახმარებლად მიდიოდა. [138]

ქართველთა დახმარების გარეშე დარჩენილი სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი სრულიად სპარსეთის სამეფო ტახტზე – სოლთან ჰუსეინი – უძლური აღმოჩნდა მომხდურთა წინაშე, რომლებიც მის სატახტო ქალაქში შეიჭრნენ.

1722 წლის 22 ოქტომბერს ისპაჰანი აიღო ავღანელთა სარდალმა, მირვეის ჰოთაქის ვაჟმა მირ-მაჰმუდმა, რომელმაც საკუთარი თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. იგი სპარსეთის იმპერიის ნაწილს გარდაცვალებამდე (1725 წლამდე) განაგებდა. ამის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი – აშრაფ-შაჰი, რომელიც 1725-1729 წლებში მეფობდა. [139] მისი განდევნის შემდეგ, ჰოთაქის დინასტიის მმართველობა სპარსეთში საბოლოოდ დასრულდა.

---

136 დ. კაციტაძე. ირანის ისტორია (III-XVIII საუკუნეები), გვ. 475-476.

137 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 499.

138 გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII საუკუნის 20-იან წლებში. ავტორთა კოლექტიური რეატომეული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან - XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბ. 1973, გვ. 417.

139 Н. Сычев. Книга Династий, გვ. 599.

კონსტანტინე III

სპარსეთის სამეფო ტახტდაკარგული სოლთან ჰუსეინ სეფიანის ერთერთი ვაჟი – თაჰმასბ-მირზა თავრიზში გამაგრდა და თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. მის ხელისუფლებას აღიარებდნენ სპარსეთის მხოლოდ ნაწილში, კერძოდ, სამხრეთ აზერბაიჯანში, გილანსა და მაზანდარანში. იგი 1732 წლამდე მეფობდა და ცნობილია როგორც – თაჰმასბ II. [140] ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი შაჰ-თამაზ II-ის სახელითაც მოიხსენიება.

განაწყენებულმა თაჰმასბ II-მ გადაწყვიტა, რომ სპარსეთის ღალატისათვის გორჯესთანის ვალი დაესაჯა. 1723 წლის 10 იანვარს მან ვახტანგ VI-ს ჩამოართვა ქართლის სამეფო და უბოძა კახეთის მაჰმადიან მეფეს კონსტანტინე II-ს, იმავე მაჰმადყული-ხანს, [141] რომელმაც ამ წყალობის სანაცვლოდ თაჰმასბის უზენაესობა აღიარა.

კონსტანტინე II იყენებდა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„მეფე კონსტანტილე“.* [142]

მემატიანე გვაუწყებს, რომ შაჰინშაჰმა „მისცა ქართლი მაჰმად-ყულიხანს და აღირჩია იგი შაჰთამაზ“. [143]

ამის შემდეგ კონსტანტინე II საკუთარ თავს ქართლ-კახეთის კანონიერ ბატონ-პატრონად მოიაზრებდა. მან შეკრიბა კოალიციური ჯარი, რომელშიც ქართველების გარდა, გაერთიანებულნი იყვნენ: დაქირავებული დაღესტნელები, განჯისა და ერევნის ხანები – თავიანთი რაზმებითურთ და ქართლში შეიჭრა. 1723 წლის 4 მაისს კახთბატონმა კონსტანტინემ თბილისი აიღო.

თბილისისათვის ბრძოლის პერიოდში ვახტანგ VI-ის ლაშქარში იმყოფებოდნენ მისი ნახევარძმები – მეფედყოფილი იესე და გამგებლადყოფილი სვიმონი. თბილისის დაცემის შემდეგ, ისინი სატახტო ქალაქდაკარგულ ვახტანგს ჩამოშორდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ბიძას, სვიმონს საყვედურობდა, რომ მან „არა აჰყარა ხიდი, არცა განამაგრნა საფარნი“, რის გამოც მომხდურებს ქალაქის აღება გაუადვილდათ „და დაიპყრა ტფილისი მაჰმად-ყულიხან“. [144]

კონსტანტინე II-ს ერთგულება შეჰფიცეს ვახტანგ VI-ზე განაწყენე-

[140] Н. Сычев. Книга Династий, გვ. 598.
[141] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 53.
[142] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 43.
[143] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 501.
[144] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 503-504.

ბულმა ფეოდალებმა, რომელთა შორისაც იყვნენ ქართლის გავლენიანი თავადები: გიორგი არაგვის ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი, ასევე ბარათაშვილთა და ციციშვილთა ნაწილი.

კახთბატონის გამგებლობა თბილისსა და ქართლის სამეფოს ნაწილში 1723 წლის 4 მაისიდან – 10 ივნისამდე, ანუ ერთ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ამ ბაგრატოვან მმართველს შესაბამისი რიგითი ნომერი უნდა მიეკუთვნოს.

ვინაიდან ქართლის სამეფოს მანამდე უკვე განაგებდა ამ სახელის მქონე ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი – კონსტანტინე II, რომელიც 1478-1505 წლებში მეფობდა, ვფიქრობთ, რომ ქართლში 1723 წელს გამეფებულ კონსტანტინეს უნდა ეწოდოს **კონსტანტინე III.**

აქვე დავსძენთ, რომ იგივე ხელმწიფე, იმავდროულად, როგორც კახეთის მეფე, უნდა იხსენიებოდეს **კონსტანტინე II-ის** სახელით და ასეც იხსენიება, ვინაიდან ამ სამეფოს მანამდე განაგებდა მხოლოდ ერთი კონსტანტინე, იგივე კონსტანტინე I (გამუსლიმებული კახი ბაგრატიონი), რომელიც 1605 წელს მეფობდა.

ბაქარ I
(მმართველობის მეორე პერიოდი)

1723 წელს ქართლის სამეფოში სამხრეთიდან შეიჭრა ოსმალთა ჯარი, რომელმაც 10 ივნისს სატახტო ქალაქი – თბილისი აიღო. [145]

ვახტანგ VI-სთან შეთანხმებით, მისმა ვაჟმა, სამეფო ტახტის ლეგიტიმურმა მემკვიდრე უფლისწულმა და მეფედყოფილმა ბაქარმა დამპყრობლებთან მორიგება სცადა, რაც მან წარმატებით მოახერხა.

ბაქარის თხოვნით, ოსმალთა ჯარის სარდალმა დააპატიმრა ქართლ-კახეთის მეფე კონსტანტინე II, რომელიც იმჟამად თბილისში იმყოფებოდა.

ოსმალებმა ქართლის მმართველობა ფორმალურად გადასცეს ბაქარს, [146] რომელიც სუნიტურ ისლამზე გადასვლის შემდეგ – იბრაჰიმ-ფაშად იწოდა. [147]

ოსმალთა მიერ დატუსაღებულმა კონსტანტინემ (იმავე მაჰმად-ყულიხანმა) ბაქარს პირობა მისცა, რომ ქართლის მეფობაში არასდროს აღარ შე-

[145] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 55.
[146] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 505.
[147] Дворянские роды Российской империи. Т. III, გვ. 48.

ეცილებოდა. ამის შემდეგ, ბაქარის ხელშეწყობით, კონსტანტინე საპატიმროდან გააპარეს და კახეთს გაისტუმრეს. [148]

ბაქარი მხოლოდ სიმბოლურად ითვლებოდა ქართლის მონარქად, ვინაიდან ფაქტობრივი ძალაუფლება ოსმალთა ხელთ იყო.

საისტორიო წყაროს ცნობით, ერთწლიანი მმართველობის შემდეგ, 1724 წლის ივნისში, „ვერ გაუძლო ბაქარმა ოსმალთა მტარვალობასა და გაეცალა“. [149]

ასე დასრულდა ბაქარ I-ის ქართლში მმართველობის მეორე ეტაპი, რომელიც პირველზე მცირე ხანს გაგრძელდა.

იმავე წლის ივლისში ვახტანგ VI იძულებული გახდა, რომ სამშობლო დაეტოვებინა. თავისი ცოლშვილისა (მათ შორის მეფედყოფილი ბაქარის) და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, ვახტანგი კავკასიონის ქედიდან ყაბარდოს გავლით რუსეთის იმპერიაში გადაიხვეწა. [150]

ვახტანგის და ბაქარის წასვლის მიუხედავად, ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელთა მმართველობა ამით არ დასრულებულა.

იესე I
(მმართველობის მეორე პერიოდი)

ვახტანგ VI-ისა და ბაქარ I-ის რუსეთში წასვლის შემდეგ, სამშობლოში დარჩენილი მეფედყოფილი იესე I – სუნიტურ ისლამზე მოექცა და მუსტაფა-ფაშად იწოდა. ამის შემდეგ მას ოსმალებმა ქართლის სამეფოს მართვა მიანდეს.

უფლისწულ ვახუშტის ცნობით: „იესე მიიქცა სჯულსა მათსა ზედა... ვინაითგან იყო ხორცთმოყუარე. ამისთვის მიენდუნენ მას ურუმნი... იესეს თუცა არა უწოდდენ მეპატრონედ, გარნა მასვე ჰკითხვიდნენ და იქმოდნენ საქმესა ქართლისასა მის მიერ. გარნა იგი ხუეჭდა და იღებდა ქუეყანათა ნარდად და ამით მოირჭვაცა ფრიად“. [151]

მკვლევარ მანანა ქიქოძის შეფასებით, „იესეს საბოლოო პოზიცია, მისი მოღვაწეობის ბოლოს ერთგვარად გამოიკვეთა. იგი წმინდა სოციალური სულისკვეთებით, ფეოდალური ფსიქიკის დაძლევის უუნარობით შეპყრობილი,

[148] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 505.
[149] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 55-56.
[150] გ. პაიჭაძე. ვახტანგ VI. თბ. 1981, გვ. 124.
[151] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 505-508.

ერთხელ მოპოვებული და შემდეგ დაკარგული ქართლის სამეფოს გამგებლობის უფლებების აღდგენაზე ფიქრს შეუდგა". [152]

მუსტაფა-ფაშად სახელდებული იესე (ყოფილი ალიყული-ხანი) ქართლში ამჯერად სამ წელიწადს მეფობდა. მისი მმართველობა, ისევე როგორც მისი ძმისწული ბაქარისა, ოსმალთა ოკუპაციის პირობებში ფრიად შეზღუდული გახლდათ. 1727 წლის 7 მარტს იგი თბილისში გარდაიცვალა. [153]

იესე I-ის მეუღლე – დედოფალი ელენე-ბეგუმ დავითის (დათუნას) ასული (1687-1750), გახლდათ ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელი, მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი. იესეს და ელენე-ბეგუმის ვაჟი – თეიმურაზ ბატონიშვილი (1720-1788) მოგვიანებით ბერად შედგა და 1744-1755 და 1764-1788 წლებში ანტონ I-ის სახელით კათოლიკოს-პატრიარქად მოღვაწეობდა. [154]

ალექსანდრე II

1735 წლის აგვისტოში, სპარსეთის სარდალმა თაჰმასბ ყული-ხანმა (იმავე თამაზ ყული-ხანმა), რომელიც მომდევნო წელს ნადირ-შაჰის სახელით გამეფდა, დასაჯა კახთბატონი თეიმურაზ II და სამეფო ჩამოართვა. მან ქართლ-კახეთის ვალის თანამდებობა უბოძა სამეფო ტახტიდან გადაყენებული თეიმურაზ II-ის ძმისწულს, გამაჰმადიანებულ ალი-მირზას, იმავე ალექსანდრეს, რომელიც გახლდათ კახეთის მეფის დავით II-ის, იმავე იმამ ყული-ხანის (1678-1722) ერთ-ერთი ვაჟი.

ქართლ-კახეთის მეფედ აღზევებული ალექსანდრე იყენებდა რვაკუთხა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა მხედრული წარწერა: *„ძირმოდგმით დავითიანი, ალექსანდრე ვარ სვიანი"*. [155]

მეფედყოფილი თეიმურაზ II ამ ვითარებას არ შეგუებია. იგი გაიხიზნა ფშავში, საიდანაც 1736 წლის გაზაფხულიდან სამეფო ტახტის დასაბრუნებლად ბრძოლა გააჩაღა. ასე დაიწყო კახეთში „ორიანობა" ანუ ორმეფობა.

იმავე წლის ოქტომბერში ნადირ-შაჰმა ალექსანდრეს ქართლი ჩამოართვა და მხოლოდ კახეთი დაუტოვა. შაჰინშაჰმა ქართლის ვალის თანამდებობა

[152] მ. ქიქოძე. ქართლის მეფე იესე „ალიყული ხან" ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727), გვ. 51.
[153] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 59.
[154] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, გვ. 123-129.
[155] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 35.

უბოძა ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელს – არჩილ იესეს ძეს (იმავე აბდულა-ბეგს).

1736 წლის მიწურულს, სპარსელებმა თეიმურაზ II დააპატიმრეს.

ნადირ-შაჰმა ინდოეთზე მოწყობილ ლაშქრობაში თან იახლა კახეთის მეფე ალექსანდრე, რომელიც 1737 წლის 23 ნოემბერს, გზად მიმავალი გარდაიცვალა. [156]

1738 წელს, თითქმის ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, სპარსელებმა თეიმურაზ II გაათავისუფლეს და სამშობლოში გამოისტუმრეს. მან კახეთის დაკარგული სამეფო ტახტი დაიბრუნა.

ვინაიდან მართალია, მცირე ხნით, მაგრამ ალექსანდრე დავითის ძე მაინც მეფე იყო, მას, როგორც ბაგრატოვან ხელმწიფეს, შესაბამისი რიგითი ნომერიც უნდა ჰქონდეს.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართლის ბაგრატიონმა ხელმწიფეებმა, დაწყებული კონსტანტინე II-დან (მეფობდა 1478-1505 წლებში) განაგრძეს ერთიანი საქართველოს მეფეთა ნუმერაცია, გამოდის, რომ ალექსანდრეს უნდა ვუწოდოთ – **ალექსანდრე II,** ვინაიდან ამ სახელწოდების მქონე მონარქი საქართველოს უკვე ჰყავდა ალექსანდრე I დიდის სახით, რომელიც 1412-1442 წლებში მეფობდა. იმავდროულად, ვინაიდან კახეთში ამ სახელის მქონე მეფე ორჯერ მეფობდა, კერძოდ, ალექსანდრე I – 1476-1511 წლებში და ალექსანდრე II – 1574-1601 და 1602-1605 წლებში, ზემოხსენებული ალექსანდრე, როგორც კახეთის მეფე, გამოდის – **ალექსანდრე III.**

ამდენად, ალექსანდრე დავითის ძე ბაგრატიონი ქართლში გამოდის ალექსანდრე II, ხოლო კახეთში – ალექსანდრე III.

არჩილ III

ქართლის მეფე იესე I-ს შვილები მხევალთაგანაც ჰყავდა. მისი ვაჟი არჩილი, იგივე აბდულა-ბეგი, ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტად ითვლებოდა. ის ქართულ საისტორიო წყაროებში 1716-1762 წლებში იხსენიება.

1735 წელს სპარსელებმა არჩილი დანიშნეს ჯერ გორის, ხოლო შემდეგ – თბილისის ნაიბად ანუ გამგებლად.

მომდევნო წელს, უკვე სპარსეთის შაჰინშაჰად აღზევებულმა ნადირმა, 1736 წლის ოქტომბერში არჩილი ქართლის ვალის თანამდებობაზე დაადგინა.

[156] დ. ლომიძე. ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსაველეთ საქართველოში, გვ. 91-95.

იგი ტახტზე 1737 წლის ნოემბრამდე, ანუ წელიწადზე ოდნავ მეტხანს იჯდა. [157]

1738-1744 წლებში ქართლის გამგებლებად (ვალის სტატუსით) ინიშნებოდნენ მხოლოდ მუსლიმი (სპარსელი, ან სხვა წარმომავლობის) ხანები, რომელთა ქრონოლოგიური რიგიც უკვე დადგენილია. [158]

ამდენად, ფაქტია, რომ არჩილ იესეს ძე ბაგრატიონი ერთ წელიწადზე მეტხანს ქართლის ვალი ანუ მეფე გახლდათ. ხსენებულ პერიოდში იგი იყენებდა ოთხკუთხა საბეჭდავს, რომელსაც ამშვენებდა ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა: *„მეფე არჩილ“*. [159]

ვფიქრობთ, რომ არჩილს, როგორც ერთ-ერთ ბაგრატოვან ხელმწიფეს, თავისი კუთვნილი რიგითი ნომერი უნდა განესაზღვროს.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ამ სახელის მატარებელი მეფე ქართლში ორჯერ უკვე მეფობდა. კერძოდ, მხედველობაში გვყავს **არჩილ I,** რომელიც V საუკუნეში მეფობდა და **არჩილ II,** რომელიც VIII საუკუნეში ერისმთავრობდა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადებისათვის წმინდანად შერაცხეს. ეს უკანასკნელი ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ იხსენიება როგორც „მეფე არჩილ, ძე სტეფანოზ მეფისა და ძმა მეფისა მირისა, ხოსროიანი“, [160] ხოლო ლეონტი მროველის თხზულებას ეწოდება: „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“. [161] ასე, რომ ხსენებულ ორივე თხზულებაში არჩილი მეფედ იხსენიება.

აქვე უნდა ითქვას, რომ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით 1955 წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ I ტომის საძიებლებში ზემოთ დასახელებული არჩილ მირდატის ძე მოხსენიებულია როგორც – არჩილ I, ხოლო არჩილ სტეფანოზის ძე იმავე საძიებლებში იხსენიება როგორც არჩილ II. [162]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მართებული იქნება, თუ არჩილ იესეს ძეს – **არჩილ III-დ** მოვიხსენიებთ.

---

[157] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 69.

[158] დ. ლომიძე. ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 150.

[159] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 36.

[160] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 241.

[161] ლეონტი მროველი. წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 245.

[162] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 392.

მეფედყოფილი არჩილის როლი ქართლის მმართველობაში XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან ნომინალური გახდა. იგი რეალურად, თბილისში მჯდომი სპარსელი ვალის მრჩეველი გახლდათ. 1744 წელს მას საუფლისწულო მამულად ქვემო ქართლი უბოძეს.

1741-1742 წლებში, დაღესტანზე ლაშქრობისას, ნადირ-შაჰმა თავისთან მიიწვია ქართველ წარჩინებულთა ნაწილი და მათ შორის არჩილიც, რომელსაც ჯამაგირად 300 თუმანი დაუნიშნა და სამეფოს „იხტიარობა“, ანუ რწმუნება მიანდო. [163]

აღსანიშნავია, რომ ნადირ-შაჰი არჩილს, როგორც ქართლის ბაგრატიონს, განიხილავდა თითქმის კახი ბაგრატიონების, გვირგვინოსანი მამა-შვილის – თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ არჩილი მეფე უკვე აღარ იყო.

მემატიანე გვაუწყებს: „მოვიდა ხელმწიფისაგან ხალათი მძიმე, მეფის თეიმურაზისათვის და მეფის ერეკლესათვის, რაყმები დიდის წყალობისა, ერთი ხალათი აბდულა-ბეგ ბატონიშვილისათვის“. [164]

1747 წელს, როდესაც ნადირ-შაჰის მიერ დაბარებული ქართლის მეფე თეიმურაზ II სპარსეთში გაემგზავრა, მან სამეფო მმართველობა თავის ძეს – ერეკლე II-ს მიანდო, ხოლო მის თანაშემწედ არჩილ იესეს ძე (აბდულა-ბეგი) დატოვა.

შაჰინშაჰთან მიმავალმა თეიმურაზ II-მ მეფედყოფილ არჩილს დაუბარა: „რადგან მეფე ერეკლე მუდამ ქართლისათვის ვერ მოიცლისო, ქართლს მოუარეო და ერთმანეთის ნებით და შეკითხვით ორივ ქვეყნები მტრისაგან კარგა გაამაგრეთო და ჩემდა მოსვლამდის მშვიდობიანად იყვნეთო“. [165]

სპარსეთში მყოფ თეიმურაზ II-ს დაბრუნება შეაგვიანდა. ამით ისარგებლა არჩილმა, რომელმაც როგორც ქართლის ყოფილი მეფის ვაჟმა და უკვე ერთხელ ნამეფარმა, კვლავ გამეფება მოინდომა. მან განაცხადა: „თუ მეფეს თეიმურაზს დაუშავდა, ქართლი ჩემი არის და აღარავის დავანებებო“. [166]

საკუთარ რეზიდენციად ქცეულ სამშვილდის ციხეში გამაგრებულმა არჩილმა მიიმხრო ქართლის ფეოდალთა ნაწილი, თბილისის ციხეში მყოფი ყი-

[163] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სახელებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. „ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები“. ტ. III. თბ. 1981, გვ. 49.

[164] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 95.

[165] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 125.

[166] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 127.

ზილბაშთა გარნიზონი, დამხმარედ მიიწვია დაღესტნელთა ბელადები და სამეფო ტახტის მოსაპოვებლად ბრძოლა გააჩაღა.

არჩილმა ერეკლე II-ს მისწერა: „მეფე არჩილობით ქართლი ჩემიაო, დამანებეო და შენ კახეთს მიეპატრონეო“. [167]

ამან კახეთის მეფე იძულებული გახადა, რომ საომარ სამზადისს შესდგომოდა.

გვირგვინოსანი მამა-შვილის – თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ნადირ-შაჰის მოკვლის (1747 წ.) შემდეგ სპარსეთის სამეფო ტახტზე ამ უკანასკნელის ძმისწული – ადილ-შაჰი ავიდა. მას ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის და – ქეთევან ბატონიშვილი.

ერთწლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, მეფე ერეკლე II-მ არჩილი საბოლოოდ დაამარცხა. [168]

ერეკლესა და არჩილის საკმაოდ ხანგრძლივი დაპირისპირება ქართულ ხალხურ სიტყვიერებაშიც აისახა. ამ თემაზე შექმნილი ფოლკლორული მასალებიდან შემონახულია ტექსტები (ზოგჯერ განსხვავებული ვერსიებიც) ლექსებისა სახელწოდებით: „აბდულა“, „პამპულია შეიკაზმა“ და „აბდულა და მაზმადალა“. [169]

1749 წელს ერეკლე II აპირებდა დაეპატიმრებინა დამარცხებული მეფედყოფილი არჩილი, რაც ამ უკანასკნელის ნახევარძმის – კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის რჩევით გადაიფიქრა. არჩილმა სამშვილდეში თავისი ძმა – უსეინ-ბეგი დატოვა და თვითონ ქალაქ თავრიზში გაემგზავრა. [170]

არჩილ იესეს ძეს ცოლად ჰყავდა კახი ბატონიშვილი ქეთევანი, ასული მეფე ერეკლე I-ისა, იმავე ნაზარალი-ხანისა, რომელიც 1688-1703 წლებში მეფობდა ქართლში, ხოლო 1703-1709 წლებში ითვლებოდა კახეთის მეფედ, თუმცა იმხანად სპარსეთში იმყოფებოდა.

---

[167] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 128.

[168] დ. მეგრელაძე. აბდულა-ბეგი/არჩილი. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. I. თბ. 1997, გვ. 26.

[169] ქართული ხალხური პოეზია. ტ. I. ხევსურული. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ვარიანტები დაურთო ა. შანიძემ. თბ. 1931, გვ. 21; პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. ნაწ. I (ლექსები, ანდაზები, გამოცანები). რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა. ტფ. 1937, გვ. 104; ქართული ხალხური პოეზია. ტ. XI (ისტორიული ლექსები). შეადგინა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქ. სიხარულიძემ. გამოსაცემად მოამზადეს, საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს დ. გოგოჭურმა და ვ. მაცაბერიძემ. თბ. 1984, გვ. 45-46.

[170] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 92-93.

ამდენად, ქართლის მეფედყოფილი არჩილ იესეს ძე გახლდათ სიძე (დისწულის ქმარი) თეიმურაზ II-ისა.

თეიმურაზ II

1744 წლის დასაწყისში ნადირ-შაჰმა კახეთის მეფე თეიმურაზ II (1700-1762) ქართლის მეფედ დაადგინა. მომდევნო წლის ღვინობისთვეში ის მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ძველი ქართული, ქრისტიანული წესით, მეფედ აკურთხეს.

ვინაიდან მსგავსი სახელის მქონე ბაგრატოვანი ამ სამეფოში უკვე მეფობდა, კერძოდ, მხედველობაში გვყავს ზემოხსენებული პიროვნების დიდი პაპა (ანუ პაპის მამა) – კახეთის მეფე თეიმურაზ I, რომელიც 1625-1632 წლებში ქართლის ნაწილსაც განაგებდა, კახეთის მეფე თეიმურაზ II, ქართლშიც – თეიმურაზ II გამოდის.

ქართლში გამეფებული თეიმურაზ II-ის საბეჭდავებს ამშვენებდა მხედრული ლეგენდები, რომლებშიც ხაზგასმული იყო მისი მფლობელის მეფედ ნაკურთხობის ანუ მირონცხებულობის ფაქტი: 1*) „მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰანშასი, მეფე ცხებული საქართველოსი, თეიმურაზ“; 2) „ქ. დავითის ტომად, მკუიდრად ტახტ ზედ მჯდომად, მყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად, მეფე თეიმურაზ“; 3) „უფლისა მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული“.* [171]

ამდენად, ქართლის დამოუკიდებელი სამეფოს უკანასკნელი მეფე იყო კახი ბაგრატიონი თეიმურაზ II, რომელიც ამ სამეფოში მეფობდა 1744 წლის დასაწყისიდან – რუსეთში დიპლომატიური მისიით გამგზავრებამდე (1761 წლის მაისი), თუმცა გარდაცვალებამდე (1762 წლის 8 იანვარი) მეფედ ითვლებოდა.

1762 წლის იანვრიდან გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე გახდა ერეკლე II (1720-1798), რომელიც ამ სამეფოს გარდაცვალებამდე, ანუ 1798 წლის 11 იანვრამდე განაგებდა.

იესე I-ისა და არჩილ III-ის შთამომავლობა

1743 წელს ნადირ-შაჰმა ქართლის სამეფოს ნაიბად ანუ მმართველის

[171] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. ნაწ. I, გვ. 41.

მოადგილედ (ნაცვლად, დამხმარედ) დაადგინა უფლისწული ისაყ-ბეგ ბაგრატიონი (გარდაიცვალა 1781 წლამდე). იგი იყო ქართლის მეფე იესე I-ის ერთ-ერთი ვაჟი და მეფედყოფილი არჩილ III-ის (იმავე აბდულა-ბეგის) ძმა.

ნაიბის მოვალეობაში შედიოდა როგორც ყიზილბაშური გადასახადების გაწერა-შეგროვება, ასევე მათგან განთავისუფლებაც.

მეფე თეიმურაზ II-მ, რომელიც ნადირ-შაჰმა 1744 წლიდან ქართლის ვალის თანამდებობაზე დაადგინა, თავისი მოადგილეობა ისაყ-ბეგს შეუნარჩუნა და ჯამაგირად 60 თუმანი დაუნიშნა. [172]

ისაყ-ბეგი ქართლის მეფის მოადგილედ 1749 წლამდე მსახურობდა. მას ქართლის ვალის ტიტულის მქონე ქრისტიანი მეფის – თეიმურაზ II-ის მეთვალყურეობა ევალებოდა. [173]

„ყიზილბაშობის“ (1735-1749 წლები) დასრულებისთანავე ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ ქრისტანულად მონათლა ისაყ-ბეგი, რომელსაც სახელად – ალექსანდრე უწოდა. მეფემე მონათლა ალექსანდრეს ვაჟებიც, რომლებსაც ასევე ქრისტიანული სახელები – ივანე და სოლომონი უწოდა. მანვე ალექსანდრეს საუფლისწულო მამულიც უწყალობა. [174]

მეფე არჩილ III-ის ასული – მარიამ-ბეგუმი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1753-1818 წლებში) ცოლად გააყოლეს აზატ-ხან ავღანს, რომელიც ნადირ-შაჰის სამსახურში ჩამდგარი პუშტუნი სარდალი და აზერბაიჯანის ვიცე-გუბერნატორი იყო.

ნადირ-შაჰის მოკვლის (1747 წ.) შემდეგ, აზატ-ხანმა თანდათან დაიპყრო სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, კერძოდ, აზერბაიჯანი – თავრიზითურთ, აღმოსავლეთ ქურთისტანი, ურუმი, ხოი, თურქმენეთის სამხრეთ-დასავლეთი და სამეფო ტახტზე პრეტენზია განაცხადა. 1751 წელს მან აოხრა ქართლ-კახეთის მოხარკე ერევნის სახანო. იმავე წელს, ერევნის მახლობლად მდებარე ყირბულახთან მომხდარ ბრძოლაში იგი სასტიკად დაამარცხა ერეკლე II-მ და ერევნის სახანოდან განდევნა. ამ მარცხის მიუხედავად, მან წარმატებები მოიპოვა თავის მეტოქე ქერიმ-ხან ზენდთან ბრძოლაში და ისპაჰანი და შირაზი დაიკავა. შემდგომ პერიოდში აზატ-ხანი ჯერ ისპაჰან-შირაზიდან, ხოლო 1757 წელს – სამხრეთ აზერბაიჯანიდანაც გააძევეს. 1760 წელს ერეკლე II-მ აზატ-ხანი სპარსეთის ფაქტობრივ მმართველს – ქერიმ-

[172] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 90.
[173] დ. ლომიძე. ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 75.
[174] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 173.

ხანს გაუგზავნა. აზატ-ხანმა სიცოცხლე 1781 წელს, საპატიო ტყვეობაში დაასრულა. [175]

ქერიმ-ხან ზენდთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებებითა და ისპაჰან-შირაზის დაუფლებით გათამამებულმა სამხრეთ აზერბაიჯანის მპყრობელმა აზატ-ხანს ქართლისა და კახეთის ბაგრატოვანი ხელმწიფეებს შემოუთვალა: „ჩემი სამსახური გეპრიანებათო და ჩემგან გულის დაჯერებაო, ერთი თქვენი სახლის ქალი ჩემდა საცოლოდ მომეცითო და მერე მე ვიცი, რამდენს თქვენს ქვეყანას შევმატებო“. [176]

მარიამ-ბეგუმ არჩილის ასული ბაგრატიონი აზატ-ხანს 1754 წელს ჩაუყვანა ქართლის მეფის თეიმურაზ II-ის ერთგულმა თავადმა, თოფანქჩიაღასმა ზაალ დიმიტრის ძე ორბელიანმა. [177]

აზატ-ხანის დაპატიმრების შემდეგ, მისი ყოფილი მეუღლე მარიამ-ბეგუმი ცოლად გაჰყვა თავად რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილს, რომელიც სარდალი და ქიზიყის მოურავი იყო. [178]

მეფე არჩილ III-ის ვაჟი – უფლისწული დავითი მონაწილეობდა შეთქმულებაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მისი ნათესავის – პაატა ბატონიშვილის (1720-1765), მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟის, ქართლში გამეფება. ამ შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, დავით არჩილის ძე ბაგრატიონი დააპატიმრეს და 1765 წლის 15 დეკემბერს, თბილისში, რიყეზე, ანჩისხატის მოპირდაპირე მხარეს, სამეფო ტახტის პრეტენდენტ პაატასთან ერთად, სიკვდილით დასაჯეს. [179] აქვე დავსძენთ, რომ თავმოკვეთილი დავითი ბიძაშვილის შვილად ეკუთვნოდა მეფე ერეკლე II-ს.

ზემოხსენებული ისაყ-ბეგის ანუ იმავე ალექსანდრე იესეს ძე ბაგრატიონის შთამომავალთა შორის გამოირჩეოდნენ: მისი შვილიშვილი – რუსეთის სახელოვანი მხედართმთავარი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812), მისი ძმისწული – პეტრე რევაზის (იმავე რომანის) ძე ბაგრატიონი (1818-1876), რომელიც გენერალ-ლეიტენანტი და ბალტიისპირეთში მდებარე გუბერნიების – ესტლანდიის, ლიფლანდიისა და კურლანდიის გენერალ-გუბერ-

---

[175] ზ. შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ. 1970, გვ. 20-29; ლ. შენგელია. ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს. თბ. 1973, გვ. 67-80; J. Malcolm. The History of Persia. Vol. II. Londres. 1815; J. Perry. Karīm Khan Zand. Chicago. 1979.

[176] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 208.

[177] ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი XV ს. - 1762 წ. ტ. I, გვ. 156.

[178] Дворянские роды Российской империи. Т. IV, გვ. 122.

[179] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 121.

ნატორი (1870-1876 წლებში) იყო და ასევე მათი ნათესავები, კერძოდ, ისაყ-ბეგის ვაჟის – კირილეს შვილთაშვილები – ალექსანდრე (1862-1920) და დიმიტრი (1863-1919) პეტრეს ძე ბაგრატიონები, რომლებიც ასევე რუსეთის არმიის გენერლები იყვნენ.

მეფე იესე I-ის შთამომავლობა პირდაპირი (მამაკაცთა) ხაზით შეწყდა ზემოხსენებული ალექსანდრე პეტრეს ძე ბაგრატიონის (1862-1920) გარდაცვალებით. [180]

3) ქართლის ბაგრატოვან მმართველთა – მეფეთა და გამგებელთა ქრონოლოგიური რიგი (1569-1762 წლები)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართლის სამეფოს ბაგრატოვანი მმართველების – მეფეთა (იმავე მოლქ-ი მოურუსებისა და ვალიების) და გამგებელთა (იმავე ჯანიშინების) ქრონოლოგიური რიგი XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან – ამ სამეფოს გაუქმებამდე (1762 წ.), ანუ ორი საუკუნის განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება:

1) **სვიმონ I** (1537-1611), მეფობდა როგორც ქრისტიანი – 1556-1569 წლებში (მმართველობის პირველი პერიოდი);

2) **დავით XI** (1540-1582), იგივე *დაუთ-ხანი,* მეფობდა 1569-1578 წლებში;

3) **სვიმონ I** (1537-1611), იგივე *ხან-ნავაზი,* მეფობდა 1578-1600 წლებში (მმართველობის მეორე პერიოდი);

4) **გიორგი X** (1560-1606), მეფობდა როგორც ქრისტიანი – 1600-1606 წლებში;

5) **ლუარსაბ II** (1592-1622), მეფობდა როგორც ქრისტიანი – 1606 1614 წლებში;

6) **ბაგრატ VII** (1569-1619), იგივე *ბაგრატ-ხანი,* მეფობდა 1615-1619 წლებში;

7) სვიმონ II (?-1630), იგივე *სვიმონ-ხანი,* მეფობდა 1619-1630 წლებში ქართლის ნაწილში;

8) **თეიმურაზ I** (1589-1663), მეფობდა როგორც ქრისტიანი – 1625-1630 წლებში კახეთსა და ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც სვიმონ II ვერ აკონტროლებდა, ხოლო 1631-1632 წლებში – ქართლ-კახეთში;

[180] ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ნუსხა № 4.

9) **როსტომ I** (1565-1658), იგივე *ხოსრო-მირზა,* შემდეგ – *როსტომ-ხანი,* მეფობდა 1633-1658 წლებში;

10) **ვახტანგ V** (1598-1675), იგივე *შაჰ-ნავაზ I,* მეფობდა 1658-1675 წლებში;

11) **გიორგი XI** (1651-1709), გამგებლობდა როგორც ქრისტიანი – 1675-1676 წლებში (მმართველობის პირველი პერიოდი);

12) **ლევან I** (1652/55-1709), გამგებლობდა როგორც ქრისტიანი 1676-1677 წლებში (მმართველობის პირველი პერიოდი);

13) **გიორგი XI** (1651-1709), იგივე *შაჰ-ნავაზ II,* მეფობდა 1677-1688 წლებში (მმართველობის მეორე პერიოდი);

14) **ერეკლე I** (1640-1709), იგივე *ნაზარალი-ხანი,* მეფობდა 1688 წლიდან – 1703 წლის მაისამდე, ხოლო 1692-1695 წლებში – ქართლის ნაწილში, თბილისის ჩათვლით;

15) **გიორგი XI** (1651-1709), იგივე *შაჰ-ნავაზ II,* მეფობდა 1692-1695 წლებში ქართლის იმ ნაწილში, რომელიც ერეკლე I-ს არ ემორჩილებოდა (მმართველობის მესამე პერიოდი);

16) **გიორგი XI** (1651-1709), იგივე *შაჰ-ნავაზ II,* მეფედ ითვლებოდა 1703-1709 წლებში, თუმცა იმხანად სპარსეთსა და ავღანეთში იმყოფებოდა (მმართველობის მეოთხე პერიოდი – *de jure* მეფობა);

17) **ვახტანგ VI** (1675-1737), გამგებლობდა როგორც ქრისტიანი – 1703 წლის მაისიდან – 15 ივლისამდე (მმართველობის პირველი პერიოდი);

18) **ლევან I** (1652/55-1709), იგივე *შაჰყული-ხანი,* გამგებლობდა 1703-1704 წლებში (მმართველობის მეორე პერიოდი);

19) **ვახტანგ VI** (1675-1737), გამგებლობდა როგორც ქრისტიანი – 1704-1712 წლებში (მმართველობის მეორე პერიოდი);

20) **ქაიხოსრო I** (1674-1709), იგივე *ხოსრო-ხანი,* მეფედ ითვლებოდა 1709-1711 წლებში, თუმცა იმხანად სპარსეთსა და ავღანეთში იმყოფებოდა (*de jure* მეფობა);

21) **სვიმონ III** (1683-1741), გამგებლობდა როგორც ქრისტიანი – 1712-1714 წლებში;

22) **იესე I** (1682-1727), იგივე *ალი-ყული-ხანი,* მეფობდა 1714-1716 წლებში (მმართველობის პირველი პერიოდი);

23) **ვახტანგ VI** (1675-1737), იგივე *ჰუსეინ-ყული-ხანი,* მეფედ ითვლებოდა 1716 წლიდან, თუმცა იმხანად სპარსეთში იმყოფებოდა (მმართველობის

მესამე პერიოდი – *de jure* მეფობა);

24) **ბაქარ I** (1700-1750), იგივე *შაჰ-ნავაზ III,* მეფობდა 1716-1719 წლებში (მმართველობის პირველი პერიოდი);

25) **ვახტანგ VI** (1675-1737), იგივე *ჰუსეინ-ყული-ხანი,* მეფობდა 1719-1723 წლებში (მმართველობის მეოთხე პერიოდი);

26) **კონსტანტინე III** (?-1732), იგივე *მაჰმად-ყული-ხანი,* მეფობდა 1723 წლის 4 მაისიდან – 10 ივნისამდე;

27) **ბაქარ I** (1700-1750), იგივე *იბრაჰიმ-ფაშა,* მეფობდა 1723 წლის ივნისიდან – 1724 წლის ივნისამდე (მმართველობის მეორე პერიოდი);

28) **იესე I** (1682-1727), იგივე *მუსტაფა-ფაშა,* მეფობდა 1724-1727 წლებში (მმართველობის მეორე პერიოდი);

29) **ალექსანდრე II** (?-1737), იგივე *ალი-მირზა,* მეფობდა 1735-1736 წლებში;

30) **არჩილ III** (ჩანს 1716-1762 წლებში), იგივე *აბდულა-ბეგი,* მეფობდა 1736-1737 წლებში;

31) **თეიმურაზ II,** მეფობდა როგორც ქრისტიანი – 1744-1762 წლებში.

ამრიგად, ორი საუკუნის განმავლობაში – XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან – XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე, ქართლის სამეფოს 21 ბაგრატოვანი მეფე („მოლქ-ი მოურუსი“ და „ვალი“) ანდა გამგებელი („ჯანი-შინი“) ჰყავდა. მათგან 16 იყო ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი, ხოლო 5 – კახეთისა.

ქართლის ბაგრატიონთა სამი წარმომადგენელი (სვიმონ I, იესე I, ბაქარ I) – ორჯერ მეფობდა, მეოთხე (ლევან I) – ორჯერ გამგებლობდა, მეხუთის (გიორგი XI) და მეექვსის (ვახტანგ VI) მმართველობა კი იყოფოდა ოთხ-ოთხ პერიოდად.

კერძოდ, გიორგი XI-ის მმართველობა მოიცავდა შემდეგ პერიოდებს: 1) გამგებლობა (1675-1676 წლები); 2) რეალური მეფობა (1677-1688 წლები); 3) მეფობა სამეფოს ნაწილში (1692-1695 წლები); 4) *de jure* მეფობა (1703-1709 წლები).

რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, მისი მმართველობა მოიცავდა შემდეგ პერიოდებს: 1) პირველი გამგებლობა (1703 წლის მაისი-ივლისი); 2) მეორე გამგებლობა (1704-1712 წლები); 3) *de jure* მეფობა (1716-1719 წლები); 4) რეალური მეფობა (1719-1723 წლები).

ქართლის დამოუკიდებელი სამეფოს უკანასკნელი ხელმწიფე გახლდათ კახეთის მეფედყოფილი კახი ბაგრატიონი თეიმურაზ II, რომელიც ქართლს 1744-1762 წლებში განაგებდა.

ამ ნარკვევში, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, შესაბამისი რიგითი ნომრები მივაკუთვნეთ ქართლის ხუთ ბაგრატოვან მმართველს, რომელთა შორისაც არიან:

6) **ლევან I** (გამგებლობდა 1676-1677 და 1703-1704 წლებში);

7) **სვიმონ III** (გამგებლობდა 1712-1714 წლებში);

8) **კონსტანტინე III** (მეფობდა 1723 წლის 4 მაისიდან 10 ივნისამდე);

9) **ალექსანდრე II** (მეფობდა 1735-1736 წლებში);

10) **არჩილ III** (მეფობდა 1736-1737 წლებში).

Niko Javakhishvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

FOR THE SPECIFICATION OF KARTLI KINGDOM BAGRATIDS' CHRONOLOGICAL ORDER – WHAT WAS THE TIMELINE OF KARTLI KINGDOM BAGRATIDS' RULE IN THE 16TH-18TH CENTURIES

Summary

The research is based on relevant sources and literature and specifies the chronological order of the representatives of Bagratid (in Georgian – Bagrationi) dynasty, who ruled in Kartli kingdom during two centuries, specifically from the 60s of the 16th century to 60s of 18th century when the kingdom was abolished.

They were given the Persian title and rank of *"molq-i-mourus"*, which means "owner of the hereditary land (kingdom)", but from the 30s of the 17th century they had the title of *"vali"* (matched with king) or *"janishini"* (governor).

This is the first attempt in Georgian historiography to establish the proper numbers with the precise chronological timeline to five rulers:

1) Levan I (ruled first in 1676-1677 and later in 1703-1704),

2) Svimon III (ruled from 1712 to1714),

3) Konstantine III (reigned from May 4, 1723 till June 10),

4) Aleksandre II (reigned from 1735 to 1736) and

5) Archil III (reigned from 1736 to 1737).

Out of these five above mentioned Bagrationis only three were the kings, while two were just governor, but besides that giving the order number to the last two is of great importance for the author.

Moreover, it should be mentioned, that the eldest son of Kartli-Kakheti King Giorgi XII (1746-1800) and his legal heir, Prince David Bagrationi (1767-1819), who was the ruler of the same kingdom after the death of his father (28

December of 1800) until the end of May of 1801, is named as Davit XII in the scientific literature published in the last period, but there is also a note, that he was in fact a governor – *"David XII (governor of kingdom)"*.

Thus, besides the fact that David Bagrationi was only a governor of Kartli-Kakheti kingdom, he is given an order number by the part of modern scientists-genealogists like a sovereign monarch which he in fact was not.

The research has three parts. Its second part contains several subsections.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

ოთარ გოგოლიშვილი
პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში 1878 წლამდე

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორი ძირითადი ეპოქა. აქედან პირველი წარმოიშვა ჯერ კიდევ ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მეორე კი შეიქმნა XIX ს. 60-იანი წლებიდან, ვრცელი ადმინისტრაციული რეფორმების და მმართველობის ევროპეიზაციის მცდელობის შედეგად.

ოტომანთა იმპერიის ფეოდალური ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია იყო სამხედრო-ლენური სისტემა, რომელიც შეათავსეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან. ქვეყანა იყოფოდა ვილაიეთებად. ესენი სანჯაყებად, ხოლო სანჯაყები კი კაზებად. მოცემული სისტემის მცოდნე, სულთან მუჰამედ IV (1648-1687 წწ) კარზე მყოფი ბრიტანეთის საელჩოს მდივანი რიკო გადმოგვცემს აქაური სამხედრო-ლენური სისტემის არსს. კერძოდ, მიწები სულთნის საკუთრება იყო და იყოფოდა სამხედრო ფენის წარმომადგენლებს შორის. მათი მფლობელობაში დატოვება და ჩამორთმევა სულთნის განკარგვით ხდებოდა. ეიალეთების მმართველები იგივე ბეგლარბეგები ცხოვრობდნენ თავიანთი სამმართველოების ადგილების შემოსავლებით. აღვნიშნავთ, რომ ზოგ ადმინისტრაციულ ერთეულში მმართველებად ინიშნებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ან თავიანთ პოსტს შთამომავლობით გადასცემდნენ (მაგალითად სამცხე-ჯავახეთში, ზოგს ქურთულ პროვინციაში). რიკო აგრძელებს, რომ სანჯაყის მმართველები სანჯაყ ბეგები ცხოვრობდნენ სანჯაყში შემავალ სამფლობელოთა შემოსავლიდან. თიმარი ეწოდებობა საკარგავს, რომლის შემოსავალი იყო წელიწადში 5 ათასიდან 19.999 აღჩამდე,

ზიამეთი 20 ათასიდან 99 ათასამდე, სანჯაყი 100 ათასიდან 199,999 აღჩამდე, ხოლო ბეგლარბეგების 200 000 აღჩამდე და ზემოდ. ომის დროს თიმარს უნდა გამოეყვანა 1 ჯარისკაცი 3 ათას აღჩაზე, ხოლო ზიამეთს და სანჯაყ ბეგს 1 ჯარისკაცი ყოველ 5 ათას აღჩაზე.[1]

ცხადია ლენები საზელმწიფო მიწების კატეგორიას შეადგენდნენ. გარდა ამისა ოსმალეთის იმპერიაში იყო სავაყუფო (რელიგიური), სასულთნო (ხასე) და კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების კატეგორიები.

წინასწარ ვიტყვით, რომ სამხედრო-ლენური სისტემა ცეტრალურმა ხელისუფლებამ 1834 წელს გააუქმა და მისი ლიკვიდაცია იმპერიაში ეტაპობრივად მოხდა. ამის შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს საფუძვლად დაედოთ ტერიტორიული ნიშანი. ამავე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს მიწის საკუთრების შესახებ ძალაში შესულმა ახალმა კანონმდებლობამ საბოლოოდ დაასამარა დრომოჭმული სისტემა და სოფელში დააკანონა ბურჟუაზიული სამართალწესები.

წყაროების სიმცირე თვით თურქეთში ოსმალეთის ისტორიის სპეციალისტებს არ აძლევს საშუალებას განსაზღვრონ ოტტომანთა იმპერიის პროვინცირებისა და დომინიონების ზუსტი რაოდენობა, საზღვრები და არსებობის თარიღები, გასათვალისწინებელია, რომ მათი რაოდენობა და საზღვრები იცვლებოდნენ.[2]

1578 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის ომი დასრულდა 1590 წელს სტამბოლში ზავის დადებით. ამ ზავით საქართველო, სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილის და თალიშის გამოკლებით), ასევე ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. ოსმალეთის სულთანს არ აინტერესებდა აღიარებდნენ თუ არა დაპყრობილი ხალხები მის უზენაესობას. იარაღით დაუფლებულის შენარჩუნებას იარაღით აპირებდა. დაპყრობილ ტერიტორიებზე ახალი პროვინციები გაჩნდა. ჩვენ ინტერეს იწვევს ქვემოთ წარმოდგენილი სია. მართალია აქ კითხვის ნიშნებს ვხედავთ, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ მდგომარეობაში ბოლომდე თვით თურქეთში ოსმალეთის ისტორიის სპეციალისტები ვერ გარკვეულა.

[1] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ. 231. ს. 99, ფურც. 6.

[2] Administrative divisions of the Ottoman Empire, https://en.wikipedia.org/wiki/Administrative_divisions_of_the_Ottoman_Empire

1609 წლამდე გამქრალი ეიალეთები
(Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Eyalet)

პროვინციათა სახელწოდება	თურქ ოტომანთა სახელწოდება და ტრანსლიტერაცია (თანამედროვე თურქულზე)	არსებობდა	შენიშვნა
აფხაზეთი	აბჰაზია	? წლები (1578-?)	ასევე ეწოდებოდა სუხუმ (სოხუმკალე) ან საქართველო (გურჯისტანი) და მოიცავდა სამეგრელოს და იმერეთს ნომინალური კონტროლით
ახალციხე	ახისხა	? წლები (1603-?)	სამცხესთან (ანუ ჩილდირთან) ერთად ან ცალკე
დაღესტანი	დაღისთან	? წლები (1578-?)	ასევე ეწოდებოდა დემირქაფი-ინიშნებოდა სერდარი (უფროსი) ვიდრე ბეილერბეი.
დმანისი	თუმანის	? წლები (1584-?)	
განჯა	გენჯე	16 წელი (1588-1604)	
გორი	გორი	? წლები (1588-?)	შესაძლოა 1586წ. შემდეგ შეცვალა თბილისის ეიალეთი
გიორი	იეანიქ	4 წელი (1594-1598)	
კახეთი	ქაჰეთი	? (1578-?)	კახეთის მეფედ დაინიშნა მემკვიდრეობითი ბეი
ლაზისტანი		?(1574-?)	
ლორი	ლორი	? (1584-?)	
ნახიჩევანი	ნაჰჩივან	1 წელი (1603)	შესაძლოა არც ყოფილა განცალკევებული ერევნიდან

ფოთი	ფაშ	?(1579-?)	შესაძლოა ტრაბზონისთვის სხვა სახელწოდება ჰქონდა
სანაა	სანა	2 წელი (1567-1569)	იემენის დროებითი დანაყოფი
შემახა	შამაჰი	1 წელი (1583)	შესაძლოა გააჩნდა სხვა სახელწოდება შირვანისათვის
სზიგეთვარ	ზიგეთვარ	4 წელი (1596-1600)	მოგვიანებით გადატანილია ქანიზსაში
შერვანი	შირვანი	26 წელი (1578-1604)	სერდარის ზედამხედველობით (უფროსი) ვიდრე ბეილებეი
თავრიზი	თებრიზი	18 წელი (1585-1603)	
თბილისი	თიფლისი	8 წელი (1578-1586)	შესაძლოა შეიცვალა გორის ეიალეთით 1586 წ.
ვალახია	ეფლაქ	2 თვე (1595 სექტემბერ-ოქტომბერი)	დანარჩენ დროს ვალახია იყო ავტონომიური პროვინცია
ერევანი	ერივან	21 წელი (1583-1604)	ზოგჯერ მოიცავდა ვანსაც
ზაბიდ	ზებით	2 წელი (1567-1569)	იემენის დროებითი დანაყოფი

ამავე წყარო გვთავაზობს ოსმალეთის იმპერიის 1609 წელს დაფიქსირებულ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სიას, სადაც დაზუსტებულია ეიალეთების დაარსებისა და გაუქმების თარიღები. აქ ჩვენთვის საინტერესოა ოთხი პროვინცია: ჩილდირის ანუ ახალციხის, ტრაბზონის, ერზრუმის და ყარსის. აღვნიშნავთ, რომ ოთხივე ეიალეთის ფაშებს შორის ერზრუმის ფაშა პირველობდა, ომის დროს ის აქ ასრულებდა სერასკირის ანუ მთავარსარდლის ფუნქციას.

ჩილდირის ეიალეთი, რომელიც ძირითადად სამცხე-საათაბაგოს ტერი-

ტორიაზე შეიქმნა არსებობდა 1578-1845 წლებში. მის ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ: ჩილდირი 1578-1628 წლებში, ახისხა (ახალციხე) 1628-1829 წლებში და ოლთუ (ოლთისი) 1829-1845 წლებში[3]

დაპყრობის შემდეგ ოსმალო მოხელეებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს, რაც უნდა გამხდარიყო, როგორც ახალი მართვა-გამგეობის ისე გადასახადების შემოღების საფუძველი. ოსმალთა შემოსავლის ძირითადი წყარო დაპყრობილი ტერიტორიებიდან მიღებული შემოსავალი იყო. შესაბამისი დავთრები სამცხე-საათაბაგოში ჯერ კიდევ XVI ს. 70-იან წლებში გაკეთდა.

1595 წ. შედგა „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი". „გურჯისტანის ვილაიეთი" იგივე „ჩილდირის ეიალეთი" ანუ „ახალციხის საფაშოა." აღნიშნულ დავთარში 8 სანჯაყი (ლივა) იყო წარმოდგენილი: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩალდირი, ფოცხოვი, პეტრა, ფანაკი და დიდი არტაანი. „გურჯისტანის ვილაიეთის" ბეგლარ ბეგად ხიდირ ფაშა დაინიშნა, რომელიც უმთავრესად ოსმალო მოხელეთა მეშვეობით მართავდა ქვეყანას. უფრო დაწვრილებით შესაბამისი მონაცემები „საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია" მოცემული[4] და აქ მასზე არ შევჩერდებით. შევნიშნავთ, ჩამოთვლილ სანჯაყთა შორის აჭარას ვერ ვხედავთ. რატომ? 1552 წელს აჭარა (მხედველობაშია მდინარე აჭარისწყლის აუზი) იძულებული გახდა ოსმალთა მმართველობა ეღიარებინა, მაგრამ „იგი მხოლოდ ოსმალთა სუზერენიტეტის აღიარება უნდა ყოფილიყო". რადგან მისი მმართველი ბეჟანი დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვოდა, 1561 წ. დამპყრობელმა მას აღნიშნული რეგიონი ჩამოართვა და ისპირის (სპერის) სანჯაყს შეუერთა. 1563 წ. ბეჟანი სტამბოლში ჩასულა, ისლამი მიუღია, მორჩილება გამოუცხადებია და მას აჭარა დაუბრუნეს, როგორც ცალკე სანჯაყი. „1576/7 წლით (984) დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ აჭარა გურჯისტანს ექვემდებარებოდა, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ამ პერიოდში აჭარა დროებით გურჯისტანის ვილაიეთში იყო გაერთიანებული". 1584 წ. აჭარა ქართველებმა დაიბრუნეს, თუმცა 1586 წ. ჩილდირის ბეგლარბეგმა მიიღო ბრძანება რეგიონის კვლავ დაპყრობის შესახებ, რაც ცოტა ხანში შესრულდა კიდეც[5].

[3] Childir Eyalet. https://en.wikipedia.org/wiki/Childir_Eyalet)

[4] მ. სვანიძე. სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 151).

[5] ზ. შაშიკაძე. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული III. ბათუმი. 2002. გვ. 148-152.

აჭარა „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ (1595 წ.) აღნიშნული არ არის იმიტომ, რომ აღწერის დროს ის სავარაუდოდ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადენდა. იმ დროს ოსმალეთის იმპერიაში ამგვარად შეიძლება არსებულიყო ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული[6]. ამასთან, იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის უფროსის, ერზრუმის ბეგლარბეგის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო[7]. 1595 წ. ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ავიდა სულთანი (ფადიშაჰი) მეჰმედ III (1595-1603 წწ.). აჭარის მმართველმა მიიღო შემდეგი ბრძანება.

„ბრძანება აჭარის ბეგლარბეგს:

სულთნის ტახტზე ასვლა იღბლიანათ და წარმატებით განხორციელდა. ჩემი სურვილია ყველა მხარეში მთელი ხალხის კეთილდღეობაში, სიმშვიდეში და უსაფრთხოებაში ყოფნა. ამიტომ ვბრძანებ: როგორც კი ეს განკარგულება შენამდე მოაღწევს, მთელი ჩემი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და მუსლიმებისგან დალოცვის მისაღებად მეტი გულიხსმიერება უნდა გამოიჩინო. რაც შეეხება არამუსლიმებს, ისინიც ჩვენი შემოქმედის დანატოვარია. არავითარ შემთხვევაში არ მოექცე მათ დესპოტურად და უსამართლოდ. იღვაწე მათი უსაფრთხოების და საქმეების ჩვეულ კალაპოტში ჩასაყენებლად, სიმონთან, სადადიანოს, იმერეთის, გურიის და სხვა მოსაზღვრე მთავრებთან კარგი ურთიერთობები დაამყარე. სავალდებულო გადასახადების და სხვა მსგავს საკითხებზე ჯაფერ ფაშასთან ითათბირე, ჩილდირის ბეგლარბეგთან საქმიანი და გულითადი ერთობა იქონიე და ვილაიეთის მთელი არამუსლიმი და მუსლიმი ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის იზრუნე, გადასახადების კეთილსინდისიერად შეგროვებაზე უკან არ დაიხიო. ჯაშუშებისა და მიმსვლელ-მომსვლელების საშუალებით მუდმივად მიიღე ინფორმაცია მთავრების ქცევასა და საქმიანობაზე, არიან თუ არა ადგილზე. ამის მიხედვით მიიღებ ზომებსა და დაიჭერ თადარიგს. თუ კი ვითარებიდან გამომდინარე საჭირო იქნება ჩემთვის მომართვა, ნუ მოგერიდება. მიღებული ბრძანებები როგორც წესია, ისე შეასრულე. 1003 წლის 28 შევალი / 1595 წლის 6 ივლისი“ [8].

---

[6] მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII. თბ. 1971. გვ. 81.
[7] ზ. შაშიკაძე. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან. კრებული III. ბათუმი. 2002. გვ. 153.
[8] მ. ილდიზთაში. საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. ქართულ ენაზე თარგმნეს გელა გუნიავამ და ირაკლი ართმელაძემ. სტამბოლი. 2012. გვ. 25.

მოცემული საბუთიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ: ჯერ ერთი სათაურში ნახსენებია „აჭარის ბეგლარბეგს“, ბეგლარბეგები ეიალეთის მმართველები იყვნენ. შინაარსში სხვა ეიალეთებს შორის ნახსენებია მხოლოდ ჩილდირი, შემდეგ კონტექსტში: „ჩილდირის ბეგლარბეგთან საქმიანი და გულითადი ერთობა იქონიე.“ ასევე ავალებენ იზრუნოს ვილაიეთის მოსახლეობაზე. ვფიქრობთ აჭარა ეიალეთია არ იქნებოდა, მაგრამ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა აჭარის მმართველისგან ითხოვენ დაქვემდებარებული არამუსლიმი მოსახლეობის მიმართ ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. კიდევ მეტი ბეგლარბეგს ავალებენ საჯაშუშო ინსტიტუტის გაძლიერებას. ყოველივე ეს ადასტურებს, თუ როგორ ფრთხილობდნენ ჩვენი, როგორც დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების მქონე რეგიონის მიმართ და სხვადასხვა ზომებს იღებდნენ აქ კონტროლის შენარჩუნების მიზნით.

1609 წ. აჭარისწყლის აუზი ჩილდირის ეიალეთში გააერთიანეს. „XVII ს. ახალციხის საფაშო 13 სანჯაყისაგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთექრექი, ლივანა, ნისფი-ლივანა და შავშეთი,“ თუმცა უცხოური წყარო ახალციხის (ჩილდირის) ეიალეთის დასახელებული 13 სანჯაყიდან იმეორებს 12 და გამოტოვებული აქვს 1, კერძოდ აჭარის სანჯაყი. შესაძლოა იმიტომ რომ „1631-1632 წლის ... მიხედვით ზემო და ქვემო აჭარის ლივა ყარსისადმია დაქვემდებარებული. იგივე ტიპის დავთარში, რომელიც 1717-1730 წლებს ეკუთვნის აჭარა ისევ ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაშია“ [9].

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ჩილდირის ეიალეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი გადავიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. დარჩენილი ტერიტორიის ერთი ნაწილი შეუერთეს ყარსის ეიალეთს, რომელსაც ასევე ყარს-ჩილდირის საფაშოს უწოდებდნენ (ლომსაძე, 1975:248). ზღვის სანაპიროს ნაწილი კი ტრაბზონის ეიალეთს.

ტრაბზონის ეიალეთი

ტრაბზონის ეიალეთი 1461-1864 წლებში არსებობდა, ადმინისტრაციული ცენტრით ტრაბზონი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად -

[9] Childir Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Childir_Eyalet

სანჯაყებად დაყოფა კი XVII და XIX საუკუნეებში ასეთი იყო:

ტრაბზონის ეიალეთის სანჯაყები

მე-17 საუკუნეში	მე-19 საუკუნის დასაწყისში
1. გიუმიუშჰანეს სანჯაყი	1. ტრაბზონის სანჯაყი
2. ჯანიქის სანჯაყი	2. კერასუნის სანჯაყი
4. ვიზას სანჯაყი	3. ლაზისტანის სანჯაყი
4. გუნიას (გონიო) სანჯაყი	
5. ბათუმის სანჯაყი	

ტრაბზონის ეიალეთის სახით გვაქვს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ეს არის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია, ჭანეთის, ლაზეთის მხარე. ჭანები, ლაზები ქართველთა წინაპრებია, VI ს. ეს მხარე ბიზანტიის იმპერიამ დაიპყრო.1204-1461 წწ. აქ არსებობდა თამარ მეფის მიერ ხელშეწყობით შექმნილი ტრაპიზონის იმპერია, რომელიც დროგამოშვებით საქართველოს ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. 1456 წ. ტრაპიზონის იმპერიას თურქ-ოსმალები შეესივნენ და დახარკეს, ხოლო 1461 წ. კი მთლიანად დაიპყრეს. ამავე წელს შეიქმნა ტრაბიზონის ეიალეთი. მე-17 საუკუნეში მისი, ზემოთაღნიშნული სანჯაყებიდან ბათუმის და გონიოს რაიონები დღეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებშია. ამათ იქეთ ვიზას ანუ რიზეს სანჯაყი აღმოსავლეთ ჭანეთის ტერიტორიაა. ჯანიქის ანუ დამპყრობლის მიერ დამახინჯებული სახელწოდების - ჭანეთის სანჯაყს ეკავა ეიალეთის აღმოსავლეთი[10].

რაც შეეხება გიუმიუშჰანეს სანჯაყს მას ტერიტორიულად შუა ჭანეთის ცენტრალური ტერიტორია (შესაძლოა შუა ჭანეთის ცენტრალური და სამხრეთი ტერიტორიაც) ეკავა.

მე-19 საუკუნის დასაწყისის ტრაბზონის ეიალეთის სანჯაყების დაყოფა გვახსენებს ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს. კერძოდ ლაზისტანი აღმოსავლეთით, ტრაბზონი ცენტრში და კერასუნი დასავლეთ ნაწილში.

ერზრუმის ეიალეთი არსებობდა 1533-1867 წლებში. მე-17 საუკუნეში ის 12 სანჯაყად იყოფოდა[11]. აქ იყო გაერთიანებული ზოგი ქართული რაიონი, კერძოდ ისპირის (სპერის), საიდანაც არიან წარმოშობით საქართველოს

[10] Trebizond Eyalet. https://en.wikipedia.org/wiki/Trebizond_Eyalet
[11] Erzurum Eyalet. https://en.wikipedia.org/wiki/Erzurum_Eyalet

სამეფო დინასტიის წარმომადგენლები - ბაგრატიონები, თურთუმის (თორთომის), მამარის (იგივე ნარმანის, ნემარეევანის) და ფასინლერის (ფასინის, ბასიანის) სანჯაყები. სტატიის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს გადმოვცეთ მონაცემები აღნიშნული რაიონების შესახებ, თუმცა ფასინლერზე ანუ ბასიანზე მაინც შევჩერდებით. ბასიანი არის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინცია. მის სახელწოდებას უკავშირებენ ფასიანების კოლხურ ტომს, რომელიც ქსენოფონტესთანაა მოხსენიებული[12]. ეს სახელწოდება მოგვიანებით ოდნავ სხვადასხვა (სომხურ, ბერძნულ, თურქულ) ენებზე გარდაიქმნა. გარკვეულ პერიოდში ბასიანი საქართველოს საზღვრებში არ შედიოდა. შემდეგ კი კარგა ხანი საქართველოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. 1545 წ. იგი ოსმალებმა მიიტაცეს. ოსმალთა სიაში კი, როგორც აღვნიშნეთ, ფასინლერის სახელწოდებითაა, რასაც კოლხური ტომის დასახელებასთან ფასიანთან აქვს კავშირი. ერზრუმის ეიალეთში ცალკე იყო ერზრუმის სანჯაყი, სადაც იმყოფებოდა ფაშის რეზიდენცია. მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ ეიალეთში სანჯაყთა რაოდენობა განახევრებულია და ექვსს შეადგენს. აქ ქართულს მიმსგავსებული სახელწოდებები არ გვაქვს, ისინი აქვე სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებშია გათქვეფილი, თუმცა დამატებულია გიუმიშჰანეს სანჯაყი, ისტორიული ჭანეთის ქვეყანა[13].

ყარსის ეიალეთი არსებობს 1580-1875 წლებში. მე-17 საუკუნისათვის აქ ოფიციალური ცნობით ვხედავთ 6 სანჯაყს. ჩვენთვის საინტერესოა სამი მათგანი: 1. გოლეს (ქართულად კოლას), იგივე მცირე არტაანი, 2. ჰუჟუჟანის ანუ ჩილდირის, 3. ზარშადის იგივე არფაჩაის (ქართულად წინუბანის) სანჯაყები. სახელწოდება კოლა სავარაუდოდ წარმოდგება აქაური უძველესი ქართული სამეფოს კოლხასგან. ამის სამხრეთით მდებარეობდა ყარსის სანჯაყი სადაც იმყოფებოდა ფაშის რეზიდენცია[14].

როგორც ვხედავთ ოსმალებმა დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გააერთიანეს ოთხი ეიალეთის შემადგენლობაში. აქედან ჩილდირის (რომელსაც ჩვენ უფრო ვიცნობთ როგორც ახალციხის) და ტრაბზონის ეიალეთები ძირძველი ქართული ტერიტორიებია, ხოლო ერზრუმი და ყარსი ნაწილობრივ.

თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც აღვნიშნეთ,

[12] დ. მუსხელიშვილი. ბასიანი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბ. 1977. გვ. 219.
[13] Erzurum Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Erzurum_Eyalet
[14] Kars Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Kars_Eyalet

ოსმალთა მფლობელობისას სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ერთიანდებოდა. მისი ზღვისპირა ზოლიდან ქ. ბათუმის მიდამოები ჯერ კიდევ XVI ს. იქნა დაპყრობილი, „სულთან მეჰმედ ფათიჰმა ტრაპიზონის აღების (1461 წ.- ო.გ.) შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მარბიელი ლაშქარი გაუშვა და ბათუმი და მისი შემოგარენი დაიპყრო“ . ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1574 წ. დაარსდა ლაზისტანის პროვინცია, შეიძლება იგი ტრაბზონში იყო გაიგივებული. 1582 წელს ოსმალებმა ტრაპიზონს ბათუმის სანჯაყი დაუქვემდებარეს“. ერთი პერიოდი, XVII საუკუნეში ბათუმი ეტყობა თავისუფალი იყო, გურიის სამთავროში შედიოდა, ან ამ პერიოდში დამპყრობლის კონტროლი მასზე ძალზედ შესუსტებულა[15].

„1702 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები გაერთიანდნენ აჯანყების დასაწყებათ,“ მაგრამ ოსმალებს უმარჯვიათ და 1712 წ. ბათუმი და ჩაქვი ტრაპიზონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გააერთიანეს. მათ ეს ტერიტორია სახელმწიფო დავთარში გაატარეს, რაც ხელახლა დაპყრობას ნიშნავდა. ქობულეთს ყველაზე ბოლოს დაეუფლნენ. „1723 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს. ციხისძირის, ქობულეთის და ანაკლიის ციხეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს“. ვფიქრობთ, ქობულეთის რაიონი, როგორც ზღვისპირა ზოლი და ბუნებრივი გაგრძელება, ტრაბზონის ეიალეთს ექვემდებარებოდა. უმეტეს შემთხვევაში, ოსმალური წყაროებით ჩურუქ-სუს ანუ ქობულეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, იქ იმყოფებოდა XIX ს. 60-70-იან წლებში (როცა ტრაბზონის ეიალეთს უკვე ერქვა ტრაბზონის ვილაიეთი) 1878 წლამდე, რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებამდე. ამ საკითხს კიდევ შევეხებით.

XVIII ს. და XIX ს. პირველი მესამედი აჭარა ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთშია. 1828-1829 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ადრიანოპოლის ზავით (1829 წ. სექტემბერი) საქართველოსთან ერთად რუსეთს ერგო ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. ასევე შემოიერთეს სანჯაყები: ახალციხე, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი და ჭაჭარაქი. აჭარისწყლის აუზი კვლავ ოსმალეთის ფარგლებში დარჩა, მაგრამ დასაზუსტებელია რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ომის შემდეგ ჩილდირის

[15] რ. უზუნაძე, რ. სურმანიძე, ნ. ზოსიძე. ბათუმი. ისტორია და თანამედროვეობა. თბ. 2013. გვ. 29.

ეიალეთის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთმა წაიღო, მეორე ნაწილი ბრწყინვალე პორტას გადაწყვეტილებით სხვა ეიალეთებს შეუერთეს. უცხოური მასალის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ აჭარისწყლის აუზი ყარსის ეიალეთში გაერთიანდა. ჩვენთან არსებულ მასალასაც იმავე დასკვნამდე მივყავართ. კერძოდ, XIX ს. აჭარაში ყველაზე გამოჩენილი საგვარეულოს წარმომადგენელი ახმედ ხიმშიაშვილი ჩვენთან ცნობილია როგორც ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის უკანასკნელი ფაშა. გიორგი ყაზბეგი გადმოგვცემს, რომ ახმედ ხიმშიაშვილი, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის დროს დანიშნეს ჩილდირის ფაშად ამ ომის შემდეგ ყარსის ფაშა გამხდარა. გ. ყაზბეგი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ ქორ ჰუსეინ ხიმშიაშვილი, რომელიც სავარაუდოდ XIX ს. 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებას, ყარსის ფაშას მიერ გამოგზავნილი ჯარის წყალობით დაიჭირეს და ყარსში გაგზავნეს[16]. ასევე ჩვენს ხელთაა 1844 წ. 30 მარტით დათარიღებული საბუთი საიდანაც ვგებულობთ, რომ აჭარაში გადასახადების და რეკრუტის შეკრება ყარსის ფაშაზე იყო დამოკიდებული[17]. 1844 წ. 5 მაისით დათარიღებული საბუთით ირკვევა, რომ სულთნის ნებით აჭარა შეუერთდა ტრაბზონის საფაშოს (ეიალეთს). იმავე წლის 8 სექტემბრით დათარიღებული საბუთის მიხედვით აჭარაში გადასახადებისა და რეკრუტის საკითხს უკვე ტრაბზონის ფაშა განაგებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ აჭარისწყლის აუზი 1829 წლიდან 1844 წლის მაისამდე იყო ყარსის (ყარს-ჩილდირის) ეიალეთის შემადგენლობაში, ხოლო 1844 წლიდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დამთავრებამდე ტრაბზონის ეიალეთის (1867 წლიდან ტრაბზონის ვილაიეთის) შემადგენლობაში.

ოსმალეთის იმპერიაში 1864 წ. გამოიცა და 1867 წწ. სრულყოფილ იქნა კანონი ეიალეთების ნაცვლად გაცილებით დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ვილაიეთების შექმნის შესახებ. ვილაიეთები იყოფოდა სანჯაყებად, სანჯაყები კაზებად, ხოლო კაზები ნაჰიებად.

იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით შექმნილ ორ ვილაიეთში: ტრაბიზონსა და ერზრუმში გაერთიანდა ისტორიული საქართველოს მხარეები. აქედან ტრაბზონის ვილაიეთი (1867-1923 წწ) ოთხი სანჯაყისაგან შედგებოდა:

[16] გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი. 1995. გვ. 69.

[17] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ. 16. ს. 8085, ფურც. 10-11, 35-36.

ჯანიქის, ტრაბზონის, გიუმიუშჰანეს და ლაზისტანის. ამჯერად წარმოვადგენთ მხოლოდ ლაზისტანის სანჯაყის მონაცემებს. 1869წ. ოფიციალურ ოსმალურ საბუთში ლაზისტანის სანჯაყი შემდეგნაირად იყოფოდა:

1. ბათუმზე დამოკიდებულნი: ბათუმის კაზა, ჩურუქ-სუს ნაჰიე, აჭარა სუფლას (ქვემო აჭარის) ნაჰიე, აჭარა ულიას (ზემო აჭარის) ნაჰიე.

2. ლივანას კაზა: ლივანას კაზა, მაჭახელის ნაჰიე.

3. არჰავეს კაზა: არჰავეს კაზა, ჰოფას ნაჰიე, გონიოს ნაჰიე, ათინას ნაჰიე, ჰემშინის ნაჰიე

შემდეგ 1870 წელს მოხდა გარკვეული ცვლილებები

პირადად მუთესარიფის საგამგებლოში არსებული	**ბათუმი, ბათუმის კაზა, ჩურუქ-სუს ნაჰიე**
აჭარის საკაიმაკამო	აჭარა სუფლას კაზა, აჭარა ულიას ნაჰიე, მაჭახელის ნაჰიე
ჰოფას საკაიმაკამო	ჰოფას კაზა, არჰავეს ნაჰიე, გონიოს ნაჰიე
ათინას საკაიმაკამო	ათინას კაზა, ჰემშინეს ნაჰიე
ლივანას საკაიმაკამო	ლივანას კაზა, ჰაბექელასქურ ნაჰიე

მოცემული განაწილება ძალაში იყო რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878წწ. ომამდე ცოტა ცვლილებებით[18].

ერზრუმის ვილაიეთში (1867-1923 წწ.) გაერთიანდა 3 სანჯაყი: ერზრუმის, ერზინჯანის და ბაიაზედის. აქედან ჩვენს ინტერესს იწვევს ერზრუმის სანჯაყი, რომელშიც შემავალი 10 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან 5 მათგანი ისტორიული საქართველოს მხარეებია: ფასინლერი, ისპირი, თორთუმი, იუსუფელი (პარხალის და ტაოს მიდამოები), ნარმანი.

1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ტრაბზონისა და ერზრუმის ვილაიეთების ნაწილი, ისტორიული საქართველოსა და სომხეთის მხარეები, საქართველოსა და სომხეთთან ერთად რუსეთის იმპერიას ერგო, ნაწილი კი აღნიშნულ ვილაიეთებში დარჩა.

[18] K. Emiroğlu. Trabzon Vilayeti Salnamesi-1870, Özkan Matbaacilik Ltd Sti. Anakara. Trabzon. 1993. გვ. 185 (წელიწდეულის თითო წიგნი გვაწვდის თითო წლის მონაცემებს. ამ შემოხვევაში საინტერესოა 1873, 1874 და 1875 წლები).

Otar Gogolishvili
Professor,
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

SOUTH-WESTERN GEORGIA IN THE ADMINISTRATIVE AND TERRITORIAL SYSTEM OF THE OTTOMAN EMPIRE BEFORE 1878

Summary

Administrative and territorial reorganization of the Ottoman empire was conducted twice. The first time it was as early as the formation of this state, and the second was done after extensive attempts of administrative reforms and Europeanization of governance system in the 60s of 19th century. The social and political organization of the feudal Ottoman Empire was a military system combined with an administrative and territorial system of a state. The country was divided into wilayat. They where divided into sanjaks and sanjaks into kazas. The connoisseur of this system was Rico, secretary of embassy of Britain during the reign of sultan Mehmet IV (1648-1687). He described an essence of the military system of this country. According to him, lands were owned by sultan and they were divided among respresentatives of the military system. A sultan could leave these lands in possession or confiscate altogether. A governor of wilayah or beylerbey lived with revenues of their administrative units.

The paper deals with the problem of administrative organization of south-western Georgian territories conquered by the Ottomans. It is underlined that since Adjara was a separate administrative unit it was not included in "The Great Defter of Gurjistan Wilayah" (1595) and its ruler received a special order from recentrly enthroned Mehmed III. It became the part of Childir eyalet only in 1609. Other territories which were fully or partially Georgian, became the part of Trabzon eyalet, Erzerum eyalet and Kars eyalet. Later, as a result of Russo-Turkish war in 1877-1878 these territories partially became part of the Russian Empire.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

აპოლონ თაბუაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ტახტის მემკვიდრეობის საკითხი XVIII საუკუნის I მესამედის კახეთის სამეფოში

ერეკლე I ნაზარალი ხანის (ქართლის მეფე – 1688-1703 წწ.; კახეთის მეფე – 1703-1709 წწ.) სამი ვაჟი – დავით იმამყული ხანი, კონსტანტინე მამადყული ხანი და თეიმურაზი – ერთმანეთის მონაცვლეობით იკავებდა კახეთის სამეფო ტახტს. საინტერესოა, აღნიშნული მოვლენა შემთხვევითობის შედეგი იყო თუ აქ გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე? განსახილველი საკითხის გასარკვევად საჭიროა XVIII საუკუნის პირველი მესამედის კახეთის სამეფოში ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მოვლენების ანალიზი.

ერეკლე I ნაზარალი ხანის მემკვიდრედ, ბუნებრივია, მისი და დედოფალ ანნა ჩოლოყაშვილის უფროსი ვაჟი – დავით იმამყული ხანი ითვლებოდა. ზოგადად, ერეკლე I ნაზარალი ხანი თავის კანონიერ მემკვიდრედ აღიარებდა უკანონო შვილ კონსტანტინე მამადყული ხანსაც, რომელიც ირანში „მჴევლისაგან“ შეეძინა.[1] ეს კარგად დასტურდება მის მიერ გაცემული სიგელებით. დავით გარეჯისადმი შედგენილ 1692 წლის სიგელში მეფის ოჯახის წევრთა შესახებ აღნიშნულია: „ქ. ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ-მეფემან და თვით ჴელმწიფემან ჰერეკლემ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან იმამყულიმ და პატრონმან კონსტანტინემ...“.[2]

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 619.

[2] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 230.

ზოგადად, მეფეების გაცემული სიგელები ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, რადგან მასში, როგორც ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში, ხაზგასმულია უფლისწულთა სამემკვიდრეო უფლებები. მეფის და დედოფლის შემდეგ საბუთებში მოხსენებულ უფლისწულთა რიგითობა სწორედ მათი სამემკვიდრეო უფლებების გამომხატველი იყო.

ერეკლე I-ის გარდაცვალებიდან (1709 წ.) მალევე კახეთში დავით იმამყული ხანი გამეფდა. მის მიერ გაცემულ სიგელებში უპირველეს მემკვიდრედ დასახელებულია სწორედ კონსტანტინე მამადყული ხანი, ხოლო შემდეგ მოხსენებულია თეიმურაზ ბატონიშვილი. 1711 წელს შედგენილ სიგელში სწორედ დასახელებული თანმიმდევრობით არიან მოხსენებულნი მეფის ძმები: „... ჩვენ, ღმრთივ-აღმატებულმან, და ღმრთივ-დამყარებულმან, და ღმრთივ-ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან, მეფეთა მეფემან და თვით ჴელმწიფემან, პატრონმან იმამყულიხან, და დედამან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ანამ და სასურველმან და საყუარელმან ძმამან ჩვენმან, ერევნის ბეგლარბეგმან, პარტონმან მამადყულიხან და კახეთის გამგემ პატრონმან თეიმურაზ...“.[3]

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ სიგელის გაცემის დროს კახეთის ფაქტობრივი მმართველი ახალგაზრდა თეიმურაზ ბატონიშვილი იყო[4], დავით იმამყული ხანის უპირველეს მემკვიდრედ კონსტანტინე მამადყული ხანია დასახელებული. აღნიშნული ვითარება, ერთი მხრივ, უმცროს უფროსობის პრინციპით უნდა იყოს განპირობებული, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტანტინე მამადყული ხანის მუსლიმობით და შაჰის კარზე მისი დაწინაურებით. მამადყული ხანი, როგორც ერევნის ბეგლარბეგი შაჰის კარზე გავლენიან პირად ითვლებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოთ მოტანილი საბუთის გაცემის დროს დავითს საკუთარი მემკვიდრე ჯერ არ ჰყავდა, საბუთში არც მისი თანამეცხედრე მოიხსენებოდა და დედოფლის ტიტულის მატარებლად მხოლოდ მისი დედას – ანა დედოფალს ვხვდებით. თუმცა, მოგვიანებით გაცემული სიგელების მიხედვითაც, როდესაც დავითს უკვე საკუთარი ვაჟებიც ჰყავდა, ტახტის უპირველეს მემკვიდრედ კვლავ მისი ძმა მიიჩნეოდა. ასე მაგალითად,

[3] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 330.

[4] თეიმურაზ ბატონიშვილი კახეთის მართავდა დავითის ირანში გამგზავრების შემდეგ (1710-1715 წწ).

1721 წელს დავით იმამყული ხანის მიერ შედგენილ სიგელში აღნიშნულია: „... ჩვენ ღმრთისა მიერ მაღლით გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანმან, დიდის ირანის მაღლის ჴელმწიფისაგან შვილად აღზრდილმან, ქართლის უფლისწულმან და კახეთის მპყრობელმან, მეფეთ-მეფემან და ჴელმწიფემან დავით იმამყულიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან, ერანის ეთიმადავლეს დამან და ერევნის ბეგლარბეგის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ქახრიჯანბეგუმ და სასურველმან ძმამან ჩვენმან ბატონის-შვილმან თეიმურაზ, და პირმშომან ძემან ჩვენმან ალესანდრე მაჰმად მირზამან, და ლევან ალიმირზამ...“.[5]

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ დავით იმამყული ხანს ორი ვაჟი (მაჰმად მირზა და ალიმირზა) ჰყავდა, სიგელში მისი და დედოფლის შემდგომ იხსენიებდა არა შვილებს, არამედ ძმას – თეიმურაზ ბატონიშვილს. ეს გარემოება კი აშკარად თეიმურაზის სამემკვიდრეო უფლებაზე მიუთითებდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სიგელში ნახსენები აღარაა კონსტანტინე მამადყულიხანი, რაც, დიდი ალბათობით, ძმებს შორის გარკვეულმა უთანხმოებამ განაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვარ უპრეცედენტო მოვლენასთან. ტრადიციისამებრ, მეფეთა ოფიციალურ სიგელებში მემკვიდრის საკითხი და ვაჟების მოხსენების რიგი მკაცრად რეგულირდებოდა. ასე მაგალითად, სიმონ I (1556-1600 წწ.) გაცემულ სიგელებში აღნიშნავდა: „... ჩუენ ღმრთივ-გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან სვიმონ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ნესტანდარეჯან, და ძეთა ჩუენთა: პატრონმან გიორგი, პარტონმან ლუარსაბ, პატრონმან ალექსანდრე, ძმათა ჩვენთა: პატრონმან ვახტანგ და პატრონმან ალექსანდრე...“.[6] ანუ, მეფის სიგელში მოიხსენებოდნენ მეფე და დედოფალი, შემდეგ მისი ვაჟები, უფროს-უმცროსობის რიგის დაცვით და, მხოლოდ ამის შემდგომ, – ძმები. ხშირ შემთხვევაში კი მეფეთა სიგელებში მოხსენებულია მხოლოდ შვილები (ვაჟები), ხოლო მეფის ძმები ჩამონათვალში საერთოდ არ ფიგურირებენ, რაც მათი სამემკვიდრეო უფლებების იგნორირების მანიშნებელია. სწორედ ასეთი ვითარებას ვხვდებით გიორგი XI-ის მიერ 1685 წლის ახლო ხანებში გაცემულ სიგელში, რომელშიც აღნიშნულია: „წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ღმრთივ-აღმართებულმან, და ღმრთივ-დამყარებულმან, და

[5] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 335.
[6] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 194.

ღმრთივ-გჳრჯნსანოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან, ჴელმწიფემან და მეფეთა ზედა მეფემან, პატრონმან გიორგიმ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ხვარაშან, და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან ბაგრატ...“.[7] როგორც ვხედავთ, გიორგი XI-ის სიგელის მიხედვით მისი ძმების სამემკვიდრეო უფლებები სრულიად უგულებელყოფილია. ანალოგიური ხასიათისაა ვახტანგ VI-ის 1720 წელს გაცემული სიგელის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი – „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, ღმრით-აღმატებულმან და ღმრთივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანმან, იესიან-დავი{თი}ან-სოლომონიან-პანკრატიონმან, ღმთის მიერ სრულიად საქართველოს მტკიცეთ მყჱრობელმჭონებელმან, მეფეთ-მეფემან და თვით ჴელმწიფემან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემა ჩვენმან, ჩ{ერქე}ზის ბატონის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუ{ს}უდან, ღმრით-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან, ღმრთივ-ცხებ{ი}თ-გვირგვინოსანმან პირმშომა და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმა ბაქარ და პატრონმან გიორგიმ...“.[8] ამ შემთხვევაშიც სრულიად უგულებელყოფილია ვახტანგის ძმების სამემკვიდრეო უფლებები. მსგავსი ფაქტების მოტანა უხვად შეიძლება.

ამდენად, გვიანფეოდალურ ეპოქაში, ისევე როგორც ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდში, სამემკვიდრეო უფლებები მეფის პირმშოზე გადადიოდა, განსაკუთრებულ ვითარებაში კი – სხვა შვილებზე. რაც შეეხება მეფის ძმებს, ისინი ტახტის პოტენციურ მემკვიდრეებად მხოლოდ მეფის შვილების შემდეგ განიხილებოდნენ. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეფის პირმშო და მისი სხვა შვილები გარდაიცვლებოდნენ ან სხვა არაორდინალური გარემოება იჩენდა თავს.

დავით იმამყული ხანის სიგელში კი ეს თანმიმდევრობა აშკარად დარღვეულია მისი ძმის სასარგებლოდ. ეს გარემოება, თავის მხრივ, მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში კახეთში ტახტის მემკვიდრეობის წესებში გარკვეული ცვლილება უნდა შესულიყო, რის მიხედვითაც მეფობა ერეკლე I-ის ყველა მემკვიდრეზე თანაბრად ვრცელდებოდა.

გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გარდაცვლილი დავით იმამყული ხანის შემდგომ ტახტზე ასული კონსტანტინე მამადყული ხანიც (1722-1732 წწ.) თავის მემკვიდრედ თეიმურაზს ასახელებდა: „... ჩუ-

[7] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 227.
[8] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 333-334.

ენ, ღმრთივ-აღმატებულმან, ღმრთივ-დამყარებულმან და ღმრთივ-ზეცით-გირგვინოსანმან იასიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან, დიდისა და ცათა სწორისა ჴელმწიფისაგან შვილებრ აღზრდილმან და მათგანვე გაჴელმწიფებულმან, ქართლისა და კახეთის მპყრობელმან, ყარაბაღის ბეგლარბეგმან, შამშადილუსა და ყაზახის ხანმა, მეფეთ-მეფემან და თჳთ ჴელმწიფემან პატრონმან კონსტანტინე და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ფარიჯან-ბეგუმ, პირმშომან და სასურველმან ძმამან ჩუენმან, ბატონისშვილმან პატრონმან თეიმურაზ და ძმისწულმან ჩუენმან, ბატონისშვილმა პატრონმა მაჰმადმირზამ, ალიმირზამ და ერეკლემ და დავით...“.[9] მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე მამადყული ხანს ვაჟი არ ჰყავდა, მას, როგორც მუსლიმს და დავით იმამყული ხანთან შეზრდილს, შეეძლო იდეურად მასთან უფრო ახლოს მყოფი ძმის შვილები გამოეცხადებინა ტახტის მემკვიდრეებად და მუსლიმი მემკვიდრის დასახელებით ირანის მოწონებაც დაემსახურებინა. თუმცა, ის თავის მემკვიდრედ უმცროს ძმას ასახელებდა.

საინტერესოა კონსტანტინეს სიგელში ჩამოთვლილი მეფის ძმისშვილების რიგიც. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც გარკვეული დადგენილ ნორმასთან გვაქვს საქმე, რადგან სიგელში თეიმურაზის შემდგომ მოხსენებულია არა თეიმურაზისავე ვაჟი ერეკლე, არამედ ერეკლეს უფროსი ბიძაშვილები – დავითის ვაჟები: მაჰმადმირზა და ალიმირზა. ამდენად, აღნიშნული საბუთის მიხედვით კონსტანტინეს შემდეგ ტახტზე უნდა ასულიყო თეიმურაზ ბატონიშვილი, ხოლო თეიმურაზის შემდეგ – უკვე დავით იმამყული ხანის ვაჟები.[10]

ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს, რომ იმ პერიოდისათვის კახეთში გარკვეული ტრადიცია დამკვიდრებულა, რომლის მიხედვითაც სამეფო ტახტზე უფლებები უმცროს-უფროსობის რიგის დაცვით მეფის ოჯახის ყველა წევრს ჰქონია. სხვა შემთხვევაში უბრალოდ აუხსნელია, რატომ შეიძლება დაესახელებინა მეფე დავით იმამყული ხანს საკუთარი შვილების წინ თეიმურაზი, ხოლო კონსტანტინეს – თავის მემკვიდრედ აღიარებულ თეიმურაზის შვილზე წინ, გარდაცვლილი დავითის შვილები.

ძნელია იმის მტკიცება, XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის სამეფოში თუ რამ განაპირობა ტახტის მემკვიდრეობის ამგვარი წესის შემოღება, ეს მხოლოდ ერეკლე I ნაზარალი ხანის სურვილი იყო, შექმნილმა კონკრეტულ-

[9] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 389-390.

[10] შესაბამისი ნორმის მიხედვით, თეიმურაზის მემკვიდრეებს ტახტზე ასვლა მოუწევდათ დავით იმამყული ხანის ვაჟების მეფობის შემდგომ.

მა ვითარებამ განაპირობა, თუ საერთოდაც, კახეთის სამეფო კარზე უფრო ადრე მიღებულ წესთან გვაქვს საქმე. თუმცა, მეფეთა გაცემული ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იმჟამად კახეთში ტახტის მემკვიდეობის ზემოთ დასახელებული წესი მოქმედებდა. აღნიშნულ მოსაზრების ნამდვილობას, თავისთავად, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ერეკლე I ნაზარალი ხანის შვილებმა რეალურადაც თანმიმდევრობით მიიღეს მეფობა.

აღნიშნული მსჯელობის ფონზე, ასევე, საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილის (მომავალი მეფე თეიმურაზ II-ის) ტახტზე ასვლასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის 20-იან წლებში ძმებისაგან განსხვავებით ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილი თეიმურაზის პოზიციები კახეთში საკმაოდ მყარი იყო, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა მისი ნათესაური კავშირი ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან. შესაბამისად, დავით იმამყული ხანის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის მეფეს კახეთში თავის სიძის – თეიმურაზის გამეფება სურდა. როგორც ზემოთ მოხმობილი საბუთებიდან გავარკვიეთ, თავისი ძმების მეფობის დროს თეიმურაზ ბატონიშვილის სამემკვიდრეო უფლებები უგულებელყოფილი არ იყო. ამიტომ, თეიმურაზმა ვახტანგის შეთავაზება უარყო და ყოველგვარი კულუარული ინტრიგების გარეშე დაელოდა მემკვიდრეობის მიღებას.

სწორედ აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ვახტანგ VI-ისათვის 1722 წლის გაზაფხულზე გაგზავნილი წერილი, რომელიც, სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად თეიმურაზის გამეფების თემატიკასაც ეხება. მასში აღნიშნულია: „... თქვენი სიძე ბატონის შვილი თ{ე}იმურაზ მოგახსენებ ჩვენო აუარებელო ღ{ვ}თის წყალობავ და უანგარიშოვ შემწე-შემწყნარებელო. მეფეთ მეფევე ბატონო ჩემო... ასე წიგნი გებოძათ, რაც გებ{რ}ძანათ ყველა გავიგონე ღმერთი მამეცეს თავდებათ, რაც წმინდანი ღ{ვ}თისანი არიან იმათიმც მგმობელი ვიქნები, თქვენიმც თავი მამიკდება და ღმერთმან თქვენი შაუბრალებელი მამკლას, {თ}უ რასაც ჩემს დარბაისელთ, ეფისკოპოზთ ჩემთვის ბატონობა დ{ა}ეშალოს, ან ჩემის ძმის ბატონობა ერჩიოსთ და იმის მისაცემლად კახეთი მოენდომებინოსთ. თითქმის ჩემი ძმის სიცოცხლეში ჩემთვის უნდოდათ. ამათში გა{ვ}ზ{რ}დილვარ და ამათგან ნაჭირნახულევი. ესენი მაგას როდის მირჩევდენ, მაგრამე მე ჩემის გუნებით დავინახე და მივხ{ვ}დი, რომე გამეგონა და მესმოდა: ორნი ძმანი იყვნენ იმამყულიხან და მამადყულიხან: ერთათ დაბადებულნი, ერთად გაზ{რ}დილნი. კურთხე-

ულმა მამაჩემმა კინაღარ (sic) იმისის თავაზით კახეთი იმას უშოვა, – უფროსი არისო და დღეს აქამდი სულ შემომწყრალსავით იყო: „ძმისა ბატონობა არ მითავაზო“. მაგრამ ჩემი ძმა კურთხეული იმამყულიხან მშვიდი კაცი ბ{რ}ძანდებოდა და კაის საქმით ამშვიდებდა. ახლა მაგისი რა რჩევა მინდოდა, რომე მამადყულიხანის საწყენს თუ რასმე ვიქმოდი, ან უკითხავს – დამემტერებოდა და ჩემს საქმეს გზას არ წაიყვანდა და ბიზღებითაც არ მომისვენებდა, თუ რგება და მოჴმარება შაუძლიან, – დამარცხება უფრო არ შაუძლიან! ერთი ერანში გამოჩენილი კაცი ისიც არის. სიყრმითგან ჴელმწიფეს (ანუ შაჰს – ა. თ.) სულ ბეგობაში ყვანდა და ახლა შვიდი რვა წელიწადია თავის ტახტზე უჯდა. მამაჩემი არ უძახოდა ნაბიჭვარს, ჩემი ძმა და ჴე{ლ}მწიფე ნაბიჭ{ვ}რობით არას პატივს აკლებს, ახლა მე როგორ დაუძახო ნაბიჭვარი და ჴმალზედ დაუდგე! აოჯრებულის კახეთით რა მაგისთანა ძალი მაქვს! თქვენი უმცროსი ძმა ბ{რ}ძანდება კარზე ყულარაღასი, ღმერთმან ნუ ქნას ისე რომე კარზედ მაწყენლად გყვანდესთ უამებლად მოუსველნად (sic), ვეჭობ თქვენც შეიქნათ, თქვენმა მზემა. მე ასე მეგონა, რადგან ჩემი უღირსი პატრონი ბ{რ}ძანდებით და მამის ალაგს მოწყალე ამ ჩემს ნდომასა და ჩემს ძმასთან ჩხუბის ჩამოუგდებლობას მომიწონებდით და თქვენ კი გამწყრომიყავით. თქვენი თავის მზემა, თუ იმან და მე ერთმანეთს ცემა დაუწყევით, თქვენც დიდად შეგაწუხებსთ და ქვეყანაც მამეთხრება. ველარც შვილი მოისვენებს და ველარც შვილისშვილი. რაღა ვართ, რომე ახლა ჩვენ ერთმანეთს ცემა დაუწყოთ. ორი ძმანი ჩვენ ვართ და ორი ძმის წული დაგვრჩა. თუ ჴე{ლ}მწიფე არ გაგვიწყრა, ჩვენ რაღანი ვართ ერთმანეთისა. რომელიც გაბატონდება, ყველა ერთმანეთის პატრონი ვიქნებით. მაგაზე თქვენგან წყრომას არ ველით და არც სხვას რიგს საქმეს. იშ{ი}ათი საქმე ბევრჯელ მომჴდარა საქართველოებში, რა დადება არის ერთი უშვილო კაცი როსტომ მეფეც ბძანებულა ჴე{ლ}მწიფედ და ერთი ესეც იქნება. თუ ღმერთმა იმისი მოსვლა მაღირსა. ღ{ვ}თითა და თქვენის ბედნიერობით, რადგან მე თქვენი ვარ, ჩემის გულისათვის ის უფრო მა{ა}მებელი შაიქნების. თუ ჩემი ძმობა ენდომება ჩემთვის დიდი ღ{ვ}თის რისხვა არის, რომ თქვენ ერთს საქმეს მიშლიდეთ და მე უარს მოგახსენებდე, მაგრამ ის კარზე არის და ჩემი წიგნი რომ ჩასულიყო იმის უნდომლათ ვინ რას გაიგონებდა“.[11]

[11] დ. მეგრელაძე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33. თბ. 1960, 168-169.

როგორც წერილიდან ირკვევა, ვახტანგ VI-ს სურდა, რომ კახეთში მისი სიძე თეიმურაზი გამეფებულიყო, რაც მის გავლენას რეგიონში კიდევ უფრო გააძლიერებდა. ამიტომ მისთვის მიუღებელი იყო კონსტანტინეს კახეთის ტახტზე ასვლა. წერილიდანვე ვიგებთ, რომ თეიმურაზს არ სურდა ძმასთან დაპირისპირება, რის გამოც ვახტანგი სიძეს გასწყრომია კიდეც. საინტერესოა, რომ თეიმურაზი, რომელიც, ერთი მხრივ, ერიდებოდა ტახტისათვის ბრძოლის გაჩაღებასა და ამით კახეთის კიდევ უფრო დაზარალებას, ხოლო, მეორე მხრივ, – ირანის შაჰის ნების წინააღმდეგ წასვლას, საკმაოდ თავშეკავებულად მოქმედებდა და სამომავლოდ არც მეფობაზე ამბობდა უარს. გარდა იმისა, რომ მის სამომავლო პოზიციებს კახეთში დამკვიდრებული ტახტის მემკვიდრეობის წესი ამყარებდა, ბატონიშვილი ხაზს უსვამდა იმ ფაქტსაც, რომ კონსტანტინე მამადყული ხანს მემკვიდრე არ ჰყავდა. სწორედ ამიტომაც ახსენებთა თავის სიმამრს ქართლში როსტომის მეფობის (1633-1658 წწ.) ამბავს – „ერთი უშვილო კაცი როსტომ მეფეც ბძანებულა ჴე{ლ}მწიფედ და ერთი ესეც იქნება“.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თეიმურაზის წერილის მიხედვით, დავით იმამყული ხანის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილების გამეფების საკითხი დღის წესრიგშიც კი არ დამდგარა და პრეტენდენტებად მხოლოდ დავითის ძმები – კონსტანტინე მამადყული ხანი და თეიმურაზი – მიჩნეოდნენ. წერილიდან ისიც ირკვევა, რომ კონსტანტინესათვის სამემკვიდრეო უფლებების ჩამორთმევა, ვახტანგის რჩევით, თეიმურაზს მისი „უკანონო შვილობით“ უნდა დაესაბუთებინა. თეიმურაზ ბატონიშვილი სწორედ ამიტომაც აცხადებდა: „მამაჩემი არ უძახოდა ნაბიჭვარს, ჩემი ძმა და ჴე{ლ}მწიფე ნაბიჭ{ვ}რობით არას პატივს აკლებს, ახლა მე როგორ დაუძახო ნაბიჭვარი და ჴმალზედ დაუდგე“.

ამდენად, აღნიშნული წერილიდანაც ირკვევა, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში კახეთის სამეფო კარზე მეფობა ძმებზე გადადიოდა და არა მეფის შვილებზე.

შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, თეიმურაზ ბატონიშვილმა ძმასთან დაპირისპირებას მოთმინება ამჯობინა. აქვე აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ თეიმურაზის სამომავლო პოზიციებს რამდენადმე ამყარებდა ის ფაქტიც, რომ ძმებისაგან განსხვავებით, ის კახეთში გაზრდილი და, ამავე დროს, ქრისტიანი უფლისწული იყო. როგორც ჩანს, თეიმურაზმა ამ უპირატესობის ფასი კარგად იცოდა და კიდეც აღნიშნავდა, რომ კახელ

დიდებულებთან და სასულიერო პირებთან „გა{ვ}ზ{რ}დილვარ და ამათგან ნაჭირნახულევი“ ვარო.

სწორედ აღნიშნული ვითარების შედეგი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზმა ყოველგვარი შიდა დაპირისპირების გარეშე დაიკავა კახეთის სამეფო ტახტი.

ამდენად, წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის I მესამედში კახეთის სამეფოში ტახტის მემკვიდრეობის განსაკუთრებული წესი მოქმედებდა, რომლის მიხედვითაც სამეფო ტახტზე უფლებები უმცროს-უფროსობის რიგის დაცვით მეფის ოჯახის ყველა წევრს ჰქონია.

Apolon Tabuashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SUCCESSION TO THE THRONE IN THE FIRST THIRD OF THE 18TH CENTURY KINGDOM OF KAKHETI

Summary

Erekle I Nazarali Khan (r. 1688-1703 in Kartli; 1703-1709 in Kakheti) had a three sons, those were: David Imamkuli Khan, Constantine Mamadkuli Khan and Teimuraz. They all succeeded each other to the throne of Kakheti Kingdom. Was there any kind of regularity or it happened by chance? To clarify above-mentioned issue the analyses of succession to the throne in the first third of the 18th century Kingdom of Kakheti is essential.

Based on tradition, royal charters include detailed and strictly defined succession to the crown and listing of male heirs in those charters was defined with certain order. In the royal charters next to King and Queen their sons were listed in accordance to order of precedence and only after that King's brothers were listed. Quite often only royal sons are named in charters and King's brothers are not mentioned at all.

As for the royal charters of above-mentioned epoch an unprecedented condition is observed. The royal charters of David Imamkuli Khan lists King's brother at the first place and only after his sons (Mahmad Mirza and Ali Mirza) are named, which arranges the order of precedence on the behalf of Teimuraz. The same condition is observed in royal charters of Constantine Mamadkuli Khan after the death of David Imamkuli Khan. Teimuraz, junior brother of King, is again named at the first place in the order precedence over his nephews. It is interesting to observe the order of precedence according to Constantine's charters. Here we have defined order of succession to crown and in the order of precedence established in Constantine's royal charters Teimuraz, King's brother, is in the first place, after him next in the line of succession is not his son Erekle, but Erekle's cousins, sons of David Imamkuli Khan, Mahmad Mirza and Ali Mirza are named.

Above-mentioned clarifies that there was certain tradition in Kingdom of Kakheti and according to it all members of royal family based on seniority were included in the order of precedence.

We do not know certain reasons for establishment of this order of precedence in Kakheti Kingdom. It is hard to say it was desire of Erekle I to establish this kind of order of precedence or it was old tradition at the royal court of Kakheti. But, according to the official documentation issued by the Kings, it is certain that above-mentioned order of precedence was established in Kakheti in the first third of the 18th century.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

გიორგი სოსიაშვილი
პროფესორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოში გავრცელებული ეპიდემიები და ქრისტიანული ეკლესია

აპოკალიპტურ განსაცდელად მოვლენილი პანდემიები კაცობრიობისთვის ყოველთვის დიდ გამოცანად რჩებოდა. სასოწარკვეთილებაში მყოფი, უმწეო ადამიანები ეპიდემიებს ზებუნებრივ მოვლენად და ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად აღიქვამდნენ.[1] „შავი ჭირის", გავრცელებამ ევროპაში კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია, ეს განაპირობა სიკვდილიანობის მაღალმა მაჩვენებელმა, სასულიერო პირთა გარდაცვალების ხშირმა შემთხვევებმა და, ზოგადად, საზოგადოების უმწეო მდგომარეობაში ყოფნამ.[2]

როგორი იყო გავრცელებული ეპიდემიების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება საქართველოში? ამ მხრივ, საისტორიო წყაროებით განებივრებული არ ვართ. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებით შესაძლებელია მომაკვდინებელი დაავადების გავრცელების დროს ქრისტიანული ეკლესიის პოზიციაზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას. „შავი ჭირისაგან" დაზარფრული ხალხის ერთადერთი ხსნა, ცხადია, ეკლესია იყო. საქართველოს საპატრიარქო ეპიდემიის შედეგად დაზარებულ მოსახლეობას მხოლოდ სულიერ დახმარებას არ უწევდა. ეკლესია მათ გადასახადებისგანაც ათავისუფლებდა. ამას ადასტურებს 1800 წლის 2 მაისით დათარიღებული ძეგვის მაცხოვრებელთა მიერ ანტონ II კათალიკოსის მიმართ დაწერილი არზა. „შავი ჭირის"

[1] J Joshua. Mark, Religious Responses to the Black Death. https://www.ancient.eu/arrticle/1541/religious-responses-to-the-black-death/.

[2] The Black Death and its Impact on The Church and Popular Religion by McLaurine H. Zentner, A thesis submitted to the faculty of The University of Mississippi in partial fulfillment of the requirements of the Sally McDonnell Barksdale Honors College. Oxford May 2015, p. 4-24 . http://thesis.honors.olemiss.edu/338/

შედეგად ძეგვიდან მოსახლეობა აყრილა, რამდენიმე კომლი კი ეპიდემიას უმსხვერპლია. ძეგველები პატრიარქს გადასახადის შემსუბუქებას თხოვდნენ: „ქ. მათის უწმინდესობის მეფის ძის ანტონის წინაშე მოსახსენებელი მათ მონათ ერთობლივ ძეგველებისგან. ჩვენი მოხსენება არის ეს არის: ვინცავინ თქვენის ბძანებით ძეგვს მოსვლა ებძანა, ვისაც შეძლო იქ აღარ დადგა და ისევ აიყარნენ და წავიდნენ. ამ აყრილს კაცთ გარდა რვა კომლი ჭირმა ამოწყვიტა და ზოგი ერთი იქ გახლავსთ, მაგრამ იმათიც არ ყოფნა არის. ასეთი შეუძლებელნი გახლავან, არც ხარჯში და არც ბეგარაში არ გვიდგანან ოთხიოდ ხუთი კომლი კაცნი გახლავართ და ჩვენ რომელიც გაძლიერებული სოფელი გახლავსთ, იმათთან ხარჯში და ბეგარაში გვწერენ და კიდეც გვერთმევა. ამ გამოსაღებს გარდა, ხომ მოგეხსენებათ, გზა ადგილი გახლავსთ და მარტო ავლელ ჩამომლელისაგან ილავჯი გვაქვს წართმეული, ზოგი მოძალისაგან და ზოგიერთი სტუმრისაგან...“ ანტონ II ძეგველები გადასახადისგან გაათავისუფლა.[3]

„შავმა ჭირმა“ საქართველოში მოღვაწე არაერთი ავგუსტინელი თუ კაპუჩინი სასულიერო პირი იმსხვერპლა. ეპიდემიის გავრცელების დროს იტალიიდან ჩამოსული მისიონერების გარდა ადგილობრივი მაცხოვრებლების მიმართ დიდ ზრუნვას იჩენდნენ ქართველი კათოლიკე მღვდლებიც. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ახალციხეში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირი იოანე ხოჯაშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება 1763-1809 წ.წ „მესხურ-იმერული ქრონიკების“ შედგენა. „ქრონიკებში“ ქართველ კაპუჩინს „შავი ჭირის“ გავრცელებასთან დაკავშირებით, არაერთი საინტერესო ჩანაწერი აქვს გაკეთებული. იოანე ხოჯაშვილის ცნობით, 1768 წლის 7 აგვისტოს: „...ახალციხეს ჟამის სენი გახშირდა“.[4] მისივე ცნობით, იმავე წლის 31 აგვისტოს ეპიდემიის შედეგად მსხვერპლი დაფიქსირდა ქუთაისში: „პირველად ჟამით მოკვდა მუსტაფა.“[5] იოანე ხოჯაშვილის გადმოცემით ქუთაისში „შავი ჭირი“ მომდევნო წელსაც გაჩნდა: „ქუთაისს ჟამი გამოჩნდა მეორედ ყასაბ მაჰმუდის სახლითგან.“[6] 1790 წლის 22 მაისს, ახალციხეში მოღვაწე ქარ-

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II. თბ. 1953, გვ. 206, №334.

[4] საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX ს.ს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. აკად. იოსელიანმა. თბ. 1980, გვ. 251.

[5] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 251.

[6] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 252.

თველი კათოლიკე მღვდლის ცნობით: „ჟამით ბრმა თევდორას ცოლი მიიცვალა.“[7] იმავე წლის 6 ივნისს, იოანე ხოჯაშვილი ეპიდემიის გამო სამცხე-ჯავახეთიდან იმერეთში გახიზნულა.[8] სამცხე-ჯავახეთში „შავი ჭირით“ გარდაცვლილთა შესახებ „მესხურ-იმერული ქრონიკების“ ავტორი წერს: „5 მაკათათვეს ჟმით საძლელიანთ მეფურნის ბიჭი მოკვდა. 16 მკათათ. პოია ასლანასი, ზიფრასი, ყაზარასი, ქართველი მოსეს ქალები ჟმით დაიხოცნენ, გრძელიშვილი ანტონაცა. 21 ტერ ფრანჩისკე წყრუთს დაიხიზნა.“[9] იოანე ხოჯაშვილის ცნობით 1790 წლის ოქტომბრის დასაწყისში (9 ოქტომბერს): „ჟამმან მოკლება იწყო.“[10]

1811 წლის 19 ივლისის ჩანაწერის მიხედვით მღვდელი იოანე ხიზაბავრაში იმყოფებოდა, სადაც „შავი ჭირის“ ეპიდემია გავრცელებულა: „19 (იგულისხმება 1811 წლის 19 ივლისი - გ.ს) ხიზაბავრას წავედი მღვდლად. ჟამით იხოცებოდნენ.“[11] იმავე წლის 10 აგვისტოს ახალციხეში კათოლიკე მღვდელი „პატრი ნიკოლა ჟმით მიიცვალა“.[12] ახალციხეში „შავი ჭირი“ მომდევნო წელსაც განმეორებულა: „1812 წლის 19 ივლისს ახალციხეში კვლად გაჩნდა „ჟამი“.[13] ეპიდემია სამცხეში, ოდნავ მოგვიანებით, 1829 წელსაც დაფიქსირდა. რუსულმა ხელისუფლებამ ახალციხეში კარანტინი მოაწყო. ამას ადასტურებს იოანე ხოჯაშვილის ცნობა. ირკვევა, რომ კარანტინი არამარტო ჩვეულებრივ მოქალაქეებს, არამედ სასულიერო პირებსაც ეხებოდათ. კარანტინის ხანგძლივობა 15 დღე იყო: „29 დღეს (იგულისხმება 1829 წლის 29 მარტი - გ.ს), აჭარლისა მოსვლა ითქვა სამტროდ. შიშისაგან გავიქეცით მე (ნავროზათ) და მღებრიანთ ტერ სტეფანი. ჩემი და მის დიანთაცა ხიზაბავრისკენ წავედით, იმ რამეს წითელ კლდეს დავრჩით. 5 აპრილს კარანტინი (იგულისხმება კარანტინი - გ.ს) გაგვაწევინეს 15 დღე. 21 კარანტინიდან გამოვედით.“[14] იოანე ხოჯაშვილი კარანტინამდე ბორჯომში იმყოფებოდა. სხვა რეგიონიდან სამცხეში ჩასული მგზავრები ახალციხეში შემოწმებას გადიოდნენ. კათოლიკე მღვდლები, როგორც აღვნიშნეთ, დიდ ზრუნვას იჩენდნენ „შავი ჭირით“ დაინფიცირებული მოსახლეობის მიმართ. ისინი „შავი ჭირით“

[7] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 288.
[8] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 288.
[9] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 288.
[10] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 289.
[11] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 325.
[12] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 325.
[13] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 326.
[14] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 335.

დასნეულებულებთან ურთიერთობას არ ერიდებოდნენ. ამას ადასტურებს იოანე ხოჯაშვილის ერთი ცნობა: „21 (იგულისხმება 1829 წლის 21 ივლისი - გ.ს.), ჟმიანებში შეველი, დაუსაფლავებელია მრავალნი მიცვალებულნი უდეს, არალს ვალეს სოფლებში.“[15] როგორც ჩანს, „შავი ჭირით“ გარდაცვლილი ადამიანების დაკრძალვა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ახალციხის ირგვლივ არსებულ სოფლებში: უდეში, არალსა და ვალეში მიცვალებულებს ვერ ასაფლავებდნენ. ეპიდემია არც სასულიერო პირებს ინდობდა. ამას ადასტურებს XIX საუკუნის 10-იან წლებში შედგენილი „თოფურიასეული ქრონიკა“: „1811 მოვიდა საშინელი სენი ჟამი თათრისა დასწყვიდა მრავალი მამაკაცი და დედაკაცი და სიყმილიც შეეწია და ამ სნეულობისა კაცის ამოწყვედასა... აპრილის კა-ს გარდაიცვალა ბიძა ჩემი მღვდელი ნიკოლოზ თოფურია.“[16] თბილისში გავრცელებულ „შავ ჭირს“ ალ. ამილახვრის გადმოცემით ერთ-ერთი სასულიერო პირი „ევანგელისტი“ უმსხვერპლია. ეპიდემიის პირველი შემთხვევა სწორედ მის სახლში გამოვლენილა. ამის გამო თბილისის მაცხოვრებლებს მისი სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ.[17] „შავი ჭირის“ გავრცელებისას მოქალაქეების მიმართ მზრუნველობას იჩენდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. ამის შესახებ ძალზე მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის პლატონ იოსელიანი. 1797 წელს თბილისში გაჩენილი „შავი ჭირის“ გამო მოსახლეობა, როგორც ზემოთ მივუთითებდით, ქალაქიდან გაიხიზნა. პანიკაში ჩავარდილმა დედაქალაქის მაცხოვრებლებმა თბილისის სიახლოვეს არსებულ მთებს და ხეობებს მიაშურეს. გახიზნულ ხალხს დახმარებას მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები უწევდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერეკლე II-ის მოძღვარი ევთიმი:* „მონასტერნი

---

[15] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 336.

[16] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას-მიერ. ტ. III. გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ. 1967, გვ. 635 თბ. 1967, გვ. 635

[17] ა. ამილახვარი. ბრძენი აღმოსავლეთისა. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვაჟა კიკნაძემ. თბ. 1997, გვ. 88-89.

* პლატონ იოსელიანი ცნობით, ევთიმი გვარად მჭედლაშვილი იყო, იგი წარმოშობით წინანდლიდან ყოფილა. სასულიერო მოღვაწეობა მან ერეკლე II-ის მეფობის დროს დაიწყო. ევთიმი სერაპიონის შემდეგ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში არსებულ იოანე ნათლისმცემლის მონასტერს წინამძღვრობდა. მეფის მოძღვარი ერთი პერიოდი ლეკებს ჰყავდათ გატაცებული და მის გამოხსნაში გიორგი XII ოცდაათი თუმანი გადაიხადა. ევთიმი გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ აღესრულა (იხ. პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკ. გაწერელიას რედ. თბ. 1978, გვ. 119.

და უდაბნონი, რომელთაცა წინა უძღოდა ევთიმი მოძღვარი მეფისა მოეშველნენ განბნეულთა (იგულისხმება ეპიდემიის შედეგად გახიზნული თბილისის და მისი მიდამოების მაცხოვრებელი ხალხი - გ.ს), პურითა და ღვინითა, საჭმელითა და საქონლითა. მეუდაბნოეთა ხელნი გარდაიქცეს ხელად ღვთისა და განგებულებისა მისისა. მეუდაბნოენი და მემხოლონოენი, შთამოსრულნი მთათაგან თვისთა უყაყთა, გამოსრულნი კლდეთა ნაპრალთაგან, ვითარცა მერცხალნი ბუდეთაგან თვისთა, ექმნებოდნენ მსახურად და ნუგეშინისმცემელად ლტოლვილთა სახლთაგან თვისთა, ვითარცა ანგელოსნი მფარველნი, ეჩვენებოდნენ იგინი მათ, მოვლენილად ღვთისაგან. ლოცვა და ვედრება მათი, განწმედდა ქრისტიანეთა გონებასა და განამხნევებდა მას, რათა უძლოს განსაცდელსა.“[18]

1798 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ჟამიანობისას, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დაკრძალვის დროს განსაკუთრებული თავდადება გამოიჩინა სამეფო კარის მღვდელმა ქრისტეფორე ბადრიძემ. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, რომ ერეკლე II-ის ცხედარი თელავიდან ქართლში ჭირისუფალთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა გადმოასვენა. ამის მიზეზი „შავი ჭირი“ იყო. პატარა კახის ცხედარს მცხეთელები არაგვის ნაპირზე დახვდნენ და გარდაცვლილი გვირგვინოსანი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე სვეტიცხოველში გადაასვენეს. თელავიდან ჩამოსული კახელები არაგვის ნაპირიდან გატრიალდნენ.[19] გიორგი XII-მ 1799 წლის 22 დეკემბერს, ქრისტეფორე ბადრიძეს წყალობის სიგელი უბოძა, აზნაურობა განუახლა და ნორიოში ხუთი კომლი გლეხი გადასცა. წყალობის სიგელიდან როგორც ჩანს, ქრისტეფორე მღვდელს ერეკლე II-ის წინაშე დიდი დამსახურება ჰქონდა. მისი ღვაწლი კიდევ უფრო წარმოჩინდა მეფის დაკრძალვისას. სვეტიცხოველში მეფის ცხედარს „შავი ჭირის“ შიშის გამო ვერავინ შეჰყვა. გარდაცვლილი პატარა კახი ჭირით დასნებოვნებულ მცხეთელებს საკათედრო ტაძარში შეუსვენებიათ. ქართლ-კახეთის გვირგვინოსანი უკანასკნელ განსასვენებლამდე ქრისტეფორე ბადრიძემ მიაცილა. ქრისტეფორე მღვდელმა მეფეს ქელეხიც გადაუხადა. ვინაიდან გიორგი XII-ის მიერ მღვდელ ქრისტეფორესადმი ბოძებული წყალობის სიგელი ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, საჭიროდ მიგვაჩნია დოკუმენტის სრული სახით წარმოდგენა: „მღ. ქრისტეფორე ბადრიძე.“ ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ... მეფემან XIII გიორგიმ, დედოფალმან

[18] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გვ. 119-120.
[19] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გვ. 120.

მარიამ პატრონმან, დავით, იოვანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრაილ, ილიამ, ოქროპირმა და ირაკლიმ, და ძის ძემან გრიგოლ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს და წესისაებრ დიდათ ნამსახურს და აზნაურშვილს ბადრიძეს მღვდელსა ჩვენის კარისას ქრისტეფორეს, ძმასა შენსა ნაცუალს ნიკოლოზს, შვილსა შენსა დიონოს და პანტელეიმანს და შვილის შვილსა შენსა იოანეს. მომავალთა სახლის თქვენისათა, ასე რომ კურთხეულ ბატონს მამაჩვენს ახლდი ერევანზედ რომ გაილაშქრა, შენც თან გვახლდი იქ და დაუშრომელათ გვემსახურე, მერმე წახველ აღთმის ქვეყანას მესტამბეობა მიგეღო, მოხველ საქართველოს საღმთო წიგნისაგან ნაკლებათ იყო და თოთხმეტი ათასი საღმთო წიგნი დაგვიბეჭდე, მეტეხში კურთხეულ მეფე საოფლისაგან ავათ იყო ორმოცი დღე და ღამე შენ თავდადებით ემსახურე ყოვლის გზით. შემდგომ აღამაჰმად ხან მოვიდა, ქ. ტფილისი დაწო და ტყვენი მრავალნი დაატყვევნა, მტყვეთაგანნი ბევრნი განჯის ხანსა ჰყვანდნენ ტყვედ, ამავ წელიწად კურთხეულმან ბატონმან ჯარი შეჰყარა, მიეველით განჯის ციხის გარშემო, დავსწვით, ავაოხრეთ და დავატყვევეთ, რომ დიდად შევაწუხეთ, რაც ციხეში ჩვენი ტყვე იყო, განჯის ხანმა მოცემა აღგვითქვა და ხარკი დაიდო, შენა და მისკარბაში იოსებ გაეგზავნათ განჯის ციხეში ხანთან, იქაც დიდათ გაისარჯე გულ უშიშრათ სახლები და დუქნები დაგეცლო და სადაცა დამალული ტყვე ჰყოლოდათ, ისიც გეპოვა და სამი (ათას) შვიდასი ქრისტიანი ტყვე გამოიყვანეთ განჯის ციხიდამ. მერმე ვითარცა არს სოფლის ჩვეულება, კურთხეულიმამა ჩვენი თელავს მიიცვალა. მცხეთას უნდა მიგვესვენებინა, მცხეთაში დიდი ჭირი იყო და სერა, შენ დაუთალაბი (სიც) შეიქენ. თავი გამოიმეტე მოგვახსენე, რომ მე შევყვებიო-იახელ თანა და ქართლიდამ კახეთიდამა დიახ მრავალი ხალხი ახლდა თან, მაგრამ შენს მეტი არავინ შეჰყოლია, ვინც შიგ არ იყვნენ მცხეთელთ მეტი ჭირიანები. იქ საფლავს მოუდექი და ემსახურე. შენის სახლიდამ ძმა დაგებარებინა პურით, ღვინით და საკლავებით; აღდგომის დღეს წირვის შემდეგ სამთავროს გამოსულიყავ და წესისაებრ მართებული აღაპი გარდაგეხადა, მცხეთის ხალხნი, რომელნიც იქ ყოფილიყვნენ დახიზნულნი-დაგეპატიჟა. შემდგომ ჩვენ გვიახელ და დაღესტნის ჯარი გვყვანდა ექვსი ათასი სტუმრად, ამათთვის საჩუქრად სპილენძი დაგეჭირდა, სპილენძის მადანი მოშლილი იყო, ჭირი გაჩენილი იყო და ბერძნები ხუთის თვის დაფანტულნი იყვნენ; შენ ბერძნული ენა იცოდი და ჩვენის ბრძანებით წახველ, ბერძნები შეკრიბე მადნის ოსტატი და რაცა

ნაკლებობა ჰქონდეთ იარაღისა, თუ საზრდელისა, შენ შეუსრულე, დიდად ერთგულათ და მხნეთ გაისარჯე და გაგვასტუმრებინე. და აღამაჰმად ხანმა ქალაქი ტფილისი რომ დაწო, სტამბის ქარხანაცა დაწვათ. ჩვენ სტამბა დაგვჭირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდის შრომით გამართე და მოგვართვი და ნაცვლად ამ სამსახურის შენისა წყალობა გიყავით ასე რომ პირველათ აზნაურშვილები ყოფილიყავით გვარობით ბადრიძე. ერთი თქვენი გვარი მარტყოფს მოსულიყო საგლეხოს კეჟერაანთ ბეითალმანს მამულზედ დასახლებულიყო და გაგლეხკაცებულიყო. ჩვენ ისევ აზნაურშვილობა და ბადრიძეობა განგიახლეთ და გიბოძეთ. კიდევ გიბოძეთ ზემო ნორიოს ხუთი საკომლო ბეითალმანი მამული-გოგლიანთი შინაური ჩიტიაშვილსა, კუდაანთი და ქაჩალაანთი. ეს ხუთი საკომლო თავის ნავენახობებით, სახნავით, სათიბით, წყალით, წისქვილით, მთით და ბარით და თავის სამართიანის სამზღვრებით. რისაც მქონებელნი ყოფილან-უკლებლივ გვიბოძებია კურთხეულის მამა ჩვენს მარტყოფის ნაცვლობა ორისავე ხევისა თქვენთვის ებოძებინა და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია სიგელითა ამით რომ არაოდეს შენის სახლიდამ ნაცვლობა არ მოგეშალოს და თქვენც ეს სამსახური დაიდევით წლითი წლად, ასე, რომ თერთმეტს იანვარს, რომელსაც დღეს კურთხეული მამა ჩვენი მეფე ირაკლი მიიცვალა, თქვენი ჩამომავლობა უნდა მოვიდეს მცხეთას, იმ დღეს, ორ მღვდელს და ერთს დიაკონს კურთხეულის მამის ჩვენებისათვის აწირვინოს და მწირველთ ჯეროვანი სადილი აწამოს და სამთავ რვა აბაზი საწირავი მიართვა... დეკემბერს კბ. ჩღჟთ. ქ. 4 უპზ."[20] გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ „შავმა ჭირმა" არაერთხელ იჩინა თავი საქართველოში. 1803 წლის აგვისტოში, თბილისში, ეპიდემიამ პიკს მიაღწია. გენერალ სერგეი ტუჩკოვის ცნობით, პავლე ციციანოვის ბრძანების შესაბამისად თბილისის კარი ჩაიკეტა და მოქალაქეებს დედაქალაქიდან გასვლა აეკრძალათ. თუმცა, ქალაქის მაცხოვრებელთა მხრიდან მაინც იყო ფარულად გასვლის შემთხვევები. ამ მხრივ, სასულიერო პირებიც აქტიურობდნენ. 1803 წლის 13 აგვისტოს მთავარმართებელ პავლე ციციანოვის მიერ საიმპერატორო კარისადმი შედგენილ პატაკში აღნიშნულია, რომ ეპიდემიის დროს ადგილობრივი სამღვდელოება ხალხს თვითონ აძლევდა თბილისიდან გაქცევის მაგალითს. ისინი ეკლესიებს კეტავდნენ და მალულად გარბოდნენ. ციციანოვის თქმით, მან ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოსს ანტონს აცნობა, მაგრამ თანადგომის ნაცვლად, პატრიარქისაგან ქალაქიდან გასვლის ნებართვაზე სიტ-

[20] საქართველოს ისტორიის ქრონიკები. გვ. 215; ჟურნ.: „მწყემსი". 1887. №21, გვ. 2.

ყვიერი და წერილობითი თხოვნა მიიღო.[21] მთავარმართებელი კათალიკოს ანტონს დედაქალაქიდან გასვლაზე დათანხმა. სწორედ ამ დროს მოხდა თბილისის მაცხოვრებლებსა და კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II შორის დაპირისპირება, როგორ რუსი მაღალჩინოსნის სერგეი ტუჩკოვის ჩანაწერიდან ირკვევა, თბილისელები უწმინდესს წინ გადაუდგნენ და ქალაქიდან გასვლის საშუალება არ მისცეს: „ამ დროს ანტონმა, საქართველოს პატრიარქმა, გარდაცვლილი მეფის გიორგი XIII-ის ძმამ, სთხოვა მას ქალაქიდან გასვლის ნება დაერთო. მიიღო რა თანხმობა, ის იმ პატივისცემის იმედით, რომელიც ხალხს მის მიმართ ჰქონდა, ღია ლინეიკით გაემგზავრა ქალაქგარეთ. ბრბო უკან გაჰყვა. როდესაც ის ჭიშკართან მივიდა და მისი გაღება დაიწყეს, მაშინ ხალხი მიაწყდა, უკუაგდო დარაჯები, დაკეტა ჭიშკარი და პატრიარქის ეკიპაჟი უკუაქცია ყვირილით: „შენ არ გყავს ცოლი, არც შვილები და არ გინდა ჩვენთან, ოჯახებით დამძიმებულებთან ერთად სიკვდილი.“[22]

რუსეთის ხელისუფლებამ მცირე ხანში ჩვენი ქვეყნის რამდენიმე კუთხეში „შავი ჭირის“ პრევენციის მიზნით საკარანტინო სივრცეები მოაწყო. ეპიდემიამ XIX საუკუნის I მეოთხედში კვლავ არაერთხელ იჩინა თავი, რასაც სამწუხაროდ მსხვერპლი მოჰყვა. გარდაცლილთა შორის იყვნენ სასულიერო პირებიც.[23]

[21] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК). Под обш. ред. А. Д. Берже. т. II. Под ред. А. Д. Берже. Тифлис. 1868, გვ. 256, №491.

[22] ჯ. სამუშია, შავი ჭირის ეპიდემია საქართველოში, 1802-1804 წლებში გენერალ სერგეი ტუჩკოვის ცნობების მიხედვით. გვ. 108 (https://independent.academia.edu/jabasamushia)

[23] გ. სოსიაშვილი. საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან. თბ. 2020, გვ. 80.

Giorgi Sosiashvili
Professor,
Gori State Teaching University, Georgia

EPIDEMICS IN GEORGIA AND CHRISTIAN CHURCH

Summary

Apocalyptic ordeals have always been considered as a mystery to the mankind. The people being in despair, considered the epidemics as supernatural phenomena and as God's punishment. With the spread of the "Black Plague" in Europe the authority of the Roman Catholic Church were shaken by high death rates. What were the views towards in the Georgian church towards the epidemic outbreaks? In this regard, we are not indulged with many historical sources, however, we have sources that show the views of the church in the epidemics outbreaks. The Orthodox Church could have been considered as the deliverance from the "Black Plague", as the Georgian Patriarchate offered not only the spiritual assistance, but relieved the population from the taxes during the epidemic outbreaks. This is attested in the petition of the village Dzegvi population to Catholicos-Patriarch Anton II dated to May 2, 1800. As a result of the "Black Plague", the population had abandoned the village and the rest died from the disease. The village population asked the Patriarch to abolish the taxes and as a result the Patriarch relieved them of the existing taxes.

Platon Ioseliani provides an interesting insight in reference to the Orthodox Church's support towards the population during epidemic outbreaks. As it was mentioned earlier, in 1787 due to the "Black Plague" outbreak, the population fled Tbilisi to the nearby villages and mountainous areas, when they had been assisted by the clergy, among which, most notably was the confessor of the King Erekle II, priest Evtimi. During 1798 outbreak heroism was shown by the priest of the royal house Qristephore Badridze during the burial of the King Erekle II. As Platon Ioseliani notes, the body of the King Erekle II was transferred by the small group of mourners from Telavi. The reason was the "Black Plague" outbreak. The "Little Kakhetian" was transferred to the river Aragvi shore, where the body was taken by the Mtskhetians to Svetitskhoveli

and consequently buried without proper ceremony. The group of noblemen from Kakheti, accompanying the body of the departed king returned from the shores of Aragvi.

According to King Giorgi XII's charter granted to Qristephore Badridze on December 22, 1799 the priest showed extraordinary achievements towards king Erekle II, whereas his merits were highlighted during the burial of the king. With the fear of the "Black Plague", the body of the king was not accompanied to Svetitskhoveli, except by Qristephore Badridze. Priest Qristephore also organized the funeral repast for the departed king.

As it was mentioned earlier, after the death of Giorgi XII the "Black Plague" occurred on several occasions in Georgia reaching its peak in Tbilisi in August, 1803. According to the general Sergey Tuchkov, Pavle Tsitsianof decreed to close down the city, though there were cases of disobedience on behalf of the population. The clergy had been particularly active in this regard. As it was indicated in Tsitsianof's correspondence to the royal government dated by August 13, 1803, because of the fear of the epidemic, the population fled the city. The Georgian clergy locked down the churches and stealthily fled the city. As Tsitsianof noted the Catholicos-Patriarch who instead of supporting the government, asked for permission to leave the city. As Tsitsianoff indicated, the Patriarch was granted such a permission, but he was confronted by the local population not letting him to flee the city.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

თენგიზ სიმაშვილი
პროფესორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1924 წლის „სისხლიანი სექტემბერი“ თელავში

თელავში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რომ 1920-იან წლებში, თელავის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ სიკვდილმისჯილ ადამიანებს ხვრეტდნენ და მარხავდნენ თელავის აღმოსავლეთით მდებარე „გიგოს გორაზე“, რომელსაც სახელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მისი მფლობელის, თავად გიგო ვახვახიშვილის გამო ჰქონდა შერქმეული. „გიგოს გორაზე“ გრძელ ხაროებად გათხრილ თხრილებში, ასევე მარხავდნენ თელავის მაზრის „ჩეკას“-ს ადგილობრივი ორგანოს, ე.წ. „პოლიტიკური ბიუროს“, როგორც თელაველები შემოკლებით ეძახდნენ – „პოლიტბიუროს“ ჯურღმულებში დახვრეტილი ადამიანების ცხედრებს.

დიდი ხნის განმავლობაში ეს თემები ტაბუდადებული იყო – საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული ადამიანების შესახებ, მხოლოდ იშვიათად და ისიც ფარულად თუ საუბრობდნენ ოჯახებში. 1980-იანი წლებიდან თანდათან უფრო და უფრო მეტად დაიწყო ხალხმა ამ სახის მივიწყებულ თემებზე ხმამაღლა საუბარი და უამრავი ინფორმაცია გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. დაიწერა საგაზეთო წერილები, წიგნები[1], გადაღებულ იქნა ფილმები.[2]

[1] მათ შორის ყველაზე გამორჩეულია წარმოშობით თელაველი, შესანიშნავი ლიტერატორის და ხელოვანის, ქალბატონ ზაირა არსენიშვილის წიგნი (ზ. არსენიშვილი. ეა სოფელო, „კახური ქრონიკები“. თბ. 1990). ამ რომანში დოკუმენტური სიზუსტით არის აღწერილი და გადმოცემული 1924 წელს, თელავში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დატრიალებული საშინელი ტრაგედიები.

[2] 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი, „გიგოს გორა – თელავის გოლგოთა“, 1924 წლის სექტემბერში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილ თელაველთა შესახებ.

საარქივო მასალების ანალიზიდან აშკარაა, რომ თელავის მაზრაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგები საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა. საარქივო დოკუმენტებიდან დგინდება, რომ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა საშინელი სისასტიკე გამოავლინეს და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აჯანყებაში უშუალო მონაწილეების გარდა, მათთვის მიუღებელი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი, საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები დახვრიტეს. ოფიციალურად ცნობილია, რომ ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი ადგილობრივი „საგანგებო სამეულების“ („ტროიკა“) მიერ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა – 832 ადამიანს მიესაჯა, საიდანაც 44 სასულიერო პირი იყო.[3]

ჩემს მიერ მოძიებული მასალების ანალიზიდან გამომდინარე მინდა ვთქვა, რომ ეს სია არასრულყოფილია. ფაქტობრივად, დახვრეტილების რაოდენობა ბევრად მეტი იყო. საქმე იმაშია, რომ ძალიან ხშირად დახვრეტების შესახებ დოკუმენტები ოფიციალურად არ ფორმდებოდა. ამ და სხვა, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დახვრეტილთა სრულყოფილი სია დღემდე არ არსებობს. ეს ეხება კახეთში და კერძოდ, თელავის მაზრაში დახვრეტილი ადამიანებსაც.

დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ასევე იყო შემთხვევები, როდესაც პრესაში გამოქვეყნებულ და კედლებზე გამოკრულ დახვრეტილთა სიაში მყოფი, რამოდენიმე ადამიანი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ დახვრიტეს და ცოცხლები გადარჩნენ. ამის მაგალითია, თელავში და თელავის მაზრაში 1924 წლის 1-5 სექტემბერს განხორციელებული დახვრეტები, როდესაც 5 სექტემბრით დათარიღებულ დახვრეტილთა იმ სიაში, რომელიც კედლებზე იკვრებოდა, შემდგომში სამი ადამიანი ცოცხალი აღმოჩნდა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

კედელზე გასაკრავი დახვრეტილთა სიების არსებობას და დახვრეტების დიდ მასშტაბებს ადასტურებს, ქალაქ თელავში „მოღვაწე“ ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის, გიორგი ჯაშიაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებები – *„1924 წლის თითქმის ყოველ ორ დღეში წყაროზე აკრავდნენ დაბეჭდილ სიას, სადაც ეწერა წუხელ მაზრის გადაწყვეტილებით დახვრეტილი პირები. ჩამოთვლილი იყო გვარები – საბ-*

[3] გ. კლდიაშვილი. საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე-კახეთში და სასულიერო პირები. ჟურნ. „საარქივო მოამბე“. № 9. 2010, გვ. 103-109.

ჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იარაღით გამოსვლის, ქაქუცასთვის[4] *დახმარების გაწევისათვის. ეს უფრო მეტად იყო აგვისტოს ბოლოდან სექტემბრამდე“.*[5]

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია თელავის მაზრაში კედელზე გამოსაკრავი დახვრეტილი პირების ორი სია. ამ დოკუმენტების მიხედვით, თელავში ადგილობრივი მოსახლეობის დახვრეტები ბოლშევიკებს ძირითადად, 1924 წლის 1 და 5 სექტემბერს უწარმოებიათ. სხვა საარქივო მასალების მიხედვით კი, თელავის სამაზრო „საგანგებო სამეულს“ (ე.წ. „ტროიკა“[6]), წინადასახელებულ სიებში მყოფი პირების დახვრეტის გადაწყვეტილება 1924 წლის 30 სექტემბერს მიუღია.

ეს დროში თითქოსდა უმნიშვნელო ცდომილება მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის. საქმე შემდეგშია, ზემოთ ნახსენებ სიაში ჩამოთვლილი ადამიანების შესახებ სისხლის სამართლის ძიების საქმე თელავის მაზრის „საგანგებო სამეულს“ არ გააჩნდა. ამიტომ, მათ განაჩენი დახვრეტიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გამოუტანეს. ანუ, ფაქტობრივად „უკანონოდ“ ჩადენილი მკვლელობა თითქოსდა დაასაბუთეს სხვა რიცხვით შედგენილი დოკუმენტებით.

წარმოგიდგენთ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ კედელზე გასაკრავი დოკუმენტის ასლს, რომელიც 1924 წლის 1 სექტემბრითაა დათარიღებული:

„კონტრევოლუციასთან და ბანდიტიზმთან მებრძოლ
თელავის სამაზრო საგანგებო სამეულისგან

ყოფილმა მემამულეებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა და სხვა ნაძირლები – მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა გაიძვერებთან ერთად შეეცადნენ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოეწყოთ საქართველოში შეიარაღებული აჯანყება. ამ მიზნით მოახდინეს ბანდიტური თავ-

[4] ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

[5] გიორგი ჯაშიაშვილი. „დასაწყისისთვის“. ნაწილი I. 1972 წელი. კახეთის რეგიონალური არქივი. ფონდი 491. საქმე 5. ანაწერი 1, გვ. 19.

[6] საგანგებო სამეულები (Тройки) იქმნება 1918 წლის დასაწყისიდან. ამ დროიდან ჩეკა-მ მიიღო უფლება გასამართლების გარეშე ადგილზე დაეხვრიტა მტრად მიჩნეული პირები. 1920-იან წლებში მაზრებში „საგანგებო სამეულების“ წევრები, საბჭოთა ხელისუფლების და ძალისმიერი სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ.

დასხმები ჭიათურაზე და საქართველოს სხვა ადგილებში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ სასწრაფოდ აღმოფხვრილ იქნა.

ასეთივე ბანდიტურ შეთქმულებას აწყობდნენ ნაძირლები თელავის მაზრაში, მაგრამ სამაზრო პოლიტიკურმა ბიურომ, რომელიც დარაჯად უდგას მშრომელი ხალხის მონაპოვარს, თავის დროზე ალაგმა მუშების და გლეხების მტრები.

სამაზრო საგანგებო სამეულმა მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა იმ ავანტიურისტ-დამნაშავეებს, რომელნიც ხელს უშლიდნენ მუშების და გლეხების მშვიდობიან აღმშენებლობას და ცხოვრებას.

ამნაირად, ძირს ჩაკლულ იქნა ბანდიტური განზრახვანი და მომავალშიც მუშურ-გლეხური ხელისუფლება გახურებული შანთით აღმოფხვრის მემამულეების მომხრეების, ყველა ბანდიტების მოქმედებას

დახვრეტილ იქნენ:

1. მიხაილოვი სიმონ თადეოზის ძე – ყოფილი ოფიცერი და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი

2. სიდამონ-ერისთავი შალვა იოსების ძე – ყოფილი თავადი, ოფიცერი, იგივე დამნაშავე

3. ყარალაშვილი ლუკა ნიკოლოზის ძე – ყოფილი თავადი, ბოქაული

4. ხიზანაშვილი გიორგი ივანეს ძე – ნაციონალ-დემოკრატი

5. ბაბუნიძე იოსები ლუარსაბის ძე – ყოფილი ოფიცერი

6. კოლელიშვილი იოსებ სიმონის ძე – ყოფილი აზნაური, ოფიცერი

სამაზრო საგანგებო სამეული

1 სექტემბერი 1924 წელი[7]. სტილი დაცულია. იხ. დოკ. №1.

რაც შეეხება კედელზე გასაკრავ დახვრეტილთა მეორე სიას, იგი დათარიღებულია 1924 წლის 5 სექტემბრით. იგი არ განსხვავდება წინა სიისგან. აქაც, მეორე სიაში ჩამოწერილ დახვრეტილი ადამიანების გვარ-სახელს მიწერილი აქვს, ასე ვთქვათ სხვადასხვა განმარტება, რომლებიც საბჭოთა პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლების აზრით, იმ მიზეზს ასახავდა, თუ რატომ მიესაჯათ მათ სიკვდილი: ინტელიგენტი, აზნაური, დიაკვანი, თავადი და ა.შ. მასში ვკითხულობთ:

[7] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 253.

,,კონტრევოლუციასთან და ბანდიტიზმთან მებრძოლ თელავის სამაზრო საგანგებო სამეულისგან

თელავის სამაზრო საგანგებო სამეული მაზრის მშრომელ გლეხკაცობის და ყველა პატიოსან მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს დამატებით ცნობას, რომელიც მიღებულ იქნა მის მიერ თავად-აზნაურების, მემამულეების, ოფიცრებს და სხვა გაიძვერების მიმართ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ბანდიტურ შეთქმულების მოწყობაში შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად და ხელს უშლიდნენ მუშების და გლეხების მშვიდობიან ალმშენებლობას და ცხოვრებას, მაგრამ პოლიტიკურმა ბიურომ, რომელიც დარაჯად უდგას მშრომელი ხალხის მონაპოვარს თავის დროზე ალავმა მუშების და გლეხების მტრები და ყველა დამნაშავეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

ამნაირად ძირში ჩაკლულ იქნა ბანდიტური განზრახვანი და მომავალშიც მუშურ-გლეხური ხელისუფლება გახურებული შანთით აღმოფხვრის მემამულეების მომხრეების, ყველა ბანდიტების მოქმედებას.დახვრეტილ იქნენ:

1. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე – ინტელიგენტი
2. ციცქიშვილი გიორგი მიხეილის ძე – ინტელიგენტი
3. პეტრიაშვილი ილია ივანეს ძე – აზნაური
4. ავურაშვილი ქრისტეფორე სიმონის ძე – დიაკვანი
5. ყარალაშვილი რეზიკო მიხეილის ძე* – თავადი
6. ყარალაშვილი ილიკო კონსტანტინეს ძე – თავადი
7. ყარალაშვილი დიმიტრი გიორგის ძე – თავადი
8. ყარალაშვილი ივანე არჩილის ძე – თავადი
9. ჯავახიშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე – ვაჭარი
10. ხოსროშვილი ივანე გიორგის ძე – კულაკი
11. ჯორჯაძე ვლადიმერ ალექსის ძე – თავადი
12. ჯანდიერი ივანე დავითის ძე – თავადი
13. სულხანიშვილი დავით პაატას ძე – აზნაური, ყოფილი ოფიცერი
14. სულხანიშვილი დავითი რევაზის ძე – აზნაური
15. სულხანიშვილი მიხეილ რევაზის ძე – აზნაური
16. მაყაშვილი ლუარსაბ გიორგის ძე – თავადი
17. მაყაშვილი არჩილ ზაქარიას ძე – თავადი
18. მაყაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე – თავადი
19. მაყაშვილი ათანასე კონსტანტინეს ძე – თავადი

20. მაჭავარიანი სოლომონ ზაალის ძე – აზნაური, ყოფილი ოფიცერი
21. გამყრელიძე ირაკლი არჩილის ძე – აზნაური, ყოფილი ოფიცერი
22. გამყრელიძე ვლადიმერ ვიქტორის ძე – აზნაური
23. ჩიჩუა ვლადიმერ გიორგის ძე – აზნაური, ყოფილი ბოქაული
24. ანდრონიკაშვილი გიორგი თომას ძე – თავადი
25. ჯაფარიძე ივანე საჩინოს ძე – აზნაური, ყოფილი ბოქაული
26. მაღალაშვილი იოსებ დავითის ძე – თავადი, ყოფილი ოფიცერი
პროფესიონალური ბანდიტები:
27. ბიძინაშვილი მიხეილი ალექსის ძე
28. ჩარბაძე არჩილ გიორგის ძე
29. მარკოზაშვილი ლუკა ზაქარიას ძე
30. ბებოშვილი გიორგი ილარიონის ძე
სამაზრო საგანგებო სამეული
5 სექტემბერი 1924 წელი“.[8] სტილი დაცულია. იხ. დოკ. №2.

სწორედ ამ სიაში მითითებული სულ ცოტა სამი ადამიანი ვერ დახვრიტეს იმ დღეებში. დღეს, თითქმის 100 წლის გასვლის შემდეგ, ძალიან ძნელია 1924 წლის სექტემბრის მოვლენების სრული სურათის აღდგენა. თუმცა, არქივებში დაცული მასალები და თანამედროვეთა მოგონებები, ასევე ზეპირი ისტორიების სახით შემორჩენილი ინფორმაციები საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ არა მარტო თელავის მაზრის, არამედ იმდროინდელი საქართველოს სხვა მაზრებში მიმდინარე საბჭოთა რეპრესიების ქრონოლოგია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია 1924 წლის 5 სექტემბერს დახვრეტილი ნიკოლოზ რაზმაძის ვაჟის, ირაკლი რაზმაძის „საჩივარი-თხოვნა“ გაგზავნილი იმდროინდელ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. ეს დოკუმენტი ერთი შეხედვით, 1924 წლის 5 სექტემბერს დახვრეტილი მისი მამის – ნიკოლოზ რაზმაძის რეაბილიტაციის შესახებაა, თუმცა მისი შინაარსი უფრო ფართოა და, ფაქტობრივად, იმდროინდელი ტრაგიკული ამბების ისტორიას წარმოადგენს.[9]

გარდა ამისა, ჩვენ მოგვეპოვება ირაკლი რაზმაძის მიერ 1989 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურ-

[8] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 252.
[9] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 24256.

ით, „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“,[10] რომელიც, გარკვეულწილად, იმეორებს დასახელებული განცხადების შინაარსს. ირაკლი რაზმაძის შთამომავლების ოჯახში დაცულია მისი არქივი, სადაც ინახება ირაკლი რაზმაძის, 1950-1980-იან წლებში ცნობილი ადვოკატის მოგონებები, რომელიც, როგორც ანალიზიდან ჩანს, არის წინადასახელებული დოკუმენტების წყარო. აქ, უფრო დაწვილებითაა აღწერილი, 1924 წლის სექტემბერში თელავში დატრიალებული ტრაგედია და, ასევე, შეიცავს აღნიშნული პერიოდის შესახებ სხვა საინტერესო ინფორმაციასაც.

იმ დროს, თელავის ჰუმანიტარული ტექნიკუმის ახლად კურსდამთავრებული, 16 წლის ირაკლი რაზმაძე დეტალურად აღწერს საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ანტიქართული, ანტირელიგიური პროპაგანდის საშინელ გამოვლინებებს. მაგალითად, *„საბჭოთა ხელისუფლებამ წამოიწყო ლოზუნგი „ვინც ჩვენთან არ არის ის ჩვენი წინააღმდეგია“, ყველა მიულებელ პირს ეძახდნენ „კონტრევოლუციონერს“, სუფთად ჩაცმულებს „ბურჟუებს“, მღვდლებს ძალით კრეჭდნენ ყველას თვალწინ, ეკლესიებში შეწყვიტეს ღვთისმსახურება, ხატებს ესროდნენ „ვინ უკეთესად მოარტყავს თვალში“, კედლებიდან აძრობდნენ და წვავდნენ“*.[11]

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია, ირაკლი რაზმაძის მიერ გაგზავნილი „საჩივარი-თხოვნის“[12] გამო შექმნილი – „პროკურატურის ზედამხედველობის საქმე № 13-98-89“, სახელწოდებით, „რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე, ხიზანიშვილი და სხვები“.[13] იგი, დათარიღებულია 1989 წლით და მასში დაცული მასალები ეხება 1924 წლის რეპრესიებს თელავის მაზრაში. საქმის დასაწყისში ირაკლი რაზმაძის მიერ, იმ დროს საბჭოთა კავშირის

---

[10] ირ. რაზმაძე. „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 2 ივნისი. 1989.

[11] ირ. რაზმაძე. „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“.

[12] სწორედ ირაკლი რაზმაძის ამ „საჩივარ-თხოვნაზე“ საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების მიერ შეიქმნა ზემოდასახელებული „საქმე №13-98-89“. ჩვენთვის საინტერესოა ამ საქმეში ასახული ინფორმაცია. მის მოსამზადებლად იმდროინდელი სასამართლო და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) თანამშრომლებს მოუძიებიათ დოკუმენტები იმ საარქივო საქმეებში, რომლებიც დღეს უკვე ფიზიკურად აღარ არსებობს. საქმე იმაშია, რომ 1991-1992 წლებში, თბილისის ცნობილი მოვლენების დროს, სუკ-ის ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად ე.წ. „უშიშროების არქივის“ დიდი ნაწილი დაიწვა. სწორედ ამ დროს განადგურდა საარქივო საქმეების ის ნაწილი, რომლებშიც აღნიშნული პერიოდის დოკუმენტები იყო დაცული. ამიტომ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ირაკლი რაზმაძის მიერ გაგზავნილი განცხადების პასუხად შექმნილ დოკუმენტებში დაცული ინფორმაცია.

[13] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426.

გენერალური პროკურორის – ა. ი. სუხარევის სახელზე გაგზავნილი წერილია მოთავსებული, რომელსაც თავფურცელზე აწერია „საჩივარი – სულის ძახილი“.[14]

ირაკლი რაზმაძის სიტყვებით, 1924 წლის აგვისტოში თელავის მაზრაში შეიარაღებული აჯანყება არ მომხდარა. ამის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ მაზრაში და მათ შორის ქალაქ თელავში, დაიწყო სრულიად უდანაშაულო ხალხის დაპატიმრება და მათი დახვრეტა. რაზმაძე აღწერს, თუ როგორ მიჰყავდათ დასახვრეტად გამზადებული ადამიანები თელავის სამაზრო ციხეში, რომელიც თელავის ცენტრში ე.წ. „ბატონის ციხის“ დასავლეთით, მის შიდა ტერიტორიაზე მდებარეობდა.

იმ დროს, თელავში სამაზრო ციხე და საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია – ჩეკა-ს მემკვიდრე პოლიტიკური ბიურო (პოლიტბიურო), თელავის ცენტრში, ერთმანეთის მახლობლად იყო განლაგებული. „პოლიტბიუროს“ მაშინდელი შენობა ე.წ. „ჯინუას ხევის“ აღმოსავლეთ ფერდობზე, თავად ჯანდიერების ყოფილ სამსართულიან, პირველ და მეორე სართულების ოთახების საკნებად გადაკეთებულ შენობაში – „ბატონის ციხის“ დასავლეთ კარიბჭის მოპირდაპირე მხარეს დგას დღესაც.

მკითხველისთვის სრული წარმოდგენის შესაქმნელად, თუ როგორი ადამიანები დახვრიტეს თელავში, უფრო დაწვრილებით მოგაწვდით ინფორმაციას 1924 წლის 5 სექტემბერს დახვრეტილი პირების სიის პირველ ნომრად ჩაწერილი ნიკოლოზ კირილეს ძე რაზმაძის შესახებ. დახვრეტილთა სიაში მყოფი სხვა პირებისგან განსხვავებით, მასზე შედარებით მეტი ინფორმაცია გაგვაჩნია.

მასალების მიხედვით, ნიკოლოზ კირილეს ძე რაზმაძე, 1870 წელს დაბადებულა. მას უმაღლესი განათლება რუსეთის იმპერიის ქალაქ ტომსკის უნივერსიტეტში მიუღია, დაუმთავრებია იურიდიული ფაკულტეტი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ნიკოლოზ რაზმაძეს ჯერ ქალაქ ქუთაისში „საერობო“ მოსამართლედ უმუშავია, 1917 წელს კი, თბილისში გაუგრძელებია თავისი პროფესიით საქმიანობა. 1918 წელს მშობლიურ ქალაქ თელავში გადასულა სამუშაოდ. იგი ამ დროს აურჩევიათ „კახეთის საერობო მოსამართლეების ყრილობის“ თავმჯდომარედ. ირაკლი რაზმაძის მეუღლე იყო ლევ ტოლსტოის შვილების ინგლისურის მასწავლებლის, ანა ტარსეის, ქალიშვილი ნადია მაჭუტაძე, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა და ნიკოლოზ რაზ-

[14] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 4.

მაძემ მცირეწლოვანი შვილების, ირაკლის და მისი დის, ქეთევანის, აღზრდაც მარტომ ითავა.[15]

ირაკლი რაზმაძეს, მისი სიტყვებით, კარგად ახსოვდა თელავში 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის საოკუპაციო ნაწილების შესვლა. იგი წერს, რომ მაშინვე დაწყებულა რეპრესიები. ირაკლი რაზმაძე ამ რეპრესიების ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელად ასახელებს შალვა მათიკაშვილს, რომელიც ყოფილა თელავის მაზრის „რევოლუციური კომიტეტის", იგივე „რევკომის" თავმჯდომარე, რომელსაც ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს თავისი ხელით დაუხვრეტია ათეულობით ადამიანი.[16]

ირაკლი რაზმაძე ყვება, რომ შალვა მათიკაშვილს, როგორც „რევკომის" ხელმძღვანელს ნიკოლოზ რაზმაძისთვის მოუთხოვია „კახეთის საერობო მოსამართლეების ყრილობის" გადაწყვეტილებების და განაჩენების მასთან მიტანა დასამტკიცებლად, რაც არაკანონიერი ყოფილა. შესაბამისად, ნიკოლოზ რაზმაძეს უარი უთქვამს, რის გამოც შალვა მათიკაშვილს ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, თელავის მაზრის „პოლიტბიუროს" ის დაუპატიმრებია და თელავის ციხეში მოუთავსებია.[17]

ძალიან საინტერესოა ირაკლი რაზმაძის მიერ მამის გასანთავისუფლებლად გაწეული მცდელობების აღწერა, რადგან მათში ისეთი დეტალებია, რომლებიც კარგად წარმოგვიჩენს იმდროინდელ ვითარებას. მაგალითად, ირაკლი რაზმაძე აღწერს რა მის მცდელობას შეხვედროდა შალვა მათიკაშვილს, ამბობს, რომ ის ნახა ბატონის ციხის ტერიტორიაზე მდებარე „ერეკლე II-ის სასახლეში", რომელიც შალვა მათიკაშვილს საცხოვრებლად ჰქონია გამოყენებული.

ამ პატიმრობიდან ნიკოლოზ რაზმაძე მალე გაუნთავისუფლებიათ და მას დაუწყია მუშაობა თელავის მაზრის პროკურორად, შემდეგ კი, გაუნთავისუფლებიათ ამ თანამდებობიდან და გადასულა „დაცვის კოლეგიაში", ანუ ადვოკატურაში.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული შეუსაბამობებია ირაკლი რაზმაძის მონათხრობსა და საარქივო მასალებს შორის. ერთგან ირაკლი რაზმაძე წერს, რომ *„მამამისი არც ერთ პარტიაში არ შედიოდა და მენშევიკებიც არ უყვარდა"*-ო, თუმცა თელავის მაზრის „პოლიტბიუროს" მიერ 1924 წლის აგვის-

[15] ირ. რაზმაძე. მოგონება ინახება რაზმაძეების ოჯახში. 1989 წელი, გვ. 5.
[16] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 6.
[17] ირ. რაზმაძე. მოგონება ინახება რაზმაძეების ოჯახში, გვ. 3-9.

ტოს ბოლოს დაპატიმრებული ნიკოლოზ რაზმაძის შესახებ შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში, მისი გვარის გასწვრივ აღნიშნულია, რომ იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მეორეგან კი, ნიკოლოზ რაზმაძე კახეთში პარიტეტული კომიტეტის წევრად არის დასახელებული (იხ. დოკ. №3).[18]

ირაკლი რაზმაძის სიტყვებით, მისი მამა „პოლიტბიუროს“ მეორედ 1924 წლის აგვისტოს ბოლოს დააპატიმრა, მაშინ როდესაც სახლში მხოლოდ ბავშვების გამზრდელი ძიძა და მისი 10 წლის და იმყოფებოდნენ. სახლში დაბრუნებულ ირაკლი რაზმაძეს, სახლი არეულ-დარეული და გაჩხრეკილი დახვედრია. მამის დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ კი, დაუნახავს, რომ „პოლიტბიუროდან“ მილიციელებს გამოუტანიათ საკაცეზე დაწოლილი მამამისი, რომელიც მასზე გადაფარებული პალტოთი იცნო. ირაკლი რაზმაძე გაყოლია და საავადმყოფოში მიყვანილი მამა უნახავს. ის წერს: *„იგი ულვთოდ ნაწამები ჩანდა. უგონოდ იყო, კვნესაც ვერ შეეძლო საკაცეს გარს ეხვივნენ ჯალათები, თითქოსდა ეს დამსხვრეული, უგონო მდგომარეობაში მყოფი კაცი მათ გაექცეოდათ“*.[19]

ჩემი აზრით, ნიკოლოზ რაზმაძის ასეთი გამეტება და შემგომ მასზე მილიციელების ფხიზელი მეთვალყურეობა მეტყველებს, რომ თელავის „პოლიტბიუროს“ ხელმძღვანელები და „საგანგებო სამეულის“ წევრები ნიკოლოზ რაზმაძეს სერიოზულ „დამნაშავედ“ მიიჩნევდნენ. მამის ასეთ მდგომარეობაში ნახვის გამო, ირაკლი რაზმაძეს დაუწყია დარაჯებად მდგარი მილიციელების ლანძღვა, რის გამოც დაუპატიმრებიათ და „პოლიტბიუროში“ წაუყვანიათ, იქვე ქვედა სართულზე, ბნელ საკანში ჩაუგდიათ.[20]

„კომკავშირელი“ საშა ჯორჯაძე

სხვადასხვა პირების მოგონებების და საარქივო მასალების შეჯერებით ირკვევა, რომ 1924 წლის სექტემბრის იმ ღამეს, როცა თელავში დახვრეტები დაწყებულა, თელაველი საშა (ალექსანდრე) ჯორჯაძე, როგორც

[18] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 274.

[19] ირ. რაზმაძე. მოგონება ინახება რაზმაძეების ოჯახში, გვ. 24-25.

[20] მინდა აღვნიშნო, რომ დღეს თელავში თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ შენობის პირველ და მეორე სართულზე განლაგებული საკნები – ფანჯრებზე გისოსებით, საკნების ხის იმდროინდელი კარებებით, პატიმრების მიერ კედლებზე გაკეთებული წარწერებით. მეტიც, ფილმის „გივოს გორა – თელავის გოლგოთა“ გადაღების დროს, პირველ სართულზე მდებარე საკნების კედლებში აღმოჩნდა იმ დროს გასროლილი ტყვიები, ანუ დახვრეტილი ადამიანების სხეულში გავლილი ტყვიის გულები.

კომკავშირელი, „პოლიტბიუროს“ შენობაში „მორიგედ“ ყოფილა. იმ დროს კომკავშირლების მორიგეობა ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების და შენობების დასაცავად ჩვეულებრივი ამბავი იყო. ეს დადასტურდება გიორგი ჯაშიაშვილის მოგონებებში – *„ჩვენი სოფლის[21] ახალგაზრდები 30-ზე მეტნი იარაღასხმული მიდიოდნენ თელავში, იტყოდნენ ხოლმე ყარაულობენ ჩეკა-ს, ციხეს, ქალაქს იცავენო“.*[22]

ირაკლი რაზმაძე და საშა ჯორჯაძე თელავის ჰუმანიტარული ტექნიკუმის კურსდამთავრებულები იყვნენ. ირაკლი რაზმაძის სიტყვებით, *„იმ წელს ტექნიკუმი ორმა კლასმა დაამთავრა. კურსდამთავრებულთაგან ბრაუნინგის ხათრით მხოლოდ საშა ჯორჯაძე შევიდა კომკავშირში. ასე იყო დაწესებული, ვინც შევიდოდა, იარაღს მისცემდნენ“.*[23] ჩანს, სწორედ სკოლაში სწავლის დროიდან იცოდა ირაკლი რაზმაძემ, რომ საშა ჯორჯაძე კომკავშირში იარაღის ხათრით შესულა.[24]

საშა ჯორჯაძეს დაპატიმრებული ირაკლი რაზმაძესთვის უთქვამს, რომ მას აუცილებლად სცემდნენ. რაზმაძე პატიმრობაში ყოფნისას მის ცემაზე არაფერს ამბობს, მაგრამ წერს, რომ იგი მილიციის უფროს ჯაფარიძეს, ჩანს აქ საუბარია კოლია ჯაფარიძეზე, გამოუძახია და შეხვედრია კაბინეტში, სადაც ეს უკანასკნელი დამუქრებია, გაუგდია კაბინეტიდან და შემდგომ კი გაუნთავისუფლებიათ პატიმრობიდან.

რაზმაძის სიტყვებით ამ ამბიდან რამოდენიმე დღის შემდეგ დაწყებულა „საყოველთაო“ დახვრეტები – *„ერთ ღამეს ატყდა საშინელი სროლა. ქუჩებში გასვლა არ შეიძლებოდა, სამხედრო ცხენოსანი რუსი ჯარისკაცები ამხედრებული ცხენებზე თოფებით და ხმლებით შეიარაღებულები პატრულირებდნენ ქუჩებს, სროლა დიდხანს არ შეწყვეტილა, გათენება რომ ახლოვდებოდა გაისმა ფურგუნების მოძრაობის ხმაური. თურმე ჯალათებმა თავისი შავბნელი საქმეები უსინდისოდ აკეთეს. დილით გავიგეთ რომ დაეხვრიტათ გიორგი ციცქიშვილი, მამაჩემი საკაცით გაეტანათ და ისე მოეკლათ. დაეხვრიტათ ვანო ხიზანიშვილი და მრავალი ქართველი ინტელიგენტი“.*[25]

ირაკლი რაზმაძე წერს, რომ ამ დროს „პოლიტბიუროს“ ჯურღმუ-

[21] საუბარია სოფელ ვარდისუბანზე.

[22] გიორგი ჯაშიაშვილი. პირადი არქივის მასალები. კახეთის რეგიონალური არქივი, თელავის რაიონი. ფონდი 491. საქმე № 5, „დასაწყისიდან“ (I ნაწილი), გვ. 17-22.

[23] ირ. რაზმაძე. „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“.

[24] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 9-10.

[25] ირ. რაზმაძე. მოგონება ინახება რაზმაძეების ოჯახში, გვ. 10.

ლებში – საკნებში, სხვებთან ერთად დაპატიმრებული ყოფილა მისი და ელიზბარ მაყაშვილის საერთო მეგობარი, სულხან სულხანიშვილი, რომლის დაპატიმრების ანკეტის მოძიებაც შევძელით (იხ. დოკ. № 4).[26] ეს პიროვნება გადაურჩა დახვრეტებს და, როგორც ჩანს, ზემოდასახელებულ ღამეს მომხდარი ტრაგედიის შესახებ გარკვეული სახის ინფორმაცია სწორედ მან მიაწოდა ირაკლი რაზმაძეს.[27]

რაც შეეხება იმ ტრაგიკული ღამით მომხდარ ისტორიას, მას ამის შესახებ ინფორმაცია მიუღია იმ დროს საკანში მყოფი სულხან სულხანიშვილის და „პოლიტბიუროს“ ზედა სართულზე, ჯაფარიძის კაბინეტში მყოფი, საშა ქორიძის სიტყვებიდან – *„ციხიდან გამოყვანილები მიჰყავდათ ციხის პირდაპირ ქუჩის გადალმა მდებარე „პოლიტბიუროში“. იქ მიყვანილთა შორის იყვნენ გიორგი მაყაშვილი (ყოფილი გენერალი), შაქრო გურამიშვილი, სერგო მელვინეთუხუცესი, კოლია მაყაშვილი, ვანო ანდრონიკაშვილი, კიდევ ერთი უცნობი. ყველანი აიყვანეს პოლიტბიუროს უფროს ჯაფარიძესთან კაბინეტში. ჯაფარიძე გაჯავრდა – თითო-თითო მოიყვანეთო. ისევ ჩაიყვანეს სარდაფში. სარდაფიდან დაიწყეს სათითაოდ პატიმრების ამოყვანა ჯაფარიძის კაბინეტში დერეფანში საცველების ამარა ხელებშეკრული დასახვრეტად გამზადებული ჰყავდათ გიორგი ციცქიშვილი, ექიმი ვანო ჯაფარიძე და სხვები. საშა ჯორჯაძე არ ჩანდა. არ გასულა ერთი წუთი და შემოგვესმა ორი გასროლის ხმა და ატყდა საერთო სროლა, არავის ესმოდა რა ხდებოდა. ჩვენს გასაყვანად გამზადებული ვისხედით აივანზე ერთი სართულით ქვევით, ველოდით ჩვენს ჯერს. ზედა სართულიდან წამოვიდა სისხლის ღვარი. სროლა არ ცხრებოდა, ისმოდა გმინვა, ღაბძღვა, ხმლების შხუილი, სირბილი, მტვრევის ხმა, გათენებისას გამოიყვანეს სისხლის სამართლის საქმეებზე დაპატიმრებულები, ციხე და პოლიტბიურო ერთ მთლიანობაში იყო, მოიყვანეს სამხედრო დროგები, გვამებს ზედ ჰყრიდნენ და ჩასაფლავად მიარბენინებდნენ, იატაკებს და კედლებს სასწრაფოდ რეცხდნენ“.*[28]

ირაკლი რაზმაძის სიტყვებით, ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ როდესაც საშა ჯორჯაძეს გაუგია მის მამას და ბიძას უპირებდნენ დახვრე-

[26] სულხან სულხანიშვილის შვილიშვილი იყო 1992 წელს აფხაზეთში გმირულად დაღუპული სუხია (სულხან) სულხანიშვილი.

[27] ირაკლი რაზმაძე და სულხან სულხანიშვილი ღრმა სიბერემდე მეგობრობდნენ და ამ უკანასკნელის შთამომავლის – გუგა სულხანიშვილის მეხსიერებაშიც, მისი პაპის მოყოლილი, ანალოგიური სახის ინფორმაცია შემორჩა.

[28] ირ. რაზმაძე. მოგონება ინახება რაზმაძეების ოჯახში, გვ. 30-31.

ტას მოუწადინებია მათი შველა.

ახალგაზრდა კომკავშირელი საშა ჯორჯაძე, რომელიც ამ დღეს მორიგეობდა „პოლიტბიუროს“ შენობაში, კოლია ჯაფარიძის კაბინეტში შესულა და უთქვამს: *„მე კომკავშირელი ვარ, თქვენი ვარ და მე მაჩუქეთ მამაჩემის და ბიძაჩემის სიცოცხლეო“*. ჯაფარიძეს იგი კაბინეტიდან გაუგდია. ჯორჯაძე ხელმეორედ შესულა ჯაფარიძესთან იგივე თხოვნით, რაზეც ჯაფარიძეს დაუყვირია – *„გაეთრიე აქედან შე ძაღლის ლეკვო, თორემ მათ ორივეს შენი ხელით დაგახვრეტინებ“*.[29] სხვა მოგონების თანახმად უთქვამს – *„თუ კომკავშირელი ხარ შენვე უნდა დახვრიტო მამაშენი“*-ო.[30] სწორედ ამ დროს, *„მაშინ მოიხმარა საშა ჯორჯაძემ ის ბრაუნინგი, რისი ხათრითაც კომკავშირში შევიდა. ორი ტყვია ჯაფარიძეს მიაჭედა, მეორე ჯალათი – საშა ქორიძე ხელში დაჭრა და როცა შალვა მათიკაშვილს მიუბრუნდა, იარაღმა უმტყუნა, სარეზერვო ტყვია გაიჭედა და არ გავარდა. მათიკაშვილი გადარჩა, ხოლო ლამაზი ბიჭი საშა ჯორჯაძე იქვე დასახვრეტად გამზადებული მამის და ბიძის თვალწინ დაცხრილეს და ხმლებით აჩეხეს“*. სწორედ ამიტომ დაწყებულა უწესრიგო სროლა ჯაფარიძის კაბინეტში, რომელიც გაგრძელებულა ქუჩაში, ციხის კარებთან – *„ადამიანებს ჩეხდნენ ხმლებით... მათი სისხლი იღვრებოდა ზემო სართულიდან ქვემოთ ხის აივნის ქვეშ მჯდომ ადამიანებზე, რომლებიც ხელშეკრულები ელოდებოდნან თავის რიგს დასახვრეტად“*.[31]

მეორე დღეს კი, სახლების კედლებზე გაუკრავთ დახვრეტილთა სიები, სადაც ირაკლი რაზმაძეს წაუკითხია, რომ „წითელ“ ჯალათებს მამამისი, როგორც ინტელიგენტი საკაცეთი გაუტანიათ და დაუხვრეტიათ. საუბარია ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ 1924 წლის 5 სექტემბრით დათარიღებულ კედელზე გამოსაკრავ სიაზე. რაზმაძე წერს:

„გათენებისას, თელავის ცენტრში, სადაც აუცილებელი იყო გვამების ალაგება, სისხლის მოწმენდა დახვრეტები ალარ გაუგრძელებიათ და მეორე დღეს მოვიდა ბრძანება, რომ დახვრეტები შეეჩერებინათ“.[32]

ირაკლი რაზმაძე მიიჩნევდა, რომ საშა ჯორჯაძემ თავისი საქციელით გადაარჩინა ის ადამიანები, რომლებიც დასახვრეტად ჰყავდათ გამზადებული „პოლიტბიუროს“ შენობის ქვედა სართულებზე. რაზმაძის სიტყვებით, ეს არა-

[29] ირ. რაზმაძე. „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“.
[30] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 9.
[31] ირ. რაზმაძე. „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“.
[32] ირ. რაზმაძე. „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“.

ადამიანური ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს – შალვა მათიკაშვილმა, კოლია ჯაფარიძემ, მისმა მოადგილე ტოლსტოვმა, სერგო ქორიძემ და სხვა ჯალათებმა.[33]

1924 წლის 5 სექტემბერს მომხდარი ტრაგიკული ამბების უშუალო შემსწრე იყო ელიზბარ მაყაშვილიც, რომელიც შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას. იგი, 1927 წელს საფრანგეთში ემიგრაციაში წავიდა და დაგვიტოვა მოგონება ზემოაღნიშნული ტრაგიკული დღეების შესახებ.

1965 წელს საფრანგეთში გამომავალ ქართველი ემიგრანტების ჟურნალ „კავკასიონის“ მე-10 ნომერში ელიზბარ მაყაშვილი აქვეყნებს მოთხრობას „სისხლიანი ფურცლები“. მასში იგი აღწერს, თუ როგორ შეხვდა თელავის ციხეში ჩასმული, საკანში შეყვანისას თავის მასწავლებელ გიორგი ციცქიშვილს. მისი სიტყვებით, შესვლისას დაინახა *„ყველასგან, ყველაფერში, ყველასგან პატივცემული ჩემი მასწავლებელი გიორგი ციცქიშვილი. მისმა გამჭრიახმა ენამ არა ერთსა და ორს ახალგაზრდა ქართველს ასწავლა სამშობლოს სიყვარული, ერისათვის ბრძოლა და საქართველოსთვის თავისდადება“*:[34] აღსანიშნავია, რომ გიორგი ციცქიშვილის ავტორიტეტს ადასტურებს არქივში დაცული 1924 წელს დახვრეტილთა სია. მასში წერია: *„გიორგი ციცქიშვილი, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და იღებდა მონაწილეობას შეიარაღებულ გამოსვლაში“* (იხ. დოკ. № 3).[35]

ელიზბარ მაყაშვილი გადმოგვცემს გიორგი ციცქიშვილის ნათქვამს, *„ამ საკანში ცხრანი ვიყავით. დღეს მარტო მელა ვარ, დანარჩენი წუხელის დაიხოცნენ მტრის ხელით“*.[36] ავტორი ამით, ფაქტობრივად, გვამცნობს თელავში დაწყებული ტერორის შესახებ. სავარაუდოდ, აქ საუბარია ზემომოყვანილ 1924 წლის 1 სექტემბერით დათარიღებულ სიაში მყოფ ადამიანებზე.

ამის შემდეგ, გიორგი ციცქიშვილი მალევე გაუყვანიათ საკნიდან და „პოლიტბიუროს“ შენობაში გადაუყვანიათ. მეორე დღეს ელიზბარ მაყაშვილიც წაუყვანიათ თელავის მაზრის „პოლიტბიუროში“, გვიან ღამით *„ალყა შემოგ-*

---

[33] პეტრე ტოლსტოვი დოკუმენტებიდან ჩანს, 1917 წელს თბილისში მილიციელად მუშაობდა, თუ როგორ „აღმოჩნდა“ ბოლშევიკებთან კვლევის ამ ეტაპზე გაურკვეველია. რაც შეეხება საშა ქორიძეს, გიორგი მელითაური მას, როგორც გიორგი ელისაბედაშვილის მიერ თელავში „ჩამოყვანილ კადრად“ ასახელებს. საშა ქორიძე ყოფილა მასწავლებელიც და, ასევე, უმუშავია თელავის მაზრის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

[34] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები“. ჟურნ. „კავკასიონი“. №10. პარიზი. 1965, გვ. 15-18.

[35] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 274.

[36] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები“, გვ. 15-18.

ვარტყეს. გაიღო ალაყაფის დიდი კარი,[37] *ჩვენ გარეთ ვართ. საშინელი სიბნელე. ვგრძნობთ თოფის ლულებს, მოდებულს ბეჭზე. მივდივართ. მივადექით ჯალათთა ბუნაგს. პოლიტბიუროს უწოდებენ. რამდენიმე ჯალათი შევიდა ციხის საავადმყოფოში. კვლავ გამოვიდნენ. შემოგვიერთეს საკაცე, რომელზეც იწვა ცოცხალ-მკვდარი მოხუცებული რაზმაძე, ნაწამები. თავგახეთქილი ჯალათების მიერ. წინა დღით".*[38]

მინდა აღვნიშნო, რომ ელიზბარ მაყაშვილი საოცრად რეალისტურად აღწერს „პოლიტბიუროს" სარდაფებში გადამხდარ პერიპეტიებს. მის მოთხრობაში აღწერილია, უკვე „პოლიტბიუროს" საკანში მეორედ შეხვედრის სცენა, თავის მასწავლებელ გიორგი ციცქიშვილთან – *„გიორგი ცოცხალი ხარ?! – ჯერჯერობით, – მიპასუხა ნაღვლიანი ღიმილით. ეს არის უკანასკნელი წუთი ერთად ყოფნისა. რაღაცა ძალა ჩამჭურჩულებს: შენ გადარჩები! თუ გადარჩი დამიკოცნე ჩემი ბიჭიკო! მოკითხვა მოხუც დედას. და ჩემს მეულლეს გადაეცი: გაზარდოს ჩემი შვილი ვით ნამდვილი ქართველი".*[39] ამ საუბრიდან მალევე – *„გამცემი და მოღალატე ყანჩაველი მოადგა კარს – ციცქიშვილი გიორგი! იგი წამოდგა – „ძმებიდობით ყმაწვილებო".*[40] ელიზბარ მაყაშვილის მიერ, მართლაც საოცრად გულგამგმირავი სცენებია გადმოცემული. მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ გაყავდათ ჯალათებს დასახვრეტად ადამიანები – *„ხალხს ატიტვლებენ და ხელებს უკრავენ"... „ხელებს ნუ მიკრავთ ჯალათებო! მომკალით ხელებშეუკვრელად!"... „ქართველებო! თქვენ ნუ მესვრით! დეე რუსებმა მომკლან!".*[41]

ელიზბარ მაყაშვილი წერს, რომ დასახვრეტად გასაყვანად მის მეგობარსაც დაუძახეს, მაგრამ მან საკნიდან გასვლა ვერ მოასწრო რადგან – *„უეცრად გავარდა რევოლვერი. გაისმა კოლია*[42] *მოჰკლეს! დახოცეთ პატიმრები! დაიძახა ვიღაცამ. დაიწყო დიდი სროლა, ხელებშეკრულ ხალხს ესროდნენ. სროლის ხმაში მოისმოდა ლანძღვა, გინება, კვნესა, ძახილი. პირქვე დავეშვი. გარედან შემოჭრილმა რუსის ჯარისკაცებმა ხმლები აამუშავეს. აქაც გაისმა დაჭრილთა კვნესა, ლანძღვა, გამამხნევებელი ხმები, შველის თხოვნის*

[37] საუბარია „ბატონის ციხის" დასავლეთი კარიბჭეზე, რადგან სამაზრო ციხე ამ ადგილას მდებარეობდა.

[38] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები", გვ. 15-18.

[39] სამწუხაროდ მისი ვაჟი დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა.

[40] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები", გვ. 15-18.

[41] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები", გვ. 15-18.

[42] თელავის მაზრის მილიციის უფროსი კოლია ჯაფარიძე.

ხმა, ხმლის ჩახჩუხი, თოფის სროლა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ველარ გავუძელ ამ საზარელ ხმაურობას: ყურები თითით დავიცავი. ვერაფერს ველარ ვგრძნობდი, ველარ ვაზროვნებდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ ჟლეტდნენ უიარაღო და ხელებშეკრულ ქართველებს ჩხრიალი მოისმა. ტანზე რაღაც სითხე დამედინა მხოლოდ მეორე დღეს შევნიშნე, რომ ეს სითხე წყალი კი არა, სისხლი იყო, სისხლი ადამიანთა და მეც წითლად ვიყავი შეღებილი ჩემივე მოძმეების სისხლით. დილით კიბეზე ხმაურობამ გვამცნო, რომ ჯალათები მიათრევდნენ და ტვირთავდნენ ურმებზე ქართველ მამულიშვილთა გვამებს. ქართველნი ვაჟკაცნი, რომელთა გული სიყვარულით ძგერდნენ სამშობლოსთვის, იმარხებოდენენ დაუტირებლად ვით პირუტყვნი. იქ ოცდათექვსმეტმა კაცმა შესწირა თავი სამშობლოსთვის ამ ჯოჯოხეთურ ღამეს“.[43]

თავისთავად ცხადია, ეს მხატვრულად აღწერილი ტექსტი სრულად ვერ ასახავს იმ ღამით დატრიალებულ ტრაგედიას, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველისთვის თვალნათელია, თუ რა საშინელებაც დატრიალდა იმ ღამით თელავში. მე შეგნებულად მოვიყვანე მოგონების ეს ნაწყვეტი სრულად, რათა გადმოვცე იმ ტრაგიკული ღამის რეალობა. ფაქტია, რომ რამოდენიმე დამოუკიდებელი წყარო ამ ისტორიას თითქმის სიტყვა-სიტყვით ადასტურებს.

ზემოაღნიშნული ტრაგიკული ღამის შესახებ, დამატებით მომყავს იმ დროს თელავში მცხოვრები, ზემოთ უკვე ნახსენები, ცნობილი პედაგოგის შალვა გიგაშვილის მოგონებიდან[44] შემდეგ ნაწყვეტი: *„დედაჩემმა მიამბო – ღამის ორ საათზე მრავალი ადამიანის ერთობლივმა ღრიალმა დაგვაღვიძა და ფეხზე წამოგვყარა... განუწყვეტელ ღრიალში შეძახილების ირჩეოდა: „კაცია-ჭამიებო!.. სამშობლოს გამყიდველებო!... ჯალათებო!... ქართველების მკვლელებო“.... ამ დროს გაისმა რაღაც ბრძანებასავით რუსულად და ატყდა საშინელი გრიალი თოფებისა. ისმოდა თოფების გრიალი და ხალხის ღმუილი“.*[45]

გიგაშვილის სიტყვებით, თელავში მათ მეზობლად ცხოვრობდა ექიმი, რომელიც წაუყვანიათ იმ ღამით დაჭრილი ჯაფარიძის სამკურნალოდ და უკან დაბრუნებულს მოუყოლია – *„გეპეუს“ უფროსი ჯაფარიძე „ჩონელ“ კომკავშირელს რაღაცის გამო სასიკვდილოდ დაუჭრია რევოლვერით. ის ბიჭი იქვე ხმლებით აუკაფავთ კაზაკებს. ამიტომ სიკვდილმისჯილები, იქვე სასახლის გალავანთან ამოუწყვეტიათ.... მეორე და მესამე დღესაც თელავში გამოიკრა*

[43] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები“, გვ. 15-18.
[44] აღნიშნული მასალა მომაწოდა ბატონმა კოკი ფერაძემ.
[45] შ. გიგაშვილი. „1924 თელავში“. გაზ. „მამული“. 1989.

„ტროიკის“ დახვრეტილთა სიები. მხოლოდ ისინი ნადიკვრის გადაღმა, „გიგოს გორაზე“ დახოცეს და მათი ცხედრებით ამოავსეს წინასწარვე გათხრილი დიდი ორმოები“.[46]

ელიზბარ მაყაშვილი კი წერს, როგორც შემდეგ გაუგიათ – *„ჯაფარიძის მკვლელობა შემდეგნაირად მომხდარა. კომუნისტთა ჯგუფში ერია ერთი ქართველი ახალგაზრდა, ვინმე ალექსანდრე ჯორჯაძე. ამავე დროს დაპატიმრებულთა ჯგუფში იმყოფებოდა მისი მამა, რომელსაც თელავის სავანგებო კომისიამ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ალექსანდრე ჯორჯაძემ რამოდენიმეჯერ მიმართა ჯაფარიძეს, რათა ეპატიებინა მისი მამისთვის სასჯელი. თხოვნა უშედეგოდ დარჩა. ზემოაღწერილი ამბის დროს ალექსანდრე ჯორჯაძის მამა ხელებშეკრული იმყოფებოდა სხვა პატიმრებთან ერთად გამზადებული სასიკვდილოდ. შვილმა დაინახა მამამისი და კიდევ ერთხელ მიმართა ჯაფარიძეს გაეშვა მამამისი. ჯაფარიძემ კი მას უპასუხა – თუ შენ ნამდვილი ბოლშევიკი ხარ შენ თვითონ დახვრიტე შენ მამას შენი ხელით! ამ სიტყვების გაგონებაზე ალექსანდრე ჯორჯაძემ რევოლვერი ესროლა ჯაფარიძეს და იგი სასიკვდილოდ დაჭრა. თვითონ ალექსანდრე ჯორჯაძე თავის მამასთან და სხვა ქართველებთან ერთად აკუწეს ხმლებით რუსის ჯარისკაცებმა“.*[47]

შალვა გიგაშვილის სიტყვებით კი მისთვის და მისი მეგობრებისთვის, ამ ამბის უშუალო შემსწრე კოხტა ყარალაშვილს შემდეგი უამბია: *„ღამის 11 საათი იქნებოდა „ჩონის“ უფროსი კაზაკების თანხლებით ახმეტაში მობრძანდა და მიბრძანა „ამხანაგ ჯაფარიძეს შენთან შეკითხვა აქვს, საჩქაროა და ეხლავე უნდა მიგიყვანოთო.“ მაზრის „გეპეუს“ უფროსმა კარგა ხანს მაცდევინა, რალაცა სიას ჩაჰკირკიტებდა... მერე უცებ შემომხედა და ჯიქურ მომახალა „ქალუცა ჩოლოყაშვილი სად არისო?... ვუპასუხე „სამი წელიწადია თვალით არ მინახავს“... მიყვირა „გადი იმ ოთახში და გაიხსენე!.. თუ ვერ გაიხსენებ ამ სიაში ჩაგამატებ და ორ საათზე დაგხვრეტენო...“ გვერდზე ოთახში, რომ გავედი, მასთან შემოვარდა თეთრიან წყაროსთან მცხოვრები ჯორჯაძეების ბიჭი, კომკავშირელი და „ჩონის“ რაზმელი. მოახსენა: მე ესა და ეს ვარ, მეორე ალყის მონაწილე. ახლა ციხიდან გამოიყვანეს დასახვრეტი პატიმრები. მათ შორის არიან მამაჩემი და ჩვენი მასწავლებელი გიორგი ციციქიშვილი. დანამდვილებით ვიცი, რომ სრულიად უდანაშაულონი არიან. ციხეში შეაბრუნეთ, კარგად გამიძიეთ და თუ მტრები აღმოჩნდებიან, მეც მათთან*

[46] შ. გიგაშვილი. „1924 თელავში“. გაზ. „მამული“. 1989.
[47] ელ. მაყაშვილი. „სისხლიანი ფურცლები“, გვ. 15-18.

ერთად დამხვრიტეთო... ჯაფარიძემ უთხრა შენსავით დარწმუნებული რომ ვიყო მათ უდანაშაულობაში, მაინც უფლება არ მაქვს „ტროიკის“ განაჩენის გადადებისო... ჯორჯაძემ დაიჩოქა და შეევედრა: ერთი დღე-ღამით ციხეში შეაბრუნეთო... ჯაფარიძემ უცებ ნერვიულად დაულრიალა: „ვინ ოტსუდა! გაეთრიე!..“ ბიჭი წამოენთო, იძრო სმიტ-ვესონი და ზედიზედ ხუთი ტყვია დაახალა. კარში მდგომმა კაზაკებმა მაშინვე ხმლებით აკუწეს მშვენიერი ყმაწვილი. თვალთ დამიბნელდა, მავრამ შემდეგ წამში ჩემს კაზაკს თავში უროსავით დავარტყი მუშტი და ფანჯრიდან პირდაპირ ღრმა ხევში გადავეშვი... მომყოლეს ტყვიები, მავრამ გამწარებულმა სულ ბარდების გლეჯით ჩავათავე ხევი... გათენებისას ალაზნის ჭალაში ვიყავი“. მოგონების ავტორის სიტყვებით: *„ამ ამბის გავონებაზე გული ყელში მომებჯინა. შემეშინდა აქ არ ავტირდე მეთქი. ჩვენს პატარა ოთახში ჩავიკეტე და იქ წამომვარდა ცრემლები... საშა.. ბიჭო!.. აი ვის მოუკლავს ჯაფარიძე... თვალწინ წარმომიდგა მისი ვიწრო წელი, ფართე მკერდი, შავად მოელვარე თვალები... გამახსენდა, როგორ მეხვეწებოდა მასთან ერთად შევსულიყავი კომკავშირში“.*[48]

ამ ამბის უშუალო შემსწრე ზემოდასახელებული პირების მოგონებებში ასახული ამბების სიმართლე დასტურდება სხვა წყაროებითაც. იმ ღამეს, როცა თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ ზედა სართულზე მყოფ, ხელებშეკრულ, საცვლისამარა მყოფ, გატიტვლებულ და დასახვრეტად გამზადებულ ადამიანებს ესროდნენ, ჩეხდნენ ხმლებით, ხის იატაკიდან დახოცილი ადამიანების სისხლი იღვრებოდა ქვემოთ და ესხმებოდა ქვედა სართულზე მყოფ პატიმრებს, ვინც თავის რიგს დასახვრეტად ელოდებოდნენ, აისახა მიხეილ ჯავახიშვილის ნაწერებში.[49] მას თავის უბის წიგნაკში 1927 წელს ჩაუწერია – *„თელავში დასახვრეტი ადამიანები თითო თითო აყავდათ ფარდულში და ხვრეტდნენ. პატიმრებს თავზე სისხლი ჩამოსდიოდათ“*.[50]

გიორგი ჯაშიაშვილის მოგონებებშიც ვხვდებით ამ ტრაგიკული ისტორიის „კვალს“, რომელიც არა მხოლოდ მისი უშუალო შემსწრე პირების მეხსიერებაში დალექილა – *„იმ მძიმე წლებში, 1924 წელს შვედი კომკავშირის რიგებში. კრება მიდიოდა სოფელ ვარდისუბნის ყოფილ ეკლესიაში.*

[48] შ. გიგაშვილი. „1924 თელავში“.

[49] პირადად მე შემიძლია დავადასტურო ის ფაქტი, რომ დღესაც შემორჩენილია იმდროინდელი ხის იატაკიანი დერეფნები თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ ყოფილი შენობის მეორე და მესამე სართულებზე.

[50] მ. ჯავახიშვილი. ჩანაწერები უბის წიგნაკიდან. თბ. 2012, გვ. 121. აღნიშნული ჩანაწერის შესახებ მიმითითა ქალბატონმა ნინო კოჭლოშვილმა.

როდესაც ჩემს განცხადებას იხილავდნენ ერთი კომკავშირელი შემეკითხა – „მამაშენი მენშევიკი რომ იყოს მოკლავდი თუ არაო?“. მე უცებ დავიბენი – როგორ მამაჩემი მოვკლა? როგორც შემდეგ გავიგე, ამავე წლის აგვისტოს გამოსვლების დროს დააპატიმრეს ვინმე საშა ჯორჯაძე. მისი შვილი ყარაულად იყო იქ, სადაც მისი მამა იყო დამწყვდეული სხვებთან ერთად. ყარაული იყო როგორც კომკავშირელი. მას თურმე დაუძახა ჩეკას უფროსმა ჯაფარიძემ და უთხრა ამალამ მამაშენი უნდა დახვრიტოო. ეს ბიჭი გადაირია – მამაჩემს მე ვერ მოვკლავ, ჯერ არაფერი დაუშავებია და თუ მოჰკლავთ სხვამ მოკლას. ბიჭი უარს ამბობს, უფროსი აძალებს, ეუბნება თუ მამაშენს არ დახვრიტავ შენც იმასთან ერთად დაგხვრიტავთო, ბიჭი გამოვიდა მოთმინებიდან. ამოიღო რევოლვერი და დაახალა მაგიდასთან მჯდომ უფროს ჯაფარიძეს. ის დაიჭრა სასიკვდილოდ, მაგრამ არ მოკვდა. წაიყვანეს საავადმყოფოში. საავადმყოფოში რომ მიიყვანეს ჯაფარიძემ ზიარება მოითხოვა, ეკვდებიო, მაგრამ არ მოკვდა. რევოლვერის გასროლაზე შეცვივდნენ კანცო ატრიადის[51] ბიჭები და ხმლით აკუწეს ეს ბიჭი, ხოლო მისი მამა სხვებთან ერთად დახვრიტეს ღამით კამერაში“.[52]

აღნიშნული ისტორიის რეალობას ადასტურებს სხვა თანამედროვეც. ამ რამოდენიმე წლის წინ ჩემს ხელთ აღმოჩნდა სოფელ იყალთოს დამსახურებული მასწავლებელის გრიგოლ არსენაშვილის მიერ 1990 წელს დაწერილი მოგონებები სათაურით, „რაც ჩვენ ვერ შევძელით“.[53]

ამ პიროვნების შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ, ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ საუბრობს რა საბჭოთა რეპრესიებზე, იგი „გიგოს გორის“ შესახებ წერს, *„არ შემიძლია დიდი სინანულით არ მოგახსენოთ, რომ იქ განისვენებს მამასთან ერთად ჩემი სკოლის უფროსი მეგობარი, კეთილი გულის ბიჭი საშა ჯორჯაძე. იგი იარალის ბავშვური სიყვარულით გაგიჟებული, როგორც კომკავშირელი, „ჩეკისტებთან“ ამხანაგობდა, რევოლვერს ატარებდა. მისდა მოულოდნელად მისი მამა ლადო, როგორც თავადი დააპატიმრეს და „გიგოს გორისათვის“ სხვებთან ერთად გაამზადეს. საწყალი საშა,*

[51] ბადრაგი.

[52] გიორგი ჯაშიაშვილი. პირადი არქივის მასალები. კახეთის რეგიონალური არქივი, თელავის რაიონი. ფონდი 491. საქმე № 5, „დასაწყისიდან“ (I ნაწილი), გვ. 17-22.

[53] გრიგოლ არსენაშვილის ეს ხელნაწერი, ამ რამოდენიმე წლის წინ ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა მაკა ბოტკოველმა მოიძია გრიგოლ არსენაშვილის ოჯახში. დიდ მადლობას ვუხდი მას და ქალბატონ სესილი არსენაშვილს მამის – ბატონ გრიგოლ არსენაშვილის მოგონებებიდან მასალების ნაწილის გამოქვეყნების ნებართვის მოცემისთვის.

რამდენი ეხვეწა ჩეკას უფროს ჯაფარიძეს, დაეთმო მისთვის მამა, ნაცვლად ამისა მზეცური გულის და სულის მქონე უფროსი მას, როგორც კომკავშირელს, აიძულებდა თვითონ დაეხვრიტა საკუთარი მშობელი, სამაგიეროდ დაწინაურებას ჰპირდებოდა. ამის გამო აღშფოთებულმა ყმაწვილმა რევოლვერის ტყვიით გაუხვრიტა ნამუსგარეცხილი შუბლი სადისტ „ნაჩალნიკს“ და თვითონაც მამასთან ერთად გმირულად დაიღუპა პოლიტ სამმართველოს ეზოში-ვე„.[54]

ამ ისტორიას ვხვდებით, ასევე თანამედროვის, გიორგი მელითაურის, მასალებშიც. პედაგოგი გიორგი მელითაური საბჭოთა ხანაში ძალიან „აქტიური“ პიროვნება იყო და სწორედ მისი თაოსნობით 1960-იანი წლების ბოლოს თელაველ პენსიონერებს აღუწერიათ თელავის ქუჩები და სახლები, მათ შორის თეთრიანის ქუჩა, სადაც ვკითხულობთ: „*დავით ჯორჯაძესთან ერთად 1924 წლამდე ცხოვრობდა მისი ძმა ლადო. ლადოს ჰყავდა შვილი ალექსანდრე, რომელსაც 1924 წელს დამთავრებული ჰქონდა თელავის ჰუმანიტარული ტექნიკუმი. იყო კომკავშირელი. გამოსვლების დროს საშა ჯორჯაძე, როგორც კომკავშირელი მორიგეობდა პოლიტბიუროში. მისი მორიგეობის დროს მოიყვანეს მისი მამა, საშამ პოლიტბიუროს უფროს ჯაფარიძეს სთხოვა მამის განთავისუფლება, რადგან იცოდა, რომ არაფერში იყო დამანაშავე და დაპატიმრებული იყო, როგორც თავადიშვილი. ჯაფარიძემ უთხრა – მამაშენს შენ თვითონ დაგახვრეტინებო. მაშინ საშას თოფი მოულერებია უფრსოსისთვის და უსროლია. უფროსი სასიკვდილოდ დაჭრა. ჯორჯაძე საშა იქვე აკუწეს ჯარისკაცებმა. ხოლო დაჭრილი უფროსი ალექსანდრე ქორიძემ, საგიტაციო განყოფილების გამგემ თბილისში წაიყვანა დრეზინით სასწრაფოდ, მაგრამ დაჭრილი გზაში გარდაიცვალა. ასე დაასრულა კომკავშირელმა საშა ჯორჯაძემ თავისი სიცოცხლე*“.[55]

საინტერესოა, რომ როგორც ირაკლი რაზმაძე წერს, საბჭოთა ხელისუფლებას კოლია ჯაფარიძის სიკვდილში მენშევიკები დაუდანაშაულებია და თელავიდან თბილისისკენ მიმავალი მატარებელი სადგურებზე ჩერდებოდა. აქ კი, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მატარებლის შესახვედრად ძალით მირეკილი ადამიანები მიტინგებს მართავდნენ. ირაკლი რაზმაძის სიტ-

[54] გრიგოლ არსენაშვილი. მოგონება. ხელნაწერი ინახება არსენაშვილების ოჯახში. 1990 წელი.

[55] თელავის ისტორიული მუზეუმი. გიორგი მელითაურის ფონდი, „მასალები თელავის ქუჩების ისტორიისათვის“, წიგნი I, 1967 წელი, გვ. 109.

ყვებით იგი, რადგანაც თელავის მაზრის „პოლიტბიურო“ დასდევდა დასაჭერად მატარებელში ჩამჯდარა, რომ თბილისში წასულიყო და აქ საშა ჯორჯაძის მიერ დაჭრილ საშა ქორიძეს, რომელსაც სწორედ ამ დროს მოუყოლია, თუ როგორ მოხდა ჯაფარიძის დაჭრა.[56]

თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ მეორე დღეს დახვრეტები შეუჩერებია, რადგან ქალაქის ცენტრში დაყრილი გვამების ალაგება, დამარხვა, სისხლის მოწმენდა და სხვა სამუშაოები იყო გასაკეთებელი. იმ საღამოსვე თბილისიდან მოსულა ბრძანება, რომ დახვრეტები შეეჩერებინათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, 1924 წლით დათარიღებულ დახვრეტილთა ერთ-ერთ სიაში მამა-შვილი ჯორჯაძეები ერთი-მეორის მიყოლებით არიან ჩაწერილი. საშა ჯორჯაძის სახელის და გვარის გასწვრივ წერია – *„მე-7 კლასის მოსწავლე, კომკავშირის წევრი“*; მისი მამის ვლადიმერ ჯორჯაძის გასწვრივ კი – *„ყოფილი თავადი, თანაუგრძნობდა გამოსვლებს, მავნე ელემენტი“*.[57]

თანამედროვენი თვლიდნენ, რომ საშა ჯორჯაძემ თავისი საქციელით გადაარჩინა ის ადამიანები, ვინც „პოლიტბიუროს“ შენობაში ქვედა სართულებზე განლაგებულ საკნებში დასახვრეტად ჰყავდათ გამზადებული.

საარქივო მასალების მიხედვით, თელავის მაზრის პოლიტბიუროს 1924 წლის სექტემბერში დახვრეტა მიუსჯია ასზე მეტი პირისთვის.[58] მათ გარკვეულ ნაწილს, ფაქტობრივად, იმ დროს უკვე კარგა ხნის დახვრეტილებს, გვიანდელი რიცხვით გამოუტანეს განაჩენი. სიკვდილმისჯილების მცირე ნაწილი კი, რომლებიც 1924 წლის 5 სექტემბრით დათარიღებულ სიაში არიან დასახელებული ცოცხლები გადარჩნენ, როგორც ჩანს, საშა ჯორჯაძის მიერ ჯაფარიძეზე თავდასხმის დროს დაწყებული არეულობის შედეგად.

1924 წლის 5 სექტემბრით დათარიღებულ ქალაქ თელავში გამოკრულ დახვრეტილთა სიაში მყოფი სამი პირი: მაღალაშვილი იოსებ დავითის ძე, გამყრელიძე ვალერიანი ვიქტორის ძე, სულხანიშვილი დავით რევაზის ძე ამ დღეს არ დაუხვრეტიათ. ჩემს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებულ მასალებში, იოსებ მაღალაშვილის შესახებ ერთგან მითითებულია – *„ადგილობრივი „სამეულისგან“ მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ არეულობის გამო, რომელიც დაიწყო ჯაფარიძის დაჭრის გამო ვერ მოესწრო მისი*

[56] ირ. რაზმაძე. მოგონება. ინახება რაზმაძეების ოჯახში. 1989 წელი.
[57] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 250.
[58] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 24256.

დახვრეტა“ (იხ. დოკ. № 5).[59]

მეორე დოკუმენტში, კი რომელშიც თელავის ციხიდან მეტეხის ციხეში გადაგზავნილი პატიმრების ჩამონათვალია, ამ ადამიანის გვარის გასწვრივ წერია შემდეგი: *„მალალაშვილი იოსები არ დახვრიტეს იმის გამო, რომ დაპატიმრებულების გაყვანის დროს, ვერ მოასწრეს მისთვის ხელების შეკვრა და ის არეულ-დარეულობის დროს საკანში დარჩა. რასაც თან მოჰყვა განკარგულება დახვრეტის შეწყვეტის შესახებ. ვითხოვთ განკარგულებას*“.[60] ფაქტობრივად, ეს დოკუმენტები ადასტურებენ თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ შენობაში განვითარებული ზემოთ მოყვანილი სისხლიანი ისტორიის სიმართლეს.

ამრიგად, საშა ჯორჯაძის მიერ კოლია ჯაფარიძის მკვლელობამ დასახვრეტად გამზადებულ და უკვე ოფიციალურად დაბეჭდილ, კედლებზე გამოსაკრავ სიებში ჩაწერილი რამოდენიმე ადამიანი მართლაც გადაარჩინა სიკვდილს. თუმცა, ვერ გადარჩნენ სხვა პირები, რომელთა რიცხვში ირაკლი რაზმაძის მამა ნიკოლოზ რაზმაძე, გიორგი ციცქიშვილი და სხვები იყვნენ.

ირაკლი რაზმაძის მიერ გაგზავნილი ზემომოყვანილი განცხადება, „საჩივარი-თხოვნა“, 1989 წლის 26 მარტით არის დათარიღებული. მასში ირაკლი რაზმაძე არა მარტო მამის რეაბილიტაციას, არამედ იმდროინდელი ჯალათების, მათ შორის შალვა მათიკაშვილის რეაბილიტაციის გაუქმებას ითხოვდა. საქმე იმაშია, რომ შალვა მათიკაშვილი 1937 წელს იქნა დახვრეტილი სხვა ჯალათებთან ერთად. იმ დროს ხომ „საბჭოთა სისტემა“ თავიდან იშორებდა სისხლში გათხვრილ „სისტემის“ შემოქმედებს.[61]

ირაკლი რაზმაძის მიერ გაგზავნილი განცხადების პასუხად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1989 წლის 20 ივნისს განიხილა რაზმაძის საკასაციო საჩივარი. საჩივრის განხილვის მასალებში აღნიშნულია, რომ თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ 1924 წლის 30 სექტემბრის დადგენილების თანახმად,

---

59 შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 24256, გვ. 9.

60 შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 246.

61 შალვა გიგაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ: *„თელავში 1938 წლის ივლისში ჩავედი დედასთან და უფროს დასთან. ერთ დღეს ჩემს დასთან მოვიდა მისი ძველი მეგობარი ნუცა მათიკაშვილი, ახოვანი, ამაყი ქალი. ამჟამად იგი ძაძებში იყო შემოსილი, სახეჩამქრალი და მოტეხილი. მათი საუბრიდან გაიგეც, რომ მისი ძმა შალვა, 1924 წელს თელავის მაზრის აღამასკომის თავმჯდომარე და დამსჯელი „ტროიკის“ წევრი რამოდენიმე თვის წინ დაუხვრეტიათ. მასთან ერთად დაუხვრეტიათ მისი სიძე, ნუცას შეულლე, ფრიად სახელოვანი ექიმი, უპარტიო სოსო ლომაური“*. იხ.: შალვა გიგაშვილი. „1924 თელავში“.

ქვემოჩამოთვლილი პირები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად და სასჯელის სხვადასხვა ზომა მიესაჯათ:

1. ხიზანიშვილი გიორგი ივანეს ძე, 1877 წელს დაბადებული, ქართველი გლეხებიდან, დაოჯახებული, პროფესიით ბუღალტერი, 4 კლასის განათლებით – დახვრეტა

2. ყარალაშვილი ლუკა ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1864 წელს, ყოფილი თავადი, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა

3. მიხაილოვი სიმონ თადეოზის ძე, დაბადებული 1903 წელს, რუსი, გლეხებიდან, დაოჯახებული, 6 კლასის განთლებით – დახვრეტა

4. სიდამონ-ერისთავი შალვა იოსების ძე, დაბადებული 1897 წელს, ქართველი, ყოფილი თავადი – დახვრეტა

5. ბაბუნიძე იოსებ ლუარსაბის ძე, დაბადებული 1898 წელს, ქართველი, გლეხებიდან, 3 კლასის განათლებით – დახვრეტა

6. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე, დაბადებული 1869 წელს, ქართველი, იურისტი, დაოჯახებული – დახვრეტა

7. კოლელიშვილი იოსებ სიმონის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, დაოჯახებული, პროფესიით კოოპერატორი – დახვრეტა

8. პეტრიაშვილი ილია ივანეს ძე, დაბადებული 1865 წელს, ქართველი, დაოჯახებული, აზნაური – დახვრეტა

9. აგურაშვილი ქრისტეფორე სიმონის ძე, დაბადებული 1889 წელს, ქართველი, დაოჯახებული, მუშებიდან – დახვრეტა

10. ქობულაშვილი ლევან დავითის ძე, 1892 წელს დაბადებული, ქართველი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული – დახვრეტა

11. ხატიაშვილი შალვა ივანეს ძე, დაბადებული 1893 წელს, ქართველი, გლეხებიდან, დაოჯახებული – დახვრეტა

12. სპარსიაშვილი ივანე გიორგის ძე, დაბადებული 1893 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან – დახვრეტა

13. ლაზარიაშვილი გიორგი ივანეს ძე, დაბადებული 1874 წელს, ქართველი, გლეხებიდან, დაოჯახებული – დახვრეტა

14. ყარალაშვილი რევაზ მიხეილის ძე, დაბადებული 1859 წელს, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა

15. ბაკურაძე ვახტანგ კონსტანტინეს ძე, 1899 წელს დაბადებული, დაოჯახებული – დახვრეტა

16. არველაძე იუსტინე ივანეს ძე, დაბადებული 1888 წელს, ქართვე-

ლი, დაოჯახებული, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

17. რამიშვილი კონსტანტინე კიტას ზე, დაბადებული 1885 წელს, გლეხებიდან, ცოლიანი, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

18. ბურჭულაძე გიორგი იოსების ძე, დაბადებული 1860 წელს, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა

19. მამულაშვილი ანდრეი დიმიტრის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

20. გვინაძეული (ღვინაძეული ?) მიხეილ გიგოს ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან – დახვრეტა

21. მწყერაძე ივანე იოსების ზე, დაბადებული 1898 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

22. ზაუტაშვილი ივანე გიორგის ძე, 1887 წელს დაბადებული, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან – დახვრეტა

23. მეჟევიძე გიორგი გიორგის ძე, დაბადებული 1889 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან – დახვრეტა

24. მწყერაძე ზაქრო იოსების ზე, დაბადებული 1896 წელს, უცოლშვილო, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

25. კევლიშვილი ვასილი ივანეს ძე, დაბადებული 1883 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

26. ნიკოლაიშვილი ივლიანე სილვესტრის ძე, დაბადებული 1885 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

27. ჭიკაძე გიორგი ლაზარეს ძე, დაბადებული 1904 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

28. ელიოზაშვილი იაკობი დიმიტრის ძე, დაბადებული 1868 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

29. მაჭავარიანი დავით ივანეს ძე, დაბადებული 1890 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან – დახვრეტა

30. მწყერაძე ვასილი იოსების ძე, დაბადებული 1905 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან – დახვრეტა

31. ავალიშვილი გიორგი გრიგორის ძე, დაბადებული 1895 წელს, დაოჯახებული, ყოფილი თავადი, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

32. ჯანდიერი გიორგი დავითის ძე, დაბადებული 1885 წელს, ქართველი, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

33. ლეჟავა გიორგი ალექსის ძე, დაბადებული 1880 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან – დახვრეტა

34. ციცქიშვილი გიორგი მიხეილის ძე, დაბადებული 1895 წელს, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა

35. გურგენიძე იოსებ სიმონის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

36. კახაბერი შავლა დავითის ძე, დაბადებული 1892 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

37. ხომასურიძე ივანე ალექსის ძე, დაბადებული 1896 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

38. ბოსიკაშვილი გაბრიელი იოსების ზე, დაბადებული 1890 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა

39. ლეჟავა პავლე დიმიტრის ძე, დაბადებული 1892 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხებიდან – დახვრეტა.[62]

ამრიგად, ამ სიაში გვხვდებიან 1924 წლის სექტემბერის დასაწყისში დახვრეტილი ადამიანებიც: ციცქიშვილი გიორგი, კოლელიშვილი იოსები, ხიზანიშვილი გიორგი, მიხაილოვი სიმონ, ბაბუნიძე იოსებ, რაზმაძე ნიკოლოზი, პეტრიაშვილი ილია, აგურაშვილი ქრისტეფორე, ყარალაშვილი რევაზი და სხვები. ანუ, ისინი ჯერ დახვრიტეს და თითქმის ერთი თვის გასვლის შემდეგ კი, თელავის მაზრის „პოლიტბიუროს“ მიერ, 1924 წლის 30 სექტემბერს მიუსაჯეს სიკვდილი?! არქივში დაცულ ამ სიკვდილმისჯილთა სიაში არ წერია, 1924 წლის 1 და 5 სექტემბერს დახვრეტილი შემდეგი პირები:

ყარალაშვილი ილიკო კონსტანტინეს ძე
ყარალაშვილი დიმიტრი გიორგის ძე
ყარალაშვილი ივანე არჩილის ძე
ჯავახიშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე
ხოსროშვილი ივანე გიორგის ძე
ჯორჯაძე ვლადიმერ ალექსის ძე
ჯანდიერი ივანე დავითის ძე
სულხანიშვილი დავით პაატას ძე
სულხანიშვილი დავითი რევაზის ძე
სულხანიშვილი მიხეილ რევაზის ძე
მაყაშვილი ლუარსაბ გიორგის ძე

[62] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 24256.

მაყაშვილი არჩილ ზაქარიას ძე
მაყაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე
მაყაშვილი ათანასე კონსტანტინეს ძე
მაჭავარიანი სოლომონ ზაალის ძე
გამყრელიძე ირაკლი არჩილის ძე
გამყრელიძე ვლადიმერ ვიქტორის ძე
ჩიჩუა ვლადიმერ გიორგის ძე
ანდრონიკაშვილი გიორგი თომას ძე
ჯაფარიძე ივანე საჩინოს ძე
მაღალაშვილი იოსებ დავითის ძე
ბიძინაშვილი მიხეილი ალექსის ძე
ჩარბაძე არჩილ გიორგის ძე
მარკოზაშვილი ლუკა ზაქარიას ძე
ბეგოშვილი გიორგი ილარიონის ძე.[63]

აქვე, საარქივო მასალებში დაცულია ინფორმაცია, რომ დოკუმენტების მიხედვით საქართველოს „ცეკა“-ს 1924 წლის 30 დეკემბრის და 1924 წლის 6 ნოემბრის დადგენილების თანახმად ამინისტია შეეხებია შემდეგ პირებს: ქობულაშვილი ლ. დ., ხატიაშვილი შ. ი., სპარსიაშვილი ი. გ., ლაზრიაშვილი გ. ი., ბაკურაძე ვ. კ.,[64] არველაძე ი. ი., ზაუტაშვილი ი. გ., რამიშვილი კ. კ., ბურჭულაძე გ. მ., მამულაშვილი ა.დ., გვინაური მ. გ., მწყერაძე ი. ი., მწყერაძე ზ. ი., კევლიშვილი ვ. ი., ნიკოლაიშვილი ი.ც., ჭიკაძე გ. ლ., ელიოზიძე (ალბათ ელიოზაშვილი) ი.დ., მწყერაძე ვ. ი., ავალიშვილი გ. გ., ჯანდიერი გ.გ., გურგენიძე ი.ც., ლეჟავა გ.ა.[65] ამრიგად, თუ ვენდობით მასალებში დაცულ ინფორმაციას, ეს პირები განთავისუფლდნენ პატიმრობიდან, ხოლო მათზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები შეწყდა. თუმცა, გამოსარკვევია რა დაემართა იმ პირების ნაწილს, რომლებიც არც აქ და არც ზემოთ მოყვანილ დახვრეტილთა სიებში არ არიან დასახელებული.

საინტერესოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბოლო პერიოდში, ვსაუბრობ 1980-იანი წლების მეორე ნახევარზე, უმაღლესი ეშელონების წარმო-

[63] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 24256.

[64] ვახტანგ ბაკურაძეს დახვრეტა 1924 წლის სექტემბერში ვერ მოასწრეს, თუმცა იგი შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს. 1950-იან წლებში ოჯახმა მიიღო ცნობა, რომ 1942 წელს გარდაიცვალა ციხეში. სინამდვილეში კი, როგორც ჩემს მიერ მოძიებული მასალებით გაირკვა, ვახტანგ ბაკურაძე 1937 წლის დეკემბრის ბოლოს იქნა დახვრეტილი თბილისში.

[65] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 24256.

მადგენლები ძალიან ,,ლმობიერად'' იქცეოდნენ. ირაკლი რაზმაძის მიერ გაგზავნილი პროტესტის თუ საჩივრის განხილვისას სხდომაზე *,,კოლეგიამ მოისმინა მოხსენება უმაღლესი სასამართლოს წევრის საქართველოს სსრ ამხანაგ ხმალაძე რ. ვ. და დასკვნა უფროსი თანაშემწე პროკურორის საქართველოს სსრ ამხანაგ გელაშვილი ვ.ც. რომელმაც მხარი დაუჭირა პროტესტს სასამართლო კოლეგიამ დაადგინა: ზემოდასახელებული პირები ბრალდებული იყვნენ იმაში, რომ ილებდნენ აქტიურ მონაწილეობას თელავის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. პროტესტში დასმულია საკითხი, რომ მოხდეს გაუქმება ამ საქმეზე დადგენილების ზემო მითითებულ 39 პირთან დაკავშირებით და შეწყდეს მათზე საქმის წარმოება მათ ქმედებებში დანაშაულის არარსებობის გამო''.*[66]

საქართველოს სსრ სასამართლო კოლეგიას განუხილია რა საქმის მასალები და მოუსმენია პროკურორის დასკვნა, რომელსაც მხარი დაუჭერია ირაკლი რაზმაძის პროტესტისთვის, ჩაუთვლია, რომ პროტესტი უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე: ,,თელავის მაზრის ,,პოლიტბიუროს'' 1924 წლის 30 სექტემბრის №394 დადგენილება და 1924 წლის 30 დეკემბრის საქართველოს ჩეკა-ს დადგენილება უნდა გაუქმდეს და ყველა ბრალდებულის მიმართ, ვინც დასახელებული არიან ამ საქმეში, საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: არსებული სისხლის სამართლის საქმე შეიქმნა აგენტურის მონაცემებზე დაყრდნობით, რომ თელავის რაიონში არსებობდა კონტრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებულ აჯანყების მოწყობას. ამ საქმეზე არაა დაკითხული არც ერთი მოწმე, ხოლო საქმეში არსებული ჩვენებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო და არ არის სანდო. ამრიგად, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ არავითარი კონტრევოლუციური ორგანიზაცია თელავის რაიონში არ არსებობდა.[67] (იხ. დოკ. № 6) გამომდინარე ზემოთქმულიდან სასამართლო კოლეგიამ გადაწყვიტა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოთქმული პროტესტი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ,,თელავის მაზრის ,,პოლიტბიუროს'' № 394 30 სექტემბრის 1924 წლის დადგენილება და 1924 წლის 30 დეკემბრის საქართველოს ჩეკა-ს დადგენილება,

თავმჯდომარე რ. ხმალაძე

[66] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 44-56.
[67] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 55.

სასამართლო კოლეგიის წევრები ო.ბებია, პ. ცინცაძე“.[68]

„გიგოს გორა“ და დახვრეტები

თელავის მაზრაში და „გიგოს გორაზე“ (იხ. სურ. № 7) საკმაოდ ბევრი ადამიანი იქნა დახვრეტილი, მაგრამ საარქივო მასალებმა მათი ვინაობა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შემოინახა. თუმცა, ხალხის მეხსიერებაში დახვრეტების შესახებ ინფორმაცია მაინც შემორჩა. ეს ისტორიები სულისშემძვრელი და ტრაგიკულია.

დახვრეტილებს შორის ზემომოყვანილ სიაში დასახელებულია, ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძე, დათო ჯაფარიძემ, ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძის შვილთაშვილმა გადმომცა საინტერესო მასალები. მათ შორის, დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ 1999 წელს, გიორგი ჯაფარიძემ მიმართა თელავის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს რეპრესირებულად ცნობის შესახებ, სადაც წერია: *„ჩემი მამა ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძე, 1924 წელს დაპატიმრებული იქნა პოლიტიკური მოტივით – აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის. ამ დროს მე 15 წლის ვიყავი. ოჯახში მძიმე მდგომარეობაში ვიყავით, არ ვიცოდით რაში მდგომარეობდა მისი აჯანყებაში მონაწილეობა. იმავე წელს საქართველოს სავანგებო კომისიის დადგენილებით მას მისჯილი ჰქონია სასჯელის უმაღლესი ზომა. (დახვრეტა) მიმდინარე წელს განცხადებით მივმართე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საიდანაც მივიღე ცნობა ჩემი მამის – ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძის მიმართ წაყენებული ბრალდება გაუქმებულია და ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, 1992 წლის 25 მაისის დეკრეტის პირველი მუხლის თანახმად რეაბილიტირებულია. საქართველოს კანონით, რომელიც მიღებულია 1997 წლის 12 დეკემბერს, ყველა რეაბილიტირებული პირი ცნობილი უნდა იქნეს რეპრესირებულად. გთხოვთ განიხილოთ განცხადება და ჩემი მამა ივანე საჩინოს ძე ჯაფარიძე ცნოთ რეპრესირებულად. 25 აგვისტო, 1999 წელი“.*[69]

ასეთივე ტრაგიკულია დეკანოზ იოსების (დალაქიშვილი) დახვრეტის

[68] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 6. აღწერა 1. საქმე 2426, გვ. 56.

[69] დოკუმენტის დედანი დაცულია მისი შთამომავლის დავით ჯაფარიძის ოჯახში, ასლი ინახება ჩემთან. გიორგი ჯაფარიძეს, მე ძალიან კარგად ვიცნობდი და მისგან პირადად მომისმენია მისი მამის დახვრეტის ისტორია. აგრეთვე ისიც, თუ როგორ იპოვა, მაშინ 15 წლის ბიჭმა, თავისი მეგობრის ლეო რჩეულიშვილის დახმარებით „გიგოს გორის“ დასავლეთ ფერდობზე თავისი დახვრეტილი მამის ულვაში.

ისტორია. სხვადასხვა წყაროს ცნობით, მამა იოსები ყოფილა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოძღვარი. იგი „გიგოს გორაზე“ დასახვრეტად გაუყვანიათ, სადაც გადმოცემის მიხედვით, გაკეთებული იყო დასახვრეტი ადგილი – ბაქანი, რომლის ძირში იყო გრძელი თხრილი. მამა იოსები დაუხვრეტიათ და თხრილში ჩაუგდიათ. სავარაუდოდ, ეს ადგილი მდებარეობდა „გიგოს გორის“ აღმოსავლეთ მხარეს, იქ, სადაც ამჟამად 1989 წელს თელაველების მიერ გაკეთებული უსამართლოდ რეპრესირებულების მემორიალი მდებარეობს. ამ ისტორიის ტრაგიკულობა მდგომარეობს იმაშიც, რომ მამის ცხედარი მის ვაჟს მოუპარია, იძულებული გამხდარა ორად გაკეთილი ცხედარი ფუტკრის გეჯაში ჩაესვენებინა, რომ არ ეპოვათ, წაუსვენებია სოფელ ფშაველში, სადაც დაუკრძალია კიდეც.[70]

„გიგოს გორაზე“ დახვრეტების შესახებ გვამცნობს, დეკანოზ ბაგრატ ცოცანიძის ისტორიაც. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ბაგრატ ცოცანიძე რამოდენიმეჯერ ყოფილა დაპატიმრებული. 1924 წლის აგვისტოს ბოლოს კვლავ დაუპატიმრებიათ და თელავის ციხეში ჩაუგდიათ. განაწამები მოძღვრისთვის სიკვდილი მიუსჯიათ: *„სამმა კაცმა იგი გიგოს გორაზე დასახვრეტად წაიყვანა. საფლავი თავისი ხელით გაათხრევინეს. მოძღვარს უთხოვია, მაინც მკლავთ და ლოცვა მაცადეთო. დაუცინიათ – „ილოცე, შენი ღმერთი რას გიშველისო“, ლოცვა დამთავრებული არ ჰქონდა, ტყიდან ძლიერი სროლა რომ ატყდა. სამივე ჯალათმა თოფს წამოავლო ხელი და გაიქცა. სოფელში დაბრუნებული მოძღვარი რომ დაინახეს, ყველა გაოცდა: „იმ ადგილიდან ჯერ უკან არავინ მობრუნებულაო“. – იხსენებს დედის მონაყოლს მამა ბაგრატის ვაჟი“.*[71]

გარდა ამისა, „გიგოს გორაზე“ დახვრეტების შესახებ შემონახულია კიდევ ერთი ისტორია, რომელიც ალავერდის მონასტერში მოღვაწე მამა ზენონს (სუმბაძე) უკავშირდება. ისიც, 1924 წელს „გიგოს გორაზე“ მილიციელებს დასახვრეტად წაუყვანიათ, მაგრამ გზად მიმყოლ ბადრაგს ხანჯლით კოლონაში ჩაბმულ პატიმრებს შორის, მამა ზენონის თოკი გადაუჭრია. იგი ასე იგონებდა ამ ამბავს: *„რადგან იმ საშინელ გორაზე დახვრეტას გადავრჩებოდი, დაუფიქრებლად გადავგორდი ხრამში და არ მანაღვლებდა ის, რომ*

[70] ლ. ჯიფაშვილი. „აღსარების საიდუმლოს გაცემას სიკვდილი არჩია“. გაზ. „კვირის პალიტრა“. 18-24 სექტემბერი, 2006.

[71] დეკანოზი ბაგრატ ცოცანიძე (1895-1948). „საპატრიარქოს უწყებანი“. 29 ივნისი-6 ივლისი, 2011, გვ. 17-18.

ძალზედ დავსახიჩრებულიყავი“. შემდგომში მამა ზენონს გაუგია, რომ *„მის გამოსახსნელად ვასილ როინიშვილმა იზრუნა“*.[72]

„გიგოს გორაზე“ დახვრეტებს ეხება ასევე, 1940-იან წლებში კახეთში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „სამანის“ ხელმძღვანელი. ადამ ბობღიაშვილის შესახებ დაწერილ მოგონებაში ავტორი წერს: *„ადამი და დედაჩემი ბავშვობაში თელავის სკოლაში სწავლობდნენ. 1921-1930 წლები იქ აქვთ გატარებული. ღამღამობით თურმე ხშირად იპარებოდნენ „გიგოს გორისკენ“. ეს პატარა გოგო-ბიჭები საზარელი სურათების, დახვრეტების შემსწრე და თვითმხილველნი იყვნენ. იქიდანვე ჩაესახა ადამს „წითლების“ სიძულვილი“*.[73]

აქვე მინდა კვლავ შევეხო მასწავლებელ გრიგოლ არსენაშვილის მოგონებებს. იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების მიერ თელავის მაზრაში განხორციელებულ რეპრესიებს და „გიგოს გორის“ შესახებაც წერს – *„სხვათა შორის ჩვენთან თელავში სრულიად უდანაშაულო ქართველ პატრიოტთა სისხლით გაჟღენთილი და მათივე გვამებით სავსე დიდი მოცულობის სასაფლაოა „გიგოს გორა“. იგი იმ დროს თელავის და მთელი კახეთის მაცხოვრებლებისათვის ჯოჯოხეთის სიმბოლოს წარმოადგენდა. მისი გახსენებით დღესაც კი, მოხუცებს შიშისა და სინანულის განწყობა გეუფლება... კარგად მახსოვს 1924 წლის საშინელი განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა. იყო შემთხვევები, როდესაც თვით პოლიტსამმართველოს („ჩეკა“) საკნებში და ეზოში ტყვიამფრქვევის ცეცხლით ხოცავდნენ მხოლოდ ეჭვით ან თავადობის გამო დაპატიმრებულ ასეულობით ქართველ ახალგაზრდას თუ მოხუცს... ეს ხდებოდა ღამე და გათენებამდის სპეციალური მანქანებით გვამები მიჰქონდათ და ყრიდნენ „გიგოს გორაზე“ წინასწარ გამზადებულ ორმოებში... თელავის სკოლების მოსწავლეებმა კარგად ვიცოდით, რა უბედურებაც ტრიალებდა ჩვენს ქალაქში. დილას კრძალვით გავცქეროდით იმ საშინელი გორისკენ მიმავალ სისხლის კვალდამჩნეულ ქუჩას და ნადიკვრიდან მწარე განცდებით, შეშინებული, გაოცებული ცრემლმორეული თვალებით გავცქეროდით სისხლით მორწყულ. მავთულხლართებით შემოზღუდულ შიშველ გორას ამჟამად გამწვანებულს“*. აქვე გიორგი არსენაშვილი გამოთქვამს სურვილს – *„ყველა ამის გამო „გიგოს გორა“*,[74] *რომლის*

[72] ჟურნ. „ალავერდი“. 2018, № 21-22.

[73] ლევან ოჟილაური. ინტერვიუ. „ჩვენი მწერლობა„. 29 ივნისი - 6 ივლისი, 2011.

[74] საინტერესოა, რომ 1957 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა „გიგოს გორის“ ავბედითი ისტორიის „შეცვლა“. ეს არის ამონაწერი – „თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი საბჭოს კომიტეტის სხდომის“, რომელიც დასათაურებულია – „ილია ჭავ-


წიაღშიც განისვენებენ მხოლოდ მამულის სიყვარულში ეჭვმიტანილი ქართველები, ღირსია ჩვენი ყურადღების და პატივისცემის, რაც შეიძლება გამოიხატოს აქ პარკის გაკეთებით და ხსოვნის მემორიალის დადგმით“.[75]

P.S.

თელავში ისტორიულ მუზეუმში 2019 წლის 28 ნოემბერს, ჩემს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე შინაგან საქმეთა არქივის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „გიგოს გორა – თელავის გოლგოთა“ პრემიერაზე გაჩნდა და გაჟღერდა იდეა თელავში შემორჩენილი „პოლიტბიუროს“ შენობაში უსამართლოდ რეპრესირებულთა მუზეუმის და „გიგოს გორაზე“ რეპრესირებულთა სახელობის მემორიალური პარკის გაკეთების შესახებ. შევაგროვეთ შესაბამისი ხელმოწერები და თელავის მოქალაქეების სახელით აღნიშნული შინაარსის განცხადება, 2019 წლის 30 დეკემბერს შევიტანეთ თელავის მუნისციპალიტეტის საკრებულოში. სამწუხაროდ, პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავის საიუბილეო დღეების აღნიშვნის შესახებ“. მასში ეკითხულობთ: „თელავის რაიონის აღმასკომმა გადაწყვიტა ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და მისი სახელის უკვდავყოფის მიზნით ილია ჭავჭავაძის სახელი ეწოდოს ე.წ. „გიგოს გორას“, გადაწყვეტილება № 500, ოქმი № 25“, 8 ოქტომბერი 1957 წელი; ის გამოქვეყნდა გაზეთშიც – „თელავში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივისცემის მიზნით, თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა, ყოფილ „გიგოს გორას“ ამიერიდან ეწოდოს „ილიას გორა“. გაზ. „ალაზნის განთიადი“, 25 ოქტომბერი, 1957.

[75] გრიგოლ არსენაშვილი. მოგონება. ხელნაწერი ინახება არსენაშვილების ოჯახში. 1990 წელი.



1

კონსტიტუციასთან და ბანდიტიზმთან შებრძოლ თელავის სამაზრო სამხედრო სამსახურის.

ეროვნული მემამულეებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა და სხვა ჩაბრალებმა—მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა გაიმგერებთან ერთად, შეეცადნენ ავგისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოეწყოთ საქართველოში შეიარაღებული აჯანყება. ამ მიზნით მოასდინეს ბანდიტური თავდასხმა ჭიათურაზე და საქართველოს სხვა ადგილებში, რომელიც სამუშაოთა ხელისუფლების მიერ სასწრაფოდ აღმოფხვრილ იქნა.

ასეთივე ბანდიტურ მეთქვლებას აწყობდნენ ჩაბრალები თელავის მაზრაში, მაგრამ სამხედრო ბოლიტიკურმა ბიურომ, რომელიც დარაჯად უდგას შრომის ხალხს და მოანგიაგარს, თავის დროზე ალაგმა მუშების და გლეხების მტრები.

სამხედრო სამსახურის სამეულმა მიუსაჯა უმძიმესი სასჯელი, დახვრეტა იმ ავანტიურისტ-დამნაშავეებს, რომელნიც ხელს უშლიდნენ მუშების და გლეხების მშვიდობიან აღმშენებლობას და ცხოვრებას.


ამრიგად, ძირში საკლულ იქნა ბანდიტური განზრახვანი და მიმავალშიც **მუშა-გლეხური ხელისუფლება** გაბედურებული შანთით აღმოფხვრის მემამულეების ძალებს, უკლია ბანდიტების მოქმედებათ.

დახვრეტილ იქნენ:

1) **მიხაილოვი სიმონი თადეოზის ძე**—ყოფილი ოფიცერი და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი.
2) **სიდამონ ერისთავი შალვა იოსების-ძე**, ყოფილი თავადი—ოფიცერი, იგივე დამნაშავე.
3) **ყარალაშვილი ლუკა ნიკოლოზის-ძე**, ყოფილი თავადი ბოქაული
4) **ხიზანაშვილი გიორგი ივანეს-ძე**, ნაციონალ დემოკრატი.
5) **გაბუნიძე იოსები ლუარსაბის-ძე** ყოფილი ოფიცერი
6) **კიკნელიშვილი იოსები სიმონის-ძე** ყოფ. აზნაური, ოფიცერი.

სამხედრო სამსახურის სამეული.

1 სექტემბერი 1924 წ.



2

209

178 53 25

კონცერტგოლიუციასთან და ბანდიტიზმთან შებრძოლ თელავის საქმეთა საგანგებო საქმეთა საგან.

თელავის საქმეთა საგანგებო საქმეთა მხრის მშრომელ გლეხკაცობის და ყველა ბატონობან მოქალაქეთა სიურვილებით აცხადებს დაჭერებით ცნობას, რომელიც მიღებულ იქმნა მის მიერ თავდასხმა-ურების, შეთქმულების, ორგანიზაციების და სხვა განიგვრების შესახებ რომლებიც ექტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ბანდიტურ შეთქმულების მოწყობაში მეორადებულ ადამიანების მოსახვედრად. და ხელს უშლიდნენ შეუბების და გლეხების შვიდობიან ცხოვრებას. ძალიან პოლიტიკურმა ბიუროდ, რომელიც დანაკლად უდგას მშრომელ ხალხის მონაწილეს, თავის დროზე აღაგება შეუბების და გლეხების მტრები და ყველა დამნაშავეები მაესპად უმაღლესი სასჯელი დასჯრება.

ამიერად, ძირს ჩაგული იქნა ბანდიტური განსრახვანი და მოძალადეობა **მუშურ-გლეხური ხელისუფლების** განურებული ძალით აღმოფხვრის შეთქმულების მოსპრებს, ყველა ბანდიტების მოქმედებათ


დახვრეტილ იქნენ:

1) რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე ინტელიგენტი
2) ცაცანაშვილი გიორგი მიხეილის ძე ინტელიგენტი
3) კეტრიაშვილი ილია ივანეს-ძე ხანაური
4) აბურაშვილი ქრისტაფორე სემიონის-ძე დიაკვანი
5) ჭარალაშვილი რევაზიკო მიხეილის ძე თავადი
6) შარაშიძვილი ილიკო კონსტანტინეს-ძე თავადი
7) ჭარალაშვილ დიმიტრი გიორგის ძე თავადი
8) შარალაშვილი ივანე არჩილის-ძე თავადი
9) ჯაფახიშვილი ალექსანდრე დიმიტრის-ძე ვაჭარი
10) ხოსრომშვილი ივანე გიორგის-ძე კოლეგ
11) ჯოკრჯაძე ელადიკო ალექსის ძე თავადი
12) ჯანდიერი ივანე დავითის-ძე თავადი
13) სელხანიშვილი დავით კაკატას-ძე ხანაური ყოფ. ოფიცერი
14) სელხანიშვილი დავით რევაზის-ძე ხანაური
15) სელხანიშვილი მიხეილ რევაზის-ძე ხანაური
16) მაჭაშვილი ლუარსაბი გიორგის-ძე თავადი
17) მაჭაშვილი არჩილ ზაქარიას ძე თავადი
18) მაჭაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე თავადი
19) მაჭაშვილი აფანასი კონსტანტინეს ძე თავადი
20) მაჰვაარიანი სოლომონ ზაალის-ძე ხანაური ყოფ. ოფიცერი
21) გ მურელიძე ირაკლი არჩილის ძე ხანაური ყოფ. ოფიცერი
22) გოგჭარელიძე ელადიკო ეიტტორის ძე ხანაური
23) ჩიჩუა ელადიკო გიორგის ძე ხანაური ყოფ. ბოქაული
24) ანდრონიკაშვილი გიორგი თომას-ძე თავადი
25) ჯაფარიძე ივანე სარინოზ-ძე ხანაური ყოფ. ბოქაული
26) მალალაშვილი იოსები დავითის-ძე თავადი ყოფ. ოფიცერი

პროფესიონალური ბანდიტები

27) ბიძინაშვილი მიხეილ ალექსის ძე
28) ჩარბაძე არჩილ გიორგის-ძე
29) მარკოზაშვილი ლუკა ზაქარიას-ძე
30) ბებოშვილი გიორგი ილარიონის ძე

5 სექტემბერი 1924 წ. საქმეთა საგანგებო საქმეული



3


Сек. В. 2869/с

СПИСОК

По учету членов антисоветских партий

Фамилия, имя и отчество	Возраст	Социальное положение	Образование	Советская служба и должность	Время вступления в партию	Какое положение или должность занимает в партии и каким пользуется влиянием	К какому течению принадлежит	Активен или нет	Адрес
КАРАЧАНШВИЛИ Лука [illegible]	60	Ничего не занимает, служащий.	Городское училище.	Инкассатор Учсовнархоза	Всенар.	Принимал активное участие в подгот. вооружен. выступл.		Акт.	г.Телав
ЖИЖАШВИЛИ Георгий Ка[illegible]	49	Мелкий собственник	4-х кл. дух.уч.	Бухгалтер ЗСО.	Тоже	Принимал активное участие в подгот. вооружен. выступл.		Акт.	г.Телав.
МИХАЙЛОВ Семен Тарасо.	39	Тоже	6 кл.гимназии	Инженер-техник Телав. лесхоза	Тоже	Военный руководитель вооруженного выступления		Акт.	г.Телав.
КОЛЕНИШВИЛИ Иосиф Семенович	30	Тоже	Среднее	Кон.-ревиз. отд.Наркомпрос, бухгалтер.	Тоже	Принимал участие в подготовленном вооруженном выступлен.		Акт.	г.Тбилиси. село Сабуэ.
БАБУНИДЗЕ Иосиф Луарсаб.	35	Тоже	3-х кл. гор.учил.	Инженер-техник Лесхоза	Тоже	Принимал участие в подготовленном вооруженном выступл.		Акт.	г.Телав.
САДОВОН-ХРИСТИАН Мария Иосифович	27	Тоже	Окончил Тел.гим.	Инженер-техник Лесхоза	Тоже	Тоже		Акт.	г.Телав.
РАЗМАДЗЕ Николай Кирил.	53	Тоже	Горист	Зав.производством, в прошлом времени окол. учитель.	Нац.дем.	Член Цариатского комитета Телавского.		Акт.	г.Телав.
ЦИЦИШВИЛИ Георгий Ник.	30	Пролетар.	Высшее	Учитель.	Тоже	Пользуясь большим авторитетом и влиянием участие в вооружен. выступл.		Акт.	г.Телав.
КАРАЧАНШВИЛИ Реваз Ники[illegible]	66	Мелк.собс.	Дихазн.	Сель-Хоз	Тоже	Принимал участие в подготовке вооружен. волнений		Акт.	с.Кахети.

201(4)



4

АНКЕТА №

для арестованных и задержанных с зачислением за Ч. К. Г.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности.

ВОПРОСЫ:	ОТВЕТЫ:
I-я часть (заполняется арестованным)	
1) Фамилия	Сулханишвили
2) Имя и отчество	Сулхан Иванович
3) Гражданин(ка) какого государства	Грузин
4) Национальность	Грузин
5) Место приписки	Губ. Тифлисской уезд. Телавский вол. село Ацкури город
6) Возраст (год рождения)	18 лет., родился в марте месяц 1906 г.
7) Образование: а) грамотный-ли б) какую школу окончил в) если не окончил, то кл. (курс.) пр.	а) б) окончил с 4-го класса школу в) прошел класс. (курс.) школы

8) Состав семьи, местожительства и место работы каждого члена (отца, матери, детей, мужа, жены братьев и сестер).


	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Занятие или место работы и должность или профессия	Место жительства (Адрес)
1.	Мать	Елена Захар	50		
2.	Тетя	Фарья Георг	54		
3.					
4.					
5.					

9) Партийная принадлежность: а) в какой партии состоит, б) с какого времени — Бед партийности

10) Профессия

11. Место работы службы: а) с начала войны до марта 1917 г. б) с 1 марта по день ареста.

	Наименование предприятия или учреждения	Профессия или должность
а)	учился до 1920 года	
б)	потом работал дома	



5

9

Список

По учету членов антисоветских партий

№№ по порядку	Фамилия, имя и отчество	Возраст	Социальное положение	Образование	Советская служба и должность	Какое положение или должность занимает в партии и каким пользуется влиянием	Какому течению принадлежит	Активен или нет
46	ДЖАНДИЕРИ Георгий Вассар.	27	Мелк.соб.	сел.школа	сел.хоз	Безп. Быв.князь. Сочувств. Возражен. выступлению.		
47	ДЖАНДИЕРИ Георгий Дав.	42	Доке	4- кл.	Сел.хоз.	Безп. Towe		
47	МАГАЛАШВИЛИ Иосиф Давид.	52	Мелк. собс.	Ним сред	учитель	безп. Двор. интимит соч. Вост. и бредн элем. сов. власти. Местной крими Прим. и растре- лу по в виду пере- полоха и ранений тов. Чапаридзе не успели растре- лять		

и + 2 аресд. ?

Зам. Нач. п/в.

6

Постановлением I отдела СЕКО ЧК' от 30 декабря 1924 года, на основании постановления "Грузчик" за №II5 от 6 ноября I924 года об администратировании-Кобулашвили Л.Д., Хатиашвили Ш.И., Спарсиашвили И.Г., Лазариашвили Г.И., Бакурадзе В.К., Арвеладзе И.И., Зауташвили И.Г., Рамишвили К.К., Бурчуладзе Г.М., Мамулашвили А.Д., Гвинадзеури М.Г., Мцкерадзе И.И., Мцкерадзе З.И., Кевлишвили В.И., Николашвили И.С., Чикадзе Г.Л., Элиосидзе И.Д., Мцкерадзе В.И., Авалишвили Г.Г., Джандиери Г.Г., Гургенидзе И.С., Лежава Г.А. были освобождены из под стражи, а дело в отношении них было прекращено производством.

На заседание Коллегии явился прокурор Гелашвили В.С.

Заслушав доклад Члена Верховного Суда Грузинской ССР тов. Хмаладзе Р.В. и заключение ст. пом. прокурора Грузинской ССР тов. Гелашвили В.С. поддержавшего протест судебная коллегия

Установила:

Выше упомянутые лица обвинялись в том, что принимали активное участие в подготовке вооруженного выступления в Телавском уезде.

В протесте ставится вопрос об отмене постановления по данному делу в отношении вышеуказанных 39 лиц и прекращении дела о них производством за отсутствием в их действиях состава преступления на основании ч.2 ст.5 УПК ГССР.

Судебная коллегия, рассмотрев материалы дела, заслушав заключение прокурора, поддержавшего протест и проверив обоснованность протеста считает, что протест следует удовлетворить по следующим основаниям.


Постановления Политбюро Телавского уезда № 394 от 30 сентября I924 года и постановление I отдела СЕКО ЧКГ от 30 декабря I924 года подлежит отмене, а дело в отношении проходящих по делу всех обвиняемых прекращению производством по следующим обстоятельствам.

Настоящее уголовное дело возникло на основании агентуры данных о том, что в Телавском районе существует контрреволюционная организация ставившей своей целью вооруженное восстание.

По делу недопрошен ни один свидетель, а показания проходящих по делу лиц противоречивы и лишены достоверности.

Таким образом, из материалов дела видно, что никакая контрреволюционная организация в Телавском районе не существовала.

თენგიზ სიმაშვილი. 1924 წლის „სისხლიანი სექტემბერი“ თელავში



Tengiz Simashvili
Professor
Iakob Gogebashvili Telavi State University

1924 "BLOODY SEPTEMBER" IN TELAVI

Summary

The results of August 1924 uprising in Telavi District were quite tragic. The archival material used in the article confirms the large scale Soviet repression in city of Telavi. The article provides various information on the repression in Telavi. According to archival materials, on September, 1924 Telavi District "Politburo" (the local body of Soviet Political Police – "Cheka"), executed more than one hundred people.

The archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia preserves two lists of people who were executed in Telavi. According to these documents, mostly former nobility and so-called intellectuals were executed by shooting. However peasants who were members of national-democratic party were also slaughtered. Archival documents that we found demonstrates the innocence of those people executed by the Soviet authorities in Telavi. In addition to the archival materials, in the article we have employed the memoirs of Irakli Razmadze eyewitness of those events. He witnessed the tragic event of September 5, 1924. We also employed the work of Elizbar Makashvili, who was imprisoned by the Soviet regime but escaped executions.

Interesting information and unpublished memoirs by Shalva Gigashvili, Giorgi Jashiashvili and others are preserved as well. They confirm reports of those material that we have found in the archives.

The article also discusses the tragic story of young Communist Sasha Jordjadze. He and his father were killed together on September 5, 1924. It is also indicated that there is a place in Telavi where people were shot and buried at that time during those executions. This place is called "Gigo's Hill".

In our article we have also concluded that the existence of intellectuals and patriots with nationalistic sentiments were unacceptable to the Soviet authorities and it is obvious that in 1920s the Soviet authorities organized repressions all over the country.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

მიხეილ ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივის Archiwum Akt Nowych რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს შესახებ

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში Archiwum Akt Nowych მრავლად ინახება დოკუმენტები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლკის, ასევე XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოსა და ქართული ემიგრაციის შესახებ (ასევე ძალიან საინტერესო დოკუმენტებია პოლონეთის სამხედრო არქივშიც). განსაკუთრებით საინტერესოა დოკუმენტები, რომლებიც ეხება ქართული ემიგრაციის მოღვაწეობას და 1921-1924 წლებში საქართველოში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. პოლონეთი იყო სახელმწიფო რომელიც ალბათ ყველაზე მეტად ეხმარებოდა როგორც ქართულ ემიგრაციას, ასევე, ანტისაბჭოთა მოძრაობას საქართველოში. მარშალ იუზეფ პილსუდსკი აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო პრომეთეისტული მოძრაობა, რომელშიც ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველები და მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდნენ. ასზე მეტი ქართველი, მათ შორის ექვსი გენერალი (ალექსანდრე ზაქარიაძე, ზაქარია ბაქრაძე, კირილე ქუთათელაძე, ალექსანდრე კონიაშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, ივანე ყაზბეგი) მსახურობდა პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. ყოველივე ეს ცხადია მნიშვნელოვნად განაპირობებდა პოლონეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესს საქართველოსა და ქართული ემიგრაციისადმი.

დოკუმენტები, რომლებიც ინახება არქივში Archiwum Akt Nowych და ეხება ქართველებსა და საქართველოს შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ნაწილად.[1] პირველი – დოკუმენტები, რომლებიც შესწავლილია და გამოქვეყნე-

[1] ამ დოკუმენტების ნაწილს მე გავეცანი როდესაც 2019 წლის ნოემბერში ვიმყოფებოდი ვარშავაში, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის ინიციატივით დაწესებული ტიტუს ფილიპოვიჩის სახელობის სტიპენდიის ფარგლებში.

ბულია პოლონელი ან პოლონეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების მიერ. თუმცა ეს დოკუმენტები შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რადგან უმეტესობა პოლონურ ენაზე გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომებში თავმოყრილი. მეორე – დოკუმენტები, რომლებიც ცნობილია პოლონელი მეცნიერებისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული. მესამე – ეს ის დოკუმენტებია, რომლებსაც პოლონელმა მეცნიერებმა ყურადღება ნაკლებად მიაქციეს, რადგან მათთვის საინტერესო ინფორმაციას არ შეიცავდა, მაგრამ საინტერესოა ჩვენთვის.

Archiwum Akt Nowych-ში არსებული „ქართული" დოკუმენტები სხვადასხვა ფონდებშია გაბნეული (გენერალური შტაბის – ფონდი 1190, სამხედრო ატშების – 1191, სამხედრო სამინისტროა – 1192 და სხვ.). მათ შორის ძალიან საინტერესოა სამხედრო ატაშეების ფონდი. პოლონეთის რესპუბლიკას სამხედრო ატაშეები ყავდა: კონსტანტინოპოლში (შემდეგ ანკარაში), პარიზში, ბუქარესტში, მოსკოვში, ვაშინგტონში და სხვ. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია კონსტანტინოპოლში მოღვაწე სამხერო ატაშეს პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის ფონდში. აღსანიშნავია და გასათვალისწინებელი შემდეგი მომენტი, პოლონეთის სახელმწიფოს „სადაზვერვო აპარატის სტრუქტურაში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდნენ სამხედრო ატაშეები, რომლებსაც გენერალური შტაბისთვის (sztab główni) უნდა მოეწოდებინათ სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაცია იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელშიც იყვნენ მიელინებული. მართალია ისინი დიპლომატიური კორპუსისი ნაწილს წარმოადგენდნენ და ფორმალურად ექვემდებარებოდნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, მოადგილეს ან ელჩს, მაგრამ რეალურად მათი ხელმძღვანელი, მე-2 განყოფილების უფროსის მეშვეობით გენერალური შტაბის უფროსი. სამხედრო ატაშეების მოვალეობა იყო, ჟეჩიპოსპლიტას[2] სამხედრო ძალების ინტერესების შესაბამისი წარდგენები და ოფიციალური საქმიანობა. ამავე დროს ის იყო გარნიზონის კომენდანტი პოლონეთის არმიის იმ ოფიცრებისა და რიგითებისთვის, რომლებიც მუდმივად ან დრებით იმყოფებოდნენ აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეები ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებში, გამომდინარე მათი ად-

[2] მეორე ჟეჩიპოსპოლიტა – ასე უწოდებენ 1918-1939 წლებში არსებულ პოლონეთის რესპუბლიკას.

გილმდებარეობიდან, ასევე, ასრულებდნენ სხვა სახის დავალებებსაც.[3]“ თურქეთში, ჯერ კონსტანტინოპოლში ხოლო შემდეგ ანკარაში მოღვაწე სამხედრო ატაშეს „დავალებული ჰქონდა თვალყურის დევნება სსრკ-ს სამხრეთ ტერიტორიებზე, კავკასიის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამის გარდა, პოლონელი სამხერო ატაშე თურქეთის დედაქალაქში თვალს ადევნებდა „საბჭოების კამპანიას ახლო აღმოსავლეთში“ და ასევე, მოქმედებდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობების საკოორდინაციოდ. უფრო მეტიც, სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში პირდაპირ ევალებოდა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება სამხრეთ კავკასიაში[4]. ამიტომ ბუნებრივია რომ თურქეთში მყოფი სამხედრო ატაშე მეტად კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ. ამავე დროს ის ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა კონსტანტინოპოლში მყოფ ქართულ ემიგრაციასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლონეთის სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში 1921-1924 წლებში იყო პოლკოვნიკი ლეონ ბობიცკი[5]. სწორედ მისი მეშვეობით უკავშირებოდა ქართული ემიგრაცია პოლონეთის სამხედრო ხელისუფლება, კონკრეტულად კი გენერალურ შტაბს.

პოლკოვნიკ ბობიცკის ფონდში ბევრი საინტერესო დოკუმენტია. ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ რამდენიმე მათგანზე.

საინტერესოა 1922 წლის ოქტომბერში, პოლკოვნიკ ბობიცკის მიერ პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხება სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა, წითელ ეროვნულ სამხედრო შენაერთებს.

---

[3] Andrzej Peplonski, Wywiad Polski na ZSRR 1921-1939. Warszawa, გვ. 66-68.

[4] Andrzej Peplonski, Wywiad Polski na ZSRR 1921-1939. Warszawa, გვ. 99

[5] ლეონ ბობიცკი დაიბადა 1887 წლის 10 აპრილს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ მე-2 პოლონურ კორპუსში. 1927 წლის ბოლოს კაპიტანია. შემდეგ მსახურობდა გენერალ იუზეფ ჰალერის შენაერთში. პოლპოლკოვნიკის ჩინით იყო პოლონელი მსროლელების მე-4 დივიზიის შტაბის უფროსი. 1920 წელს მონაწილეობდა პოლონეთ-ბოლშევიკების ომში. ქვეითთა მე-10 დივიზიის შტაბის უფროსი იყო. იმავე წლის ოქტომბერში აქტიურად მონაწილეობდა გენერალ ლუციან ჟელიგოვსკის მიერ ცენტრალური ლიტვის ტერიტორიის დაკავების ოპერაციაში, ე.წ. „ჟელიგოვსკის აჯანყება“. 1921-1924 წლებში იყო სამხერო ატაშე კონსტანტინოპოლში. 1929 წელს გაიწვა თადარიგში. კონსტანტინოპოლში ყოფნისას ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ პოლიტიკოსებთან და სამხედროებთან (განსაკუთრებით კონსტანტინე გვარჯალაძესთან და გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძესთან). იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიური მხარდამჭერი. მის ფონდშე ბევრი საინტერესო დოკუმენტი ინახება, რომელიც შეეხება საქართველოსა და ქართველებს.

1921 წლის მარტში საქართველოს ოკუპაციით საბჭოთა რუსეთმა დაასრულა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა. ფორმალურად საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები იყო. რეალურად ისინი მოსკოვს ემორჩილებოდნენ.

ქართველი ბოლშევიკების ერთ ნაწილს, რომელსაც შემდეგ ნაციონალ-უკლონისტების უწოდეს[6], შესაძლოა მართლაც ეჯერათ, რომ საბჭოთა საქართველო შეიძლება რეალურად ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო თუმცა ეს ამ ჯგუფის წევრთა ილუზია იყო. გარდა იმისა, რომ მოსკოვი არ დაუშვებდა დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს (ისევე როგორც საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა აზერბაიჯანს), ქართველ ბოლშევიკებს არავითარი დასაყრდენი საქართველოში არ ჰქონდათ. მათი ხელისუფლება ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა რუსეთის წითელარმიელთა ხიშტებს. ამის დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი არსებობს. აი ერთ-ერთი მათგანი. 1921 წლის 21 აგვისტოს თბილისის რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) თავმჯდომარე ლევან ღოღობერიძე[7] წერდა, „რაც შეეხება გლეხებისა და რკინიგზის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა დაწესებულებათა მუშების დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მე ვხედავ მზადყოფნას აჯანყებისადმი, რომელიც მენშევიკების მიერ არის პროპაგანდირებული. საქართველოს რევკომის წევრებს უწოდებენ უზურპატორებს, რომლებმაც ძალისმიერი მეთოდით წაართვეს ხელისუფლება საქართველოს პროლეტარიატს. „ის უნდა გადავაგდოთ, გავანადგუროთ“ ასე გაიძახის მოსახლეობა და ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში გეგმავენ საოცნებო აჯანყების მოწყობას ისე, რომ არ სვამენ კითხვას მოსალოდნელი რეალური შედეგის შესახებ. აჯანყების მიზანია დაანახონ ევროპას არსებული ვითარება – რომ საქართველოს არ სურს ჰყავდეს ძალით თავს მოხვეული საბჭოთა ხელისუფლება და ასევე, ხელი შეუწყონ ჟორდანიას, რამიშვილისა და სხვათა მიერ წარმოებულ მუშაობას“[8].

საქართველოს ოკუპაციის პირველ ეტაპზე, მოსკოვი საჭიროდ თვლიდა

---

[6] ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, ლადო დუმბაძე, ლევან ღოღობერიძე და სხვ. ისინი კავკასიაში სტალინისა და ორჯონიკიძის პოლიტიკას დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ამან შეიწირა კიდეც მათი უმრავლესობა 30-იანი წლების რეპრესიის დროს.

[7] ლევან ღოღობერიძე (1896-1937) ქართველი ბოლშევიკი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სხვადასხვა დროს იყო: თბილისი რევკომის თავმჯდომარე, თბილისი პარტიული კომიტეტის მდივანი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დააპატიმრეს 1936 წელს. დახვრიტეს 1937 წელს.

[8] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (I) ფ. №6. შსს №22313. ტ. 1. გვ. 26-27

შეექმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ილუზია. საბჭოთა რუსეთის XI და IX არმიების შემოჭრა საქართველოში უნდა წარმოჩენილიყო არა როგორც ოკუპაცია, არამედ როგორც მხოლოდ ერთი პარტიის ხელისუფლების შეცვლა მეორე პარტიის ხელისუფლებით.

დამოუკიდებლობის ილუზიის შესაქმნელად საჭირო იყო ეროვნული წითელი არმიების შექმნა, რადგან ძნელი წარმოსადგენია დამოუკიდებელი სახელმწიფო საკუთარი არმიის გარეშე. საქართველოს დაპყრობისთანავე დაიწყო საბჭოთა წითელი არმიის შექმნა.

სწორედ ამის შესახებაა საუბარი პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის მოხსენებითი ბარათში.

პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ლეონ ბობიცკი მართებულად აფასებს ყოველივე იმას რაც 1920-1921 წლების მიჯნაზე მოხდა სამხრეთ კავკასიაში ოკუპაციად (okupacji Kaukaza).

დოკუმენტის დასაწყისში მართებულად არის აღნიშნული, რომ ეროვნული სამხედრო შენაერთების შემდგომი ბედი დაკავშირებული მოსკოვის მიერ ამ რეგიონში გატარებულ პოლიტიკასთან.

მოხსენებით ბარათში ნათლად არის ნაჩვენები თუ რა სახის დაპირისპირება იყო კომუნისტების ორ ჯგუფს შორის და რა იყო ამის მიზეზი. ერთ ჯგუფს პოლკოვნიკი ბობიცკი უწოდებს კომუნისტ-ნაციონალისტებს (komunistami-nacionalistami). გვარები არა არის დასახელებული, თუმცა ვფიქრობთ, რომ აქ ე.წ. ნაციონალ-უკონისტების წარმომადგენლები უნდა ვიგულისხმოთ. დოკუმენტის თანახმად ეს ჯგუფი მხარს უჭერდა ეროვნული სამხედრო შენაერთების არსებობას. მათ ოპონენტებად დასახელებული არიან რუსი კომუნისტები (komunistami rosjanami). ვფიქრობ „რუსი“ ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ არა ეროვნების აღმნიშვნელად, არამედ იმ ჯგუფის რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების თუნდაც ფორმალურ დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდა. კავკასიაში ამ ჯგუფის ხელმძღვანელად სერგო ორჯონიკიძე უნდა მივიჩნიოთ, რომლის უკანაც სტალინი იდგა. ძალიან ზუსტია ამ ჯგუფის ბობიცკისეული შეფასება, რომ მათ „მემკვიდრეობით მიიღეს მეფის რუსეთის პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან და მხარეებთან დამოკიდებულებაში“. ხაზგასმულია, რომ „რუს კომუნისტებს“ ზედმეტად მიაჩნდათ ეროვნული ბრიგადების არსებობა. საბჭოთა რუსეთის რეალური პოლიტიკის გათვალისწინებით, ამ უკანასკნელთა პოზიცია უფრო ლოგიკური იყო.

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1922 წლის ივლისში კავკასიაში ჩამოსული იყო ლევ ტროცკის[9] მოადგილე სკლიანსკი[10], რათა მოეგვარებინა არსებული კონფლიქტი. მოსკოვიდან ემისრის ჩამოსვლა მოყოლია საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებისა და ეროვნული სამხედრო შენაერთების წარმომადგენელთა თათბირი. მოხსენებით ბარათში არ არის დაწვრილებით აღწერილი თუ როგორ მიმდინარეობდა თათბირი, მაგრამ წერია თუ რა გადაწყდა – „უარი ითქვას ეროვნულ სამხედრო შენაერთებზე და კავკასია გაკონტროლდეს მხოლოდ კავკასიის ცალკეული არმიით (ОКА)“[11]. საინტერესოა, რომ „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო აღმშენებლობის საკითხებს წყვეტდა მოსკოვიდან ჩამოსული, რსფსრს ერთ-ერთი მაღალი სამხედრო ხელმძღვანელი. ესეც კარგად მიუთითებს თუ რეგორი იყო ვითარება რეალურად.

შემდეგ პოლკოვნიკი ბობიცკი აღწერს უკვე ქართული წითელი არმიის მდგომარეობას და ხაზს უსვამს, რომ „მიუხედავად ამ დანაყოფის ორწლიანი არსებობისა ორგანიზაციული თვალსაზრისით ის იმყოფება ჩანასახოვან მდგომარეობაში და არ წარმოადგენს ღირებულ რამეს სამხედრო თვალსაზრისით“.

ამას მოსდევს ძალიან საინტერესო და ჩვენი აზრით, ამ დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ირკვევა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქართველოში დარჩენილი წევრები, რომლებსაც სამხედრო ატაშე მენშევიკებს უწოდებს, აგიტაციას ეწოდნენ ქართულ წითელ ჯარში გასაწევრიანებლად. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ ქართულ შენაერთს საჭირო მომენტში სწორედ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ.

უნდა აღინიშნოს რომ ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელებს მართლაც ჰქონდათ მსგავსი გეგმა ანუ ქართული წითელი არმიის შენაერთე-

---

[9] ლევ ტროცკი (1879-1940) ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. სხვადასხვა დროს იყო: რსფსრ-საგარეო საქმეთა კომისარი, სსრკ-ს სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი. წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1922 წელს ტროცკის იყო რსფსრ-ს სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე. 1927 წელს გაათავისუფლეს ყველა თანამდებობიდან. 1929 წელს გააძევეს სსრკ-დან. მოკლა მეხიკოში საბჭოთა სპეცსამსახურის აგენტმა.

[10] ეფრაიმ სკლიანსკი (1892-1925) (დოკუმენტში წერია შკლანსკი – Szklanski) ტროცკის უახლესი თანამებრძოლი. რსფსრ-ს სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

[11] კავკასიის ცალკეული არმია (Отдельная Кавказская армия) შეიქმნა 1921 წლის მაისში საბჭოთა რუსეთის XI არმიის ბაზაზე. მისი ნაწილები დისლოცირებული იყო საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში: დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში და ოსეთში. შტაბი მდებარეობდა თბილისში. 1935 წლის მაისში მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი (Закавказский военный округ).

ბის გამოყენება ანტისაბჭოთა აჯანყებისას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ შენაერთებში საკუთარი მომხრეების ყოლა მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი გენერლებისა და ოფიცრების ნაწილმა სამხედრო სამსახური ქართულ წითელ ჯარში განაგრძო. მათგან ნაწილი თავიდანვე ჩაება ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ასეთები ან საბჭოთა რეპრესიებს შეეწირნენ ან მალევე დატოვეს წითელი არმია და ემიგრაციაში წავიდნენ. ისეთებიც იყვნენ ბოლომდე ერთგულად რომ იმსახურეს წითელ ჯარში.

არსებობს ცნობა, რომ 1921 წლის მარტში, ბათუმში შედგა ქართველი პოლიტიკოსებისა და სამხედროების შეხვედრა. „მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა – ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს უნდა განეგრძოთ საბჭოთა ჯარში სამსახური. როგორმე უნდა მოეხერხებინათ, რომ მოჩვენებითი ერთგულებით მარალი თანამდებობები ჩაეგდოთ ხელში, რათა საჭირო დროს ქართული სამხედრო ძალები მათ ხელში ყოფილიყო[12].“

ანტისაბჭოთა აჯანყებისას რომ ნამდვილად იგეგმებოდა ქართული წითელი ჯარის გამოყენება ამას ადასტურებს 1922 წელს კონსტანტინოპოლში პოლიტიკური კომისიის წინაშე მოხსენება, მომავალი აჯანყების გეგმის შესახებ, ჯერ ვალიკო ჯუღელის[13], ხოლო შემდეგ გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძის[14], მიერ წაკითხული მოხსენებები[15].“

---

[12] გ. საითიძე, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. თბ. 2012. გვ. 25

[13] ვალიკო ჯუღელი (1887-1924) სახალხო გვარდიის ერთ-ერთი შემქმნელი და ფაქტობრივი მეთაური. გამოირჩეოდა საოცარი პირადი ვაჟკაცობით. მონაწილეობდა 1918-1921 წლების თითქმის ყველა სამხედრო ოპერაციაში. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში. საქართველოში დაბრუნდა 1924 წელს ანტისაბჭოთა აჯანყების სახელმძღვანელოდ. 6 აგვისტოს დაახატმორეს. აჯანყების დაწყების შემდეგ 30 აგვისტოს დახვრიტეს.

[14] ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) იყო რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე. 27-ე საარმიო კორპუსის შტაბის დავალებათა ოფიცერი. 1917 წლის თებერვლიდან ასრულებდა ლიტვიელთა მე-2 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1917 წლის ნოემბერში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის ხელმძღვანელი. 1918 წლის დასაწყისში ქართული კორპუსის შტაბის უფროსია. შემდეგ მუშაობდა საქართველოს შეარაღებული ძალების გენერალური შტაბში. 1919 წელს მიენიჭა გენერლის წოდება და დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად. ამ თანამდებობაზე იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე. 1921 წელს, ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, მცირე ხანს იმყოფებოდა სტამბულში, საიდანაც გადავიდა პოლონეთში. დაამთავრა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო სკოლა. 1923 წლიდან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. 1927 წელს მიენიჭა დივიზიის გენერლობა. 1939 წელს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში. იყო პარიზის ქართული სათვისტომოს წევრი.

თუ რა საფრთხეს შეიცავდა ქართულ წითელ ჯარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერლებისა და ოფიცრების სამსახური, ამას თავად ბოლშევიკებიც ხვდებოდნენ. ზემოთ უკვე ნახსენები ლევან ღოღობერიძე იმავე წერილში წერდა, „ზემოთქმულს დიდი მნიშვნელობის მქონე გარემოებაც დაერთო – ქართული სამხედრო ნაწილების ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ძველი ოფიცრები გახდნენ; ბრიგადებისა და არმიის ჩამოყალიბების მიზნით გენერლების – წულუკიძის, ციციანოვისა და ანდრონიკოვის, ასევე თავადებისა და ძველი რეჟიმის კადრების მიწვევამ დაანახა მოსახლეობას, რომ მოკლე დროში აღდგენილი იქნებოდა მისი ეროვნული არმია. თავისთავად ცხადია, რომ ნიკოლოზის დროინდელმა თანამებრძოლებმა ძველი თანამშრომლები მიიწვიეს, მაგალითად, ქართული არმიის შტაბის მეთაურად დანიშნული იქნა ყოფილი პოლკოვნიკი გედევანოვი, მენშევიკების მთავრობის გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი და სამხედრო მინისტრის თანაშემწის ნათესავი; I პოლკის მეთაურად დაინიშნა ყოფილი პოლკოვნიკი მაჭავარიანი, რომელიც საკუთარ თანაშემწესთან, ყოფილ მაიორ უთნელოვთან ერთად ეწეოდა მენშევიკურ პროპაგანდას მისდამი დაქვემდებარებულ მეთაურთა შემადგენლობას შორის; ქართულ შტაბში მომუშავე ყოფილი ოფიცერი ძაგანია და სხვები. პროპაგანდამ, რომელიც სამხედრო მეთაურებსა და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა შორის წარმოებდა და რომელიც ოფიციალურად აცხადებდა, რომ „ჩვენ თავს ვიკავებთ აუცილებელი აღმშენებლობისგან და ველით სახელისუფლებო კურსის ცვლილებას“, აი, ამ პროპაგანდამ თავისი როლი შეასრულა“[16].

პოლკოვნიკ ბობიცკის ბარათიდან ირკვევა, რომ არსებულ საფრთხეს – ქართულ წითელ ჯარში „არაკეთილსაიმედო“ პირების მომრავლებას – გრძნობდა საბჭოთა ხელისუფლებაც. ამიტომ მსურველებს უვადო შვებულებას აძლევდა და აფერხებდა ეროვნული შენაერთების განვითარებას.

როგორც ირკვევა განსხვავებული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული შენაერთებისადმი. ისინი ხელისუფლებისთვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდნენ. თუმცა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ენვერ ფაშას[17] მოძრაობის გაფართოებამ,

[15] შ. ვადაჭკორია, ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921-1990). თბ. 2018 გვ. 424-449.

[16] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (I) ფ. №6. შს№22313. ტ. 1. გვ. 26-27

[17] ენვერ ფაშა (1881-1922) ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. „ახალგაზრდა თურქთა“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. სამხედრო მინისტრი პირველი მსოფ-

რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ბოლომდე არ ენდობოდა, შეასუსტა ნდობა აზერბაიჯანული ეროვნული ბრიგადისადმი. ავტომატურად შემცირდა მისადმი მხარდაჭერაც. ეს საბჭოთა ხელისუფლების ბუნებრივი რეაქცია იყო. თუ ქართველებს შეიძლება გამოეყენებინათ ეროვნული ბრიგადა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იგივე შეეძლო ენვერ ფაშასაც.

როგორც ჩანს, ეროვნული სამხედრო შენაერთებიდან საბჭოთა ხელისუფლებას ყველაზე ნაკლებ საშიშად სომხური ბრიგადას მიიჩნევდა. თუმცა მის განვითარებას ხელს უშლიდა ეროვნული კადრების ნაკლებობა. უნდა აღინიშნოს, რომ 1918-1921 წლებში, სამი კავკასიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდში, ყველაზე ძლიერი ქართული ჯარი იყო. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა და ერთერთი იყო გენერლებისა და ოფიცრების პირადი შემადგენლობის პროფესიონალიზმი. აზერბაიჯანული და სომხური არმიები მათ დიდ დანაკლისს განიცდიდა. ამიტომ აზერბაიჯანულ არმიაში ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი მსახურობდა (აბელ მაყაშვილი, სიდამონ ერისთავი, თუმანიშვილი, კარგარეთელი, ლორთქიფანიძე და სხვ), სომხურში კი – რუსი ოფიცრები ჰყავდათ. ჯერ კიდევ 1919 წელს გენერალი ილია ოდიშელიძე წერდა, რომ სომეხი ოფიცრების ნაწილი ფრონტზე ყოფნას თბილისში ჯდომას არჩევდა, ხოლო სომხურ ეროვნულ შენაერთებში რუსი ოფიცრები მსახურობდნენ[18].

დოკუმენტის ბოლოს პოლკოვნიკი ბობიცკი აკეთებს სამ მნიშვნელოვან დასკვნას. პირველი – ეროვნული სამხედრო შენაერთების არსებობას აზრი არ აქვს, რადგან მოსკოვმა „დაიწყო კავკასიის რუსეთთან სრული შეერთების პოლიტიკა“ ანუ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების ფაქტობრივი ოკუპაცია და ანექსია. ასეთ ვითარებისას კი ცხადია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის წითელი არმიის შენაერთები იდგებოდნენ. ამიტომ ეროვნული შენაერთების განვითარებაც არ შედიოდა კრემლის გეგმებში და ისინი რჩებოდნენ ჩანასახოვან მდგომარეობაში. მეორე – ეროვნული შენაერთების შენარჩუნება ხდებოდა დროებით რადგან: შეიქმნას

ლიო ომის დროს. პანთურქიზმის იდეის ერთერთი მხარდამჭერი. 1920 წელს ჩავიდა მოსკოვში. ერთი ხანობა საბჭოთა ხელისუფლება ორჭოფობდა თუ ვისთვის დაეჭირა მხარი ქემალისთვის (ათათურქი) თუ ენვერისთვის. საბოლოოდ კრემლში ქემალის მხარდაჭერა გადაწყვიტეს და 1921 წლის ბოლოს ენვერი ბუხარაში გაგზავნეს, სადაც ის მალევე ანტისაბჭოთა ძალებს დაუკავშირდა და მათ მხარესაც გადავიდა. დაიღუპა სამხედრო შეტაკებისას 1922 წლის 4 აგვისტოს ტაჯიკეთში.

[18] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე №8

ილუზია, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და ყავთ საკუთარი ჯარი (დამოუკიდებელი სახელმწიფო ჯარის გარეშე წარმოუდგენელია); ადგილობრივ კომუნისტებს ჰქონდეთ ნაციონალისტური არგუმენტი სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შესახებ კამათისას. „ადგილობრივ კომუნისტებში“, ჩემი აზრით, უმთავრესად ქართველი კომუნისტები უნდა იგულისხმებოდნენ. ამას ადასტურებს დოკუმენტში ხაზგასმული ფრაზა, რომ ნაციონალისტური არგუმენტი ჭირდებოდათ სწორედ მენშევიკებთან კამათისას. მენშევიკებთან ანუ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან კამათი კი ცხადია ქართველ კომუნისტებს ექნებოდათ. მესამე – ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი. ანტისაბჭოთა აჯანყების შემთხვევაში ამ ეროვნულ ბრიგადებს, მიუხედავად იმისა, რომ არიან „ჩანასახოვან“ მდგომარეობაში და არ წარმოადგენენ ღირებულ რამეს სამხედრო თვალსაზრისით, შეუძლიათ მაინც ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი და გახდნენ რეალურად ეროვნული ჯარის შექმნის ბაზა. სწორედ ამიტომ ადარებს პოლკოვნიკი ბობიცკი მათ პოლონეთის ვერმახტს[19].

დოკუმენტის ბოლოს პოლკოვნიკი ბობიცკი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი ძირითადად ქართული ეროვნული ბრიგადის მიმოხილვა იყო ისე კი სამივე ეროვნული ბრიგადა მეტ-ნაკლებად ერთნაირიაო, დასძენს პოლკოვნიკი.

შესაძლოა სამხრეთ კავკასიის სამივე საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული ბრიგადა მეტ-ნაკლებად მართლაც ერთნაირი იყო, მაგრამ ამ დოკუმენტიდანაც ჩანს და რეალურადაც ასე იყო, რომ მათ შორი ყველაზე ძლიერი სამხედრო შენაერთს მაინც ქართული წითელი ბრიგადა წარმოადგენდა.

საინტერესოა ერთი მოკლე ცნობა საქართველოს შესახებ რომელიც მოიპოვება გენერალური შტაბის მაიორის თადეუშ შხაეტზელის[20] მიერ სამ-

[19] პოლონეთის ვერმახტი ეწოდებოდა სამხედრო შენაერთს, რომელიც შეიქმნა ვარშავის საგენერალ-გუბერნატოროში 1917 წელს ავსტრია-უნგრეთის ინიციატივით. 1918 წლის 11 ნოემბერს პოლონეტის რესპუბლიკის დამოუკიდეველობის გამოცხადების შემდეგ გახდა პოლონეთის არმიის შექმნის ერთ-ერთი საფუძველი.

[20] თადეუშ შხაეტზელი (1881-1971) პოლონეთის არმიის პოლკოვნიკი, დიპლომატი, პრომეთეისტული მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მხარდამჭერი. პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა პოლონურ ლეგიონებში. 1919 წლიდან პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილების თანამშრომელია. 1922-1923 წლებში გენშტაბის II განყოფილების დოკუმენტაციის სექციის ხელმძღვანელი. 1924-1926 სამხედრო ატაშე ანკარაში. 1926-1929 გენშტაბის II განყოფილების უფროსი. 1929-1930 მსახურობდა პოლონეთის საელჩოში პარიზში. 1935-1938 პოლონეთის სეიმის დეპუტატია. 1939-1944 იმყოფებოდა რუმინეთში, შემდეგ თურქეთში, ეგვიპტეში და 1947 წლიდან ინგლისში.

ხედრო მინისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში. მოხსენებითი ბარათი შდგენილია 1922 წლის 26 დეკემბერს და ეხება ლოზანის საერშვიდობო კონფერენციას[21]. ამ დოკუმენტში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია კავკასიის სახელმწიფოების მდგომარეობაც. საქართველოზე წერია შემდეგი: „საქართველოში ეროვნული ცნობიერება ძალიან ძლიერად არის განვითარებული და დაფუძნებულია დიდებულ (მშვენიერ) ტრადიციებზე. ადამიანები რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ, როგორიცაა მაგ. ჟორდანია წარმოადგენდნენ ძლიერ პიროვნებებს, გააჩნდათ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და ეროვნული სიამაყე. ჯარი, ავტორიტეტული მოსაზრებების (თვალსაზრისი) თანახმად, აღმოჩნდა მამაცი და მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე. საქართველოს მმართველობის სისუსტე იყო მხოლოდ ის, რომ ძალიან დიდი რწმენა ჰქონდათ საგარეო დახმარების, რომელიც მათ ვერ მიიღეს“[22]. ვფიქრობ ამ მოკლე ცნობაში რამდენიმე საინტერესო თეზისი: ნოე ჟორდანიას დახასიათება, საქართველოში ძლიერი ეროვნული ცნობიერების არსებობა, ქართული ჯარის შეფასება. შაინტერესოა მოსაზრება, რომ ქართველ პოლიტიკოსებს საგარეო დახმარების დიდი რწმენა ჰქონდათო. ვფიქრობ გარკვეულწილად მართებული შენიშვნაა. ჩემი აზრით, მსგავსი მდგომარეობა იყო 1921 წლის შემდგომაც, როდესაც ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწეები ზედმეტად დიდი იმედებს ამყარებდნენ ევროპის სახელმწიფოების დახმარებაზე.

პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილება სხვა საკითხებთან ერთად ხელმძღვანელობდა დაზვერვასა და კონტრდაზვერვას. საინტერესოა თადეუშ შხაეტზელის, რომელიც პოლონეთის სადაზვერვო სასახურების შექმნის პირველივე დღიდან აქტიურად იყო ჩართული მათ საქმიანობაში, წერილი გაგზავნილი პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკისადმი 1923 წლის 3 ივლისს.

[21] კონფერენცია ლოზანაში მიმდინარეობდა 1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 24 ივლისამდე. მას ესწრებოდნენ: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, რუმინეთის, სერბების ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფოს, სსრკ-ის, იაპონიის, აშშ-სა და თურქეთის წარმომადგენლები. განიხილეს: თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება და შავი ზღვის სრუტეების (დარდანელი და ბოსფორი) საკითხი. სრუტეების საკითხზე მიღებული კონვეცია შემდგომში გადაისინჯა 1936 წელს, მონტრეს კონფერენციაზე.

[22] პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych“ ფონდი 1190, საქმე 616-27, გვ. 466. „W Gruzij świadomość narodowa jest bardzo silnie rozwinięta i oparta o wspaniałe tradycje. Ludzie, którzi byli u władzy jak n.p[. Zordanja, to postacie silne o wysoko rozwiniętym poczuciu odpowiedzialności i dumy narodowej. Armja, według opinji bardzo miarodajnych, okazała się bitną i posiadającą wysokie wartości moralne. Słabością sfer kierowniczch Gruzji była tylko zbyt silna wiara w pomoc zzewnątrz, która ich zupełnie zawiodła“.

წერილის მთავარი ინფორმაციაა, რომ პოლონეთი ქართველებს გადასცემს რადიომიმღებ სადგურს, რომლითაც საქართველოში უნდა ყოფილიყო შემოტანილი და აწყობილი. მისი ამუშავების შემდეგ ქართველებს შეეძლებოდათ რადიოდაზვერვა ანუ საბჭოთა წითელი არმიის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების რადიოგადაცემების მიღება. ცხადია შემდეგ მოხდებოდა დაშიფრული ინფორმაციის გაშიფრვა. ამისთვის საგანგებოდ იგზავნებოდა საბჭოთა რადისატელეფონო სადგურების მიერ გამოყენებული შიფრი. როგორ უნდა მომხდარიყო რადიოსადგურის საბჭოთა საქართველოში შემოტანა ეს წერილიდან არ ჩანს.

ცხადი ხდება, რომ რადიომიმღები სადგურის საკითხი ქართულ პოლიტიკურ და სამხედრო ემიგრაციასთან განხილული იყო კონსტანტინოპოლში 1922 წლის სექტემბერში. ამ მიზნით ვარშავიდან გამოგზავნილი იყო კაპიტანი კოვალევსკი. კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა ქართული მხრიდან უცნობია.

მოსმენა უნდა განხორციელებულიყო ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. მასალები საბოლოოდ უნდა გაგზავნილიყო პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილებაში, პოლკოვიკ ბობიცკის მეშვეობით. ვინ და როგორ მიაწოდებდა ამ მასალებს საქართველოდან კონსტანტინოპოლში მყოფ პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეს გაურკვეველია.

საინტერესოა წერილში დაცული კიდევ ორი ინფორმაცია. პირველი – პოლონეტის სამხედრო ხელმძღვანელობა შესაძლებლად თვლიდა თანამშრომლობას „იქაურ ორგანიზაციასთან“ ანუ საქართველოში არსებულ რომელიღაც ორგანიზაციასთან. მეორე – ამ თანამშრომლობის პრინციპები უნდა შეემუშავებინა პოლკოვნიკ ბობიცკის და შემდეგ გაეცნო საკუთარი ხელმძღვანელობისთვის.

თუმცა წერილში დასახელებულია ერთი პირობა, რომლის შესრულების შემდეგაც იყო შესაზლებელი თანამშრომლობის საკითხის განხილვა. ქართველებს უნდა მიეღოთ რადიომიმღები სადგური, აეწყოთ ის და დაეწყოთ რადიოდაზვერვა. სავარაუდოდ ამით პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობა დარწმუნდებოდა რომ ქართულ ორგანიზაციას რეალურად შეეძლო მოქმედება და გააჩნდა გარკვეული ძალა და შესაძლებლობები.

რა საკითხზე შეიძლება ეთანამშრომლათ პოლონეთის გენერალურ შტაბს და ქართულ ორგანიზაციას? სამხედრო საკითხებზე ანუ პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობას და ზოგადად პოლონეთის ხელისუფლებას

გარკვეული სახის სამხედრო დახმარება უნდა გაეწია ქართული ორგანიზაციისთვის. პოლონეთის არქივში დაცული სხვა დოკუმენტები ადასტურებენ რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები (მაგ. კონსტანტინე გვარჯალაძე პირადად იყო ვარშავაში ჩასული და შეხვედრები ჰქონდა გენერალური შტაბის II განყოფილებაში). დოკუმენტებიდან ისც ირკვევა, რომ პოლონეთის გენერალური შტაბი რეალურად განიხილავდა საქართველოში გარკვეული სახის სამხედრო დახმარების გამოგზავნას და სათანადო მარშრუტების საკითხიც კი განიხილებოდა.

გასაგებია, რომ კონსტანტინოპოლში პოლონელებმა ურთიერთობა დაამყარეს იქ ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებთან, მაგრამ საინტერესოა რას წარმოადგენდა ის ,,ქართული ორგანიზაცია", რომელიც საქართველოში მოქმედებდა და რომელსაც ეს რადიომიმღები სადგური ეგზავნებოდა. სავარაუდოდ ეს უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და ნაკლებად სამხედრო ცენტრი.

კაპიტან კოვალევსკის ქართველებთან შეხვედრის შემდეგ პოლურმა მხარემ დაიწყო რეალური მომქმედება. წერილიდან ირკვევა, რომ 1922 წლის 7 ნოემბერს მოხდა გარკვეული ინფორმაციის გაცვლა გენერალურ შტაბსა და კონსტანტინოპოლში მყოფ სამხედრო ატაშეს შორის.

მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ინფომაციას გვაწვდის მეორე წერილი, რომელი 1923 წლის 25 სექტემბრით თარიღდება. ამჯერად ინფორმაცია იგზავნება კონსტანტინოპოლიდან ვარშავაში.

წერილიდან ცხადი ხდება, რომ 1923 წლის 15 სექტემბერს (პირველი საუბრიდან ერთი წლის შემდეგ) რადიო სადგური გადაეცა ქართველების წარმომადგენელს კონსტანტინე გვარჯალაძეს (შეაძლოა გვარჯალაძე მონაწილეობდა კაპიტან კოვალევსკისთან შეხვედრაშიც. კიდევ ერთი მონაწილე ამ შეხვედრისა ჩვენი აზრით უნდა ყოფილიყო სამხედრო და შესაძლოა გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ასეთ ვარაუდს იმიტომ გამოვთქვამ, რომ ზაქარიაძე აქტიურად მონაწილებდა პოლონელებთან გამართულ სხვა შეხვედრებში).

წერილიდან ირკვევა, რომ რადიოსადგური უკვე გაიგზავნა საქართველოში. ადგილი სადაც ის იმუშავებს ლეონ ბობიცკი ვერ ასახელებს, რადგან ეს ადგილი ქართველებს თავად უნდა შეეჩიათ. სავარაუდოდ წინასწარ არ იყო განსაზღვრული ადგილი ან თუნდაც ადგილები და ეს საკითხი ქართვე-

ლებს თავად უნდა გადაეწყვიტათ. ეს სრულიად ბუნებრივია. საზღვარგარეთიდან ძნელი იქნებოდა სათანადო ადგილის განსაზღვრა. ადგილის შერჩევაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უსაფრთხოება იქნებოდა.

ცხადია ქართველებს ყავდათ სპეციალისტი ვინც რადიოსადგურს ააწყობდა. თუმცა პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში პოლკოვნიკი ბობიცკი ვარაუდობდა უკვე პოლონელი სპეციალისტის გამოშვებას საქართველოში რუსეთის გავლით. ამისთვის მხოლოდ ნებართვას ითხოვდა.

ამ წერილში ლეონ ბობიცკი ასახელებს თუ ვის გადაეცა რადიოსადგური, ეს არის „აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი (źe sztabem Dowodztwa Powstanczego)“. 1923 წლის სექტემბერში ასეთი ორგანიზაცი მხოლოდ „დამოუკიდებლობის კომიტეტი იყო (სამხედრო ცენტრის წევრები საბჭოთა ხელისუფლებამ 1923 წლის 21 მაისს დახვრიტა და ამ ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა).

ააწყვეს თუ არა ქართველებმა რადიოსაგური და დაიწყეს რადიოდაზვერვა დანამდვილებით რთული სათქმელია. არის კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. 1924 წლის 8 ივლისს პოლკოვნიკი ბობიცკი წერილს უგზავნის პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსს და აწვდის ინფორმაციას საქართველოში დაგეგმილი აჯანყების მზადების შესახებ. ამ წერილში არის ერთი წინადადება – ჩვენი რადიოსადგური მალე დაიწყებს მუშაობას[23]. რთული სათქმელია აქ იგულისხმება ქართველებისთვის 1923 წლის 15 სექტემბერს გადაცემული რადიოსადგური თუ სხვა. ვფიქრობ რომ ეს კონსტანტინე გვარჯალაძისათვის გადაცემული რადიოსადგური უნდა იყოს. აეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ქართველებს საკმაოდ დიდი დრო (რვა თვე) დაჭირდათ რადიოსადგურის საქართველოში გადასატანად და ასაწყობად.

რადიოდაზვერვისთვის საჭირო ერთი რადიოსადგურის გადმოცემა შესაძლოა არც ჩავთვალოთ ძალიან დიდი მოვლენად, თუმცა ეს რეალური დახმარების კონკრეტული ფაქტია. საიდანაც, ჩემი აზრტ, შესაძლოა ორი დასკვნის გაკეთება. პირველი – პოლონური მხარე რეალურად ეხმარებოდა ქართველებს შესაძლებლობებს ფარგლებში და იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით. ბუნებრივია, რომ სამხრეთ კავკასიაში რადიოდაზვერვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია პოლონეთის სამხედრო ხელისუფლებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც ითხოვდნენ მასალის ვარშავაში გადაგზავნას. რადიომიმღები სადგურის ქართველებისათვის გადმოცემა გარკვეულ-

[23] Pawel Libera, II rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego. Warszawa 2013. გვ. 133.

წილად პლონეთის ინტერესებშიც იყო. არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების გამო. ეს ამავე დროს ანტისაბჭოთა მოძრაობის მხარდაჭერა და სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლისა ერთი ეპიზოდი იყო. პოლონეთს კი მუდამ აშფოთებდა მისი აღმოსავლელი მეზობლის აგრესიულობა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება ქართველებისთვისა უაღესად მნიშვნელოვანი იყო და ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე პოლონელებისთვის. მით უმეტეს დიდი ანტისაბჭოთა ავჯანყებისათვის მზადებისას. მეორე – რადიომიმღები სადგურის გადმოცემა ადასტურებს, რომ ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა მართებული ნაბიჯი გადაგეს, როდესაც პოლონეთთან დაიწყეს აქტიური თანამშრომლობა.

ის რომ პოლონეთი საკმაოდ დაინტერესებული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობის გააქტიურებით საბჭოთა კავშირში ადასტურებს მოკლე ამონარიდი პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსისი, დივიზიის გენერალ შტანისლავ ჰალერის[24] წერილიდან სამხედრო ატაშესადმი კონსტანტინოპოლში. გენერალი ჰალერი მოითხოვს დამატებით ინფორმაციას კავკასიასა და შუა აზიაში მიმდინარე ანტისაბჭოტა მოძრაობის შესახებ. წერილი დაწერილია 1923 წლის 6 სექტემბერს. ის სამი ნაწილისგან შედგება. ორი ეხება შუა აზიას და ერთი კავკასიას. გენერალი ჰალერი წერს, „ოფიციალური ბოლშევიკური წყაროები გვაწვდიან ცნობებს მემაბოხეთა მოძრაობის შესახებ, რომელიც წარმოიშვა კავკასიასა და თურქესტანეთში ამა წლის ივნისისა და ივლისის პერიოდში. 1. კავკასიაში წითელი არმიის ჯარების ძლიერი მოქმედებების შედეგად მოხდა ვითარების დამშვიდება, როგორც საქართველოში (გურიის მხარე), ასევე ოზურგეთის რაიონში და აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც ენვერის ბანდის ლიკვიდაციის შემდეგ. არ არის ინფორმაცია ჩელოკაიევის (Czelokajew) მოქმედების შესახებ, რომელმაც ჩეჩნებისგან დაიწყო თავისი ფილიალის ორგანიზება და დაუკავშირდა გაჩინსკის (Gacynskim). ლორეში (სომხეთი) მოკლეს პოპულარული პარტიზანული ილიენ ლომოვი, ამიტომაც მისმა ბანდამ შეწყვიტა მოქმედება. ტაკ-ალუს (Tak-Alu) ორგანიზაცია, რომ-

[24] სტანისლავ ჰალერი (1872-1940) პოლონელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1918 წლამდე მსახურობდა ავსტრია-უნგრეთის არმიაში. 1918 წელს, პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ დაინიშნა კრაკოვის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. მონაწილეობდა ომში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 1920 წელს. იბრძოდა ლვოვთან ბუდონის პირველი ცხენოსანი არმიის წინააღმდეგ. 1923-1925 წლებში იყო პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. 1939 წელს ტყვედ ჩაუვარდა საბჭოთა ჯარებს. დახვრიტეს ხარკოვში 1940 წელს.

ლიც ასევე მოქმედებდა სომხეთში, 3 თვის განმავლობაში არაფერს იუწყება საკუთარი თავის შესახებ, ასე რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს დაშლილად ...ზემოალნიშნული შეტყობინებები უნდა შემოწმდეს დაინტერესებული პირების წრეებში, ხოლო გენერალურ შტაბს უნდა გამოეგზავნოს შეფასება.[25]" ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რომ პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსი ინტერესდება საქართველოში არსებული ვითარებით და კონკრეტულად ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის მოქმედებით. ჩვენი აზრით, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის მნიშვნელობაზე იმ დროს მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

როგორც წარმოდგენილი, ასევე ჩვენს მიერ პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში ნანახი დოკუმენტები ადასტურებდნენ, რომ პოლონეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა აქტიურად უჭერდა მხარს ქართველების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ვეთანხმებით დოქტორ გ.მამულიას, რომ ევროპის სახელმწიფოებიდან პოლონეთი ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული კავკასიის დოკუმენტრომელიც რეალურად ფიქრობდა ქართველების დახმარებაზე და როგორც ვნახეთ გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამდა ამ მიმართულებით.

[25] პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych" ფონდი 1191, საქმე " 33 II (5), გვ. 83-85. „Urźdowe źródla bolszewickie podają następujące wiadomości o ruchu powstaczym na Kaukazie i w Turkiestanie w ciągu czerwca i lipca r.b. 1. Na Kaukazie nastąpilo znaczne uspokojenie naskutek silnej akcji oddzialow armji czerwonej, zarówno w Gruzji (okręg Gurji), jak i na terenie powiatu Ozurgetskiego, oraz na terytorjum Azerbejdźanu (w pow. Goryjskim) po zlikwidowaniu bandy Enwera. Niema wiadomości o zaniarach Czelokajewa, który rozpoczął organizowanie swego odzialu z czeczenców i nawiązal kontakt z Gacynskim. W pow. Laryjskim (Armenja) zabito popularnego wśród ludności partyzanta ilję Lomowa, skutkiem czego banda jego obecnie dzialan swich zaprzestala. Oddzial Tak-Alu, który operowal również w Armenji, w ciągu 3-ch miesięcy nic dawal o sobie znać, tak, źe uważać go można za rozwiązany ... Powiższe wiadomości należy sprawdzić w kolach zainteresowanych i przeslać Sztabowi Generalnemu ocenę".

დოკუმენტები

I.

ATTACHE WOJSKOWIY Dn. 27/X – 1922 r.
W
KONSTANTINOPOLU
Nr. 866/22

DO SZEFA SZTABU GENERALNEGO

Na L 26853/II Brygady narodowosciowe na Kaukazie.

Los i rozwoy gruzinskich, azerbejdzanskich i ormianskich wojsk narodiwych byl i jest scisle zwiazany z kierunkiem politiki Sowietiw na Kaukaze.

Od chwili okupacji Kaukaza przez rosyjski Rząd Sowietow, az do ostatniej, a mianowicie w Lipcu b.r. wiziti Szklanskiego zastepcy Trockiego, kolo tej kwestji stazcala się walka między komunistami – nacionalistami, uważającymi siebię za narodowcow laczacych się li komunistami rosjanami ktorzy odziedziczyli po carskiej Rosji w calej pelni zaborcza, wstosunku do osciennych panstw i kresow, politykę. Pierwśi, uważali za konieczne stworzenie czerwonych armji, wyżej wymienionych naroduw, natomiast drudzy byli zwolennikami obsdzenia Kaukazu li tylko przeź czrwona armjię rosyjską.

Dopiero w Lipcu b.r. na naradzię przedstawicieli rządu i wojskowości wymienionych republik, pod przewodnictwem Szklanskego, definitywnie zostaloą ustaloną zasadą zaniechania dalszego rozwoju jednostęk narodowych i obsądzenią Kaukazu przeź OKA.

Przedkladam rownocześnie szczegolowy stan czerwoej brygady gruzinsiej, przy rozpączeniu ktorego należy wywnioskowac, iż mimo dwuletniego instnienią tej jednostki, jest ona w stanię zaczatkow organizacyjnych, nie przedstawiając wartości w sensie bojowy wym.

Zaznaczam, iż tylko stanowisko zasadniczę stoi na przeszkodzie do jej rozwóju, ponieważ gruzini mienszewicy usilinie prowadzą agitacje za wstapieniem do gruzinskiej czerwonej brigady, widzać dla siebie korzyść w powiekszeniu ilośći uzbrojonych obywateli gruzinskich, które zwsze pozostaną elementem pewnym dla celow ruchu niepodleglościowego – lecz wladze sowieckie udzielają zglaszającym się urlopow bezterminowych, tamując w ten sposob rozwój wzmiankowanej jednostki.

Pierwiej, bolszewicy tolerowali brygady azerbejdzanską i ormianską, jako mniej niebezpieczna dla ruchu komunistycznego, lecz obecnię cieszy się wiekszem poparciem li tylko brygada ormianską, a azerbejdzanską po rozszerzeniu się ruchu Envwera, zostala sprowadzoną do tegoż samego stanu jak i gruzinską

Mimo popracią wladz sowieckich, brigada ormianska napotiką trudnosci w dalszym swoim rozwoju, że wzgledu na brak materjalu lidzkiego, bo Ormianie zdają sobie sprawe, że ta jednostka bojowa będzie użyta przez Dow. sowieckie przeciwko tatarom i turkom, w konsekwencje czego są dobrze już znane Ormjanom z ich wlasnego doswiadzenia.

Reasumując powyszse, nalezy przyjsc do wniosku, że istniejące na Kaukazie brygady narodowościoe we, sśutrzymane w stanie zaczatkow jako bluff niepodleglości kaukazkich narodów i narazi az do zmiany zasadniczej polityki, nie mają widokow na dalszy swój rozwoj.

Z chwila przyjecia przez Rząd rosyski polityki jaknajdalszej unifikacji Kaukazu z Rosja, idea istnienia czerwonych armji kaukazkich narodów, sama przez się stala się nieaktualna i jeżeli ta jednostki nie przedstawiające wiekszej bojowej wartości nie są dotychczas rozwiązane, to tylko że wzgledu na koniecznośc utrzymania fikcji, a zarazem niechec do narazania sobie komunistow narodów usposobionych ... argumentacji narodówj w propagandzie mienszewickiej.

Natomiast te brygady, wrazie akcji powstanczej, moga stanowic jadrą dla ruchu wojskowego i odegrac te sama role, jaka odegral Wehrmacht w naszej akcji wyzwolenczej.

Narazie przedkladam stan brygady gruzinskiej, co zas do ormianskiej i azerbejdzansiej, to takowe nie są w posiadaniu tut, przedstawicieli, ale naogol wszystkie trzy brygady przedstaw aja się mniej wiecej jednakowo.

Zalacznikow

[Bobicki]
Pulkownik Sztabu Generalnego i
Attache Wojskowy w Konstantinopolu[26]

[26] პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych" ფონდი 1191, საქმე A II 33, გვ. 101-103. გენერალური შტაბის უფროსს. ნომერი 26853/II ეროვნული ბრიგადები კავკასიაში. ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ეროვნული ბრიგადების ბედი და განვითა-

რება მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული საბჭოების მიერ კავკასიაში გატარებულ პოლიტიკასთან. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლები მიერ კავკასიის ოკუპაციიდან ბოლო მომენტამდე, ამ წლის იელისში ტროცკის მოადგილის შკლანსკის ვიზიტამდე, ეს საკითხი იყო ბრძოლის (კამათის) საგანი კომუნისტ-ნაციონალისტებს, რომლებიც თავს თვლიან ნაციონალისტებად და რუს კომუნისტებს, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს მეფის რუსეთის პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან და მხარეებთან დამოკიდებულებაში, შორის. პირველნი მხარს უჭერდნენ ზემოხსენებული ერების წითელი არმიის შექმნას, ხოლო სხვები მხარს უჭერდნენ კავკასიის ავსებისა მხოლოდ რუსეთის წითელი არმიის მიერ.ას ე იყო ამა წლის იელისამდე. ზემოთ დასახელებული რესპუბლიკების მთავრობებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების თათბირზე, შკლანსკის ხელმძღვანელობით შეთანხმდნენ პრინციპზე, უარი ითქვას ეროვნულ სამხედრო შენაერთებზე და კავკასია გაკონტროლდეს მხოლოდ კავკასიის ცალკეული არმიით (OKA). ამავე დროს მე წარმოგიდგენთ (აღგიწერთ) ქართული წითელი ბრიგადის დეტალურ მდგომარეობას. დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ დანაყოფის ორწლიანი არსებობისა ორგანიზაციული თვალსაზრისით ის იმყოფება საწყის (ჩანასახოვან) მდგომარეობაში და არ წარმოადგენს ღირებულ რამეს სამხედრო თვალსაზრისით.მე აღვნიშნავ მხოლოდ მისი განვითარების გზაზე არსებულ ძირითად მომენტებს. ქართველი მენშევიკები აქტიურად აგიტირებენ ქართულ წითელ არმიაში შესვლაზე. ისინი თავისთვის უპირატესობას ხედავენ შეიარაღებული ქართველების რაოდენობის ზრდაში, რომლებიც ყოველთვის იქნებიან გარკვეული ელემენტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება განმცხადებლებს უგადო შვებულებას აძლევს და ასე აფერხებს ამ სამხედრო ნაწილის განვითარებას.ბოლშევიკები ითმენენ სომხური და აზერბაიჯანული ბრიგადების არსებობას, როგორც ნაკლებად საშიშს კომუნისტური მოძრაობისათვის. ამჟამად უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს სომხური ბრიგადა, აზერბაიჯანული კი ენევრის მოძრაობის გაფართოების შემდეგ ქართული ბრიგადის დონეზეა დაყვანილი. საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის მიუხედავად სომხური ბრიგადა თავის შემდგომ განვითარებაში განიცდის სიძნელეებს, ადამიანური რესურსის არარსებობის გამო. რადგან სომხებმა კარგად იციან, რომ ამ საბრძოლო ერთეულს საბჭოთა ხელმძღვანელობა გამოიყენებს თათრებისა და თურქების წინააღმდეგ, რისი შედეგიც სომხებმა კარგად იციან საკუთარი გამოცდილებით. ზემოთ თქმულის შეჯამებისას უნდა დავასკვნათ, რომ ეროვნული ბრიგადების არსებობა კავკასიაში ნარჩუნდება ჩანასახოვან მდგომარეობაში, როგორც კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობის ბლეფი და ძირითადი პოლიტიკური ბაზის შეცვლამდე მათ არ აქვთ განვითარების არანაირი პერსპექტივა.როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო კავკასიის რუსეთთან სრული შეერთების პოლიტიკა, კავკასიის ხალხების დამოუკიდებელი წითელი არმიების არსებობის იდეა თავისთავად გახდა არააქტუალური. თუ ამ სამხედრო შენაერთების, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდი სამხედრო ძალას, საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, მხოლოდ იმიტომ რომ გაამყარონ ფიქცია და ამავე დროს არ დატოვონ ადგილობრივი ეროვნული კომუნისტები ნაციონალისტური არგუმენტების გარეშე მენშევიკებთან კამათში.თუმცა ეს ბრიგადები ავანგარდის შემთხვევაში შეიძლება იქცნენ სამხედრო ძალის ბირთვად და შეასრულონ იგივე როლი რაც ითამაშ ეერმახტმა ჩვენს გათავისუფლებაში. ამჟამად მე მიმოვიხილავ ქართული ბრიგადის მდგომარეობას. რაც შეეხება სომხურ და აზერბაიჯანულ ბრიგადებს, ისინი არ ექვემდებარებიან აქ წარმომადგენლებს, მაგრამ სამივე ბრიგადა მეტ-ნაკლებად ერთნაირია. [ბობიცკი] გენერალური შტაბის პოლკოვნიკი და სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში

2.

MINISTERSTWO SPRAW WOJSKOWYCH Warszawa, dn. 3 VII 1923 r.
(SZTAB GENERALNY) Sciśle Tajne!
Oddzial II
№ 11631 Inf. III. D.
Do Attache Wojskowego w Konstamtinopolu

Stosiwnie do tamt. pisma Nr. 435/23 z dn. 10/V b.r., w sprawie nadeslania aparatu i instrukcyj radiowywiadowczich dla Gruzinskiej Organizacji Wojskowej (patrz tut. Nr. 28788/II Inf. III.D. z dn 7/XI 1922 r.), w załączeniu przesylam jeden kompletny odbiornik "Polradio", spis alfabetyczny sygnslów stacyj rtelg. Rosji Sowieckiej i instrukcje dla prowadzenia służby radiowywiadowczej.

W wymienionym sprzęcie technicznycm nie przysylam baterji anodowej. Pożądanem byloby zakupienienie takowej na miejscu.

Zasady pracy radiowywiadowczej tamt. organizacji gruzinskiej byly omawiane podczas pobytu kpt. Kowalewskiego w Konstantynopolu we wrześniu 1922 roku.

W uzupelnienie powyższego podaję główne zadania pracy podsluchowej wymienionej organizacji:

1) Zasadniczy podsluch winien być kierowany na rejon północno-kaukazki i zakaukazki, obejmując stacje polowe, względnie prowadzące korespondencję ściśle wojskową.

2) Na podstawie materjalu podsluchowego sporządze sią schematy łączności polówek i charakterystykę pracy korespondencyjnej tychże.

3) Calkowity materyal podsluchowy winien być nadsylany do tut. Oddzialu przeź Attache Wojskowego w Konstantynopolu.

Materjal powyższy sklada się z:

a) dziennika stacyjnego

b) spostrzeżen wlasnych (charakterystyka, dane o miejscach postoju polówek, względnie jednostek wojskowych łączności i korespondencję).

Współpraca tamt. placówki ze Sztabem Generalnym może się rozpocząć po zainstalowaniu i zorganizowaniu się stacji radiowywiadowczej gruzinskiej.

Jednocześnie proszę o nadeslanie kopji pokwitowania na aparat odbiorczy i instrukcję, poinformowanie co do organizacji tamt. stacji (obsada, miejsce postoju, rozklad pracy), potrzebach technicznych lub też insrukcyjnych,

niezbędnych do prowadzenia służby radiowywiadowczej i wreszcie o hajbardziej odpowiadających zasadach współpracy z Oddzialem II Szt. Gen.

W z. Szef Oddzialu II Szt. Gen.

SCHATZEL. I.
Major Szt. Gen[27].

[27] პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych" ფონდი 1191, საქმე A II 33, გვ. 90. სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში. თანახმად ამა წლის 10/V-ის წერილისა ნომერი 435/23 საქართველოს სამხედრო ორგანიზაციისთვის აპარატისა და რადიოსადაზვერვო აქმიანობისათვის საჭირო ინსტრუქციების გაგზავნასთან დაკავშირებით (იხილეთ 1922 წლის 7/XI-ის დეპეშა ნომერი 28788/II Iნფ. III.D.) ვაგზავნი: ერთ რადიომიმღებს „Polradio", საბჭოთა რუსეთის რადიოსტელეგარაფო სადგურების შიფრს და ინსრუქციას რადიოსადაზვერვო საქმიანობის წარმართვისთვის. აღნიშნულ ტექნიკურ აღჭურვილობაში არ ვაგზავნი ანოდურ ბატარეას (აკუმულატორს). სასურველი იქნებოდა ასეთის შეძენა ადგილზე. რადიოსადაზვერვო საქმიანობის წესები, ქართულ ორგანიზაციასთან განხილული იყო კაპიტან კოვალევსკის კონსტანტინოპოლში ყოფნისას 1922 წლის სექტემბერში. დამატებით ზემოთ ნათქვამთან, ჩამოვთვლი აღნიშნული ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი მოსმენის მთავარ ამოცანებს: 1) ძირითადად მოსმენა მიმართული უნდა იყოს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზე და ამიერკავკასიაზე, საველე სადგურებისა და ასევე იმათი ჩათვლით, ვინც ახორციელებს მკაცრად სამხედრო მიმოწერას.

2) მოსმენილი მასალის საფუძველზე უნდა შემუშავდეს ლ ცზნო ცი პოლ წეკ სქემები და მოხდეს ამ მიმოწერის დახასიათება. 3) მოსმენის მთელი მასალა უნდა გამოიგზავნოს ამ განყოფილებაში, კონსტანტინოპოლში სამხედრო ატაშეს მეშვეობით. ზემოთ ნახსენებ მთელ მასალაში იგულისხმება: ა) სადგურის ჟურნალი, ბ) საკუთრივ მოსმენის მასალები (დახასიათება, მონაცემები (სამხედრო ნაწილების კომუნიკაციებისა და მიმოწერის შესახებ). რაც შეეხება იქაური ორგანიზაციის თანამშრომლობას გენერალურ შტაბთან, ეს შესაძლებელია დაიწყოს ქართული რადიოსადაზვერვო სადგურის აწყობისა და ორგანიზაციის შემდეგ. ამავდროულად, გთხოვთ გამომიგზავნოთ: რადიომიმღები აპარატისა და ინსტრუქციების ქვითრის ასლი, ინფორმაცია იქაური სადგურის ორგანიზაციის შესახებ (პერსონალი, აწყობის ადგილი, სამუშაო გრაფიკი), ასევე თუ რამე საჭიროება იქნება ტექნიკური ან ინსტრუქციული, რომლებიც აუცილებელია რადიოსადაზვერვო საქმიანობის განსახორციელებლად და ბოლოს გენერალური შტაბის II განყოფილებასთან თანამშრომლობისთვის ყველაზე შესაფერისი პრინციპები. გენეარლური შტაბის II განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შხაეტზელი, გენეარლური შტაბის მაიორი.

3.

ATTACHE WOJSKOWY
W dn. 25 wrzesnia 1923 r.
KONSTANTINOPOLU
№ 625

Do Szefa Oddzialu II Sztabu Generalnego.
Na L, 11631/II Inf. III. D. z dn. 3/VIII 1923 r.

Przy niniejszym przedkladam pokwitowania na aparat odbyorczy i insrukcje, doreczone w dn. 15/ wrzesnia b. r. tutejszemu reprezentantowi gruzinskiemu p. Konstantemu Gwardzaladze.

Przy sprawdzeniu nadeslanych przedmitow Lampkatodowych typ E.W.E.173 okozalo się nie szesc, a tylko trzy.

Aparat odbiorczy zostal już wyslany do miejsca przeznaczenia, ktore narazie nie jest znane, gdzie będzię zainstalowany przeź fachowca, znajdujacego się na mijscu.

W razie gdyby na miejscu powstaly Jakiekolkwiek trudnosci, prosze o informacje czy nie bęndzię mozliwem myslanie naszego instruktora wprost przeź Rosje do Tyflisu, gdzie on zostanie skomunikiwany źe sztabem Dowodztwa Powstanczego.

Zalacznik I.

ATTACHE
WOJSKOWY W KONSPOLU
BOBICKI, PULK. SZTABU
GENERALN

Zalacznik Spis ogólny Stacji odbiorczej Rtelegr.P.R. 1) Aparat odbiorczy typ Pol.Radio – 1. 2) Wykres dkugości fali – 1. 3) Antena ramowa – 1. 4) Amplifiktor typ E.V.89 d/Telef/ – 1. 5) Transformator do amplifikatora typ Tr.

Nr. 101 – 1. 6) Akumulatory po 6 V a 48 amperg. – 2. 7) Lampy katodowy typ E.V.E. 173 – 6. 8) Kabel łącznikowy batarje z aparatem – 1. 9) Lampi katodowe franc. – 3. 10) sluchawka podwojna – 1. 11) Woltomietrz na 100 Wolt – 1.[28].

[28] პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych" ფონდი 1191, საქმე A II 33, გვ. 89, 91, 92. გენერალური შტაბის II განყოფილების უფროსს. ამ მოხსენებით წარმოგიდგენთ რადიომიმღები აპარატის ქვითრებს და ინსტრუქციებს, რომელიც ამა წლის 15 სექტემბერს გადაეცა ქართველების ადგილობრივი წარმომადგენელს ბატონ კონსტანტი გვარჯალაძეს. გაგზავნილი დეტალების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ E.W.E.173 ტიპის ლამფა ექვს ნაცვლად არის სამი. რადიომიმღები აპარატურა უკვე გაიგზავნა დანიშნულების ადგილზე, რომელიც ჯერ არ არის ცნობილი და სადაც აიწყობა სპეციალისტის მიერ. ადგილზე რაიმე სირთულის წარმოქმნის შემთხვევაში, მაცნობეთ, შემეძლება თუ არა ვიფიქრო ჩვენი ინსტრუქტორის გაგზავნაზე რუსეთის გავლით თბილისში, სადაც ის ამ საკითხზე დაუკავშირდება ავკანყების ხელმძღვანელ შტაბს. დანართი I. სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში ბობიცკი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი. დანართში ჩამოთვლილია თუ რა გაიგზავნა საქართველოში (სია შედგენილია ფრანგულ და პოლონურ ენებზე): მიმღები აპარატი, ტიპი Pol.Radio; ტალღების სიგრძის გრაფიკი; ანტენა; ამპლიფიკატორი, ტიპი E.V.89 d; ტრანსფორმატორი ამპლიფიკატორისთვის, ტიპი Tr. Nr. 101; 6 ვოლტიანი და 48 ამპერიანი აკუმულატორი; კათოდური ლამფები, ტიპი E.V.E. 173; შემაერთებელი კაბელი; ფრანგული კათოდური ლამფები; ყურსასმენი; 100 ვოლტიანი ვოლტმეტრი.

Mikheil Bakhtadze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SEVERAL DOCUMENTS ABOUT GEORGIA FROM THE ARCHIVE OF NEW HISTORY IN POLAND *ARCHIWUM AKT NOWYCH*

Summary

Many documents are kept in the archive of new history in Poland Archiwum Akt Nowych which give us information about Democratic Republic of Georgia, also about Georgia and Georgians in emigration in the 20s and 30s of 20th c.

Report of colonel Leon Bobicki, a military attaché of Poland in Constantinople, to the Chief of the General Staff sent in October, 1922 is very interesting. It is about Red Army's national military units in southern Caucasus. Bobicki came to three conclusions in his report: 1) existence of national military units does not make sense since Moscow "started the policy of full annexation of Caucasus", 2) National units were maintained temporarily in order to create an illusion that Soviet republics of Georgia, Armenia and Azerbaijan are independend states, 3) these units may play a crucial role in case of anti-Soviet revolt.

Short note about Georgia found in the report of the mayor of General Staff Tadeusz Schaetzel to Military Minister is also interesting alongside the letter sent by him to colonel Leon Bobicki in July 3, 1923.

Main information found in the letter is that Poland was giving a radio receiver to Georgians which was supposed to be brought in Georgia and set up.

Another letter dated back to October 25, 1923 gives us an information about subsequent events. This time information was sent from Constantinople to Warsaw. The letter clarifies that radio receiver was given to Constantine Gravjaladze, who represented Georgians and that it was already sent to Georgia.

Poland's extreme curiosity about activation of anti-Soviet movement in Soviet Union is attested in a letter of general Haller, Chief of the General Staff of Poland, to the military attaché of Poland in Constantinople. General Haller demands additional information about anvi-soviet movements in Caucasus and Central Asia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVI
თბილისი. 2020

Георгий Рамазашвили
Архивный исследователь

Хроники поэтапного разрушения Всехсвятского приходского некрополя (1981-2017)

В 11:40 25-го января 2013 года впервые за многие годы в расположенном в Москве храме Всех Святых зазвучали песнопения на грузинском языке[1]. В эти минуты в храм вступил находившийся пятый день в Москве католикос-патриарх Грузии Илиа второй. Он прибыл во Всехсвятское вместе с сопровождающими, в числе которых были митрополит Зугдидский и Цаишский Герасим (Шарашидзе), митрополит Хомисский и Самтредийский Саба (Гигиберия), митрополит Ахалцихский, Тао-Кларджетский и Лазский Теодор (Джеидзе), а также работающий в секретариате патриарха архимандрит Димитрий (Давиташвили) и служащий в московс-

[1] В каком именно году в приходе прекращают вести службу на грузинском языке, автору выяснить пока не удалось, однако возможная подсказка содержится в опубликованном в 1997-м Московской Патриархией буклете, авторы которого утверждают, что «после 1761 года настоятелями и священниками в храм Всех Святых ставятся русские» (*Рохас М.В., Тихонов И.С., Умнов А.С., Полищук Е.С., Жилкина М.В., Бабенко Н.А.*, Храм Всех Святых во Всехсвятском, Патриаршее подворье. Издательство Московской Патриархии. Москва, 1997. С. 8. (Очевидно, авторами буклета являются лица, о которых на последней странице обложки сказано, что они участвовали «в подготовке текста»).

К сожалению, без необходимых ссылок на источники приведена информация, согласно которой богослужение на грузинском совершалось вплоть «до присоединения Грузии к России» (*Там же, с. 7*). Какая бы из этих дат ни оказалась более точной, до выявления дополнительных архивных сведений допустимо полагать, что служба была грузиноязычной до конца второй трети XVIII века; перешла ли она на русский постепенно (если какие-то службы велись на грузинском, а основные – на русском) или одномоментно, не известно. Выяснить это можно будет, проверив, имелась ли в грузинском владении во Всехсвятском придворная церковь либо же был ли у кого-то из живших там представителей грузинской аристократии духовник, способный, по их просьбе, проводить службы в приходе.

ком патриаршем подворье, что в храме святого великомученика Георгия-победоносца, архимандрит[2] Вахтанг (Липартелиани).

Войдя в алтарь, патриарх проследовал к северному приделу во имя Симеона-богоприимца и Анны-пророчицы, где совершил молитву перед иконой и алтарным входом в сам придел, под полом которого, по одной из версий, погребён скончавшийся в 1725 году грузинский ученый Сулхан Саба Орбелиани.

Благословив подошедших прихожан, Илиа-II под звон колоколов покинул храм.

Появлению Илии-второго во Всехсвятском предшествовал ряд событий, давших главе грузинской Православной церкви веские основания проявить пристальное внимание к этой церкви, хранящей следы грузинского присутствия и свидетельствующим о многовековых грузино-российских отношениях.

1981 год: Ликвидация Всехсвятского приходского кладбища

